

სააქციო საზოგადოება

„ევექსის ჰოსპიტლები“

(საიდენტიფიკაციო კოდი 404476205)

ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტი

50,000,000 (ორმოცდაათი მილიონი) ლარის ჯამური ნომინალური ღირებულების ცვლადი საპროცენტო სარგებლის მქონე კუპონური ობლიგაციები. განადგობის (დაფარვის) ვადა: გამოშვებიდან 5 წლის შემდეგ. ემიტენტს გააჩნია ობლიგაციების სრულად (მაგრამ არა ნაწილობრივ) გამოსყიდვის ოფცია ნებისმიერ „გამოსყიდვის ოფციის თარიღზე“. (დეტალეებისთვის გთხოვთ, იხილოთ „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ მე-6 ქვეთავი „ობლიგაციების განადგობა და გამოსყიდვა“). თითო ობლიგაციის ნომინალური ღირებულება გამოშვებისას: 100,000 (ასი ათასი) ლარი. ფასი გამოშვებისას ნომინალური ღირებულების 100% (ასი პროცენტი). პროცენტი ობლიგაციებზე გადაიხდება კვარტალურად, წლიური განაკვეთით, რაც უდრის საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ-ი“) მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთს დამატებული 310 საბაზისო პუნქტი. ნებისმიერი „სარეიტინგო სააგენტოს“ მიერ ევექსის ჰოსპიტლების რეიტინგის B+ („საბაზისო რეიტინგზე“) ქვემოთ ჩამოწევის შემთხვევაში, კუპონის განაკვეთი გაიზრდება 25 საბაზისო პუნქტით. (დეტალეებისთვის გთხოვთ იხილოთ „ობლიგაციის გამოშვების პირობების“ მე-5 ქვეთავი „საპროცენტო სარგებელი“). რეფინანსირების განაკვეთი ქვეყნდება შემდეგ მისამართზე: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=554&lng=eng>.

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას.

სს „ევექსის ჰოსპიტლები“ (შემდგომში „კომპანია“ ან „ევექსის ჰოსპიტლები“ ან „ემიტენტი“) პასუხისმგებელია წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით (რომლის სიზუსტის დასადასტურებლადაც კომპანიამ მიმართა ყველა გონივრულად შესაძლო ძალისხმევას) წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ფაქტებს და არ არის გამოტოვებული იმგვარი ინფორმაცია, რასაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ინფორმაციის უტყუარობაზე და სისრულეზე. ამასთან, წინამდებარე პროსპექტში შესულია კომპანიისათვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები

გიორგი მინდიაშვილი - სს „ევექსის ჰოსპიტლების“ დირექტორი საოპერაციო საკითხებში

გიორგი ლომინაძე - სს „ევექსის ჰოსპიტლების“ დირექტორის მოადგილე ფინანსებში

ხელმოწერილია სს „ევექსის ჰოსპიტლების“ სახელით:


ხელმომწერი:

სახელი, გვარი: ნიკოლოზ გამყრელიძე

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:

თარიღი: 30.10.2019




ხელმომწერი:

სახელი, გვარი: გიორგი მინდიაშვილი

თანამდებობა: დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 30.10.2019



ხელმოწერილია სს „გალტ ენდ თაგარტის“ სახელით:


ხელმომწერი:

სახელი, გვარი: ოთარ შარიქაძე

თანამდებობა: მმართველი დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 30/10/2019



მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინვესტორთათვის:

ამ დოკუმენტის კითხვის გაგრძელებამდე, პოტენციური ინვესტორი ჯერ უნდა გაეცნოს წინამდებარე დათქმას. დათქმა ეხება თანდართულ პროსპექტს (შემდგომში „პროსპექტი“) და შესაბამისად, პოტენციური ინვესტორი უპირველეს ყოვლისა გულდასმით უნდა გაეცნოს მას. პროსპექტის გაცნობით და მისი გამოყენებით (მათ შორის, ინვესტირების მიზნით) ინვესტორი თანხმობას აცხადებს, რომ დაექვემდებარება და შეასრულებს ქვემოთ მოცემულ პირობებს (დროდადრო მათში შეტანილი შესწორებებისა და ცვლილებების ჩათვლით). იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორს პროსპექტი მიეწოდა ელექტრონული გზავნილის ფორმით, იგი ეთანხმება, რომ ელექტრონული გზავნილი (მასზე დართული პროსპექტითურთ) კონფიდენციალურია და მოწოდებულია მხოლოდ ადრესატისათვის. შესაბამისად, ინვესტორი ეთანხმება, რომ არც ერთ სხვა პირს არ გაუგზავნის ან მიაწვდის ელექტრონულ გზავნილს ან/და წინამდებარე პროსპექტის ელექტრონულ ვერსიას და არ გასაჯაროებს მას.

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

საქართველოს ეროვნული ბანკი - მის. სანაპიროს ქუჩა 2, 0114, თბილისი, საქართველო. ტელ: 2 406 406. ელ-ფოსტა: info@nbg.gov.ge. ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge

პასუხისმგებლობის შეზღუდვა:

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

ამასთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც შესაძლოა ცალსახად იქნას გათვალისწინებული შესაბამისი კანონმდებლობით, არც ერთი პირი, გარდა ემიტენტისა, მათ შორის, არც განთავსების აგენტი, ობლიგაციონერთა წარმომადგენელი, ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტი, რეგისტრატორი, კომპანიის სხვა მრჩეველები ან მათთან დაკავშირებული რომელიმე პირი, ან მათი რომელიმე დირექტორი, მრჩეველი ან აგენტი არ არიან პასუხისმგებელი წინამდებარე პროსპექტის შინაარსზე, მასში წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე ან სისრულეზე, ან მათ მიერ ან მათი სახელით კომპანიასთან დაკავშირებით გაკეთებულ რომელიმე განცხადებაზე, ან წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და შეთავაზებაზე. შესაბამისად, განთავსების აგენტი და კომპანიის მრჩეველები არ იღებენ არანაირ კანონისმიერ თუ სხვაგვარ პასუხისმგებლობას წინამდებარე პროსპექტთან ან მათ რაიმე სხვა განცხადებასთან დაკავშირებით.

მოცემული შეთავაზების მიზნებისათვის, განთავსების აგენტი მოქმედებს ექსკლუზიურად ემიტენტისათვის, ისინი არ წარმოდგენენ არც ერთ სხვა პირს მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით და არ მიიჩნევენ არცერთ სხვა პირს (მიუხედავად იმისა, ამგვარ პირს მიღებული აქვს თუ არა წინამდებარე პროსპექტი) თავიანთ კლიენტად მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ისინი არ არიან ვალდებული გაუწიონ ვინმეს, გარდა კომპანიისა, მომსახურება ან მისცენ რჩევა შეთავაზებასთან ან წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ რაიმე ოპერაციასთან ან გარიგებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პროსპექტი არ წარმოადგენს და ვერ იქნება გამოყენებული შეთავაზების მიზნით რომელიმე ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი ქმედება ნებადართული არ არის, ან რომელიმე ისეთი პირისადმი, რომლისთვისაც ამგვარი შეთავაზება უკანონოა. არც ერთ იურისდიქციაში (საქართველოს გარდა) არ ხორციელდება არანაირი ქმედება წინამდებარე პროსპექტში განსაზღვრული ობლიგაციების შეთავაზებისთვის ნებართვის მისაღებად, ან პროსპექტის (ან ობლიგაციებთან დაკავშირებული სხვა შეთავაზების მასალების) გასაჯაროებლად.

ინვესტორის დადასტურება: პროსპექტი ინვესტორს მიეწოდება მისივე თხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ იგი უდასტურებს შესაბამის განთავსების აგენტს სს „გალტ ენდ თაგარტს“; (ს/ნ 211359206), მის: საქართველო, თბილისი 0179, აღმაშენებლის გამზ. N79, ტელ: (995 32) 2444-132 (995 32) 24401-111; ელ-ფოსტა: st@gt.ge

(შემდგომში „განთავსების აგენტი“) და ემიტენტს, რომ ინვესტორი (i) იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ და არ არის ამერიკის მოქალაქე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „S“ რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით) და ინვესტორი (ii) უფლებამოსილია, რომ მიიღოს ფასიანი ქაღალდები ყველა შესაბამისი კანონის, რეგულაციისა და პროსპექტის პირობების ფარგლებში და (iii) არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მიწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება.

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პროსპექტი ინვესტორს მიეწოდა ელექტრონული ფორმით, კომპანია, განთავსების აგენტი ან/და რომელიმე მათთან აფილირებული პირები არ იქნებიან რაიმე სახით ვალდებული ან პასუხისმგებელი ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმატით გავრცელებული პროსპექტის ვარიანტებს შორის არსებულ რაიმე სხვაობაზე ან/და კომპიუტერული პროგრამის ვირუსებისაგან ან სხვა დამაზიანებელი ელემენტებისაგან დაცვაზე, რაც შესაძლოა გამოწვეულ იქნას ელექტრონული ფორმატით დოკუმენტების მიწოდებით გამოწვეული ცვლილებით მათი გადაგზავნის პროცესში. პროსპექტზე წვდომის განხორციელებით, ინვესტორი თანხმობას აცხადებს მის ელექტრონული ფორმით მიღებაზე.

ყოველგვარი ექვსის გამოსარიცხად, უპირატესობა ენიჭება კომპანიის მიერ გამოქვეყნებულ/გასაჯაროებულ პროსპექტს (რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულის იდენტურია).


პროსპექტის წარდგენიდან მის დამტკიცებამდე არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა, ხოლო თუკი რამე მსგავსი ცვლილება მოხდება დამტკიცებიდან შეთავაზებამდე, პროსპექტში შესაბამისად განახლდება

ნაბეჭდი სახით პროსპექტი ხელმისაწვდომია განთავსების აგენტისადმი მიმართვის საფუძველზე.

შეზღუდვა: თუ პირმა წინამდებარე დოკუმენტზე წვდომა მოიპოვა ზემოაღნიშნული დათქმებისა და შეზღუდვების მიუხედავად და გაუთვალისწინებლად, იგი არ არის უფლებამოსილი შეიძინოს წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული რომელიმე ფასიანი ქაღალდი.

დამტკიცებულია საქართველოს
ეროვნული ბანკის მიერ

ემისიის სახელმწიფო რეგისტრაციის #



GE2700603881-1-02

01/11/2019

ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო
საიდენტიფიკაციო #

GE2700603881

სარჩევი

შესავალი	7
ინფორმაცია ემიტენტის შესახებ	9
საქართველოს ჯანდაცვის სექტორის მოკლე მიმოხილვა	11
ფასიანი ქაღალდების ძირითადი მახასიათებლები.....	20
მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის.....	21
შეთავაზების პირობები	23
რისკის ფაქტორები.....	25
კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები.....	25
საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკის ფაქტორები.....	34
ობლიგაციებთან დაკავშირებული რისკები.....	42
შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება	46
სარეგისტრაციო დოკუმენტები	47
დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები.....	47
კაპიტალიზაცია და დავალიანება	51
ძირითადი საქმიანობა.....	54
ძირითადი ბაზრები	62
ემიტენტის ბიზნეს საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა	69
სამომავლო სტრატეგია და მიზნები	70
ემიტენტის კონკურენტული გარემო და ბაზარზე მისი პოზიციის აღწერა.....	72
ინვესტიციები.....	77
ემიტენტის ორგანიზაციული სტრუქტურა.....	78
კომპანიის საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა მენეჯმენტის მიერ	81
ფინანსური მდგომარეობა.....	85
დამატებითი ფინანსური საჭიროებები.....	96
საოპერაციო შედეგები.....	97
სამედიცინო საქმიანობის რეგულირება საქართველოში	115
მენეჯმენტი და მმართველობა	120
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	124

საბალანსო უწყისი	127
მოგება-ზარალის უწყისი	129
ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი.....	131
დივიდენდების პოლიტიკა.....	133
სასამართლო დავები.....	134
ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა	135
კაპიტალი	136
დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც ნახსენებია/მითითება არის გაკეთებული რეგისტრაციის დოკუმენტში	138
ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა	139
განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ	139
ინტერესთა კონფლიქტი	140
შეთავაზების პირობები, მოსალოდნელი გრაფიკი და შეთავაზებაში მონაწილეობისათვის საჭირო პროცედურები	141
ობლიგაციების გამოშვების პირობები.....	141
მარეგულირებელი სამართალი და იურისდიქცია	162
ფასის დადგენა.....	163
განთავსება	164
ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება ბირჟაზე	165
ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში	166

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა

შესავალი

ფასიანი ქაღალდის დასახელება	სს „ვექსის ჰოსპიტლების“ ობლიგაციები
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია	სააქციო საზოგადოება „ვექსის ჰოსპიტლები“ საიდენტიფიკაციო კოდით 404476205, მის: დიდუბის რაიონი, დიდი დიღომი, გლდანის დამაკავშირებელი გზატკეცილი და ბელიაშვილის ქუჩა (ნაკვეთი 4/77) / აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N142, თბილისი, საქართველო.; ტელ: (995 32) 255-550505; ელ-ფოსტა: gmindiasvili@ghg.com.ge lominadzeg@evex.ge
განთავსების აგენტის/შეთავაზების განმახორციელებელი პირის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	სს „გალტ ენდ თაგარტი“; (ს/ნ 211359206), მის: საქართველო, თბილისი 0179, აღმაშენებლის გამზ. N79, ტელ: (995 32) 2444-132 (995 32) 24401-111; ელ-ფოსტა: st@gt.ge
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	საქართველოს ეროვნული ბანკი, სანაპიროს 2, თბილისი, 0114 ტელ: +995 322 406 406; ელ-ფოსტა: info@nbg.gov.ge; ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge
პროსპექტის დამტკიცების თარიღი	• 01/11/2019

მნიშვნელოვანი მითითებები:

ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს;

ინვესტორის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მთლიანი პროსპექტიდან და არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის ნაწილიდან გამომდინარე;

ემიტენტს შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ზოგადი მიმოხილვის ნაწილი შეცდომაში შემყვანია, ან არაზუსტი, ან არ არის ძირითადი პროსპექტის შესაბამისი ან თუ არ იძლევა ძირითად ინფორმაციას, რათა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ გადაწყვეტილება, იმის შესახებ დააბანდონ თუ არა სახსრები ამ შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებში;

ობლიგაციებში ინვესტირება საკმაოდ რისკიანია. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შეიძენს ობლიგაციებს, მზად უნდა იყოს მისი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისათვის და გაითვალისწინოს, რომ მის მიერ შეძენილი ობლიგაციების ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაბრუნება დამოკიდებული იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე. არც პროსპექტი და არც კომპანიის ან/და განთავსების აგენტის მიერ შეთავაზებასა და განთავსებასთან დაკავშირებით მოწოდებული რაიმე / ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ არის გამიზნული ობლიგაციებში კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებისათვის. ყველა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები. გარდა ამისა, ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

წინასწარი პროსპექტი და მასში მოყვანილი ინფორმაცია, შესაძლოა დაექვემდებაროს შესაბამის შესწორებას და დამატებას ვითარების ცვლილებიდან გამომდინარე, რისი ასახვაც ხდება საბოლოო პროსპექტში (მაგ. საპროცენტო განაკვეთის დაზუსტება, ტექნიკური ხარვეზის გასწორება, ემისიის მოცულობის დაზუსტება, და ა.შ.). აღნიშნულის თაობაზე ემიტენტი მოახდენს ინვესტორთა ინფორმირებას კანონით დადგენილი წესით. აქ აღნიშნული ობლიგაციების გაყიდვა, ან ობლიგაციების ყიდვის საჯარო შეთავაზება არ შეიძლება გაკეთდეს მანამ, სანამ არ მოხდება პროსპექტის დამტკიცება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

ამ პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციების შეთავაზება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ და საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნული არ წარმოადგენს შეთავაზებას ობლიგაციების ნასყიდობაზე ნებისმიერ იმ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი შეთავაზება ჩაითვლება უკანონოდ.

არც კომპანია და არც განთავსების აგენტი არ აკეთებს არანაირ განცხადებას და არ იძლევა გარანტიას ობლიგაციების პოტენციური ან ფაქტიური მყიდველების მიმართ, ამ უკანასკნელთა მიერ ობლიგაციებში ინვესტირების კანონიერების შესახებ რომელიმე საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც ექვემდებარება ან შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარი მყიდველი.

არცერთი პირი არ არის უფლებამოსილი კომპანიის ან განთავსების აგენტის სახელით გასცეს რაიმე ისეთი ინფორმაცია, ან გააკეთოს რაიმე განცხადება, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია ან განცხადება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კომპანიის ან განთავსების აგენტის მიერ ნებადართულად. წინამდებარე პროსპექტის მიწოდება ან მასთან დაკავშირებული ობლიგაციების რეალიზაცია არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღიდან კომპანიის საქმიანობაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

წინამდებარე პროსპექტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც იურიდიული, საინვესტიციო, საქმიანი ან საგადასახადო რჩევა. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, ყველა ინვესტორმა კონსულტაციები საჭიროებისამებრ უნდა გაიაროს საკუთარ მრჩეველებთან და თავად განსაზღვროს, რამდენად კანონიერია მის მიერ ამ პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა შესაბამისი საინვესტიციო კანონების ან მსგავსი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების ფარგლებში.

გაფრთხილება

ობლიგაციების ემისიის პროსპექტი მარტივი დოკუმენტი არ არის და შესაძლებელია რთული იყოს ინვესტორისთვის ამ პროსპექტით შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას ინვესტორები უნდა დაეყრდნონ საკუთარ ანალიზს კომპანიასთან, ობლიგაციებთან, შემოთავაზებულ პირობებთან, სარგებელსა და რისკებთან მიმართებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ თავი „რისკის ფაქტორები“. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა უნდა განსაზღვროს ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა საკუთარი გარემოებების გათვალისწინებით. ამასთან, ყველა პოტენციურ ინვესტორს უნდა:

გააჩნდეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება ობლიგაციების, მათში კაპიტალდაბანდების სარგებლისა და რისკების, ასევე წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერ შესაბამის შესწორებაში მოყვანილი ინფორმაციის ჯეროვანი შეფასებისთვის;

გააჩნდეს შესაბამისი ანალიტიკურ ინსტრუმენტებზე წვდომა და ცოდნა, რათა შეაფასოს ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა და ამგვარი ინვესტიციის გავლენა მის მთლიან საინვესტიციო პორტფელზე მისი კონკრეტული ფინანსური გარემოების კონტექსტში;

გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები და ლიკვიდური პოზიცია ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების ყველა რისკის ასაღებად, მათ შორის, როდესაც ძირითადი ნაწილისა და პროცენტის ვალუტა განსხვავდება იმ ვალუტისაგან, რომელშიც ინვესტიციებს იზიდავს ან ახორციელებს პოტენციური ინვესტორი;

ობლიგაციების პირობების სრულყოფილი გაგება და ის უნდა იცნობდეს შესაბამისი ფინანსური ბაზრის მახასიათებლებს;

შესაძლებლობა შეაფასოს (თავად ან ფინანსური მრჩეველის დახმარებით) ეკონომიკური, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ფაქტორების შესაძლო განვითარების სცენარები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ინვესტიციებზე და შესაბამისი რისკის აღების შესაძლებლობაზე.

ინფორმაცია ემიტენტის შესახებ


სს „ვეექსის ჰოსპიტლები“ (შემდგომში, *კომპანია ან ვექსის ჰოსპიტლები*) დაარსდა 2014 წელს, სს სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ „სამედიცინო კორპორაცია ვექსად“ რეორგანიზაციის (გაყოფის) შემდეგ და 2019 წლის აპრილში გაყოფის შედეგად (აღწერილია ქვემოთ) ჩამოყალიბდა როგორც სს „ვეექსის ჰოსპიტლები“.

2019 წელს კომპანიამ განაახლა ჯანდაცვის სერვისების ბიზნეს-სტრუქტურა, რომელიც მანამდე შედგებოდა პოლიკლინიკების სეგმენტისგან და ჰოსპიტლების სეგმენტისგან, რომელიც აერთიანებდა რეგიონალური კლინიკებისა (Community Clinics) და რეფერალური ჰოსპიტლებს. ორივე სეგმენტი იმართებოდა ცალკეული მენეჯმენტის მიერ. ახალი სტრუქტურის თანახმად, 2019 წლიდან ჯანდაცვის სერვისების ბიზნესი შემდეგ ორ იურიდიულ პირად გაიყო: რეფერალური ჰოსპიტლები სს „ვეექსის ჰოსპიტლების“ დაქვემდებარებაშია და კლინიკების ბიზნესი, რომელიც სს „ვეექსი კლინიკების“ დაქვემდებარებაშია და აერთიანებს პოლიკლინიკებსა და რეგიონალურ კლინიკებს.

კომპანია არის სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ წევრი. სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“-ს მშობელი კომპანია (აქციათა 57%-ის მფლობელი) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს კაპიტალი“.

კომპანიის იურიდიული მისამართი: დიდუბის რაიონი, დიდი დიღომი, გლდანის დამაკავშირებელი მაგისტრალი და ბელიაშვილის ქუჩა (ნაკვეთი 4/77)/აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №142, თბილისი, საქართველო.

ქვემოთ წარმოდგენილია ემიტენტის ვერტიკალური ორგანიზაციული სტრუქტურა 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:



გარდა ევექსის ჰოსპიტლებისა, GHG აერთიანებს შემდეგ კომპანიებს:

დასახელება	მომსახურების სფერო	GHG-ის წილი
სს "ევექსის კლინიკები"	კლინიკები	100%
სს "გეფა"	ფარმა	67%
სს სადაზღვეო კომპანია "იმედი L"	დაზღვევა	100%
სს "მეგა ლაბი"	ლაბორატორია	92%
სს "ვაბაკო"	პროგრამული უზრუნველყოფა	67%

ემიტენტი არის „ევექსის ჰოსპიტლები“.

„ევექსის ჰოსპიტლების“ ძირითადი საქმიანობაა რეფერალური ჰოსპიტლების ოპერირება. 2019 წლის მარტის მდგომარეობით, კომპანია 18 რეფერალურ ჰოსპიტალს მართავს, რომელთაგან 6 თბილისში, ხოლო დანარჩენი 12 რეგიონების დიდ ქალაქებში მდებარეობს. რეფერალური ჰოსპიტლები უზრუნველყოფენ მეორადი და სპეციალიზებული ჯანდაცვის დონის ამბულატორიულ და სტაციონარულ დიაგნოსტიკურ, ქირურგიული და სამკურნალო სერვისების მიწოდებას.

საქართველოს ჯანდაცვის სექტორის მოკლე მიმოხილვა

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კერძოდ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, იურიდიული კანონმდებლობის გაძლიერების, მასობრივი პრივატიზაციის და 2013 წელს ხელისუფლების მიერ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შემოღების შედეგად ჯანდაცვის სექტორი მნიშვნელოვნად განვითარდა. ახალი და კერძო საავადმყოფოების საწოლების წილი 75%-ით გაიზარდა და ქვეყანაში ჰოსპიტლების საწოლების არსებული რაოდენობის თითქმის 90% შეადგინა. გარდა ამისა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ საქართველოს ყველა დაუზღვეველი მოქალაქე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საბაზისო სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყო, რამაც, თავის მხრივ, გაზარდა მოთხოვნა ჯანდაცვაზე. 2017 წლის მაისიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა უფრო ორიენტირებული გახდა სოციალურად დაუცველ ჯგუფებზე. მოქალაქეები, რომელთა წლიური შემოსავალი 40,000 ლარს აღემატება (დაახლოებით 32,000 ადამიანი) სრულად გამოირიცხნენ ამ პროგრამიდან, ხოლო მოქალაქეებს, რომელთა წლიური შემოსავალი 12,000-დან 40,000 ლარამდეა, ამ პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ლიმიტირებული სერვისებით სარგებლობა შეუძლიათ. ამან შესაძლებელი გახდა სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება.

2012-2017 წლებში საქართველოს ჯანდაცვის სექტორმა (ჰოსპიტლები, პოლიკლინიკები და აფთიაქები) ძლიერი 14%-იანი საშუალო წლიური ზრდა (CAGR) განიცადა და 2017 წელს 3.5 მილიარდ ლარს მიაღწია. მეტიც, Frost & Sullivan-ის პროგნოზით, ჯანდაცვის სერვისების ბაზრის მოცულობის ზრდა 2018-2021 წლებში 8%-იანი რთული წლიური ზრდის განაკვეთით არის მოსალოდნელი და 2021 წელს 4.8 მილიარდ ლარს მიაღწევს.

კომპანიის აქციონერები:

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ (GHG, მშობელი კომპანია) არის სს „ევექსის ჰოსპიტლების“ 100% - იანი აქციონერი.

GHG აერთიანებს სამედიცინო მომსახურების სფეროს მთელ სპექტრს, მისი ძირითადი მიმართულებებია: ჯანდაცვის სერვისები (რომლებშიც შედის რეფერალური ჰოსპიტლები („ევექსის ჰოსპიტლები“), კლინიკები და პოლიკლინიკები), ფარმაკდისტრიბუცია, დიაგნოსტიკა და სამედიცინო დაზღვევა.

2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით, GHG-ის მიმართულებებს შორის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების გადანაწილება მოცემულია ცხრილში.

	მთლიანი ოდენობა	ჯანდაცვის სერვისები (% მთლიანიდან)	ფარმა & დისტრიბუცია (% მთლიანიდან)	სამედიცინო დაზღვევა (% მთლიანიდან)	სეგმენტთაშორისი ტრანზაქციები & კონსოლიდაცია (% მთლიანიდან)
სულ აქტივები	1,240.51	74%	25%	5%	-5%
სულ ვალდებულებები	665.48	67%	33%	6%	-7%
შემოსავალი	846.31	36%	61%	7%	-3%
EBITDA	132.27	57%	39%	3%	0%

კომპანიის მენეჯმენტი

გიორგი მინდიაშვილი - დირექტორი

„ევექსის ჰოსპიტლების“ დირექტორად დანიშვნამდე, გიორგი მინდიაშვილი იყო სს სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ ფინანსური დირექტორი 2009 წლის სექტემბრიდან. 2012 წელს გიორგი მინდიაშვილი სადაზღვევო კომპანია „იმედი ლ ინთერნეშნელის“ გენერალური დირექტორი იყო. თავისი კარიერა მან 2003 წელს დაიწყო სადაზღვევო კომპანია British Caucasus-ში.

გიორგი მინდიაშვილს დამთავრებული აქვს თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი და მენეჯმენტის ევროპული სკოლა ფინანსური მათემატიკის, მენეჯმენტის სისტემების, ფინანსური მენეჯმენტის და კორპორაციული ფინანსების მიმართულებებში.

ეკატერინე ქავთარაძე - მოადგილე საოპერაციო სრულყოფილების საკითხებში

„სამედიცინო კორპორაცია ევექსში“ მუშაობის დაწყებამდე, ეკატერინე ქავთარაძე, იყო სსიპ დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე. 2012-2013 წლებში იყო ამ ცენტრის ხელმძღვანელი, 2010-2012 წლებში იყო ჰოსპიტალური ქსელის „მედალფას“ გენერალური დირექტორი, ხოლო 2004-2010 წლებში ეკავა სხვადასხვა პოზიცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.

2003 წელს ეკატერინემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თერაპიის ფაკულტეტი; 2008 წელს მან მიიღო მაგისტრის ხარისხი ფარმაცევტიკაში. 2013-2016 წლებში დაამთავრა კავკასიის ბიზნეს სკოლა და გრენოზლის მენეჯმენტის სკოლა და აქვს ორმაგი მაგისტრის ხარისხი ბიზნეს ადმინისტრირებაში.

ის ეწევა აკადემიურ საქმიანობას, არის პუბლიკაციების ავტორი და თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტთან.

გიორგი ლომინაძე - დირექტორის მოადგილე ფინანსებში

გიორგი ლომინაძე დაინიშნა სს „ევექსის ჰოსპიტლების“ დირექტორის მოადგილედ ფინანსებში 2019 წელს. მანამდე ის 2 წლის განმავლობაში იყო „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ კომერციული ანალიტიკის განყოფილების დირექტორი. 2013-2016 წლებში გიორგი ლომინაძე იყო EMSC-ს (გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ცენტრი) პროექტების მენეჯერი, ხოლო 2007-2013 წლებში ეკავა სხვადასხვა პოზიცია რამდენიმე სადაზღვევო კომპანიაში.

ბ-ნ ლომინაძეს აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიპლომი მათემატიკაში.

მამუკა ჩხაიძე - კლინიკური მიმართულების დირექტორის მოადგილე

მამუკა ჩხაიძე დაინიშნა სს „ევექსის ჰოსპიტლების“ კლინიკური მიმართულების დირექტორის მოადგილედ 2019 წელს. მას აქვს სამედიცინო სფეროში მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის 22 წლიანი გამოცდილება.

ბ-ნმა ჩხეიძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტი. ის ეწევა აკადემიურ საქმიანობას, არის მრავალი პუბლიკაციის ავტორი. ის ასევე არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ნიკა სონდულაშვილი - დირექტორის მოადგილე იურიდიულ და რისკების მართვის საკითხებში

ნიკა სონდულაშვილმა „ევექსი ჰოსპიტლებში“ მუშაობა დაიწყო 2017 წელს. ის დაინიშნა „ევექსის ჰოსპიტლების“ დირექტორის მოადგილედ იურიდიულ და რისკების მართვის საკითხებში 2019 წელს. მანამდე, 2009-2017 წლებში ის იყო „ერნსტს ენდ იანგის“ ხარისხის და სანდოობის უზრუნველყოფის მენეჯერი.

ბ-ნ სონდულაშვილს მინიჭებული აქვს ხარისხი ბიზნეს ადმინისტრირებაში საქართველოს მენეჯმენტის ევროპული სკოლიდან და ბიზნესის მაგისტრის ხარისხი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

ემიტენტის ფინანსური აუდიტორი

კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები (სს სამედიცინო კორპორაცია ევექსის ფინანსური ანგარიშები) შეამოწმა დამოუკიდებელმა აუდიტორულმა ფირმამ EY LLC. საიდენტიფიკაციო ნომერი: 204441158. მისამართი: კოტე აფხაზის ქუჩა №44, თბილისი, საქართველო. ელექტრონული ფოსტა: : info@ge.ey.com

ცალკეული ფინანსური ანგარიშები (სს ევექსი ჰოსპიტლების ფინანსური ანგარიშები) შეამოწმა აუდიტორმა გიორგი ლეჟავამ. რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-173449. მისამართი: ონაშვილის ქუჩა №5/12, თბილისი, საქართველო. გიორგი ლეჟავა არის შპს „ქართული საშემფასებლო კომპანიის“ დირექტორი, რომელმაც ასევე მოახდინა კომპანიის უძრავი ქონების შეფასება, როგორც ეს მითითებულია ქვემოთ.

ობლიგაციების გამოშვების შედეგად, კომპანია ხდება საზოგადოებრივი დაინტერესების პირი და შესაბამისად, ევექსის ჰოსპიტლების 2019 წლის ფინანსური ანგარიშგებებს შეამოწმება მოხდება აუდიტორული კომპანიის მიერ, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების შესაბამისად. აუდიტორი გიორგი ლეჟავა 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

ფინანსური აუდიტორები არ შეცვლილან წარმოდგენილი პერიოდების განმავლობაში.

მესამე მხარეები ან ექსპერტები

კომპანიის უძრავი ქონება შეფასებულია შპს „ქართული საშემფასებლო კომპანიის“ მიერ. საიდენტიფიკაციო კოდი: 205187251. იურიდიული მისამართი: პეკინის ქუჩა №41, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თბილისი, საქართველო. „ქართული საშემფასებლო კომპანიის“ დირექტორი არის გიორგი ლეჟავა. შეფასება დაგეგმა და განახორციელა აუდიტორ-შემფასებელმა გიორგი ლეჟავამ (სერტიფიკატი Z#5/343, ლიცენზია Z#243, გაცემული უძრავი ქონების კავკასიური აკადემიის მიერ) და ბესიკ დიაკონიძემ (სერტიფიკატი Z#4/455, გაცემული საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ). შეფასება შესრულებულია საერთაშორისო საშემფასებლო სტანდარტების (IVS 2013) მოთხოვნების შესაბამისად.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

„ევექსის ჰოსპიტლები“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიის „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ წევრია (შემდგომში, „ჯგუფი“). ის დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ორ კომპანიად - „ევექსი ჰოსპიტლებად“ და „ევექსი კლინიკებად“ გაყოფის შედეგად 2019 წლის 1-ელ აპრილს. ვინაიდან „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ გაყოფა განხორციელდა ბოლო ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ, წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილია 2018 და 2017 წლების როგორც „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ გაყოფამდე აუდიტირებული ფინანსური მაჩვენებლები (მოხსენიებულია როგორც „კონსოლიდირებული“), ასევე სს „ევექსის ჰოსპიტლების“ ფინანსური მაჩვენებლები (მოხსენიებულია როგორც „დამოუკიდებელი“). ეს პროსპექტი ასევე შეიცავს სს „ევექსის ჰოსპიტლების“ 2018 წლის 1-ლი ნახევრისა და 2019 წლის 1-ლი ნახევრის არააუდიტირებულ დამოუკიდებელ მაჩვენებლებს (მოხსენიებულია როგორც „დამოუკიდებელი 1-ლი ნახევარი“).

მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის 2017 და 2018 წლების სრულად და 2019 წლის პირველი ნახევრის შერჩეული ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.

საბალანსო უწყისი (შემოკლებული) (000' ლარი)	დამოუკიდებელი 15ახ. 2019 (არააუდიტირებული)	დამოუკიდებელი 15ახ. 2018 (არააუდიტირებული)	დამოუკიდებელი 31 დეკ 2018 (აუდიტირებული)	დამოუკიდებელი 31 დეკ 2017 (აუდიტირებული)	კონსოლიდირებული 31 დეკ 2018 (აუდიტირებული)	კონსოლიდირებული 31 დეკ 2017 (აუდიტირებული)
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,999	4,217	14,404	28,790	15,051	29,203
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები თანხები	129,397	111,406	109,006	101,002	111,894	104,083
ინვესტიციური ასოცირებულ კომპანიებში	7,800	7,106	7,483	7,104	7,483	7,104
ძირითადი საშუალებები	539,294	527,821	539,790	502,645	654,112	610,683
გუდვილი და არამატერიალური აქტივები	48,608	45,438	49,664	42,643	63,372	57,193
სხვა აქტივები	65,945	58,828	62,042	68,223	44,959	66,847
სულ აქტივები	793,043	754,816	782,389	750,407	896,871	875,113
ვალდებულებები						
თანამშრომელთა კომპენსაციის დანარიცხები	18,170	17,511	17,954	16,852	19,843	18,154
კრედიტორული დავალიანებები	30,436	26,974	33,280	49,581	37,441	52,801
საკრედიტო დავალიანებები აქციების შესასყიდად	736	3,312	2,938	3,312	2,938	5,850
სესხები	165,228	152,660	161,107	158,491	173,211	167,829
გამოშვებული ობლიგაციები	92,840	93,370	93,573	93,493	93,573	93,493
სხვა ვალდებულებები	4,378	4,516	6,793	4,283	13,579	13,510
სულ ვალდებულებები	311,788	298,343	315,645	326,012	340,585	351,637
კაპიტალი						
სააქციო კაპიტალი	47,828	47,828	47,828	45,437	56,345	53,954
დამატებით შეტანილი კაპიტალი	249,373	248,073	248,173	230,313	302,753	282,260
სხვა რეზერვები	(8,215)	(8,215)	(8,215)	(8,215)	(175)	(209)
გაუნაწილებელი მოგება	125,251	102,848	113,558	93,102	131,040	122,755
კომპანიის აქციონერებისთვის განკუთვნილი მთლიანი კაპიტალი	414,237	390,534	401,344	360,637	489,963	458,760
არასაკონტროლო წილი	67,018	65,939	65,400	63,758	66,323	64,716
სულ კაპიტალი	481,255	456,473	466,744	424,395	556,286	523,476
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	793,043	754,816	782,389	750,407	896,871	875,113

მოგება-ზარალის უწყისი (შემოკლებული), ('000 ლარი)	დამოუკიდებელი 15 აბ. 2019 (არაუდირებული)	დამოუკიდებელი 15 აბ. 2018 (არაუდირებული)	დამოუკიდებელი 31 დეკ 2018 (აუდირებული)	დამოუკიდებელი 31 დეკ 2017 (აუდირებული)	კონსოლიდირებული 31 დეკ 2018 (აუდირებული)	კონსოლიდირებული 31 დეკ 2017 (აუდირებული)
შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	147,998	130,618	262,703	233,334	301,988	262,688
ჯანდაცვის მომსახურების ღირებულება	(85,661)	(75,358)	(151,135)	(132,785)	(174,073)	(150,243)
მთლიანი მოგება	62,337	55,260	111,568	100,549	127,915	112,445
სხვა საოპერაციო შემოსავალი	3,076	3,773	7,558	4,601	12,478	11,149
საოპერაციო ხარჯები	(23,424)	(21,626)	(45,170)	(42,862)	(66,521)	(60,356)
EBITDA (მოგება გადასახადების, პროცენტების, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე)	41,989	37,407	73,956	62,288	73,872	63,238
ცვეთა და ამორტიზაცია	(13,244)	(12,342)	(24,785)	(18,381)	(30,768)	(23,177)
სხვა ხარჯები	(14,302)	(8,309)	(20,153)	(18,509)	(25,420)	(21,530)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე	14,443	16,756	29,018	25,398	17,684	18,531
მოგების გადასახადის ხარჯი	-	(74)	(37)	(11)	(37)	(11)
წლის მოგება	14,443	16,682	28,981	25,387	17,647	18,520

სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია

თანდართული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ აუდიტის დასკვნის ტიპი: აუდიტის რეპორტში, კომპანიის დამოუკიდებელი ფინანსური აუდიტორი აცხადებს, რომ მათი დასკვნა არის უპირობო.

არც ბოლო საანგარიშო პერიოდში და არც პროსპექტის წარდგენის თარიღამდე არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც შეიძლება მატერიალური იყოს ემიტენტის გადახდისუნარიანობის შესაფასებლად.

კომპანიას მინიჭებული აქვს საკრედიტო რეიტინგი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული საკრედიტო რეიტინგის სააგენტოს - Scope Ratings-მიერ. კომპანიის კორპორატიული რეიტინგი არის BB/სტაბილური. კომპანიამ შესაძლოა მომავალში დამატებით მოიძიოს რეიტინგი იგივე ან სხვა, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული საკრედიტო რეიტინგის სააგენტოსგან. (კომპანიის საკრედიტო რეიტინგთან დაკავშირებით უფრო ვრცელი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ ქვეთავი „კომპანიის საკრედიტო რეიტინგი“ გვ.48)

კომპანიის სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტები პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები	დამოუკიდ ებელი 15ახ 2019 ¹	დამოუკიდ ებელი 15ახ 2019	დამოუკიდ ებელი 2018	დამოუკიდ ებელი 2017	კონსოლიდირ ებული 2018	კონსოლიდირ ებული 2017
გრძელვადიანი სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი	0.45	0.45	0.50	0.55	0.39	0.45
ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი	8%	8%	7%	6%	5%	5%
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	2.53	2.53	2.25	2.37	1.62	2.33
მთლიანი ვალის კოეფიციენტი	0.33	0.33	0.33	0.34	0.30	0.30
სესხის მომსახურების კოეფიციენტი	2.08	2.08	1.46	0.82	2.05	0.81
მთლიანი სესხი/EBITDA კოეფიციენტი (EBITDA - კაპიტალური	3.07	3.07	3.44	4.05	3.61	4.13
დანახარჯები)/საპროცენტო ხარჯთან ²	2.28	2.28	0.72	-0.46	-0.05	-1.04

მომგებიანობის კოეფიციენტები	დამოუკიდ ებელი 15ახ 2019 ¹	დამოუკიდ ებელი 15ახ 2019	დამოუკიდ ებელი 2018	დამოუკიდ ებელი 2017	კონსოლიდირ ებული 2018	კონსოლიდირ ებული 2017
უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე	3.7%	3.7%	3.8%	3.4%	2.0%	2.3%
უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე	6.1%	6.1%	6.5%	6.0%	3.3%	3.6%
საერთო მოგების მარჟა	42.1%	42.1%	42.5%	43.1%	42.4%	42.8%
საოპერაციო მოგების მარჟა	19.4%	19.4%	18.7%	18.8%	14.3%	15.3%
წმინდა მოგების მარჟა	9.8%	9.8%	11.0%	10.9%	5.8%	7.1%
აქციაზე შემოსავლიანობა (ლარი)	0.604	0.604	0.621	0.559	0.313	0.343

¹ ახალი 50,000,000 ლარიანი ემისიის გათვალისწინებით. იმ კოეფიციენტებზე რომლებიც არარელევანტურია ან ემისიის გათვალისწინება სუბიექტურია, მოცემულია ემისიამდე მიღებული მნიშვნელობები.

² კოეფიციენტი გარკვეულ პერიოდებში უარყოფითია, რაც იმით აიხსნება, რომ კომპანია კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებას ახდენს სესხით და არა საოპერაციო მოგებით.

ლიკვიდურობის კოეფიციენტები	დამოუკიდებელი 15ახ 2019 ¹	დამოუკიდებელი 15ახ 2019	დამოუკიდებელი 2018	დამოუკიდებელი 2017	კონსოლიდირებული 2018	კონსოლიდირებული 2017
ლიკვიდური აქტივები / მთლიანი აქტივები	0.15	0.15	0.14	0.17	0.12	0.15
ლიკვიდური აქტივები / მოკლევადიანი ვალდებულებები	1.51	1.51	1.45	1.47	0.97	1.17
საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი	3.11	3.11	2.84	2.46	8.21	3.73
მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი	2.24	2.24	2.23	2.07	1.32	1.62
საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი	56%	56%	75%	53%	52%	38%

საოპერაციო კოეფიციენტები	დამოუკიდებელი 15ახ 2019 ²	დამოუკიდებელი 15ახ 2019	დამოუკიდებელი 2018	დამოუკიდებელი 2017	კონსოლიდირებული 2018	კონსოლიდირებული 2017
ძირითადი საშუალებების ზრუნვის კოეფიციენტი	0.55	0.55	0.50	0.46	0.48	0.45
მარაგების ზრუნვის დღეები	35.82	35.82	42.36	47.01	39.96	42.01
დებიტორული დავალიანების ზრუნვის დღეები	144.98	144.98	145.89	158.00	130.52	132.47
კრედიტორული დავალიანების ამოღების დღეები	68.43	68.43	99.48	136.29	95.51	100.81
ფულის ამოღების ციკლი	112.36	112.36	88.77	68.71	74.97	73.67
თავისუფალი ფულის ნაკადები (FCF) ⁴	5,514	5,514	(1,622)	(23,636)	(15,636)	(37,953)

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა კოეფიციენტები წარმოდგენილია ქვემოთ:

	დამოუკიდებელი 15ახ 2019	დამოუკიდებელი 15ახ 2018	დამოუკიდებელი 2018
პირდაპირი ხელფასების კოეფიციენტი (Direct Salary rate)	34.5%	34.9%	35.3%
მასალების კოეფიციენტი (Materials Rate)	17%	16.4%	16.6%
ადმინისტრაციული ხელფასების კოეფიციენტი (Administrative salary rate)	10.8%	10.6%	8.1%
ჰოსპიტლების რაოდენობა (Number of hospitals)	18	18 ⁵	18
საავადმყოფოს საწოლების რაოდენობა	2,967	2,967	2,967
საავადმყოფოს საწოლების დატვირთულობის კოეფიციენტი	60.9%	56.1%	54.7%
საშუალოდ საავადმყოფოში გატარებული დღეების რაოდენობა	5.4	5.5	5.4

³ ახალი 50,000,000 ლარიანი ემისიის გათვალისწინებით. იმ კოეფიციენტებზე რომლებიც არარელევანტურია ან ემისიის გათვალისწინება სუბიექტურია, მოცემულია ემისიამდე მიღებული მნიშვნელობები.

⁴ კოეფიციენტი გარკვეულ პერიოდებში უარყოფითია, რაც იმით აიხსნება, რომ კომპანია კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებას ახდენს სესხით და არა საოპერაციო მოგებით.

⁵ 2019 წელს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ გაცემის და „ევექს ჰოსპიტლების“ ჩამოყალიბების შემდგომ, რეტროსპექტულად შეიცვალა ჰოსპიტლების რაოდენობა. ამის მიზეზი იყო „ევექს ჰოსპიტლების“ დაარსებისას, 3 კლინიკის რეტროსპექტულად ჰოსპიტლად გადაკლასიფიცირება მათი დიდი ზომიდან გამომდინარე და 1 ჰოსპიტლის კლინიკად გადაკლასიფიცირება.

გრძელვადიანი სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი - კომპანიის გრძელვადიანი სესხები შეფარდებული კაპიტალთან

ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი - საოპერაციო მოგება შეფარდებული კაპიტალს დამატებული ჯამურ საპროცენტო ვალდებულებებთან ; კოეფიციენტის ნახევარწლიურ შედეგზე დათვლისას, საოპერაციო მოგება ექსტრაპოლირებულია - ნახევარი წლის მონაცემი გამრავლებულია 2-ზე;

პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი - საოპერაციო მოგება შეფარდებული საპროცენტო ხარჯთან

მთლიანი ვალის კოეფიციენტი - სესხები შეფარდებული მთლიან აქტივებთან

სესხის მომსახურების კოეფიციენტი - EBITDA შეფარდებული საპროცენტო ხარჯს დამატებული სესხის ძირის დაფარვასთან.

მთლიანი სესხი/EBITDA კოეფიციენტი - ჯამური საპროცენტო ვალდებულებები შეფარდებული EBITDA-სთან

(EBITDA - კაპიტალური დანახარჯები)/საპროცენტო ხარჯთან - EBITDA-ს მინუს პერიოდის შესაბამისი კაპიტალური დანახარჯები შეფარდებული საპროცენტო ხარჯთან

უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე - წმინდა მოგება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო აქტივებთან ან წინა წლის ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში იმავე წლის აქტივებთან

უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე - წმინდა მოგება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო კაპიტალთან ან წინა წლის ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში იმავე წლის კაპიტალთან

საერთო მოგების მარჟა - საერთო მოგება შეფარდებული სამედიცინო სერვისიდან მიღებულ შემოსავალთან.

საოპერაციო მოგების მარჟა - საოპერაციო მოგება შეფარდებული სამედიცინო სერვისიდან მიღებულ შემოსავალთან.

წმინდა მოგების მარჟა - წმინდა მოგება შეფარდებული სამედიცინო სერვისიდან მიღებულ შემოსავალთან.

აქციაზე შემოსავლიანობა (ლარი) - წმინდა მოგება შეფარდებული გამოშვებული აქციების საშუალო რაოდენობასთან ან წინა წლის ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში იმავე წლის აქციების რაოდენობასთან

ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები - ფული და ფულის ეკვივალენტები პლუს ერთ წლამდე ვადის სავაჭრო მოთხოვნები შეფარდებული მთლიან აქტივებთან

ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები - ფული და ფულის ეკვივალენტები პლუს ერთ წლამდე ვადის სავაჭრო მოთხოვნები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან

საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი - სამედიცინო სერვისიდან მიღებული შემოსავალი შეფარდებული მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიან ვალდებულებებთან; კოეფიციენტის ნახევარწლიურ შედეგზე დათვლისას, ნახევარი წლის შემოსავალი ექსტრაპოლირებულია;

მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი - მოკლევადიანი აქტივები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან

საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი - საოპერაციო ფულადი ნაკადები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან

ძირითადი საშუალებების ბრუნვის კოეფიციენტი - სამედიცინო სერვისიდან მიღებული შემოსავალი შეფარდებული ძირითად საშუალებების საშუალო ბალანსთან ან წინა წლის ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში იმავე წლის ძირითად საშუალებებთან

მარაგების ბრუნვის დღეები - საშუალო მარაგები (ან წინა წლის ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში პერიოდის ბოლოს მარაგები) შეფარდებული სამედიცინო სერვისის დღიურ თვითღირებულებასთან გამრავლებული დღეების რაოდენობაზე პერიოდში

დებიტორული დავალიანების ამოღების დღეები - საშუალო დებიტორული დავალიანება (ან წინა წლის ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში პერიოდის ბოლოს დებიტორული დავალიანება) შეფარდებული სამედიცინო სერვისიდან მიღებულ შემოსავალთან გამრავლებული დღეების რაოდენობაზე პერიოდში

კრედიტორული დავალიანების ბრუნვის დღეები - საშუალო კრედიტორული დავალიანება (ან წინა წლის ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში პერიოდის ბოლოს კრედიტორული დავალიანება) შეფარდებული სამედიცინო სერვისის თვითღირებულებასთან გამრავლებული დღეების რაოდენობაზე პერიოდში

ფულის ამოღების ციკლი - მარაგების ბრუნვის დღეებს დამატებული დებიტორული დავალიანების ამოღების დღეები მინუს კრედიტორული დავალიანების ბრუნვის დღეები

თავისუფალი ფულადი ნაკადები - ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან მინუს კაპიტალური დანახარჯები იმავე პერიოდისთვის

პირდაპირი ხელფასების კოეფიციენტი - სახელფასო ხარჯები და სხვა თანამშრომელთა სარგებელი შეფარდებული მთლიან შემოსავალთან კორექტირებისა და ფასდათმობების გამოკლებით.

მასალების კოეფიციენტი - მასალების ხარჯი შეფარდებული მთლიან შემოსავალთან კორექტირებისა და ფასდათმობების გამოკლებით.

ადმინისტრაციული ხელფასის კოეფიციენტი - ადმინისტრაციული ხელფასები და სხვა თანამშრომელთა სარგებელი შეფარდებული მთლიან შემოსავალთან კორექტირებისა და ფასდათმობების გამოკლებით

საავადმყოფოს საწოლების დატვირთულობის კოეფიციენტი - პაციენტების მიერ გატარებული სტაციონარული ღამეების ოდენობა შეფარდებული წლის განმავლობაში საწოლის დღეების რაოდენობასთან (დღეების რაოდენობა გამრავლებული საწოლების რაოდენობაზე, გადაუდებელი შემთხვევებისთვის განკუთვნილი საწოლების გამოკლებით).

საშუალოდ საავადმყოფოში გატარებული დღეების რაოდენობა - სტაციონარული დღეების რაოდენობა გაყოფილი პაციენტების რაოდენობაზე. გამოთვლაში არ შედის სასწრაფო სამედიცინო დახმარების განყოფილების მონაცემები.

ფასიანი ქაღალდების ძირითადი მახასიათებლები

ობლიგაციის საპროცენტო სარგებელი (კუპონი)	ობლიგაციაზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მისი ნომინალური ღირებულებიდან, „სებ“-ის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთს რომელიც გამოქვეყნებულია შემდეგ მისამართზე: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=554&lng=eng დამატებული 310 საბაზისო პუნქტი, კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით. საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონი) დადგენა ხდება ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან გამომდინარე (Book-building). საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია კომპანიის საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგზე და ის შეიძლება შეიცვალოს ობლიგაციების პირობებსა და წესებში განსაზღვრული წესების შესაბამისად (იხილეთ „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, ქვეთავი 5 „საპროცენტო განაკვეთი“)
სარგებლის (პროცენტის) დარიცხვა და გადახდა	ობლიგაციებს პროცენტის სახით დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ზემოთ მითითებული განაკვეთით ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების განაღდება (დაფარვის) თარიღამდე. პროცენტის დარიცხვა მოხდება 365-დღიანი წელიწადში არსებული დღეების ოდენობის საფუძველზე. ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გადაიხდება კვარტალურად 6 თებერვალს, 6 მაისს, 6 აგვისტოს და 6 ნოემბერს. პირველი გადახდა მოხდება 2020 წლის 6 თებერვალს.
ობლიგაციების განაღდება თარიღი	ობლიგაციების განაღდება, ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება 2024 წლის 6 ნოემბერს.
რეგისტრატორი	სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“; (ს/ნ 205156374). თბილისი, 0162, მოსაშვილის ქ. #11; ტელ.: (995 32) 2251 – 560; ელ-ფოსტა: info@usr.ge
სავაჭროდ დაშვება	ემიტენტს გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ მიმართოს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ განაცხადით ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე
ობლიგაციების კლასი და სტატუსი	ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. ყველა ობლიგაციას აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი, ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე. შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, ობლიგაციებს ექნებათ კომპანიის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილი და არასუბორდინირებული კრედიტორის მოთხოვნის თანაბარი სტატუსი გადახდის უფლებასთან (პრიორიტეტულობასთან) მიმართებაში
დივიდენდების გაცემის პოლიტიკა	კომპანიას არ აქვს გაცხადებული დივიდენდების გაცემის პოლიტიკა. ემიტენტის, როგორც საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის შვილობილი კომპანიის, დივიდენდის გაცემის საკითხი იმართება მშობელი კომპანიის მიერ და ითვალისწინებს მშობელი კომპანიის ფინანსურ საჭიროებებს.

მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის

- კომპანიამ შესაძლოა ვერ მოახერხოს ბიზნესის გაფართოება საკუთარი სტრატეგიის მიხედვით ან დაგეგმილი შემოსავლების და ზრდის მაჩვენებლების მიღწევა;
- კომპანია ოპერირებს განვითარებად მარეგულირებელ გარემოში;
- კომპანია კონკურენციაშია ჯანდაცვის სერვისების სხვა სახელმწიფო და კერძო პროვაიდერებთან;
- კომპანიის ბიზნესის დიდი ნაწილი დამოკიდებულია შემოსავლების მიღებაზე საქართველოს მთავრობისგან და მცირე რაოდენობის კერძო სადაზღვევო კომპანიებისგან;
- კომპანიის წარმატება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მისი ზედა რგოლის მენეჯმენტსა და მის შესაძლებლობაზე, მოიზიდოს და შეინარჩუნოს კვალიფიციური პერსონალი;
- კომპანია დამოკიდებულია მისი რეპუტაციის და ბრენდების სიძლიერეზე;
- ჯანდაცვის სერვისების პროვაიდერებს, როგორც კომპანიაა, შეიძლება პაციენტებმა სასამართლოში უჩივლონ და შესაძლებელია, რომ ზოგი ასეთი საქმე კომპანიის საწინააღმდეგოდ დასრულდეს;
- კომპანიის დაწესებულებებში პაციენტები შესაძლოა დაინფიცირდნენ და დაავადდნენ სამედიცინო დაწესებულებების ფუნქციონირებისთვის დამახასიათებელი რისკების („კლინიკური რისკები“) გამო;
- კომპანიის საქმიანობა შეიძლება შეაფერხოს მისმა საინფორმაციო სისტემების გაუმართაობამ;
- კომპანიის შესაძლებლობა, გაუწიოს მომსახურება და მართოს თავისი მომგებიანობა ნაწილობრივ დამოკიდებულია მარაგების ხელმისაწვდომობაზე;
- კომპანიამ შესაძლოა ვერ მოახერხოს ბოლოდროინდელი შესყიდვებიდან მოსალოდნელი/დაგეგმილი სარგებლის რეალიზება;
- კომპანია ანგარიშვალდებული საწარმოა და მასზე დამატებითი რეგულაციები და ანგარიშგების მოთხოვნები ვრცელდება.
- ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე.
- კომპანიის ბიზნესი/ინდუსტრია რომელშიც ის ოპერირებს საკმაოდ კაპიტალიზტენსიურია, რაც შესაძლოა შესაბამისი დაფინანსების მოპოვების რისკებთან იყოს დაკავშირებული
- სწრაფმა ტექნოლოგიურმა განვითარებამ სამედიცინო სფეროში შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს კომპანიის ძირითად აქტივებზე
- ემიტენტის დედა კომპანია GHG PLC-ის აქციები სავაჭროდ დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე (LON: GHG), რაც შესაბამისად გარკვეულ შეზღუდვებსა და მოთხოვნებთან არის დაკავშირებული.
- კომპანიის ძირითადი საშუალებები მოცემულია სამართლიანი ღირებულებით, რაც გულისხმობს შეფასების რისკებს - სენსიტიურია გაკეთებული დაშვებების და გამოყენებული მეთოდოლოგიების მიმართ.

მოკლე ინფორმაცია საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკის ფაქტორების შესახებ

- რეგიონულმა დამაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის ბიზნესზე;
- არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორც საქართველოა;
- კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით;
- პოლიტიკური და სამთავრობო არასტაბილურობა საქართველოში მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე;
- შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს;

- საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა;
- საქართველოს მეზობელი ბაზრების დესტრუქციას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე;
- ვინაიდან კომპანია მხოლოდ საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს;
- საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ, მათ შორის საქართველოში სახელმწიფოს ნებისმიერმა თვითნებურმა ან არათანმიმდევრულმა მომავალმა ქმედებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება ზიანი მიაყენოს კომპანიის ბიზნესს;

მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიკურია შესათავაზებული ფასიანი ქაღალდებისთვის

- ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება ცვალებადი იყოს;
- ობლიგაციას აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, რაზეც გავლენას ახდენს სების მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და კომპანიის რეიტინგი
- ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს;
- საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე;
- ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში, ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან, გაცვლის კურსებში რყევების ან სავალუტო ოპერაციების რეგულირების შედეგად შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას;
- ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს;
- ინვესტორები უნდა დაეყრდნონ რეგისტრატორის, ობლიგაციონერების წარმომადგენლის და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ნომინალური მფლობელის პროცედურებს;
- მომავალში ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან უარი ითქვას ობლიგაციების პირობების დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე;
- ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი;

შეთავაზების პირობები

შეთავაზება	50,000,000 ლარის ჯამური ნომინალური ღირებულების სასესხო ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები), დაფარვის ვადით 2024 წლის 6 ნოემბერი
ინსტრუმენტი	კუპონური ობლიგაცია (ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სასესხო ფასიანი ქაღალდი)
ობლიგაციის ნომინალური ღირებულება	100,000 (ასი ათასი) ლარი
ობლიგაციების რაოდენობა	500 (ხუთასი) ცალი
მთლიანი ემისიის ნომინალური ღირებულება	50,000,000 (ორმოცდაათი მილიონი) ლარი
გამოშვების ფასი	ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 100%
ობლიგაციების გამოშვების თარიღი	ობლიგაციები გამოშვებული იქნება 2019 წლის 6 ნოემბერს
გადავადებული განთავსების თარიღი	ნებისმიერი თარიღი ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, როდესაც ხდება ობლიგაციის განთავსება გადავადებული განთავსების ფასით
შეთავაზების დასრულების თარიღი	შეთავაზების დასრულების თარიღია 2019 წლის 31 დეკემბერი
ობლიგაციების განადგობის თარიღი	ობლიგაციების განადგობა, ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება 2024 წლის 6 ნოემბერს
ობლიგაციების ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია ლარში
ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებებისა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები	ობლიგაციებთან დაკავშირებული რამე განსაკუთრებული უფლებები და შეზღუდვები პროსპექტით არ არის გათვალისწინებული
ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა	ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა შეზღუდული არ არის
ობლიგაციების რეიტინგი	კომპანიას აქვს რეიტინგი Scope Ratings-სგან - BB/სტაბილური.
სავაჭროდ დაშვება	ემიტენტს გამოწვლილი აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტიგში დაშვების თაობაზე
გამოთვლისა და გადახდის აგენტი	სს „გალტ ენდ თაგარტი“ (ს/ნ 211359206)
დეფოლტი	თუ ადგილი ექნება „დეფოლტის შემთხვევას“ ობლიგაციონერების წარმომადგენელს (და გარკვეულ შემთხვევებში ობლიგაციონერ(ებ)ს და/ან ნომინალურ მფლობელებს) შეუძლია ემიტენტისათვის შეტყობინების გაგზავნით მოითხოვონ ობლიგაციების ძირითადი თანხის 100%-ისა და დარიცხული პროცენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუყოვნებლივ გადახდა სრული ოდენობით (იხილეთ პროსპექტის თავის „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, ქვეპუნქტი - 9, „დეფოლტის შემთხვევები“)
ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული სახსრების სავარაუდო გამოყენება	ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი გამოყენებული იქნება არსებული სესხების რეფინანსირებისთვის. იხილეთ პროსპექტის თავი „შეთავაზების მიზეზები და მიღებული სახსრების გამოყენება“ გამოშვებული ობლიგაციების სრულად განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მოზიდული წმინდა სახსრები არ იქნება 49,000,000 ლარზე ნაკლები
რეალიზაციის და გასხვისების შეზღუდვები	ობლიგაციების შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით
გამოსყიდვის ოფცია (call option)	ემიტენტს გააჩნია ობლიგაციების სრულად (მაგრამ არა ნაწილობრივ) გამოსყიდვის ოფცია ნებისმიერ „გამოსყიდვის ოფციის თარიღზე“, „რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერებისა“ და „ნომინალური მფლობელებისთვის“

	არანაკლებ 30 „სამუშაო დღით“ ადრე გამოუთხოვადი შეტყობინების გაგზავნით. „ობლიგაციების“ გამოსყიდვა ხდება მათი ძირითადი თანხისა და „გამოსყიდვის ოფციის თარიღის“ მდგომარეობით დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის (ასეთის არსებობისას) ღირებულებით. თუ „ობლიგაციების“ გამოსყიდვა ხდება 2022 წლის 6 ნოემბერს, გამოსყიდვის ღირებულებას ემატება გაუნაღდებელი „ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულების 2% ოდენობის „შესყიდვის ოფციის პრემიუმი“, ხოლო თუ გამოსყიდვა ხდება 2023 წლის 6 ნოემბერს - 1% ოდენობის „შესყიდვის ოფციის პრემიუმი
მარეგულირებელი კანონმდებლობა	საქართველოს კანონმდებლობა
იურისდიქცია	ობლიგაციებთან დაკავშირებული დავები უნდა მოგვარდეს საქართველოს სასამართლოებისათვის მიმართვის ან არბიტრაჟის გზით, პროსპექტით განსაზღვრული წესით
განთავსების აგენტი	სს „გალტ ენდ თაგარტი“; (ს/ნ 211359206), მის: საქართველო, თბილისი 0179, აღმაშენებლის გამზ. N79, ტელ: (995 32) 2444-132 (995 32) 24401-111; ელ-ფოსტა: st@gt.ge.
განთავსების აგენტთან ხელშეკრულების ძირითადი პირობები	ხელშეკრულება სს „გალტ ენდ თაგარტს“ ავალდებულებს უზრუნველყოს ობლიგაციების ანდერაიტინგი მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე. თითოეული განთავსების აგენტის მოვალეობაა მოამზადოს ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაცია (მათ შორის ობლიგაციების პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია და კომპანიას გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები.

რისკის ფაქტორები

ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება შეიცავს გარკვეულ რისკებს. ინვესტირების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე ობლიგაციების პოტენციურმა მყიდველებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ წინამდებარე პროსპექტი. პროსპექტში მოცემული სხვა ინფორმაციის გარდა, პოტენციურმა ინვესტორებმა, ობლიგაციებში ინვესტიციის განხორციელებამდე, ყურადღებით უნდა შეისწავლონ, საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და ინვესტიციის მიზნების გათვალისწინებით, ქვემოთ აღწერილი რისკები. ქვემოთ აღწერილი რისკებიდან ნებისმიერს შეუძლია არსებითი უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე. ნებისმიერი ამ რისკის რეალურად წარმოქმნის შემთხვევაში ობლიგაციების საბაზრო ღირებულებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება განიცადოს. გარდა ამისა, ქვემოთ ასევე აღწერილია ის ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია ობლიგაციებთან დაკავშირებული საბაზრო რისკების შესაფასებლად. და თუმცა კომპანიას მიაჩნია, რომ ქვემოთ აღწერილი რისკის ფაქტორები წარმოადგენს ობლიგაციებში ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, შესაძლოა წარმოიქმნას დამატებითი რისკები და გაურკვეველი ვითარება, რომლებიც კომპანიას ამჟამად არ მიაჩნია მნიშვნელოვნად ან რომელთა შესახებ არა აქვს ინფორმაცია, და ნებისმიერს ამ რისკთაგან და გაურკვეველი გარემოებებიდან შესაძლოა მოჰყვეს ქვემოთ აღწერილის მსგავსი ზემოქმედება. შესაბამისად, კომპანია არ ამტკიცებს, რომ ობლიგაციების ფლობასთან დაკავშირებით ქვემოთ მოცემული რისკების შესახებ განცხადებები ამომწურავია.

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები

კომპანიამ შესაძლოა ვერ მოახერხოს ბიზნესის გაფართოება საკუთარი სტრატეგიის მიხედვით ან დაგეგმილი შემოსავლების და ზრდის მაჩვენებლების მიღწევა.

კომპანიის გრძელვადიანი სტრატეგია ფოკუსირებულია რეფერალური საავადმყოფოების ბაზრის ერთი მესამედი წილის (საავადმყოფოს საწოლების მიხედვით) ორგანული განვითარების გზით (ძირითადად, 2 წამყვანი საავადმყოფოს - შპს კავკასიის მედიცინის ცენტრისა (რომლის წინამორბედი სახელწოდება იყო შპს „რეგიონული ჰოსპიტალი“) და თბილისის რეფერალური ჰოსპიტალის წარმადობის მკვეთრი ზრდით) მოპოვებასა და ამავდროულად ბიზნესის EBITDA (მოგება გადასახადების, პროცენტების, ცვეთის და ამორტიზების გადახდამდე) მარჯის ეტაპობრივ გაზრდაზე 28%-30%-მდე - ეფექტიანობისა და ხარჯების კონტროლის ღონისძიებების გატარების მეშვეობით 3-5 წლამდე პერიოდში. კომპანიამ შესაძლოა ვერ მოახერხოს სამედიცინო მომსახურების ბიზნესის გაფართოება საკუთარი გეგმების შესაბამისად, ხოლო მისი გაფართოების სტრატეგიით შესაძლოა ვერ მოხერხდეს იმ სარგებლის მიღება, რასაც კომპანია მოელის.

კომპანია აპირებს, გააგრძელოს საქართველოში სამედიცინო მომსახურების ბიზნესის გაფართოება არსებულ დაწესებულებებში დაკავებულიობის კოეფიციენტის ზრდით, ახლადგახსნილი ფლაგმანი ჰოსპიტლების სრული დატვირთვით ამუშავებითა და ახალი სერვისების დამატებით. ეს სერიოზულ მოთხოვნებს დააკისრებს მმართველობით და საოპერაციო რესურსებს. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ორგანული განვითარების თითოეულ პროექტს ინდივიდუალურად აფასებს, ყოველი ეს პროექტი ემყარება ვარაუდებს/დაშვებებს ღირებულების შეფასების, მომგებიანობის, ზრდის, მოთხოვნის და საპროცენტო განაკვეთების შესახებ. ეს პროექტები ასევე ეფუძნება ხარჯების მოსალოდნელი ეკონომიის, სისურვიების და შემოსავლების ზრდის ვარაუდებს. კომპანიის შეფასებები შესაძლოა არასწორი აღმოჩნდეს ისეთი სხვა ფაქტორების გამო, რომლებიც ანალიზისას არ იქნა გათვალისწინებული; ასევე, რეალური მოვლენები შესაძლოა მოლოდინებისგან განსხვავებული გზით განვითარდეს. კომპანიამ შესაძლოა ვერ მიაღწიოს იმ საოპერაციო დონეებს, რასაც

მომავალი პროექტების განხორციელებისგან მოელის და ვერ მიიღოს ინვესტიციაზე ის ამონაგები, სარგებელი ან საოპერაციო სინერგიები, რომლებსაც ამ პროექტიდან გეგმავს.

უფრო მეტიც, იმისთვის, რომ კომპანიამ ეფექტიანად წარმართოს ორგანული განვითარება, მან უნდა განაგრძოს საოპერაციო სისტემებისა და პოლიტიკის დროული გაუმჯობესება და გაძლიერება. თუ კომპანია ამას ვერ შეძლებს, მან შესაძლოა ვერ მოახერხოს პაციენტების საჭიროებების დაკმაყოფილება, ახალი თანამშრომლების დაქირავება და შენარჩუნება, ახალი ბიზნესის განვითარება, ხარჯების სათანადოდ ბიუჯეტირება, საოპერაციო ხარჯების სწორად გაანგარიშება ან სხვა შემთხვევაში ბიზნესის ეფექტური მართვა.

იმ ინდუსტრიის ბუნების გათვალისწინებით, რომელშიც კომპანია საქმიანობს, მას შესაძლოა მოუწიოს მენეჯერული დაშვებების/ვარაუდების დროდადრო გადახედვა და აქედან გამომდინარე, გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლოა დაფინანსების მოთხოვნებიც შეიცვალოს. ამას შესაძლოა შედეგად პროექტის ხარჯების რესტრუქტურისაც და დაგეგმილი ფულადი ნაკადების შემცირება ან ზრდა მოყვეს. გაფართოების ხარჯების ნებისმიერმა გაუთვალისწინებელმა ზრდამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის მიერ გათვლილ ხარჯებზე და მის უნარზე, განახორციელოს ორგანული განვითარება დასახული გეგმების შესაბამისად.

კომპანია ოპერირებს განვითარებად რეგულირებულ გარემოში.

2007 წლიდან მოყოლებული საქართველოს სამედიცინო მომსახურების ბაზარზე მთელი რიგი საკანონმდებლო რეფორმები და ძირეული ცვლილებები ხორციელდება, რომლებიც მიზნად ისახავს სამედიცინო მომსახურების მაღალი სტანდარტების მიღწევას, სამედიცინო აღჭურვილობის და დაწესებულებების მოდერნიზებას, ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასა და ხარჯების შემცირებას. კომპანია ვერ განჭვრეტს, თუ როგორ შეიცვლება რეგულირება მომავალში ან რა ზეგავლენას მოახდენს ეს ცვლილებები მასზე. კომპანია მოელის, რომ მარეგულირებელი გარემოს განვითარება გაგრძელდება ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად. 2013 წლის 28 თებერვლიდან საქართველოს მთავრობამ დაწერა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა საქართველოს მოქალაქეების ჯანმრთელობის საბაზისო საჭიროებების დასაფარად. 2017 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ცვლილებები უკვე შევიდა, რომლის მიხედვითაც გარკვეული კატეგორიის ბენეფიციარები (ინდივიდები, რომელთა წლიური შემოსავალიც აღემატება 40,000 ლარს, ანუ დაახლოებით 32,000 ადამიანი, და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ლიმიტირებული პაკეტი საშუალოშემოსავლიანი მოქალაქეებისთვის, ანუ რომელთა შემოსავალიც თვეში 1,000 ლარზე მეტია, მაგრამ წელიწადში 40,000 ლარზე ნაკლები, ანუ დაახლოებით 400,000 ადამიანი) ამოღებული იქნენ ამ პროგრამიდან ხარჯების ოპტიმიზების მიზნით. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის რეგულაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა მისი დანერგვის დღიდან დღემდე; არსებობს რისკი, რომ მასში კვლავ შევიდეს ცვლილებები. მთავრობამ შესაძლოა ისევ შეამციროს ან გაზარდოს ამ პროგრამით გათვალისწინებული დაფარვა; ანდა ჯანდაცვის პროვაიდერებისთვის შესაძლოა შემოიღოს ლიცენზირების და აკრედიტაციის ახალი მოთხოვნები ანდა ხარისხის სტანდარტები.

რეგულირება შესაძლოა შეიცვალოს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირთან ჰარმონიზების მიზნითაც, რასაც საქართველო ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების განსახორციელებლად აკეთებს ევროკავშირის ბაზარზე სრული ინტეგრირებისთვის. ამ ჰარმონიზების გათვალისწინებით, კომპანიის მენეჯმენტი მოელის, რომ მომავალში საქართველო მიიღებს ევროკავშირის ჯანდაცვის რეგულაციებს. შეუძლებელია იმის განჭვრეტა, თუ როდის მოხდება ასეთი რეგულაციების მიღება ან რა მასშტაბის იქნება ეს ცვლილებები.

კომპანია კონკურენციაშია ჯანდაცვის სერვისების სხვა პროვაიდერებთან.

კომპანია კონკურენციაშია საქართველოს სამედიცინო მომსახურების ინდუსტრიაში არსებულ მრავალ და უმეტესად, დანაწევრებულ კონკურენტულ ჯგუფებთან. კონკურენცია ეფუძნება ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა რეპუტაცია, სამედიცინო პროფესიონალიზმი, პაციენტების კმაყოფილება და ფასები. კონკურენცია ყველაზე ძლიერია თბილისში, თუმცა კომპანიას კონკურენტები ყველა იმ რეგიონში ჰყავს, სადაც ის ოპერირებს. ზოგ რეგიონში სამედიცინო მომსახურების კონკურენტ პროვაიდერებს კომპანიაზე უკეთესი მდგომარეობა აქვთ უფრო ხანგრძლივი გამოცდილების, უკეთესი ინფრასტრუქტურისა და ბრენდისადმი მეტი ერთგულების გამო. კომპანია კონკურენციას განიცდის სამედიცინო მომსახურების სხვა პროვაიდერების მხრიდანაც, როგორებიცაა სპეციალიზებული ცენტრები და ლაბორატორიები კარდიოლოგიის, ონკოლოგიის და დიაგნოსტიკის სფეროებში. მომავალში კომპანიას შესაძლოა მოუწიოს კონკურენცია მნიშვნელოვნად უფრო დიდი რესურსების მქონე საერთაშორისო სამედიცინო კომპანიებთან, რომლებმაც შესაძლოა ოპერირება დაიწყონ საქართველოში ან პაციენტები მიიზიდონ საქართველოდან სამედიცინო ტურიზმის ფარგლებში. კომპანიის კონკურენტები შესაძლოა გამსხვილდნენ, შეკრან ალიანსები ან შეიმუშაონ ერთობლივი ფასდადების პოლიტიკა ბაზარზე წილის მოსაპოვებლად.

კომპანიის ბიზნესის დიდი ნაწილი დამოკიდებულია შემოსავლების მიღებაზე საქართველოს მთავრობისგან და მცირე რაოდენობის კერძო სადაზღვევო კომპანიებისგან.

კომპანია იღებს შემოსავლებს მცირე რაოდენობის გადახდელებისგან, მათ შორის საქართველოს მთავრობისგან. 2019 წლის 30 ივნისის მონაცემების მიხედვით, კომპანიამ სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლების 7% სადაზღვევო კომპანიებისგან მიიღო, 69% მთავრობისგან საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და 24% უშუალოდ პაციენტებისგან. კომპანია მოელის, რომ მომავალშიც მისი შემოსავლები დამოკიდებული იქნება მთავრობის გადახდებზე (საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში) და შემოსავლებზე მცირე რაოდენობის ჯანმრთელობის კერძო მზღვევლებისგან. შესაბამისად, კომპანიის მომავალი წარმატება, ასევე, მისი შესაძლებლობა, ჰქონდეს ხელსაყრელი ფასები, ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება კერძო მზღვევლებთან კარგი საქმიანი ურთიერთობების შენარჩუნებაზე და მასზე შესაძლოა იმოქმედოს ნებისმიერმა ცვლილებამ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში.

2013 წელს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების შემდეგ, მთავრობისგან მიღებული შემოსავლები გაიზარდა. შესაბამისად, კომპანიის მომავალი წარმატება ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება იმ ღონისძიებებზე, რომელსაც საქართველოს მთავრობა განახორციელებს რეგულირების რეფორმირების მიზნით და ასევე მთავრობის შესაძლებლობაზე, გააგრძელოს ეფექტიანი ადმინისტრაციული პროცედურები, მოახდინოს გადახდების ეფექტიანი ავტორიზაცია და შეინარჩუნოს ადეკვატური საბიუჯეტო დაფინანსება. ჯანდაცვის პროვაიდერების, მათ შორის კომპანიის ხარჯების ანაზღაურების პროცედურაში მთავრობის მიერ შეტანილმა ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გაზარდოს კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები ან გამოიწვიოს დაგვიანებები გაწეული მომსახურების საფასურის მიღებაში.

კიდევ ერთი რისკი, რომლის წინაშეც კომპანია დგას, არის სადაზღვევო კომპანიების მხრიდან უარი, დაგვიანება ან შეუძლებლობა, გადაიხადონ იმ სამედიცინო მომსახურების საფასური, რასაც კომპანია გაუწევს პაციენტებს, შესაბამისი სამედიცინო დაზღვევის პოლისების საფუძველზე. ევექსის ჰოსპიტლების სადაზღვევო კომპანიებიდან მიღებულ შემოსავლებში საშუალოდ ძირითადი წილი აქვთ შემდეგ სადაზღვევო კომპანიებს: Imedi L-ს (60%), GPI (16%), Ardi (5%), PSP (3%), Irao (2%), Unison (2%), Alpha (2%). კომპანიის წარმატება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მისი ზედა რგოლის მენეჯმენტსა და მის შესაძლებლობაზე, მოიზიდოს და შეინარჩუნოს კვალიფიციური პერსონალი.

კომპანიის წარმატება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ზედა რგოლის მმართველი გუნდის და მენეჯმენტის წამყვანი ფიგურების შესაძლებლობაზე, გამოცდილებასა და ძალისხმევაზე. კომპანიის წარმატება ასევე დამოკიდებულია მის უნარზე დაიქირავოს, განავითაროს და შეინარჩუნოს გამოცდილი ექიმების, ექთნების, ტექნიკოსების და სხვა სამედიცინო პერსონალის სათანადო რაოდენობა. იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც შესაძლოა ექიმებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიონ სამუშაო ადგილის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, არის მათი კომპენსაციის პაკეტი, საავადმყოფოს რეპუტაცია, აპარატურის და შენობა-ნაგებობების ხარისხი და დამხმარე პერსონალის რაოდენობა და ხარისხი. რიგ შემთხვევაში ექიმების დაქირავებასა და შენარჩუნებაზე მოქმედებს ზოგ სპეციალობაში ექიმების სიმცირე და ქართული ენის მცოდნე ექიმების შეზღუდული რაოდენობა. მაღალკვალიფიციური ექიმების და სხვა სამედიცინო პროფესიონალების დაქირავებისა და შენარჩუნების საქმეში კომპანია კონკურენციაშია ჯანდაცვის სხვა პროვაიდერებთან, რომლებიც ოპერირებენ საქართველოში, მეზობელ ქვეყნებსა და (გარკვეულწილად) დანარჩენ ევროპასა და აზიაში.

აღნიშნული ფაქტორების გამო, კომპანიამ შესაძლოა ვერ მოახერხოს მისი ზედა რგოლის მენეჯმენტის ან სხვა წამყვანი თანამშრომლების ადეკვატური შემცვლელების პოვნა. ზედა რგოლის მენეჯმენტის წევრების ან სხვა წამყვანი თანამშრომლების წასვლამ შეიძლება მნიშვნელოვნად დაასუსტოს კომპანიის შესაძლებლობა, განახორციელოს საკუთარი სტრატეგია და ეფექტიანად აწარმოოს ბიზნესი. გარდა ამისა, კონკურენციამ კვალიფიციური მენეჯერების და პერსონალისთვის შესაძლოა გაზარდოს ხელფასები, რომლებიც კომპანიამ უნდა გადაიხადოს. ხარჯების ასეთი ზრდა კი შეამცირებს მოგების მარჟებს, თუ კომპანია ვერ შეძლებს ხარჯების ასეთი ზრდა ეფექტიანად დააკისროს მის მომხმარებლებს მომსახურების და პროდუქტების ფასების მეშვეობით ან სხვაგვარად.

კომპანია დამოკიდებულია მისი რეპუტაციის და ბრენდების სიძლიერეზე.

კომპანიის წარმატება ნაწილობრივ დამოკიდებულია ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების რეპუტაციასა და „ვეექსის ჰოპიტლები“-ს ბრენდის სიძლიერეზე. მომავალი მოვლენები, რომლებიც დაასუსტებს ან შელახავს კომპანიის რეპუტაციას ან ბრენდს შესაძლოა მნიშვნელოვნად აისახოს მის ბიზნესზე. მაგალითად, კომპანიის საავადმყოფოებში სერვისის ფაქტობრივი ხარისხის ან ხარისხის აღქმის გაუარესება ანდა ისეთი ნეგატიური მოვლენების გახმაურება, როგორებიცაა სამედიცინო შეცდომის შემთხვევები ან ინფექციის გავრცელება პაციენტებში, სერიოზულად დააზიანებს მის მდგომარეობას საქართველოს სამედიცინო ინდუსტრიაში.

კომპანიის ბიზნესის რეპუტაცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის შესაძლებლობაზე, უზრუნველყოს უახლესი მკურნალობა და აპარატურა. მედიცინის დარგი სწრაფად ვითარდება და ხშირია ტექნოლოგიური სიახლეები. იმისთვის, რომ კონკურენტული იყოს სამედიცინო მომსახურების სხვა პროვაიდერებთან ექიმებისა და პაციენტების მოზიდვაში, კომპანიამ მუდმივად უნდა შეაფასოს მის დაწესებულებებში აპარატურის საჭიროება. სამედიცინო აპარატურაში ინვესტიცია მოსალოდნელია, რომ რეგულარულად მსხვილი იქნება. თუ კომპანია ვერ შეძლებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, მან შესაძლოა დაკარგოს პაციენტები და მისმა სამედიცინო პერსონალმა არჩიოს მისი საავადმყოფოებიდან სხვა, უკეთ აღჭურვილ კონკურენტ საავადმყოფოებში გადასვლა. სწრაფ ტექნოლოგიურ წინსვლას ზოგჯერ შედეგად მოაქვს ასევე აპარატურის ნაადრევი მოძველება და აქტივის გაუფასურების ხარჯები, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს კომპანიის ოპერირების შედეგებზე.

ჯანდაცვის სერვისების პროვაიდერებს, როგორც კომპანიას, შეიძლება პაციენტებმა სასამართლოში უჩივლონ და შესაძლებელია, რომ ზოგი ასეთი საქმე კომპანიის საწინააღმდეგოდ დასრულდეს.

დასავლურ ქვეყნებთან შედარებით საქართველოში სამედიცინო პრაქტიკასთან დაკავშირებით საჩივრების შეტანის შემთხვევები ცოტაა, ხოლო წარმატებული საჩივრების მაჩვენებელი დაბალი. საჩივრები ძირითადად მკურნალი ექიმების წინააღმდეგ ანდა ექიმსა და ექიმის დამქირავებლის წინააღმდეგ შეაქვთ. მართალია, კომპანიას თვლის, რომ სასამართლო პროცესების რისკი მცირეა, მაგრამ მდგომარეობა შესაძლოა შეიცვალოს მომავალში. საქართველოს ჯანდაცვის სერვისების ბაზრის განვითარებასა და სამედიცინო მომსახურების სტანდარტების მზარდი მოლოდინების კვალდაკვალ, შესაძლოა გაიზარდოს სამედიცინო შეცდომების შემთხვევებზე საჩივრების რაოდენობა და ასეთი საჩივრების დაკმაყოფილების მაჩვენებელი. შესაბამისად, ამ საკითხებმა შეიძლება მოითხოვოს კომპანიისგან გაზრდილი პრემიების გადახდა სამედიცინო დაუდევრობის დასაზღვევად, ან წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანია დადგება მნიშვნელოვანი ზარალის ანდა სასამართლო პროცესების და მორიგების ხარჯების, ასევე რეპუტაციის და ბრენდის პრესტიჟის შელახვის რისკის წინაშე, რისთვისაც მენეჯმენტს დასჭირდება დიდი დროისა და ყურადღების დათმობა და ვალის აღება სასამართლო პროცესის თუ მორიგების დასაფინანსებლად.

კომპანიის დაწესებულებებში პაციენტები შესაძლოა დაინფიცირდნენ და დაავადდნენ სამედიცინო დაწესებულებების ფუნქციონირებისთვის დამახასიათებელი რისკების („კლინიკური რისკების“) გამო.

კომპანიის საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა ინფექციური დაავადების მქონე პაციენტების მკურნალობას. კლინიკური რისკების მართვა კომპანიის პრიორიტეტია და მისი ყურადღება გამახვილებულია უსაფრთხოების ყველა ასპექტზე (მათ შორის პირადი უსაფრთხოება, ფიზიკური უსაფრთხოება, რადიაციული უსაფრთხოება და სხვა). უსაფრთხოება მოიცავს არა მხოლოდ ადამიანურ საქმიანობას, არამედ საავადმყოფოების უსაფრთხო მშენებლობას და დიზაინს. აქედან გამომდინარე, ინფექციის კონტროლი და უსაფრთხოების რისკის შეფასების პრინციპები ინტეგრირებულია დაწესებულებაში დაგეგმარების, საპროექტო და სამშენებლო საქმიანობაში. მიუხედავად ამისა, კომპანიის დაწესებულებებში ყოფნის დროს მანამდე ჯანმრთელ ან არაინფიცირებულ პაციენტებს შესაძლოა შეეყაროთ სერიოზული დაავადებები, როგორებიცაა, მაგალითად, მეტიცილინის მიმართ რეზისტენტული სტაფილოკოკები, ჰეპატიტი ან გრიპი.

ნოზოკომიალური ინფექციების ეპიდემიოლოგიის ან მულტირეზისტენტული ორგანიზმების გავრცელების შესახებ სტატისტიკური მონაცემები შედარებით მწირია კავკასიის რეგიონში, ვინაიდან არ არსებობს ინფექციების ოფიციალური კონტროლის სისტემა კლინიკებში და არასაკმარისია ცოდნა საავადმყოფოში შეძენილი ინფექციების დადგენის, დაკვირვების და მართვის შესახებ. საავადმყოფოს ინფექციების კონტროლი და პრევენცია კომპანიის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა და მასზე მუდმივი დაკვირვება მოხდება. ამ თვალსაზრისით კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის წარმომადგენლობასთან სამხრეთ კავკასიის რეგიონში. საავადმყოფოში ინფექციების კონტროლის და პრევენციის სფეროში მომზადებული ექთნები თითოეულ კლინიკაზე არიან მიმაგრებული და კომპანიის ეპიდემიოლოგების ხელშეწყობით, ზედამხედველობას უწევენ საავადმყოფოს ინფექციების კონტროლისა და პრევენციის ღონისძიებებს. კომპანიის პერსონალი ასევე ჩართულია საავადმყოფოს ინფექციების კონტროლის და პრევენციის ეროვნული სახელმძღვანელო პრინციპების და პროტოკოლების შემუშავებაში. თუმცა, ეს კონტროლი და პროცედურები შესაძლოა არ იყოს საკმარისი მულტირეზისტენტული ორგანიზმების გავრცელების მზარდ ტენდენციასთან გასამკლავებლად და საქართველოში საავადმყოფოში შეძენილი ინფექციების გავრცელებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას კომპანიის სამედიცინო დაწესებულებებს. ამ ინფექციებმა შესაძლოა დააავადოს კომპანიის პაციენტები და თანამშრომლები და მნიშვნელოვნად შეამციროს კომპანიის სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის და ზრუნვის შესაძლებლობები საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. გარდა ზარალის ანაზღაურების მოთხოვნებისა, ასეთმა შემთხვევებმა შესაძლოა

გამოიწვიოს კომპანიის სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის ლიმიტირება მარეგულირებელი შეზღუდვების გამო და შელახოს მისი რეპუტაცია.

კომპანიის საქმიანობა შეიძლება შეაფერხოს მისმა საინფორმაციო სისტემების გაუმართაობამ.

კომპანიის საინფორმაციო სისტემები არსებითაა მისი ბიზნესის ოპერირების უმნიშვნელოვანესი სფეროებისთვის. გარდა ამისა, მომხმარებლის შესახებ ინფორმაციაზე ვრცელდება მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა. 2018 წლიდან კომპანიამ დაიწყო მუშაობა ჯანმრთელობის მონაცემთა სრულად ინტეგრირებული სისტემის შექმნაზე, რომელშიც მოხდება პაციენტების სრულყოფილი ელექტრონული სამედიცინო ისტორიების განთავსება და მართვა. ელექტრონული სამედიცინო აღრიცხვის სისტემა („EMR“) მოიცავს პლატფორმას ხარისხის ღონისძიებების და ინდიკატორების აღრიცხვისთვის, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ხარისხის მართვის მონიტორინგისა და გაუმჯობესების პროცესში. სისტემის ნებისმიერმა გაუმართაობამ, რომელიც იწვევს წყვეტას სერვისში ან კომპანიის სისტემების ხელმისაწვდომობაში, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ოპერაციებზე ან შეაფერხოს შემოსავლების მიღება. მართალია, კომპანია იღებს ქსელის უსაფრთხოების ზომებს და სარეზერვო უზრუნველყოფის ყოველდღიურ ღონისძიებებს ახორციელებს, მისი სერვერები დაუცველია პოტენციური კომპიუტერული ვირუსებისგან, შეჭრისგან და მსგავსი არალეგალური მანიპულაციებისგან. ნებისმიერმა ასეთმა ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს წყვეტა, დაგვიანება, მონაცემების დაკარგვა ან მანიპულირება ანდა სისტემების მიუწვდომლობა. გარდა ამისა, კომპანიას შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მის სისტემებში დაცული პირადი ინფორმაციის მოპარვის ან ბოროტად გამოყენების გამო.

კომპანიის შესაძლებლობა, გაუწიოს მომსახურება და მართოს თავისი მომგებიანობა ნაწილობრივ დამოკიდებულია მარაგების ხელმისაწვდომობაზე.

ვინაიდან კომპანია ხშირად დამოკიდებულია მედიკამენტების, ქირურგიული მარაგების და სამედიცინო აღჭურვილობის მომწოდებლებზე (აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიამ სამედიცინო მარაგების დაახლოებით 80% აფილირებული კომპანიისგან შეისყიდა), შეფერხებებმა მოწოდებაში, მარაგების ხარისხთან დაკავშირებულმა პრობლემებმა ან ამ მომწოდებლებთან საქმიანი ურთიერთობების შეწყვეტამ შესაძლოა შეაფერხოს ან გააუარესოს მომსახურება კომპანიის დაწესებულებებში. თუ კომპანია ვერ ახერხებს მაღალხარისხიანი პროდუქტების ხელსაყრელი პირობებით მოპოვებას ანდა მომწოდებელი ვერ აკმაყოფილებს ასეთ პროდუქტებზე მის მოთხოვნებს, კომპანიის პაციენტების რაოდენობა შესაძლოა შემცირდეს ანდა ექიმებმა შეწყვეტონ მასთან შრომითი ურთიერთობა. გარდა ამისა, კომპანიას შესაძლოა გაეზარდოს მარაგების ხარჯი, რაც შესაძლოა სრულად ვერ დააკისროს მომხმარებელს და ვერ გაზარდოს ტარიფები და შედეგად, კომპანიამ შესაძლოა ვერ შეიძინოს ადეკვატური რაოდენობის მარაგები.

კომპანიამ შესაძლოა ვერ მოახერხოს ბოლოდროინდელი შესყიდვებიდან დაგეგმილი სარგებლის რეალიზება

ბოლო 5 წლის განმავლობაში კომპანიამ რამდენიმე შესყიდვა განახორციელა და მისი მიზანია, მოიპოვოს საქართველოს ჯანდაცვის ბაზრის ერთი მესამედი წილი (საავადმყოფოს საწოლების რაოდენობის მიხედვით) ორგანული განვითარების გზით. ამ შესყიდვებიდან მოსალოდნელი სარგებლის რეალიზება და შემდგომი ზრდა ბევრი რისკის და გაურკვევლობის წინაშე შეიძლება დადგეს, მათ შორის:

- კომპანიის მიერ შესყიდვების ღირებულების შეფასება ან მათი სარგებლის შეფასება შესაძლოა მცდარი იყოს;

- კომპანიას შესაძლოა გაუჭირდეს სხვადასხვა კორპორაციული კულტურის, შესყიდული კომპანიების პრაქტიკისა და მეთოდოლოგიების ასიმილირება;
- კომპანია შესაძლოა წააწყდეს სირთულეებს და გაუთვალისწინებელ ხარჯებს შესყიდული კომპანიების საბუღალტრო აღრიცხვის, ადამიანური რესურსების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სხვა შიდა კონტროლის სისტემების, პროცედურების და პოლიტიკის საკუთართან შესაბამისობაში მოყვანისა და ინტეგრირების პროცესში;
- კომპანიის მიერ ჩატარებულმა წინასწარმა შესწავლამ შესაძლოა არ გამოავლინოს ფარული ან პოტენციური ვალდებულებები, რომელთა წინაშეც კომპანია შეიძლება აღმოჩნდეს შესყიდვასთან დაკავშირებით; და
- კომპანიამ შესაძლოა ვერ მოახერხოს შესყიდული საავადმყოფოების და კლინიკების ძირითადი პერსონალის შენარჩუნება.

გარდა ამისა, კომპანიამ შესაძლოა ვერ მოახერხოს ხარჯების მოსალოდნელი ეკონომიის, სინერგიების და შემოსავლების ზრდის მიღწევა რომელიმე ასეთი შესყიდვიდან. სინერგიის მიღწევის და სხვა სარგებლის მიღების ხარჯი შესაძლოა მოსალოდნელზე მეტი იყოს სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, ინტეგრაციისა და განხორციელების აქტივობებზე მოსალოდნელზე უფრო მაღალი დანახარჯების გამო, კომპანიის უუნარობის გამო, თავიდან აიცილოს წყვეტა საქმიანობაში ინტეგრაციასთან დაკავშირებით ანდა შეამციროს პერსონალის რაოდენობა შრომის კანონმდებლობის ან სხვა ბარიერების გამო.

მართალია, კომპანიის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია არ ეფუძნება რაიმე ახალ შესყიდვებს და ფოკუსირებულია ორგანულ ზრდაზე, მაგრამ ის განაგრძობს შესყიდვების შესაძლებლობების შეფასებას. კომპანიამ შესაძლოა ვერ გამოვლინოს შესყიდვების ხელსაყრელი შესაძლებლობები, ვერ მოიპოვოს საჭირო დაფინანსება გრძელვადიან პერსპექტივაში, ვერ გაუწიოს ეფექტიანი კონკურენცია ხელსაყრელი ობიექტების სხვა პოტენციურ მყიდველებთან ან ვერ შეძლოს ასეთი შესყიდვებისთვის ხელსაყრელ პირობებზე მოლაპარაკება. შესაძლოა იყოს შესყიდვების ხელსაყრელი შესაძლებლობების ლიმიტირებული რაოდენობა, ხოლო ზოგი შესყიდვის შესაძლებლობას შესაძლოა მაღალი ღირებულება ჰქონდეს.

და ბოლოს, მიზიდველი შესყიდვების შესაძლებლობების არასებობის გარდა, კომპანიის შემდგომი გაფართოება, მისი საბაზრო წილის ზრდასთან ერთად, შეიძლება შეზღუდოს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ, რადგან ამ სააგენტოს, მისი შერწყმების კონტროლის კომპეტენციების ფარგლებში, აქვს უფლება დაბლოკოს რიგი შესყიდვები.

კომპანია ანგარიშვალდებული საწარმოა და მასზე დამატებითი რეგულაციები და ანგარიშგების მოთხოვნები ვრცელდება.

კომპანია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით („ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) გათვალისწინებული ანგარიშვალდებული საწარმოა. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი აწესებს გარკვეული თანხმობების აღებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს იმ გარიგებებისათვის, სადაც ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოების წევრები და მისი აქციების 20%-ის ან მეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელები განიხილება „დაინტერესებულ პირად“ (ეს შემთხვევები განსაზღვრულია ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონით). აღნიშნული კანონის თანახმად, დაინტერესებულ პირთან დაკავშირებული გარიგება უნდა დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოს ან პარტნიორთა საერთო კრების მიერ. ტრანზაქციები, რომელთა ღირებულება აღემატება საწარმოს აქტივების ღირებულების 10%-ს, უნდა

დამტკიცდეს საერთო კრების მიერ. აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება გარიგებებზე, რომლებიც იდება ანგარიშვალდებულ საწარმოსა და მის 100%-იან შვილობილ საწარმოს ან 100%-იან აქციონერს შორის. შესაბამისად, კომპანიის პარტნიორთა კრება ამტკიცებს დაინტერესებულ პირებთან გარიგებებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი აწესებს ანგარიშგების კონკრეტულ ვალდებულებებს ანგარიშვალდებულ საწარმოებისათვის. ანგარიშვალდებულ საწარმო ვალდებულია, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან მისი ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელებს მიაწოდოს წლიური, ნახევარწლიური და მიმდინარე ანგარიშები. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა ხდება საქართველოს საფონდო ბირჟაზე, აღნიშნული ინფორმაცია უნდა გადაეცეს საქართველოს საფონდო ბირჟასაც. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ანგარიშვალდებულ საწარმოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

დაინტერესებულ პირებთან გარიგებების დამტკიცების და ანგარიშგების მოთხოვნები კომპანიისათვის დამატებითი ტვირთია და შესაძლოა გავლენა მოახდინოს მისი საქმიანობის ეფექტიანობაზე. გარკვეულ შემთხვევებში, შესაბამისი თანხმობის არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების გაუქმება (მაგ. თუ სამეთვალყურეო საბჭო ან პარტნიორთა კრება არ დაამტკიცებს რომელიმე დაინტერესებულ პირთან გარიგებას).

ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე.

2014 წლის მარტში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს კანონში „კონკურენციის შესახებ“ („კანონი კონკურენციის შესახებ“). შემოღებული იქნა სხვადასხვა შეზღუდვა ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაციასთან, დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებასთან, სახელმწიფოს მხრიდან დახმარებასთან და ა.შ. დაკავშირებით, მაშინ, როცა ადრე საქართველოში არ არსებობდა ზოგადი მოქმედების კონკურენციის მარეგულირებელი ნორმები (გარდა ზოგიერთი დარგისა, როგორებიც არის საბანკო სექტორი და ტელეკომუნიკაციები). 2014 წლის აპრილში „კონკურენციის შესახებ“ კანონის საფუძველზე შეიქმნა კონკურენციის სააგენტო. კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილია, მონიტორინგი გაუწიოს კერძო ორგანიზაციების მიერ საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესრულებას და აქვს ასევე სხვადასხვა უფლებამოსილება, მათ შორის „კონკურენციის შესახებ“ კანონის დარღვევისათვის ჯარიმების დაკისრების უფლება. მოსალოდნელია, რომ კონკურენციის სააგენტო უახლოეს მომავალში „კონკურენციის შესახებ“ კანონის საფუძველზე გამოუშვებს სხვადასხვა ნორმატიულ აქტს. ანტიმონოპოლიური რეგულაციების სიახლემ და სააგენტოს მიერ ამ რეგულაციათა აღსრულების პროცესის არაპროგნოზირებადმა ხასიათმა შესაძლოა კომპანიისთვის რეგულირებასთან დაკავშირებული დამატებითი ტვირთი წარმოქმნას და ნეგატიური ზემოქმედება მოახდინოს მისი გაფართოების გეგმებზე.

ობლიგაციების გამოშვების თარიღისათვის, კომპანიის შესყიდვები თანხვედრაშია ანტიმონოპოლიურ რეგულაციებთან.

კომპანიის ბიზნესი/ინდუსტრია რომელშიც ის ოპერირებს საკმაოდ კაპიტალიზებულია, რაც შესაძლოა შესაბამისი დაფინანსების მოპოვების რისკებთან იყოს დაკავშირებული

კომპანიის ბიზნესი მოდელი და ინდუსტრია, რომელშიც ის ოპერირებს საკმაოდ კაპიტალიზებულია. ბოლო ორი წლის განმავლობაში კომპანია ახორციელებდა განვითარების მასშტაბურ პროექტებს ჯანდაცვის ობიექტებში მნიშვნელოვანი ინვესტირებით. მათ შორისაა, შეძენილი სამედიცინო დაწესებულებების - კავკასიის მედიცინის ცენტრის და თბილისის რეფერალური ჰოსპიტლის - განახლება და განვითარება. მიუხედავად ამისა,

რომ ემიტენტი არ გეგმავს ახალი საავადმყოფოების შესყიდვას და მისი გრძელვადიანი სტრატეგია ფოკუსირებულია უკვე მისი მართვის ქვეშე მყოფი ჯანდაცვის დაწესებულებათა ეფექტიანობის ზრდაზე, დროდადრო კომპანიას დასჭირდება კაპიტალთან წვდომა თავისი აქტივების მოვლა/შენარჩუნებისთვის და გარკვეული კაპიტალური ხარჯების გასაწევად. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ასეთი დაფინანსება ხელმისაწვდომი იქნება კომერციულად მისაღები პირობებით, დროულად. კომპანიის წარუმატებლობამ, მოიპოვოს საჭირო კაპიტალი, შესაძლოა მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მის საოპერაციო შედეგებზე ან მის შესაძლებლობაზე, გაუნაწილოს თანხა ობლიგაციონერებს.


სწრაფმა ტექნოლოგიურმა განვითარებამ სამედიცინო სფეროში შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს კომპანიის ძირითად აქტივებზე

კომპანიის ბიზნეს გარემო საკმაოდ დინამიურია და ბაზარზე ხშირად ინერგება ახალი ტექნოლოგიები. თუ კომპანია ვერ მოახერხებს ფეხი აუწყოს ამ ტენდენციებს და მუდმივად განაახლოს მისი ძირითადი საშუალებები/სამედიცინო მანქანა-დანადგარები, ტექნოლოგიურმა განვითარებამ ინდუსტრიაში შესაძლოა გამოიწვიოს მათი მოძველება/მორალური ცვეთა. ამან კი, თავის მხრივ, შესაძლოა, შეასუსტოს კომპანიის კონკურენტუნარიანობა და/ან უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

ემიტენტის დედა კომპანია GHG PLC-ის აქციები სავაჭროდ დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე (LON: GHG), რაც შესაბამისად გარკვეულ შეზღუდვებსა და მოთხოვნებთან არის დაკავშირებული

ემიტენტის დედა კომპანია „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ აქციები სავაჭროდ დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე, რაც გარკვეულ შეზღუდვებსა და მოთხოვნებთან არის დაკავშირებული. არსებობს რისკი, რომ მშობელმა კომპანიამ ვერ მოახერხოს ზემოთაღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც რეპუტაციულ რისკს შეუქმნის მას და შესაძლოა უარყოფითად აისახოს ემიტენტზეც, როგორც მისი შვილობილზე. ასევე, არსებობს რისკი, რომ GHG-იზე დაწესებულმა შეზღუდვებმა ბირჟისა თუ ინვესტორების მიერ (მაგ: დათქმები სესხებზე, სხვადასხვა პოლიტიკასთან შესაბამისობა (compliance)) გავლენა იქონიოს ევექსის ჰოსპიტლებზე და მის მაჩვენებლებსა თუ გეგმებზე.

ქვემოთ მოცემულია GHG-ის აქციის ფასების ტრენდი (დღის დახურვის ფასი, ბრიტანულ გირვანქა სტერლინგებში) 2017, 2018 და 2019 წლებისთვის.



კომპანიის ძირითადი საშუალებები მოცემულია სამართლიანი ღირებულებით, რაც გულისხმობს შეფასების რისკებს - სენსიტიურია გაკეთებული დაშვებების და გამოყენებული მეთოდოლოგიების მიმართ.

კომპანია იყენებს გადაფასების მეთოდს (IFRS სტანდარტის მიხედვით), რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულებით აღრიცხვას ფინანსურ ანგარიშგებაში. სამართლიანი ღირებულების დასადგენად საჭიროა ძირითადი საშუალების შეფასება, რაც, თავისმხრივ, დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან. სამართლიანი ღირებულების შეფასება ხდება გარკვეულ დაშვებებზე დაყრდნობით, არსებობს რისკი, რომ დაშვებები არასწორად იყოს გაკეთებული, რაც სამართლიანი ღირებულების ცდომილებას გამოიწვევს.

ამასთან, შეფასების საერთაშორისო სტანდარტი შემფასებლებს ავალდებულებს, გამოიყენონ ერთზე მეტი შეფასების მეთოდი ისეთ შემთხვევებში, როდესაც ერთი მეთოდის გამოყენება არ იძლევა მაღალ რწმუნებას მიღებული რიცხვების სიზუსტესა და სანდოობაზე. არსებობს რისკი, რომ ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც ერთი მეთოდის გამოყენება არ იძლევა მაღალ რწმუნებას, არ იყოს გამოყენებული დამატებითი მეთოდები. ამასთან, შეფასების საერთაშორისო სტანდარტი ავალდებულებს შემფასებლებს, რამდენიმე გამოყენებული მეთოდიდან ანალიზის საშუალებით გამოიყვანონ ერთი სამართლიანი ღირებულება, გასაშუალოების გარეშე. იქიდან გამომდინარე, რომ სხვადასხვა მეთოდი სხვადასხვა ღირებულებას იძლევა, საბოლოო ღირებულების გამოყვანა, ასევე, გარკვეულ დაშვებებთან არის დაკავშირებული, რაც შეიცავს ცდომილების რისკს. გარდა ამისა, შეფასებისას შეიძლება არ იყოს გამოყენებული კონკრეტული შეფასების მეთოდები, რამაც შესაძლოა საბოლოო შედეგზე მოახდინოს გავლენა.

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკის ფაქტორები

რეგიონულმა დაძაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის ბიზნესზე

საქართველო რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება და პოლიტიკურმა დაძაბულობამ მის საზღვრებს შიგნით და მეზობელ ქვეყნებში მასზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. კერძოდ, 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს კონფლიქტები აქვს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებთან და რუსეთთან. ამ კონფლიქტებმა ქვეყანა ძალადობის ცალკეულ აქტებსა და სამშვიდობო ოპერაციების დარღვევასთან მიიყვანა. 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი გამწვავდა. საქართველოს სამხედრო ძალები ბრძოლაში ჩაებნენ ადგილობრივ შეიარაღებულ ჯგუფებსა და რუსეთის არმიასთან, რომელმაც საქართველოს საერთაშორისო საზღვარი გადმოკვეთა და საქართველომ საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ და რუსეთმა, საფრანგეთის შუამავლობით, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება გააფორმეს, რომლის თანახმადაც რუსეთის სამხედრო ძალები ქვეყნიდან იმ თვის ბოლომდე უნდა გასულიყვნენ, რუსეთმა დაარღვია ეს შეთანხმება და სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარა. შესაბამისად, დაძაბულობა გრძელდება, რადგან რუსეთის არმია კვლავ ოკუპირებული აქვს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი. მაგალითად, 2013 წლის ზაფხულში რუსეთის სასაზღვრო ძალებმა მავთულხლართის ღობეები აღმართეს საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის სადემარკაციო ხაზის ზოგიერთი ნაწილის გასწვრივ. მომავალში ასეთი ქმედებები დაძაბულობას გაამწვავებს. რუსეთი ეწინააღმდეგება ასევე ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას, რაც პოტენციურად ყოფილი საბჭოთა კავშირის ისეთი ქვეყნების მოცვას გულისხმობს როგორც საქართველო. საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა რუსეთთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამ ნაბიჯებს დღეისათვის რაიმე ოფიციალური ან იურიდიული ცვლილება ორი ქვეყნის ურთიერთობებში არ მოუტანია.

ურთიერთობები აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კვლავ დაძაბულია და ამ ორ ქვეყანას შორის ძალადობის ცალკეული შემთხვევები შეინიშნება.

საქართველოს აქვს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები თურქეთთან. ბოლო წლებში თურქეთის ეროვნული ვალუტა საგრძნობლად დაეცა პოლიტიკური არასტაბილურობის გამო, რომელსაც ინფლაციის ზრდასთან ერთად ექნება ნეგატიური გავლენა ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტსა და საგარეო ვალის მომსახურებაზე. შესაბამისად, მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ არასტაბილურობას თურქეთში, შესაძლებელია ჰქონდეს ნეგატიური გავლენა საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობაზე, რომელიც ძირითადად გამოიხატება ექსპორტის შემცირებით. Geostat-ის მიხედვით, 2019 წლის პირველ 8 თვეში საქართველო-თურქეთის სავაჭრო ბრუნვა საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 14% შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი 2018 წელს 13.7% იყო, რომელსაც 2014 წლიდან (17.2%) მოყოლებული შემცირების ტენდენცია აქვს. მაღალი სავაჭრო ბრუნვა თურქეთთან, რომელიც ლიდერია საქართველოს იმპორტის სტრუქტურაში, ძირითადად დაკავშირებულია თურქეთიდან იმპორტის დიდ მოცულობასთან. საქსტატის მიხედვით, 2019 წლის პირველ 8 თვეში თურქეთიდან იმპორტირებული საქონელი შეადგენდა საქართველოს მიერ განხორციელებული მთლიანი იმპორტის 17%-ს, 2018-ში 16.1%-ს, 2017-ში 17.3%-ს, 2016-ში კი 18.6%-ს. აღსანიშნავია, რომ თურქეთი იმ ქვეყნების ათეულშია, რომლებსაც ექსპორტით ყველაზე დიდი რაოდენობით საქონელი გააქვთ საქართველოდან. საქსტატის მიხედვით, ექსპორტი თურქეთში შეადგენდა მთლიანად საქართველოს ექსპორტის 6%-ს 2019 წლის პირველ 8 თვეში, 6.9%-ს 2018-ში, 7.9%-ს 2017-ში, 8.2%-ს 2016-ში.

უკრაინასა და რუსეთს შორის არსებულმა გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე. უკრაინაში კრიზისი 2013 წლის მიწურულს დაიწყო და ამჟამად ეკონომიკა აღდგენის პროცესშია, თუმცა ზუსტი პროგნოზირება რთულია. შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა სავაჭრო სანქციები დაუწესა რუსეთს, ასევე რუსეთის და ყირიმის სხვადასხვა თანამდებობის პირს, მათ შორის რამდენიმე რუსულ ბანკსა და კომპანიას. უკრაინაში არსებულმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, სამოქალაქო არეულობებმა და სამხედრო კონფლიქტმა, რუსეთსა და უკრაინას შორის გეოპოლიტიკური კონფლიქტის გაგრძელებამ ან ესკალაციამ, ასევე, დაწესებული სანქციების და ნავთობის ფასების ვარდნის თუ ვალუტის გაუფასურების შედეგად რუსეთის ეკონომიკის შემდგომმა ვარდნამ, გაურკვევლობის ზრდამ, რეგიონული, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის მატებამ და რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების გაუარესებამ შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე.

2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით პირდაპირი საჰაერო ფრენები აიკრძალა, რამაც შესაძლოა საგრძნობი ნეგატიური გავლენა ჰქონდეს ტურიზმის სექტორზე და მთლიანად საქართველოს ეკონომიკაზე. ამავდროულად, ინფორმაცია რუსეთიდან ტურისტული ნაკადების მოსალოდნელი შემცირების შესახებ სავალუტო ბაზარზეც და ეკონომიკური ზრდის ტენდენციებზეც შესაძლოა აისახოს. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2019 წლის 27 ივნისს გაკეთებული განცხადების მიხედვით, პირველადი გათვლებით, რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებას 2019 წლის მეორე ნახევარში საქართველოს ეკონომიკაზე გავლენა დაახლოებით 200-300 მლნ აშშ დოლარამდე ექნება. ეს საგარეო შოკი აისახება საგადასახდელი ბალანსზე და, შესაბამისად, კურსზეც. თუმცა ეროვნული ბანკი ასევე აცხადებს რომ, სხვა თანაბარ პირობებში, მათ შორის რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებითაც, 2019 წლის განმავლობაში საგარეო ბალანსი 2018 წელთან შედარებით გაუმჯობესდება. ამასთან, საქართველოს საგარეო შოკებით გამოწვეულ კრიზისთან გამკლავების წარმატებული გამოცდილება აქვს. 2014-15 წლებში ნავთობის ფასების ვარდნის შედეგად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებიდან მოთხოვნისა და გზავნილების შემცირებამ, უკრაინაში საომარმა ვითარებამ, რუსეთისთვის საერთაშორისო ეკონომიკური სანქციების დაწესებამ და აშშ დოლარის გლობალურმა გამყარებამ სავალუტო შემოდინებები დაახლოებით 1.2 მლრდ აშშ დოლარით შემამცირა.

შესაბამისად, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა ვითარებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების, მათ შორის სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
- ცვლილებები საქართველოს როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში;
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში ან ქართველი მწარმოებლების შესაძლებლობაში, ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს საექსპორტო ბაზრებთან;
- აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება.
- თურქეთში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

საქართველოს მეზობელი ბაზრების დესტრუქციას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია მის რეგიონში არსებული ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი) ეკონომიკაზე.

აზერბაიჯანი და სომხეთი ისტორიულად წარმოადგენდა ორ უდიდეს ბაზარს საქართველოს ექსპორტისათვის და საქსტატის მიხედვით, მათმა წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში, 2018 წელს შეადგინა 15% და 8.3%, შესაბამისად. თუმცა, 2019 წლის პირველ 8 თვეში, აზერბაიჯანის და სომხეთის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში შემცირდა და შეადგინა 13.1% და 9.0%, შესაბამისად.

რუსეთი არის ასევე ერთ-ერთი უდიდესი ბაზარი საქართველოს ექსპორტისათვის. საქსტატის მიხედვით, მისი წილი მთლიან ექსპორტში 2016 წლისთვის შეადგენდა 9.8%-ს, 2017-ში 14.5% და 2018-ში 13%-ს, ხოლო 2019 წლის პირველი 8 თვის განმავლობაში 14%-ს.

თურქეთი წარმოადგენს უდიდეს იმპორტიორს საქართველოსთვის, და საქსტატის მიხედვით მისი წილი საქართველოს მთლიან იმპორტში შეადგენდა 16.1%-ს 2018 წელს. Turkstat-ის მონაცემებით, თურქეთის ეკონომიკა 2018 წელს 2.6%-ით გაიზარდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკა 2018 წლის მეოთხე კვარტალში 3%-ით შემცირდა, რაც გაგრძელდა 2019 წელს (-2.6% პირველ კვარტალში და -1.5% მეორე კვარტალში) და ეს ძირითადად გამოწვეული იყო პოლიტიკური არასტაბილურობით, არახელსაყრელი გეოპოლიტიკური მოვლენებით, თურქული ლირის მკვეთრი გაუფასურებით და მაღალი ინფლაციით (წლიური ინფლაცია 20.3% - 2018 წლის დეკემბერში). ეს ყველაფერი წარმოადგენს პოტენციურ დაბრკოლებებს შემდგომი ეკონომიკური ზრდისთვის.

ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოს დამოკიდებულება ექსპორტის, ტურიზმის და ფულადი გზავნილების კუთხით რუსეთიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, 2019 წლის პირველი ნახევრის მონაცემებზე დაყრდნობით საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული საქონელი საქართველოს მშპ-ის 3.34%-ს შეადგენს, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები მშპ-ის 4.3%-ია, ხოლო რუსეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილები მშპ-ის 2.5%-ია. ასეთი მაღალი დამოკიდებულება ერთ ქვეყანაზე გარკვეული რისკების მატარებელია და თუ რა ნეგატიური ეფექტები ექნება მას საქართველოს ეკონომიკაზე დამოკიდებული იქნება ნებისმიერ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ საგარეო კრიზისის სიმძიმეზე, რასაც, თავის მხრივ, შესაძლოა ჰქონდეს არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. ნებისმიერმა შემდგომმა ეკონომიკურმა ჩავარდნამ ან კრიზისმა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, შესაძლოა ძლიერი ნეგატიური გავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორიც საქართველოა

განვითარებად ბაზრებს ახასიათებს უფრო დიდი არასტაბილურობა, შეზღუდული ლიკვიდურობა, ნაკლები მოცულობის საექსპორტო ბაზა და მიდრეკილება მაღალი მიმდინარე დეფიციტისკენ და მათზე უფრო მეტად

მოქმედებს ხშირი ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ გარემოში, ვიდრე განვითარებულ ბაზრებზე. განვითარებადი ბაზრები სწრაფად იცვლება და ისინი განსაკუთრებით დაუცველები არიან საბაზრო პირობებისა და მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას მომხდარი ეკონომიკური კრიზისების წინაშე.

გარდა ამისა, საერთაშორისო ინვესტიორების რეაქცია მოვლენებთან დაკავშირებით ზოგჯერ „ჯაჭვური ეფექტით“ ხასიათდება, როდესაც ინვესტიორები უარყოფენ მთლიანად რეგიონს ან ინვესტიციის კლასს. თუ ადგილი ექნება ამგვარ ჯაჭვურ ეფექტს, საქართველოზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სხვა განვითარებად ბაზრებზე მომხდარმა ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა. საქართველომ წარსულში უკვე განიცადა ჯაჭვური ეფექტი, მათ შორის რუსეთის 1998 წლის ფინანსური კრიზისის და უფრო გვიანდელი 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ და შესაძლებელია, რომ ქვეყანამ მსგავსი უარყოფითი ზეგავლენა მომავალშიც განიცადოს.

ამასთან, ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს ფინანსურმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ. აღნიშნულის რეალიზების შემთხვევაში ადგილი ექნება კაპიტალის გადინებას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად დააზიანოს ფინანსური სისტემა და საბოლოოდ ეკონომიკა სტაგნაციაში გადაიყვანოს.

კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით.

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ კონვერტირებისთვის საერთოდ არ არსებობს სავალუტო ბაზარი. საქართველოში არსებობს ბაზარი ლარის სხვა ვალუტებში კონვერტირებისთვის, მაგრამ მისი მოცულობა შეზღუდულია. ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2017 წელს, ლარის-აშშ დოლარის და ლარის-ევროს ბაზრებზე სავაჭრო ბრუნვის საერთო მოცულობამ (მათ შორის, გაყიდვებისა და შესყიდვების ჯამი, ეროვნული ბანკის საქმიანობის გარდა) შესაბამისად 23.71 მილიარდი აშშ დოლარი და 6.4 მილიარდი ევრო შეადგინა, ხოლო იგივე მაჩვენებელმა 2018 წელს შესაბამისად 29.2 მილიარდი აშშ დოლარი და 10.7 მილიარდი ევრო

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით მისმა ოფიციალურმა რეზერვმა 3.7 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, რომელიც წლიურად 27%-ით არის გაზრდილი. მიმდინარე რეზერვების დონე ადეკვატურ დონეზეა საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, რომლითაც ქვეყანას შეუძლია თავი გაართვას კრიზისულ სიტუაციებს მოკლევადიან პერიოდში. გარდა ამისა, რეზერვები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში თუ ლარის გაცვლითი კურსი ერთჯერადი ფაქტორების გამო მნიშვნელოვნად გაუფასურდა, რადგან ვალუტის გაუფასურებამ შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

წლების მანძილზე ლარის კურსი დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა. 2017 წელს ლარმა დაიწყო გამყარება, თუმცა გასული წლების მიხედვით ჩამოყალიბებული ნეგატიური მოლოდინების გამო მეოთხე კვარტალში ის ისევ გაუფასურდა. 2018 წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში კურსი სტაბილური იყო, თუმცა თურქული ლირის გაუფასურებამ 18 აგვისტოდან, გავლენა მოახდინა ლარის კურსზე და 29 ნოემბრის მდგომარეობით გაუფასურდა 7.99%-ით 1 აგვისტოსთან შედარებით და შეადგინა 2.66. 2018 წლის პირველ 8 თვეში ლარის კურსს მნიშვნელოვანი გამყარების ტრენდი ჰქონდა, რამაც ეროვნულ ბანკს საშუალება მისცა, შეეცაო რეზერვები სავალუტო აუქციონებზე უცხოური ვალუტის შესყიდვის გზით. ჯამში, 2018 წელს ეროვნულმა ბანკმა 197.5 მლნ აშშ დოლარის უცხოური ვალუტა შეისყიდა. 2019 წლის იანვარ-თებერვალში ლარის გამყარების ტრენდმა ეროვნულ ბანკს კვლავ მისცა საშუალება შეეყიდა 186 მლნ აშშ დოლარი. (წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი).

აგრეთვე, ლარის ნებისმიერი არასტაბილურობა დამოკიდებულია რამდენიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორზე, მათ შორის, ეროვნული ბანკისა და მთავრობის მხრიდან ინფლაციის კონტროლზე. საქსტატის შეფასებით, საქართველოში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 2017 წელს 6.7%, 2018 წელს 1.5%, ხოლო 2019 წლის აგვისტოსთვის 4.9% იყო.

მაღალმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, მომხმარებლების მსყიდველობითი უნარის დაქვეითება და მათი ნდობის შემცირება. ამ ყველაფერს კი შეუძლია განაპირობოს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების დაბალი დონე და არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კორპორაციული კლიენტების ბიზნესებზე, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიაზე. 2019 წლის აგვისტოში დაფიქსირებული 4.9%-იანი ინფლაცია, ძირითადად გამოწვეული იყო თამბაქოზე აქციზის გადასახადის ზრდითა და ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის მეტისმეტად მაღალი გაუფასურებით. იმისათვის, რომ ქვეყანაში ფასების დონეს არ შეექმნას საფრთხე საშუალოვადიან პერიოდში, ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება და 2019 წლის 4 სექტემბრის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე რეფინანსირების განაკვეთი 6.5%-დან 7.0%-მდე გაზარდა. მას შემდგომ, 2019 წლის 25 სექტემბრის რიგგარეშე სხდომაზე ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთის 0.5%-ით 7.5%-მდე გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2019 წლის 23 ოქტომბერს ჩატარდება.

პოლიტიკური და სამთავრობო არასტაბილურობა საქართველოში მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე

1991 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია განიცადა ფედერალური სოციალისტური სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ სუვერენულ დემოკრატიამდე.

საქართველო რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას, რომელთაგან ერთ-ერთი შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარებაა, მაგრამ ბიზნესისა და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი რეფორმების გატარება შესაძლოა ადარ გაგრძელდეს ან უკუსვლა განიცადოს; ასევე, ასეთი რეფორმები და ეკონომიკური ზრდა შესაძლოა შეფერხდეს რაიმე ისეთი ცვლილებით, რომელიც კოალიცია „ქართული ოცნების“ (მმართველი პარტიის) მთავრობის მოქმედების გაგრძელებასა თუ სტაბილურობაზე იქონიებს გავლენას, ან/და პრეზიდენტის, პარლამენტისა თუ სხვა ინსტიტუტების მიერ სარეფორმო პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმის შედეგად.

2018 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში, ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების 50%-ზე მეტი და, შესაბამისად, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური დაინიშნა. წინასაარჩევნო გარემო საკმაოდ დაძაბული იყო. მეორე ტურის შედეგების მიხედვით ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილმა კანდიდატმა გაიმარჯვა. ამ ფაქტმა უკმაყოფილება გამოიწვია ოპოზიციის ლიდერებსა და მათ მხარდამჭერებში. მომავალში პოლიტიკურმა დაძაბულობამ/არეულობამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და, შესაბამისად, კომპანიის ბიზნესზე.

შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას და დააარსა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროკავშირთან, რაც ითვალისწინებს ევროკავშირთან

ორმხრივი ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისათვის, თუმცა შესაძლოა საწარმოებისათვის, საოჯახო მეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის ასევე შექიმნას გამოწვევებიც. ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების განხორციელებისათვის საჭიროა, რომ საქართველომ მოახდინოს თავისი კანონმდებლობის შესაბამისობის დამყარება ევროკავშირის სავაჭრო და სექტორულ კანონმდებლობასთან, რაც გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და მომხმარებლის უსაფრთხოების, მათ შორის პროდუქტისა და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სფეროებში.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი გახდა, იგი თანდათანობით ახდენდა თავისი სავაჭრო სფეროს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის ნორმებსა და პრაქტიკასთან. ბოლოდროინდელი ცვლილებები რეგულირებაში მოიცავს შრომის კოდექსში 2013 წელს შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც მიზნად ისახავდა საქართველოს შრომის სფეროში არსებული რეგულაციების დაახლოებას ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებთან. აღნიშნული ცვლილებები დამსაქმებლებისგან მოითხოვდა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურებას, გაზრდილ კომპენსაციას სამსახურიდან გათავისუფლებისას (ერთიდან ორი თვის ხელფასის ოდენობით), მუშაკთა გაძლიერებულ უფლებებს დამსაქმებლების გადაწყვეტილებათა სასამართლოში გასაჩივრებისთვის, სამსახურიდან გათავისუფლების აკრძალვას მკაფიო მიზეზის გარეშე და გარანტირებულ საბაზისო სამუშაო პირობებს.

შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სხვა ცვლილებებს სამთავრობო პოლიტიკაში, მათ შორის ცვლილებებს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებაში ან მათდამი მიდგომაში. გარდა ამისა, ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ტვირთი დააკისროს მარეგულირებელ უწყებებს, მათი რესურსები მიმდინარე რეფორმებიდან სხვა მიმართულებით გადაიტანოს და შეანელოს მათი ეფექტიანობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მისაღწევად განხორციელებული, რეგულირების სფეროში მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად კომპანიას შესაძლოა მოეთხოვოს მისი პოლიტიკისა და პროცედურების შეცვლა კანონებსა და რეგულაციებში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებებთან შესაბამისობის დასამყარებლად. მაგალითად, კომპანიამ ცვლილებები შეიტანა თავის შრომით ხელშეკრულებებში, რათა აესახა შრომის კოდექსში შეტანილი ზემოხსენებული ცვლილებები. ასევე, დამატებითი ცვლილებები შესაძლოა შევიდეს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების კუთხით.

კომპანია ელის, რომ მოხდება კიდევ ახალი ცვლილებები, თუმცა მას არ შეუძლია იმის პროგნოზირება, თუ რამხელა ზეგავლენას მოახდენს მასზე ეს ცვლილებები ან რამდენად შეძლებს შესაბამისობის დამყარებას ნებისმიერ ასეთ ცვლილებებთან.

გარდა ამისა, ევროასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ხდება ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოება ევროპის კანონმდებლობასთან, რის გამოც კომპანიას, როგორც ანგარიშვალდებულ საწარმოს შესაძლოა დამატებითი რეგულაციები შეეხოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა.

საქართველოში ჯანდაცვის სფეროში მომსახურება დამატებული ღირებულების გადასახადისა და ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია.

უფრო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა დიდი ხანი არ არის, რაც არსებობს. ეს პრობლემებს ქმნის საგადასახადო კანონმდებლობის შესრულებისას, რადგან აღნიშნული კანონმდებლობა ბუნდოვანია ან განსხვავებულ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. ეს რისკს უქმნის კომპანიებს, რადგან საგადასახადო კანონმდებლობის მათ მიერ გააზრება და შესრულება, შესაძლოა მიუღებელი იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის. საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა დებულების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრები არსებობს სახელმწიფო სამინისტროებსა და ორგანიზაციებს შორის და მათ შიგნითაც, მათ შორის საგადასახადო ორგანოებშიც, რაც ქმნის გაურკვევლობას, არათანმიმდევრულობას და კოლიზიურ შემთხვევებს. თუმცა, საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ წინასწარი საგადასახადო გადაწყვეტილების მიღებას გადასახადის გადამხდელების მიერ წამოჭრილ საგადასახადო საკითხებზე.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობა ხშირ ცვლილებებს და დამატებებს განიცდის, რამაც უჩვეულო სირთულეები შეიძლება შეუქმნას კომპანიას და მის საქმიანობას. საგადასახადო კოდექსის ახლანდელი ვერსია 2011 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში და მას შემდეგ რამდენჯერმე ფუნდამენტური ცვლილებები შევიდა მასში. მაგალითად, 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ცვლილებები კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებულ წესებში და დაინერგა ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომლის მიხედვითაც დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ განაწილებული მოგება, რომელიც განისაზღვრება როგორც ფულადი ან არაფულადი დივიდენდი.

მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია, რომ კომპანია ამჟამად ასრულებს საგადასახადო კანონმდებლობას, შესაძლებელია, რომ სათანადო ორგანოებმა განსხვავებული პოზიცია დაიჭირონ მათ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რასაც შეუძლია გამოიწვიოს საგადასახადო კორექტირებები ან ჯარიმები. იმის რისკიც არსებობს, რომ რეგულარული საგადასახადო შემოწმებების შედეგად კომპანიას ჯარიმები და საურავები დაეკისროს.

კომპანიის საქმიანობა ამჟამად სრულად გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან. თუმცა შესაძლოა მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიცვალოს და ამან, თავის მხრივ, უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიაზე.

გარდა ამისა საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის მთავრობის შეცვლის შედეგად. ამგვარი ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს ახალი გადასახადების შემოღებას ან კომპანიის ან მისი მომხმარებლების მიმართ გამოყენებული გადასახადების განაკვეთის გაზრდას, რაც, თავის მხრივ, სერიოზულ უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე.

ვინაიდან კომპანია მხოლოდ საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს.

კომპანია ოპერაციებს საქართველოში აწარმოებს და მთელი მისი შემოსავლები საქართველოდანაა. კომპანიის ოპერაციების შედეგებზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საქართველოში მიმდინარე ან საქართველოსთან დაკავშირებული ფინანსური და ეკონომიკური მოვლენები, განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკური აქტივობა, და ეს ზემოქმედება მომავალშიც გაგრძელდება. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მთლიანი შიდა

პროდუქტი (მშპ), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ვალუტის გაცვლის კურსი, ასევე, უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კომპანიის პროდუქტებსა და სერვისებზე მომხმარებლის მოთხოვნაზე.

საქართველოს ეკონომიკამ, ბოლო წლებში ნავთობის ფასების კლებასთან დაკავშირებული გრძელვადიანი საგარეო შოკების მიმართ მდგრადობა აჩვენა. საქსტატის მონაცემებით, საქართველოში რეალური მშპ 2016 წელს 2.8%-ით გაიზარდა ხოლო 2017 წელს კი 4.8%-ით. 2018 წელს საქართველოს ეკონომიკა 4.7%-ით გაიზარდა. 2019 წლისთვის საერთაშორისო საერთაშორისო ფონდი (IMF) საქართველოს 4.6%-იან ეკონომიკურ ზრდას პროგნოზირებს. ამასთანავე, საერთაშორისო სავალუტო ფონდი პროგნოზირებს, რომ 2020-2024 წლის მოსალოდნელია 5.2%-იანი საშუალო ზრდის მაჩვენებელი.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შეუსრულებლობისა და კაპიტალის გადინების რისკების წინაშე. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირება გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა ლიკვიდურობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. გაურკვეველმა და არასტაბილურმა გლობალურმა ეკონომიკურმა პირობებმა, როგორცაა რეგიონში და ევროკავშირში გაღრმავებული პოლიტიკური დაძაბულობა, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური რეფორმები მსოფლიო მასშტაბით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც შესაბამისად უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერაციების შედეგებზე.

საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვეველობამ, მათ შორის საქართველოში სახელმწიფოს ნებისმიერმა თვითნებურმა ან არათანმიმდევრულმა მომავალმა ქმედებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება ზიანი მიაყენოს კომპანიის ბიზნესს.

საქართველოში ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისათვის საჭირო ადეკვატური სამართლებრივი ბაზა. მხოლოდ ახლახანს ამოქმედდა რამდენიმე ფუნდამენტური სამოქალაქო, საგადასახადო და ადმინისტრაციული კანონი. (მაგალითად სისხლის სამართლის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედება, იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, მოგების გადასახადის ესტონური მოდელი). აღნიშნული კანონმდებლობის ახლახან მიღებამ და საკანონმდებლო სისტემის სწრაფად განვითარებამ გამოიწვია ექვემდებარება კანონების ხარისხში და აღსრულების საკითხში, ასევე გაურკვეველობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებაში. გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემა განიცდის პროფესიონალთა ნაკლებობას და ამ სისტემაში სერიოზული რეფორმები მიმდინარეობს. მოსამართლეებსა და სასამართლოებს საქართველოში ზოგადად ნაკლები გამოცდილება აქვთ ბიზნესისა და კორპორატიული სამართლის სფეროში, ვიდრე სხვა ქვეყნებში, კერძოდ, ევროპის ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვეველობამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა მნიშვნელოვანი საზიანო ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნესზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

ობლიგაციებთან დაკავშირებული რისკები

ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება ცვალებადი იყოს

ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება მნიშვნელოვნად მერყეობდეს ისეთი მიმდინარე ან მოსალოდნელი ცვლილებების საპასუხოდ, როგორებიცაა: კომპანიის საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; კომპანიის კონკურენტების საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; ბიზნესის არასახარბიელო განვითარება; კომპანიის მარეგულირებელი გარემოს ცვლილება; ფასიანი ქაღალდების ანალიტიკოსის ფინანსური შეფასების ცვლილება; ობლიგაციების დიდი რაოდენობით გაყიდვა ან მოსალოდნელი გაყიდვა; ასევე ბევრი სხვა ფაქტორი, რომელიც კომპანიაზე ახდენს გავლენას, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური და საბაზრო პირობები. გარდა ამისა, ბოლო წლებში გლობალური ფინანსური ბაზრების ფასმა და მოცულობამ მნიშვნელოვანი რყევები განიცადა. თუ ასეთი რამ მომავალშიც განმეორდა, ეს, კომპანიის საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის და ოპერაციის შედეგების მიუხედავად, უარყოფითად იმოქმედებს ობლიგაციების საბაზრო ფასზე. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება, არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ საქართველოში თუ სხვაგან განვითარებული მოვლენები არ გამოიწვევს ბაზარზე რყევებს ან ეს რყევები უარყოფით გავლენას არ მოახდენს ლიკვიდურობასა თუ ობლიგაციების ფასზე ან/და ეკონომიკური და საბაზრო პირობები რაიმე სხვა სახის უარყოფით გავლენას არ მოახდენს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად გაიყიდოს იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობების, კომპანიის ფინანსური პირობების ან სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს.

ობლიგაციას აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, რაზეც გავლენას ახდენს სეზონური მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და კომპანიის რეიტინგი

ობლიგაციას ცვლადი საპროცენტო განაკვეთი აქვს, რომელიც დამოკიდებულია ორ ფაქტორზე: ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთსა და ემიტენტის რეიტინგზე. ეროვნული ბანკი იღებს გადაწყვეტილებას მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილების თაობაზე და მისი გადაწყვეტილება ძირითადად დამოკიდებულია მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და ფინანსური ბაზრების მდგომარეობაზე. 2019 წლის აგვისტოში დაფიქსირებული 4.9%-იანი ინფლაციიდან გამომდინარე, ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება და 2019 წლის სექტემბერში რეფინანსირების განაკვეთი ჯერ 6.5%-დან 7.0%-მდე, ხოლო შემდგომ 7.0%-იდან 7.5%-მდე გაზარდა. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდა იწვევს ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთის ზრდას, რაც, თავის მხრივ, კომპანიას უზრდის საპროცენტო ხარჯს. ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მის ფინანსურ მდგომარეობაზე. მეორე მხრივ, არსებობს იმის რისკიც, რომ ზემოაღნიშნული განაკვეთი შემცირდეს, რის შედეგადაც ობლიგაციონერები ნაკლებად მომგებიან პოზიციას იკავებდნენ.

საპროცენტო განაკვეთი შეიძლება ასევე შეიცვალოს, თუ კომპანიის რეიტინგი გაუარესდება ან კომპანია ვერ მოახერხებს შეინარჩუნოს არსებული „საბაზისო რეიტინგი“ - B+. კერძოდ, ნებისმიერი „სარეიტინგო სააგენტოს“ მიერ ევექსის ჰოსპიტლების რეიტინგის B+ -ზე ქვემოთ ჩამოწევის შემთხვევაში, კუპონის განაკვეთი გაიზრდება 25 საბაზისო პუნქტით. (დეტალებისთვის გთხოვთ იხილოთ „ობლიგაციის გამოშვების პირობების“ მე-5 ქვეთავი „საპროცენტო სარგებელი“).

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს

ობლიგაციებით ნაკისრი კომპანიის ვალდებულებები კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებია. შესაბამისად, ობლიგაციებთან დაკავშირებით კომპანიისთვის წაყენებული ნებისმიერი მოთხოვნა არ იქნება უზრუნველყოფილი და დაკმაყოფილდება უზრუნველყოფილი კრედიტორების შემდგომ. კომპანიის უნარი, დააკმაყოფილოს მსგავსი მოთხოვნები დამოკიდებული იქნება, სხვა ფაქტორებთან ერთად, მის ლიკვიდურობაზე, ზოგად ფინანსურ სიძლიერესა და აქტივების მოზიდვის შესაძლებლობაზე.

საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე

ობლიგაციების პირობები და ვადები ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის გამოცემის თარიღისთვის მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას. არ არსებობს რაიმე გათვლა/პროგნოზი იმისა, თუ რა გავლენას იქონიებს მათზე საქართველოს რომელიმე სასამართლო განჩინება, ცვლილება კანონმდებლობაში ან ადმინისტრაციულ პრაქტიკაში წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღის შემდეგ.

კომპანიას სურს მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას, რათა ობლიგაციები დარეგისტრირდეს და სავაჭროდ დაიშვას საქართველოს საფონდო ბირჟაზე. ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს ცვლილებები, მათ შორის გამორიცხული არ არის შევიდეს ისეთი სახის ცვლილებებიც, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ემისიებზე, მათ რეგისტრაციაზე, განთავსებებზე, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებაზე, ასევე გარიგებების დადების და ანგარიშშორების პროცედურებზე როგორც საბირჟო ასევე არასაბირჟო მეორად ბაზარზე.

ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში, გაცვლის კურსებში რყევების ან სავალუტო ოპერაციების რეგულირების შედეგად შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან

კომპანია ობლიგაციებზე პროცენტებსა და ძირითად თანხას გადაიხდის ლარში. ეს წარმოშობს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებულ გარკვეულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ძირითადად დენომინირებულია ლარისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში (ინვესტორის ვალუტაში). ეს მოიცავს იმის რისკსაც, რომ ვალუტის კონვერტაციის კურსები შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს (იგულისხმება ის ცვლილებებიც, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ლარის დეკლავაციამ ან ინვესტორის ვალუტის რეკლავაციამ) და ასევე იმის რისკს, რომ ხელისუფლებამ, რომლის იურისდიქციაშიც არის კომპანიის ან ინვესტორის ვალუტა, შეიძლება დააწესოს ან შეცვალოს სავალუტო ოპერაციების რეგულირება. ინვესტორის ვალუტის გამყარება ლართან მიმართებით შეამცირებს (i) ობლიგაციებზე ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტურ შემოსავალს, (ii) ობლიგაციებზე გადასახდელი ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტური ძირითადი თანხის ოდენობას და (iii) ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტურ ობლიგაციების საბაზრო ღირებულებას.

ხელისუფლებამ და ფისკალურმა ორგანოებმა შეიძლება დააწესონ (მსგავსი გამოცდილება არსებობს სხვა ქვეყნებშიც) სავალუტო ოპერაციების იმგვარი რეგულირება, რომელიც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს შესაბამის გაცვლით კურსზე. შედეგად ინვესტორებმა ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან.

ობლიგაციებში კაპიტალდაზანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას

ცალკეული ინვესტიორების საინვესტიციო საქმიანობა ექვემდებარება ინვესტიციების კანონიერების მარეგულირებელ კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებს, ან ცალკეული უწყებების ზედამხედველობას ან რეგულირებას. ყველა პოტენციურმა ინვესტიორმა კონსულტაციები უნდა გაიაროს საკუთარ იურიდიულ მრჩეველთან იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად და რა მოცულობით (i) არის ობლიგაციები მათთვის კანონიერი კაპიტალდაბანდება, (ii) შეიძლება ობლიგაციების გამოყენება გირაოს სახით სხვადასხვა ტიპის კრედიტის უზრუნველსაყოფად და (iii) სხვა შეზღუდვები ეხება ობლიგაციების შეძენას ან დაგირავებას. ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ იურიდიულ მრჩეველებთან ან შესაბამის მარეგულირებლებთან იმის დასადგენად, თუ როგორ კლასიფიცირდება ობლიგაციები მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ან მსგავსი რეგულაციების მიზნებისათვის.

ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს

ობლიგაციები არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ის 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის („აშშ-ის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) ან რომელიმე შტატის კანონმდებლობის საფუძველზე. პოტენციურ ინვესტიორებს არ შეეძლება ობლიგაციების შეთავაზება ან რეალიზაცია გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც თავისუფლდება აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონის და რომელიმე შტატის ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგისტრაციის მოთხოვნებისგან ან/და იმ ოპერაციებში, რომლებიც არ ექვემდებარება აღნიშნულ მოთხოვნებს. პოტენციური ინვესტიორების ვალდებულებაა, უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და რეალიზაცია შეერთებულ შტატებსა თუ სხვა ქვეყნებში აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ინვესტიორები უნდა დაეყრდნონ რეგისტრატორის, ობლიგაციონერების წარმომადგენლის და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ნომინალური მფლობელის პროცედურებს

კომპანია ობლიგაციებთან დაკავშირებულ გადასახდელებს გადაუხდის ობლიგაციონერებს და ობლიგაციების ნომინალურ მფლობელებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან რეგისტრატორის მიერ წარმოებულ რეესტრში (ობლიგაციების პირობებში განსაზღვრული თარიღისათვის). ობლიგაციებთან დაკავშირებული გადასახდელების მიღებისას ობლიგაციონერი უნდა დაეყრდნოს რეგისტრატორის და, შესაბამის შემთხვევებში, ნომინალური მფლობელის პროცედურებს. კომპანია არ კისრულობს არანაირ პასუხისმგებლობას ჩანაწერების სიზუსტეზე ან ობლიგაციების ბენეფიციარების მიერ თანხის მიღებაზე. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანგარიშსწორების დროს ემიტენტი პასუხისმგებლობას არ იღებს სხვა პირის მიერ დაშვებულ შეცდომაზე.

მომავალში ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან უარი ითქვას ობლიგაციების პირობების დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე

ობლიგაციების პირობები მოიცავს ობლიგაციონერების კრების მოწვევის წესებს, რათა განხილული იქნეს ის საკითხები, რომლებიც ზოგადად გავლენას ახდენს ობლიგაციონერების ინტერესებზე. აღნიშნული პირობები უშვებს განსაზღვრული უმრავლესობის მიერ დანარჩენი ობლიგაციონერებისთვის სავალდებულო გადაწყვეტილების მიღებას, იმ ობლიგაციონერების ჩათვლით, რომლებიც არ ესწრებოდნენ კრებას და რომლებმაც ხმა მისცეს უმრავლესობის წინააღმდეგ. (იხილეთ პროსპექტის თავის „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ ქვეპუნქტი 11. „ობლიგაციონერების კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა“)

ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი

არ არსებობს იმის გარანტია, რომ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება. არც იმის გარანტია არსებობს, რომ განვითარების შემთხვევაში ამგვარი ბაზარი შენარჩუნდება. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი არ განვითარდება ან არ შენარჩუნდება, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ბაზარზე ან სავაჭრო ფასსა და ლიკვიდურობაზე ბევრი ფაქტორის გამო, რომელთა გარკვეული ნაწილი შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი გაიყიდოს შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობებისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

მეორად ბაზარზე ლარში დენომინირებული ობლიგაციებით ვაჭრობის ტრანზაქციები საკმაოდ მწირია. 2017 წლიდან 2019 წლის 30 ივნისამდე, მეორად ბაზარზე ლარში დენომინირებული ობლიგაციებით ვაჭრობის სულ 4 გარიგება შესრულდა, 4 მილიონ ლარამდე ჯამური ღირებულებით.

შეთავაზების მიზნები და მოზიდული სახსრების გამოყენება

ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული წმინდა სახსრები გამოყენებული იქნება არსებული სესხის რეფინანსირებისთვის აღნიშნული ორი სცენარიდან ერთ-ერთის მიხედვით 2019 წლის 30 ნოემბრამდე:

სცენარი 1 : ქვემოთ აღნიშნული სესხის ნაწილობრივი რეფინანსირება; ლარი '000

გამსესხებელი	ვალუტა	კონტრაქტული თანხა	დარჩენილი თანხა	რეფინანსირების თანხა	ხელმოწერის თარიღი	სესხის ვადა	კონტრაქტული %	თავდაპირველი მიზნობრიობა	რეფინანსირების მიზნები
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)	ლარი	61,080	55,527	49,000	8-სექ-16	15-სექ-24	3 სადებოზიტო სერტიფიკატის განაკვეთს + 3.9% (მარჟა) + 0.69%	კაპიტალური დანახარჯები	მაღალ დანახარჯიანი სესხი

სცენარი 2 : ქვემოთ აღნიშნული არსებული სესხების რეფინანსირება; ლარი '000

გამსესხებელი	ვალუტა	კონტრაქტული თანხა	დარჩენილი თანხა	რეფინანსირების თანხა	ხელმოწერის თარიღი	სესხის ვადა	კონტრაქტული %	თავდაპირველი მიზნობრიობა	რეფინანსირების მიზნები
საქართველოს ბანკი ⁶	ლარი	3,500	3,500	3,500	6-მაისი-19	6-მაისი-20	რეფ. გან.7 +3.5%	საბრუნავი კაპიტალი	მაღალ დანახარჯიანი სესხი
თიბისი ბანკი ⁶	ლარი	5,000	5,000	5,000	12-ივლ-19	4-თებ-20	რეფ. გან.7+3.75%	საბრუნავი კაპიტალი	მაღალ დანახარჯიანი სესხი
საქართველოს ბანკი	ლარი	5,000	5,000	5,000	3-სექ-19	2-სექ-22	რეფ. გან.7+3.5%	რეფინანსირება	მაღალ დანახარჯიანი სესხი
საქართველოს ბანკი	ლარი	6,000	6,000	6,000	12-სექ-19	12-ნოვ-19	10%	რეფინანსირება	მოკლევადიანი სესხი
სასესხო ფასიანი ქაღალდები ⁸	ლარი	90,000	90,000	29,500	13-ივლ-17	14-ივლ-22	რეფ. გან.7 +3.5%	კაპიტალური დანახარჯები + რეფინანსირება	მაღალ დანახარჯიანი სესხი
ჯამი		109,500	109,500	49,000					

⁶ აღნიშნული სესხები არაამორტიზირებადია

⁷ საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთი

⁸ გამოსყიდული ობლიგაციები გაუქმდება.

სარეგისტრაციო დოკუმენტები

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები

- გიორგი მინდიაშვილი - სს „ევექსის ჰოსპიტლების“ დირექტორი
- გიორგი ლომინაძე - სს „ევექსის ჰოსპიტლების“ დირექტორის მოადგილე ფინანსებში

პასუხისმგებელი პირების განცხადებები

პასუხისმგებელი პირები აცხადებენ, რომ „რეგისტრაციის დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს მათთვის ცნობილ ყველა მნიშვნელოვან ფაქტს და არ არის გამოტოვებული იმგვარი ინფორმაცია, რასაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა წინამდებარე პროსპექტის შინაარსზე.“

ემიტენტის ფინანსური აუდიტორი

კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები (სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“-ს ფინანსური ანგარიშები) შეამოწმა დამოუკიდებელმა აუდიტორულმა ფირმამ EY LLC. საიდენტიფიკაციო ნომერი: 204441158. მისამართი: კოტე აფხაზის ქუჩა №44, თბილისი, საქართველო. ელექტრონული ფოსტა: : info@ge.ey.com

დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშები (სს „ევექსის ჰოსპიტლები“-ს ფინანსური ანგარიშები) შეამოწმა აუდიტორმა გიორგი ლეჟავამ. რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-173449. მისამართი: ონაშვილის ქუჩა №5/12, თბილისი, საქართველო.

ფინანსური აუდიტორები არ შეცვლილან წარმოდგენილი პერიოდების განმავლობაში.

მესამე მხარეები ან ექსპერტები

კომპანიის ძირითადი საშუალებები შეფასებულია შპს „ქართული საშემფასებლო კომპანიის“ მიერ. საიდენტიფიკაციო კოდი: 205187251. იურიდიული მისამართი: პეკინის ქუჩა №41, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თბილისი, საქართველო. „ქართული საშემფასებლო კომპანიის“ დირექტორი არის გიორგი ლეჟავა. შეფასება დაგეგმა და განახორციელა აუდიტორ-შემფასებელმა გიორგი ლეჟავამ (სერტიფიკატი Z#5/343, ლიცენზია Z#243, გაცემული უძრავი ქონების კავკასიური აკადემიის მიერ) და ბესიკ დიაკონიძემ (სერტიფიკატი Z#4/455, გაცემული საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ). შეფასება შესრულებულია საერთაშორისო საშემფასებლო სტანდარტების (IVS 2013) მოთხოვნების შესაბამისად.

ემიტენტის შესახებ

სს „ვეექსის ჰოსპიტლები“ (შემდგომში, *კომპანია ან ვექსის ჰოსპიტლები*) დაარსდა 2014 წელს, სს სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ „სამედიცინო კორპორაცია ვექსად“ რეორგანიზაციის (გაყოფის) შემდეგ და 2019 წლის აპრილში გაყოფის შედეგად (აღწერილია ქვემოთ) ჩამოყალიბდა როგორც სს „ვეექსის ჰოსპიტლები“.

2019 წელს კომპანიამ განაახლა ბიზნეს-სტრუქტურა, რომელიც მანამდე შედგებოდა პოლიკლინიკების ბიზნესისა და ჰოსპიტლების, მათ შორის რეგიონალური კლინიკებისა (Community Clinics) და რეფერალური ჰოსპიტლების ბიზნესისგან. ეს ორი მიმართულება, საერთო კონტროლის ქვეშეხარებოდა, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იმართებოდა. ახალი სტრუქტურის თანახმად, 2019 წლიდან ჯანდაცვის სერვისების ბიზნესი შემდეგ ორ სეგმენტად გაიყო: რეფერალური ჰოსპიტლები სს „ვეექსის ჰოსპიტლების“ დაქვემდებარებაში შევიდა და კლინიკები, რომლებიც მოიცავს პოლიკლინიკებსა და რეგიონალურ კლინიკებს, სს „ვეექსი კლინიკების“ დაქვემდებარებაში გადავიდა.

კომპანია არის „სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ წევრი. „სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის მშობელი კომპანია (აქციათა 57%-ის მფლობელი) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს კაპიტალი“.

კომპანიის იურიდიული მისამართი: დიდუბის რაიონი, დიდი დიღომი, გლდანის დამაკავშირებელი მაგისტრალი და ბელიაშვილის ქუჩა (ნაკვეთი 4/77)/აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №142, თბილისი, საქართველო.

„ვეექსის ჰოსპიტლების“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს რეფერალური ჰოსპიტლების ოპერირება. 2019 წლის ივნისის მდგომარეობით, კომპანია 18 რეფერალურ ჰოსპიტალს მართავს, რომელთაგან 6 თბილისში, ხოლო დანარჩენი 12 რეგიონის ძირითად ქალაქებში მდებარეობს. რეფერალური ჰოსპიტლები უზრუნველყოფენ კომპლექსური და სპეციალიზებული მომსახურების სრულ სპექტრს, მათ შორის მეორად და სპეციალიზებული დონის ამბულატორიულ და სტაციონარულ დიაგნოსტიკურ, ქირურგიულ და სამკურნალო სერვისებს.

კომპანიის საკრედიტო რეიტინგი

კომპანიას მინიჭებული აქვს საკრედიტო რეიტინგი Scope Ratings-ის მიერ, რომელიც არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული საკრედიტო რეიტინგების სააგენტო. კომპანიის კორპორატიული რეიტინგი არის BB სტაბილური პერსპექტივით. კომპანიამ ასევე 2019 წლის აგვისტოში აიღო საკრედიტო რეიტინგი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული მეორე რეიტინგის სააგენტოსგან - Fitch Ratings, გრძელვადიანი დეფოლტის რეიტინგით B+, რომელიც კომპანიამ მიღებისთანავე გააუქმა. კომპანიის კორპორატიული რეიტინგი არის BB/სტაბილური. კომპანიამ შესაძლოა დამატებით მოიპოვოს ისეთივე ან სხვა ფორმის რეიტინგი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული საკრედიტო რეიტინგების სააგენტოსგან. ქვემოთ მოცემულია საკრედიტო რეიტინგების სააგენტოების მიერ კომპანიის შეფასების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორები (წყარო: Scope Ratings და Fitch Ratings)

Scope Ratings – 2019 წლის ივლისი

რეიტინგის განმსაზღვრელი პოზიტიური ფაქტორები:

- ვექსის ჰოსპიტლები არის ლიდერი რეფერალური ჰოსპიტლების ბაზარზე;
- მაღალი საოპერაციო მარჟა კონკურენტებთან შედარებით;
- დიდი პოტენციალი დააგენერიროს თავისუფალი საოპერაციო ფულადი ნაკადები

რეიტინგის განმსაზღვრელი ნეგატიური ფაქტორები:

- დანაწევრებული, განვითარებადი ბაზარი, სადაც საავადმყოფოში ვიზიტების რაოდენობა შედარებით დაბალია;
- დივერსიფიკაციის დაბალი ნიშნული სხვა მულტინაციონალური ჯანდაცვის სერვისის პროვაიდერებთან შედარებით;
- უარყოფითი თავისუფალი ფულადი ნაკადები (2018 წელს 50 მლნ. ლარის კაპიტალური დანახარჯებიდან გამომდინარე);

Fitch Ratings – 2019 წლის აგვისტო (გაუქმებულია ობლიგაციების გამოშვების მომენტისათვის)

რეიტინგის განმსაზღვრელი პოზიტიური ფაქტორები:

- ევექსის ჰოსპიტლები არის ლიდერი რეფერალური ჰოსპიტლების ბაზარზე;
- სახელმწიფოზე დამოკიდებულება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან გამომდინარე;
- ზრდადი EBITDA-ს ტრენდი;
- დაგეგმილია კომპანიის სესხის შემცირება.
- მოსალოდნელია რომ კომპანია დაიწყებს დივიდენდის გაცემას 2020-იდან
- დაბალი უცხოური ვალუტის რისკები, რადგან კომპანია 74%-ით ლარში დენომინირებული სესხებითაა დაფინანსებული
- ევექსის ჰოსპიტლები დაკავშირებული კომპანიების ოპერაციებში ჩართული არ არის და მათგან „შემოღობილად“ იმართება.

რეიტინგის განმსაზღვრელი ნეგატიური ფაქტორები:

- საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამიდან გამომდინარე, ევექსი დიდწილად დამოკიდებულია სახელმწიფოზე.
- მოლოდინები ორ განახლებულ ჰოსპიტალში, 2018-2020 წლებში EBITDA მარჯებთან, CAPEX-თან, დატვირთულობის ზრდასთან დაკავშირებით, რომლებიც სრულად არ გამართლდა;
- სახელმწიფოზე დამოკიდებულება, რადგან ყოველთვის არის რისკი, რომ კომპანიისთვის არასასურველი რეფორმები გატარდეს ან ჯანდაცვაზე დანახარჯები შემცირდეს;
- ნებისმიერი უარყოფითი მოვლენა, რომელიც დაკავშირებული იქნება მშობელ „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფთან“, აისახება „ევექსის ჰოსპიტლებზე“.

მოვლენები, რომლებმაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად შეიძლება გამოიწვიონ დადებითი შეფასება:

- სტაბილური საოპერაციო გარემო და დამხმარე რეგულაციები, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ დატვირთულობის ზრდა განახლებულ ჰოსპიტლებში და არსებული ბიზნესის ზრდა ბიზნეს გეგმის შესაბამისად.
- EBITDA მარჯის ზრდა 28%-30% ფარგლებში (2018 : 27.9%)
- ოპერაციებიდან მიღებული სახსრებისა და მთლიანი სესხის ფარდობის შენარჩუნება 2.50-ზე ქვემოთ
- თავისუფალი ფულადი ნაკადები გაზდეს დადებითი და ასე შენარჩუნდეს.

მოვლენები, რომლებმაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად შეიძლება გამოიწვიონ უარყოფითი შეფასება:

- მთავრობის მიერ ჯანდაცვაზე დანახარჯების შემცირება ან რეგულაციები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიონ კომპანიაზე და შედეგად გამოიწვიონ შემოსავლების არასტაბილურობა ან მომგებიანობის და ფულადი ნაკადების შემცირება.
- თუ არ მოხდება კომპანიის დავალიანების (leverage) შემცირება და ოპერაციებიდან მიღებული სახსრებისა და მთლიანი სესხის ფარდობა 3.5-ზე მაღლა იქნება შენარჩუნებული, მაგალითად სუსტი საოპერაციო შედეგების ან უფრო აგრესიული ფინანსირების სტრატეგიის გამო.

- მატერიალური შესყიდვა (M&A) ევექს ჰოსპიტლების ან GHG-ს მიერ, ევექს ჰოსპიტლების სესხით ფინანსირებით.

კაპიტალიზაცია და დავალიანება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია „ვექსის ჰოსპიტლების“ კაპიტალიზაციის და დავალიანების სტრუქტურა შესაბამისი პერიოდების მიხედვით:

	30-ივნ-2019	30-ივნ-2019	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
(000' ლარი)	(არააუდირებული) ⁹	(არააუდირებული)	(აუდირებული)	(აუდირებული)
ვალდებულებები:				
სესხები	115,228	165,228	161,107	158,491
გამოშვებული ობლიგაციები	142,840	92,840	93,573	93,493
მთლიანი პროცენტული ვალდებულებები	258,068	258,068	254,680	251,984
კაპიტალი:				
სააქციო კაპიტალი	47,828	47,828	47,828	45,437
აქციის პრემია	249,373	249,373	248,173	230,313
სხვა რეზერვები	-8,215	-8,215	-8,215	-8,215
გაუნაწილებელი მოგება	125,251	125,251	113,558	93,102
კაპიტალი, სულ	414,237	414,237	401,344	360,637
კაპიტალიზაცია და დავალიანება, სულ	672,305	672,305	656,024	612,621

ქვემოთ ცხრილში ნაჩვენებია სესხები 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	30 ივნისი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სესხები უცხოური საფინანსო ინსტიტუტებისგან	160,752	156,449	151,701
სხვა სესხები	4,476	4,658	6,790
სესხები, სულ	165,228	161,107	158,491

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოური საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 9.52%-ს (2017 წელს: 9.06%), რომლის დაფარვის ვადა იყო 1,918 დღე (2017 წელს: 2,249 დღე). „სხვა სესხები“ ძირითადად შედგებოდა არასაკონტროლო წილის მფლობელებისგან

⁹ შესწორებულია ვარაუდის მიხედვით, რომ კომპანია გამოუშვებს 50მლნ ლარის ობლიგაციებს და მოახდენს არსებული ვალდებულებების ნაწილის რეფინანსირებას.

მიღებული სესხისგან. ზოგი სესხი მიღებულია გარკვეული პირობებით, როგორებიცაა მთლიანი დავალიანების საკუთარ კაპიტალთან ფარდობის სხვადასხვა ზღვრის დაცვა, კაპიტალდაბანდება, უძრავი ქონების მინიმალური მოცულობა და სხვა. 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი შესაბამისობაში იყო მსესხებლის ყველა ამ პირობასთან.

2017 წლის ივლისში კომპანიამ კერძო განთავსებით გამოუშვა 90 მილიონი ლარის ღირებულების ადგილობრივი ობლიგაციები დაფარვის ხუთწლიანი ვადით. ობლიგაციები გამოშვებული იქნა ნომინალური ღირებულებით კუპონის წლიური 10.5% განაკვეთით, რაც უდრის საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთს პლუს 350 საბაზისო პუნქტი. მიღებული შემოსავალი მოხმარდა სესხების რეფინანსირებას ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან, რომლებიც დაფინანსების შედარებით ძვირ წყაროს წარმოადგენენ, და ასევე, მიმდინარე კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებას. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი გადასახდელი სესხი იყო 93,573 ლარი (2017 წელს: 93,493 ლარი).

მსესხებლის დასახელება	ვალუტა	დარჩენილი ვადა	ძირი	დარიცხული პროცენტი
ობლიგაციები	ლარი	1-3 წელი	90,000,000	2,019,452
საქართველოს ბანკის სესხი (საკრედიტო ხაზი)	ლარი	<1 წელი	3,500,000	17,308
თიბისი ბანკის სესხი	ლარი	1-3 წელი	1,784,314	13,333
თიბისი ბანკის სესხი	ლარი	1-3 წელი	316,516	1,284
თიბისი ბანკის სესხი	ლარი	1-3 წელი	425,025	1,724
თიბისი ბანკის სესხი (საკრედიტო ხაზი)	ლარი	<1 წელი	1,000,000	9,699
თიბისი ბანკის სესხი (საკრედიტო ხაზი)	ლარი	<1 წელი	585,317	4,699
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	ლარი	1-3 წელი	13,408,000	609,079
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	ლარი	>3 წელი	10,000,000	139,259
ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობისა და განვითარების საზოგადოება (PROPARCO)	აშშდ (ექვივალენტი ლარში)	>3 წელი	61,566,666	1,855,142
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)	ლარი	>3 წელი	55,527,273	274,963
სესხები მინორიტარებსიგან	ევრო(ექვივალენტი ლარში)	>3 წელი	3,228,600	1,597,494
სესხები მინორიტარებსიგან	ლარი	>3 წელი	1,209,858	621,126
თიბისი ბანკის სესხი	ლარი	<1 წელი	5,000,000	37,911
საქართველოს ბანკის სესხი	ლარი	1-3 წელი	5,000,000	37,671
საქართველოს ბანკის სესხი	ლარი	<1 წელი	6,000,000	27,945
სულ პროცენტია ვალდებულებები (ლარი)			258,551,569	7,268,089

30 ივნისიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიამ დამატებით აიღო სესხი 11,000,000 ლარი და საკრედიტო ხაზი 1,500,000 ლარი საქართველოს ბანკისგან. ხოლო თიბისი ბანკისგან - სესხი 5,000,000 ლარი. ამავე პერიოდში კომპანიამ დაფარა IFC-ის სესხი 5,552,728 ლარის ოდენობით და PROPARCO-ს სესხი 2,083,333 ლარის ოდენობით. 2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით კომპანიის ათვისებული სასესხო ვალდებულებების ჩაშლა შემდეგნაირია:

2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით კომპანიის სესხები ვალუტებისა და სესხის გადახდის ტიპის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვალუტა/სესხი ტიპი	ბულეტი	ნაწილობრივ ამორტიზირებადი	ამორტიზირებადი	სულ
ლარი	100,085,317	0	93,670,986	193,756,303
აშშდ (ექვივალენტი ლარში)	0	0	61,566,666	61,566,666
ევრო (ექვივალენტი ლარში)	0	0	3,228,600	3,228,600
სულ	100,085,317	0	158,466,252	258,551,569

კომპანიის სესხები ვალუტებისა და სესხის გადახდის პერიოდების (წელი) მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვალუტა/ვადა	0-1	1-3	3+	ჯამი
ლარი	16,085,317	110,933,855	66,737,131	193,756,303
აშშდ (ექვივალენტი ლარში)	0	0	61,566,666	61,566,666
ევრო (ექვივალენტი ლარში)	0	0	3,228,600	3,228,600
სულ	16,085,317	110,933,855	131,532,397	258,551,569

სესხების საპროცენტო განაკვეთები ვალუტებისა და საკონტრაქტო ვადიანობის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

სესხის ვალუტა	საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი
მოკლევადიანი ლარი	10%-12%
გრძელვადიანი ლარი	10.75%-12.1%
გრძელვადიანი აშშ დოლარი	5.1%
გრძელვადიანი ევრო	12%

ფინანსურ ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთები სხვადასხვა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

	30-09-19	30-06-19	31-12-18
ლარი	11.23%	10.5%	10.9%
აშშდ	5.1%	6.2%	5.3%
ევრო	12.0%	12.0%	12.0%

ძირითადი საქმიანობა

„ვეექსის ჰოსპიტლების“ ძირითადი საქმიანობაა რეფერალური ჰოსპიტლების ოპერირება. რეფერალური ჰოსპიტლები მდებარეობენ თბილისსა და რეგიონების მთავარ ქალაქებში და ისინი უზრუნველყოფენ მეორადი და სპეციალიზებული დონის ამბულატორიულ და სტაციონარული დიაგნოსტიკურ, ქირურგიულ და სამკურნალო სერვისებს. 2019 წლის ივნისის მდგომარეობით, კომპანია 18 რეფერალურ ჰოსპიტალს ამუშავებს, რომელთაგან 6 თბილისში, ხოლო დანარჩენი 12 რეგიონების დიდ ქალაქებში მდებარეობს. კომპანიის საბაზრო წილი შეადგენს 21%-ს საწოლების მიხედვით (2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიას აქვს 2,967 საწოლი) და მას აქვს ყველაზე ფართო გეოგრაფიული დაფარვა ანალოგიური სერვისის მიმწოდებლებს შორის. ჰოსპიტლების საწოლების შესწორებული მაჩვენებელი¹⁰ 65.6% იყო 2019 წლის 1 ნახევარში (63.1% 2018 წლის 1 ნახევარში). ჰოსპიტლებში დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობა¹¹ იყო 5.4 დღე 2019 წლის 1 ნახევარში (5.5. დღე 2018 წლის 1 ნახევარში).

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის 18 რეფერალური ჰოსპიტალის ჩამონათვალი:

N	რეგიონი	ქალაქი	დასახელება	შემენის/შემენბ ლობის წელი	საკუთრება %
1	სამცხე	ახალქალაქი	ახალქალაქის რეფერალური ჰოსპიტალი	2012	100%
2	სამცხე	ახალციხე	ახალციხის სამედიცინო ცენტრი	2012	100%
3	აჭარა	ბათუმი	ბათუმის დედათა და ბავშვთა სამედიცინო ცენტრი	2014	100%
4	აჭარა	ბათუმი	ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი	2013	100%
5	შიდა ქართლი	ხაშური	ხაშურის რეფერალური ჰოსპიტალი	2017	100%
6	აჭარა	ქობულეთი	ქობულეთის რეფერალური ჰოსპიტალი	2012	100%
7	იმერეთი	ქუთაისი	აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი (ქუთაისის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების რეფერალური ჰოსპიტალი)	2011	67%
8	იმერეთი	ქუთაისი	ქუთაისის რეფერალური ჰოსპიტალი	2010	100%
9	სამეგრელო	ფოთი	ფოთის რეფერალური ჰოსპიტალი	2011	100%
10	თბილისი	თბილისი	კარაპს მედლაინი	2013	100%
11	თბილისი	თბილისი	ბავშვთა ახალი კლინიკა	2014	100%
12	თბილისი	თბილისი	მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა	2015	50%
13	თბილისი	თბილისი	მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური სავადმყოფო	2014	100%
14	თბილისი	თბილისი	კავკასიის მედიცინის ცენტრი (წინამორბედი სახელწოდებით -	2015	99.8%

¹⁰ შესწორებულია, რომ გამოირიცხოს ახლად გახსნილი თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი და კავკასიის მედიცინის ცენტრი; გაანგარიშება ასევე არ მოიცავს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საწოლებს; გაანგარიშებულია სტაციონარში გატარებული დღეების მთლიანი რაოდენობის გაყოფით წლის განმავლობაში ხელმისაწვდომი საწოლ-დღეების რაოდენობაზე (დღეების რაოდენობა გამრავლებული საწოლების რაოდენობაზე, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საწოლების გამოკლებით).

¹¹ გაანგარიშება არ მოიცავს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საწოლებს; გაანგარიშებულია სტაციონარში გატარებული დღეების რაოდენობის გაყოფით პაციენტების რაოდენობაზე. ეს გაანგარიშება არ მოიცავს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილების მონაცემებს.

			„რეგიონული ჰოსპიტალი“, მანამდე კი - სახელწოდებით - დეკას რეფერალური ჰოსპიტალი)		
15	თბილისი	თბილისი	თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი	2014	100%
16	თბილისი	თბილისი	ტრავმატოლოგიური ჰოსპიტალი	2014	100%
17	კახეთი	თელავი	თელავის რეფერალური ჰოსპიტალი	2013	100%
18	სამეგრელო	ზუგდიდი	ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი	2011	100%

ახალქალაქის რეფერალური ჰოსპიტალი (1)

ახალქალაქის რეფერალური ჰოსპიტალი პაციენტებს სთავაზობს ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების ფართო სპექტრს. ჰოსპიტალი უზრუნველყოფს ლაბორატორიული სერვისების სრული სპექტრის მიწოდებას, მათ შორის პირველადი დიაგნოსტიკისა (რენტგენი, ულტრასონოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია).

ჰოსპიტალი აწარმოებს პაციენტების სადღეღამისო გადაუდებელ მიღებას და უზრუნველყოფს სტაციონარულ სერვისებს, როგორებიცაა: ზოგადი რეანიმაცია, ბავშვთა ქირურგია, ზოგადი ქირურგია, ტრავმატოლოგია-ორთოპედია, მეანობა, ნეონატოლოგია, ნევროლოგია, კარდიოლოგია, პულმონოლოგია, გინეკოლოგია, ოფთალმოლოგია.

კომპანიამ ახალქალაქის ჰოსპიტალი 2012 წელს შეისყიდა, რომელიც თავდაპირველად რეგიონალურ (community) კლინიკად კლასიფიცირდებოდა და საავადმყოფოს ზრდიდან გამოდინარე, 2019 წლისთვის რეფერალური ჰოსპიტალის სტატუსი მიენიჭა.

ახალციხის სამედიცინო ცენტრი (2)

ახალციხის სამედიცინო ცენტრი მდებარეობს სამცხეში (სომხეთთან მოსაზღვრე საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონი). მისი რეკონსტრუქცია დასრულდა 2016 წელს და ის ადგილობრივ მოსახლეობას მრავალპროფილურ მომსახურებას სთავაზობს. ჰოსპიტალი არის რეფერალური ცენტრი ნინოწმინდის, ადიგენისა და ახალქალაქის ჰოსპიტლებისთვის. ახალციხის სამედიცინო ცენტრი ცოტა ხნის წინ განახლდა და აღიჭურვა ახალი სამედიცინო აპარატურით.

„ევექსის ჰოსპიტლებმა“ ახალციხის სამედიცინო ცენტრი 2012 წელს შეიძინა.

ბათუმის დედათა და ბავშვთა სამედიცინო ცენტრი (3)

ბათუმის დედათა და ბავშვთა სამედიცინო ცენტრი ნეონატალური და პედიატრიული სერვისების ერთ-ერთი წამყვანი პროვაიდერია აჭარის რეგიონში. ის ასევე უზრუნველყოფს მეან-გინეკოლოგიურ მომსახურებას. სამშობიარო სახლთან ერთად ის ნეონატალურ და პედიატრიულ პაციენტებს სამკურნალო და გეგმური სამედიცინო სერვისების სრულ სპექტრს სთავაზობს. როგორც John Snow International-ის პროექტის მონაწილე, ეს ჰოსპიტალი აღიარებული იქნა ეფექტური პერინატალური მომსახურების პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის. ის არის რეფერალური ცენტრი კომპანიის რეგიონალური (community) ჰოსპიტლებისთვის, რომლებიც მდებარეობს ქობულეთში, ქედაში, შუახევსა და ხულოში.

კომპანიამ დაწესებულება 2014 წლის თებერვალში შეიძინა.

ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი (4)

ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი გაიხსნა 2013 წლის თებერვალში და წარმოადგენს მრავალპროფილურ რეგიონულ რეფერალურ ჰოსპიტალს, რომელიც ემსახურება აჭარის მოსახლეობას (რეგიონი შავ ზღვასთან). ის არის რეფერალური ცენტრი კომპანიის რეგიონალური (community) ჰოსპიტლებისთვის, რომლებიც მდებარეობენ ქობულეთში, ქედაში, შუახევსა და ხულოში. ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი ასევე მეორადი რეფერალური ცენტრია პაციენტებისთვის დასავლეთ საქართველოდან - გურიის რეგიონიდან, რომლის მოსახლეობაც დაახლოებით 139,000 ადამიანს შეადგენს. ჰოსპიტალში დასაქმებული არიან რეგიონის წამყვანი ექიმები და ის კარგი რეპუტაციით სარგებლობს, რაც 2014 წლის დეკემბერში ჰოსპიტალში ჩატარებულმა ღვიძლის გადანერგვის პირველმა ოპერაციამ კიდევ უფრო გაამყარა. „ევექსის ჰოსპიტლები“ რეპუტაციის გამყარებას ცდილობს პაციენტის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებით, რაც პროცესების სტანდარტიზაციითა და შეთავაზებული მომსახურების გაუმჯობესების მეშვეობით მიიღწევა. ჰოსპიტალს აქვს გადაუდებელი დახმარების განყოფილება, უზრუნველყოფს პირველადი და მეორადი დონის ამბულატორიულ და სტაციონარულ სერვისებს და პაციენტებს მიმართავს თბილისის კლინიკებში.

კომპანიამ ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი 2012 წელს ააშენა.

ხაშურის რეფერალური ჰოსპიტალი (5)

ხაშურის რეფერალური ჰოსპიტალი ადგილობრივ მოსახლეობას მრავალპროფილურ სერვისებს სთავაზობს და მეზობელი ქალაქებისთვის წარმოადგენს რეფერალური ცენტრს. ჰოსპიტალი მდებარეობს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ ახალ საავტომობილო მაგისტრალთან. ხელსაყრელი მდებარეობა ცენტრალურ მაგისტრალზე მოძრავი მოსახლეობის მოზიდვის შესაძლებლობას იძლევა. კომპანიამ 2017 წლის ივლისში ხაშურის რეფერალური ჰოსპიტალი ჯანდაცვის ბიზნესის დაფარვის გაფართოების მიზნით შეიძინა.

ქობულეთის რეფერალური ჰოსპიტალი (6)

ქობულეთის რეფერალური ჰოსპიტალი უზრუნველყოფს ამბულატორიული და სტაციონარული სერვისების ფართო სპექტრის მიწოდებას. ჰოსპიტალი პაციენტებს სთავაზობს რიგ დიაგნოსტიკურ სერვისებს, მათ შორის პირველადი დიაგნოსტიკის (რადიოგრაფია, ულტრასონოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია) და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სერვისებს. ჰოსპიტალი აწარმოებს პაციენტების სადღეღამისო გადაუდებელ მიღებას და უზრუნველყოფს სტაციონარულ სერვისებს, როგორებიცაა რეანიმაცია, ზოგადი ქირურგია, გადაუდებელი ნეიროქირურგია, ტრავმატოლოგია-ორთოპედია, მეანობა, ნეონატოლოგია, ნევროლოგია, კარდიოლოგია, გასტროენტეროლოგია, ნეფროლოგია, პულმონოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, ენდოკრინული ქირურგია, გინეკოლოგია, უროლოგია, პროქტოლოგია. კომპანიამ ქობულეთის რეფერალური ჰოსპიტალი 2012 წელს შეიძინა და თანდათანობით ახალი სერვისების დამატების შედეგად რეგიონალური კლინიკიდან (community clinic) რეფერალურ ჰოსპიტალად გარდაქმნა.

აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი (ქუთაისის რეგიონალური რეფერალური ჰოსპიტალი) (7)

ქუთაისის რეგიონული რეფერალური ჰოსპიტალი, რომელიც მდებარეობს ქუთაისში, საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქში, გაიხსნა 2007 წელს. ის არის კომპანიის წამყვანი ჰოსპიტალი დასავლეთ საქართველოში. გარდა იმისა, რომ ჰოსპიტალი თავდაპირველად მომსახურებას უწევს ქუთაისს, ის ასევე არის ერთ-ერთი მთავარი სპეციალიზებული და მაღალსპეციალიზირებული სამედიცინო სერვისების რეფერალური ცენტრი დასავლეთ

საქართველოს ყველა რეგიონისთვის. ჰოსპიტალი ასევე წარმოადგენს თერჯოლაში, ტყიბულში, წყალტუბოსა და ხონში მდებარე რეგიონალური კლინიკების (community clinics) რეფერალურ ცენტრს. ქვეყნის ამ რეგიონში, ჰოსპიტალი პაციენტებს სთავაზობს სამედიცინო მომსახურების ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ პორტფელს, მათ შორის, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო და ქირურგიული სპეციალობების სრულ სპექტრსა და ნებისმიერი ასაკის პაციენტებისთვის სადღეღამისო გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას; ჰოსპიტალი კარგი რეპუტაციით სარგებლობს ანგიოლოგიის, უროლოგიის, გინეკოლოგიის და დიაგნოსტიკის სფეროებში (პაციენტებისა და ექიმების უკუკავშირის, მათ შორის კომპანიის საინფორმაციო სამსახურის მიერ ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვების მიხედვით) ინტენსიური თერაპიის, კარდიოლოგიის (ინტერვენციული და კარდიოქირურგია).

ის უზრუნველყოფს ყველაზე ფართო სპექტრის მეორად და მაღალსპეციალიზებულ ნეონატალურ და პედიატრიულ სამედიცინო მომსახურებას რეგიონში. გარდა ამისა, ჰოსპიტალს აქვს დიალიზის, მამოგრაფიის და ჰისტოპათოლოგიის განყოფილებები და სისხლის ბანკი. ის იყო პირველი სამედიცინო დაწესებულება, რომელმაც დაწერა ჰიპოთერმიის სერვისი დასავლეთ საქართველოში და პირველი დაწესებულება, რომელმაც დიაგნოსტიკის, ინტერვენციული კარდიოლოგიური სერვისებისა და კარდიოქირურგიული სერვისებისთვის დაწერა კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია. ჰოსპიტალში ასევე მდებარეობს იმერეთის რეფერალური ლაბორატორია, რომელიც იმერეთის რეგიონში, კომპანიის ყველა სხვა სამედიცინო დაწესებულებას ემსახურება. ლაბორატორიამ მოიპოვა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ISO 9001:2008 აკრედიტაცია, რომელიც 2014 წლის იანვარში მიენიჭა.

ემიტენტმა ეს ჰოსპიტალი 2011 წელს ააშენა. იმავე ადგილას, 2015 წლის ივნისში, გაიხსნა დასავლეთ საქართველოს ონკოლოგიის ცენტრი.

ქუთაისის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების რეფერალური ჰოსპიტალი (8)

ქუთაისის რეფერალური ჰოსპიტალი ქუთაისის ცენტრში მდებარეობს და 2012 წლიდან ფუნქციონირებს. ის კომპანიის კიდევ ერთი წამყვანი დაწესებულებაა იმერეთში, რადგან რეგიონის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე პაციენტების დიდ რაოდენობას იზიდავს. ის ასევე წარმოადგენს თერჯოლაში, ტყიბულში, წყალტუბოსა და ხონში მდებარე რეგიონალური ჰოსპიტალების (community clinics) რეფერალური ცენტრს. ჰოსპიტალი უზრუნველყოფს რეგიონში საუკეთესო გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას და ფლობს ძლიერ რეპუტაციას პაციენტებში. სახელმწიფო სასწრაფო დახმარების სერვისს იმერეთის რეგიონის გადაუდებელი დახმარების საჭიროების მქონე პაციენტთა უმრავლესობა სწორედ ამ ჰოსპიტალში მიჰყავს. შესაბამისად, სერვისები ორიენტირებულია გადაუდებელი დახმარების განყოფილებაზე, ქირურგიული განყოფილებაზე (ზოგადი ქირურგიის და რამდენიმე სპეციალიზებული ქირურგიის მიმართულებებით), ინტენსიური თერაპიის განყოფილებაზე, კონსერვატიული თერაპიის განყოფილებაზე (მომსახურება რადიკალური სამედიცინო თერაპიული ზომების ან საოპერაციო პროცედურების თავიდან ასაცილებლად), მათ შორის ინსულტის ბლოკი, ოფთალმოლოგიის, კარდიოლოგიის, დამხმარე ლაბორატორიისა და სამედიცინო რადიოლოგიის დიაგნოსტიკური სერვისებიზე. ემიტენტმა ქუთაისის რეფერალური ჰოსპიტალი ააშენა საბჭოთა პერიოდის იმერეთის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების რეგიონული საავადმყოფოს ჩასანაცვლებლად, რომელმაც ფუნქციონირება 2012 წლის გაზაფხულზე ახალი სამედიცინო დაწესებულების გახსნისთანავე შეწყვიტა.

ფოთის რეფერალური ჰოსპიტალი (9)

ფოთის რეფერალური ჰოსპიტალი უზრუნველყოფს ამბულატორიული და სტაციონარული სერვისების ფართო სპექტრს. ჰოსპიტალი პაციენტებს სთავაზობს პირველად ამბულატორიულ სამედიცინო სერვისებს. ჰოსპიტალი, ასევე, უზრუნველყოფს დიაგნოსტიკური სერვისების ფართო სპექტრს, მათ შორის პირველად დიაგნოსტიკას (რადიოგრაფია, ულტრასონოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, ენდოსკოპია). ჰოსპიტალი აწარმოებს პაციენტების სადღეღამისო გადაუდებელ სტაციონარულ მიღებას და უზრუნველყოფს სტაციონარულ სერვისებს, როგორებიცაა ზოგადი რეანიმაცია, ზოგადი ქირურგია, ტრავმატოლოგია-ორთოპედია, ნევროლოგია, კარდიოლოგია, გასტროენტეროლოგია, ინფექციური დაავადებების მკურნალობა, პულმონოლოგია, ოფტალმოლოგია, გინეკოლოგია.

კომპანიამ ფოთის ჰოსპიტალი 2011 წელს შეიძინა და ზრდისა და ახალი სერვისების დამატების ხარჯზე, 2019 წლიდან მას რეფერალური ჰოსპიტლის კლასიფიკაცია მიანიჭა.

კარაპს მედლაინი (10)

„კარაპს მედლაინი“ წამყვანი სპეციალიზებული ჰოსპიტალია, რომელიც 1998 წელს კერძო ინვესტორმა დააფუძნა თბილისში და მის ამჟამინდელ ადგილმდებარეობაზე 2012 წელს გადავიდა. ჰოსპიტლის მთავარი მიმართულებებია პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგია, ონკოლოგიური ქირურგია ანგიოლოგია, გინეკოლოგია, ოფტალმოლოგია, ორთოპედია და სამედიცინო რადიოლოგია. 2016 წელს კომპანიამ „კარაპს მედლაინში“ ინ ვიტრო განაყოფიერების სერვისი დაწერა. ინ ვიტრო განაყოფიერება საქართველოში განუვითარებელი დარგია და პაციენტებს, ჩვეულებრივ, ამ მომსახურების მისაღებად უცხოეთში გამგზავრება უწევთ. „ევექსის ჰოსპიტლების“ მიზანია იმ პაციენტების მომსახურება, რომლებიც ამჟამად ინ ვიტრო განაყოფიერების სერვისისთვის უცხოეთში მიემგზავრებიან.

„კარაპს მედლაინი“ კომპანიამ 2013 წელს შეიძინა.

ბავშვთა ახალი კლინიკა (11)

ბავშვთა ახალი კლინიკა 2011 წელს თბილისში გაიხსნა, როგორც იაშვილის სახელობის პედიატრიული სპეციალიზებული რეფერალური ჰოსპიტლის დამატებითი რგოლი, რათა ნეონატალური და პედიატრიული პაციენტების მზარდი ნაკადი მოეზიდა თბილისში. ის ახლა ფუნქციონირებს როგორც გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრი ბავშვებისთვის და პაციენტებს სთავაზობს კონსერვატიული და ქირურგიული სერვისების სრულ სპექტრს. ბავშვთა ახალი კლინიკა ასევე ამბულატორიულ და სტაციონარულ მომსახურებას უწევს დიაბეტიტ დაავადებულ და იშვიათი გენეტიკური დაავადებების მქონე ბავშვებს. კომპანიამ ჰოსპიტალი 2014 წლის თებერვალში შეიძინა.

მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა (12)

მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა („HTMC“) ცნობილი რეფერალური ჰოსპიტალია თბილისში. ის უზრუნველყოფს ამბულატორიული და სტაციონარული სერვისების ფართო სპექტრს, მათ შორის ონკოლოგიურ რადიოთერაპიას. ჰოსპიტლის სტაციონარული სერვისები მოიცავენ დიაგნოსტიკას და ინტერვენციულ რადიოლოგიას, რადიაციულ თერაპიას, ენდოვასკულარულ ქირურგიას, კარდიოქირურგიას, ნეიროქირურგიას, დიალიზს, ტრავმატოლოგიასა და ორთოპედიულ ქირურგიას. ყოვლისმომცველი ქირურგიული მომსახურების გარდა, ჰოსპიტალში ფუნქციონირებს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება, რომელიც გადაუდებელი დახმარების საჭიროების მქონე პაციენტებს ემსახურება. მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, არის ერთ-ერთი მთავარი რეფერალური ჰოსპიტალი კახეთის რეგიონისთვის, აღმოსავლეთ საქართველოში.

ემიტენტმა მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა 2015 წლის აგვისტოში შეიძინა.

მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო (13)

მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო (იაშვილის საავადმყოფო) კომპანიის ნეონატალური და პედიატრიული სერვისების წამყვანი პროვაიდერია და პაციენტებს საქართველოში ასეთი სერვისების ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ პორტფელს სთავაზობს. საქართველოში, ჰოსპიტლის ნეონატალური და პედიატრიული სერვისები პაციენტებსა და ექიმებს შორის მყარი რეპუტაციით სარგებლობს, რაც დასტურდება სხვა სამედიცინო დაწესებულებებიდან მიმმართველიანობის რაოდენობითა და საწოლთა დატვირთულობის მაჩვენებლით. 2011 წელს, ჰოსპიტალი ნაწილობრივ გარემონტდა და აღიჭურვა ახალი სამედიცინო აპარატურით.

ჰოსპიტალი პირველ რიგში, ემსახურება თბილისის მოსახლეობას, თუმცა ასევე არის ერთ-ერთი მთავარი სპეციალიზირებული და მაღალ-სპეციალიზებული ნეონატალური და პედიატრიული ჯანდაცვის სერვისების რეფერალური ჰოსპიტალი.

ჰოსპიტალი ამბულატორიულ და სტაციონარულ პაციენტებს სთავაზობს სამედიცინო და ქირურგიული სერვისების სრულ სპექტრს და ასევე სადღეღამისო გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას. მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო ორიენტირებულია არსებული სერვისების გაფართოებასა და დამატებითი კომპლექსური მეორადი და მაღალსპეციალიზებული ნეონატალური და პედიატრიული სერვისების განვითარებაზე. 2015 წელს კომპანიამ გახსნა ნეონატალური და პედიატრიული კარდიოქირურგიის განყოფილება, გააფართოვა არსებული ნეონატალური და პედიატრიული ნეიროქირურგიის განყოფილება როგორც ფიზიკურად, ასევე ადამიანური რესურსებით, დააბანდა ინვესტიცია არსებულ აღჭურვილობაში და დაიქირავა დამატებითი ექიმები.

ემიტენტმა მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო 2014 წლის თებერვალში შეიძინა.

კავკასიის მედიცინის ცენტრი („დეკა“ რეფერალური ჰოსპიტალი) (14)

რეფერალური ჰოსპიტალი („დეკა“), რომელიც ქვეყანაში ძლიერი ისტორიული რეპუტაციით სარგებლობს, მდებარეობს თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. „დეკის ჰოსპიტლებმა“ ამ საბჭოთა ეპოქის დროინდელი მოუწყობელი საავადმყოფოს ძირეული რეკონსტრუქცია 2016 წლის იანვარში დაიწყო. 2016 წლის სექტემბერში, კომპანიამ „დეკაში“ პირველი განყოფილება გახსნა, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ამბულატორიული და დიაგნოსტიკური ცენტრია. ჰოსპიტლის სრული რეკონსტრუქცია 2018 წლის თებერვალში დასრულდა და მასში ამჟამად სულ 306 საწოლია. ჰოსპიტალი კომპანიის ერთ-ერთი წამყვანი დაწესებულებაა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით მაღალი ხარისხის გეგმიურ სამედიცინო მომსახურების საავადმყოფოს წარმოადგენს. ჰოსპიტალი პაციენტებს სთავაზობს სრულმასშტაბიან სერვისებს ზოგად და ონკოლოგიურ ქირურგიაში, ონკოლოგიაში (ქიმიოთერაპიის ჩათვლით), კარდიო-ვასკულარულ ქირურგიასა და ორთოპედიულ ქირურგიაში. ასევე, ჰოსპიტალი პაციენტებს შესთავაზებს სარეაბილიტაციო მომსახურებასა და მთელ რიგ დღიური ზრუნვის სერვისებს.

თბილისში გაფართოების გასაგრძელებლად და გამოუყენებელი საავადმყოფოს განვითარების მიზნით კომპანიამ დეკა 2015 წლის ივნისში შეიძინა.

თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი (15)

საბჭოთა დროის, ამორტიზებული თბილისის რეფერალური ჰოსპიტლის ("Sunstone") რეკონსტრუქცია „ვექსი ჰოსპიტლებმა“ 2016 წლის იანვარში დაიწყო. 2017 წლის აპრილში, დაგეგმილზე ორი თვით ადრე, თბილისის რეფერალური ჰოსპიტლის რეკონსტრუქციის პირველი ფაზა დასრულდა და საავადმყოფო 220 საწოლით ნაწილობრივ გაიხსნა. 2017 წლის დეკემბერში, სრული რეკონსტრუქციის შემდეგ, ჰოსპიტალი 332 საწოლით გაიხსნა. რეფერალური ჰოსპიტალი თბილისის აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობას ემსახურება და აღმოსავლეთ საქართველოს რეფერალურ ცენტრად მოიაზრება. გადაუდებელი და გეგმური პედიატრიულ და მოზრდილთა სერვისების გარდა, ჰოსპიტალი 2019 წლიდან ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს როგორც მაღალი ხარისხის ღვიძლის და თირკმლის გადანერგვის ცენტრი.

კომპანიამ თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი 2014 წელს შეიძინა. შეძენის მიზანი იყო საბჭოთა დროინდელი მოძველებული საავადმყოფოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გაუმჯობესება და თბილისის აღმოსავლეთ ნაწილის მოსახლეობის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა.

ტრავმატოლოგიური ჰოსპიტალი (16)

ტრავმატოლოგიური ჰოსპიტალი ძირითადად ფოკუსირებულია ზრდასრული პაციენტების გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებაზე. ჰოსპიტალი წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით, ტრავმული დაზიანებების პაციენტებისთვის, მესამე დონის სპეციალიზებული ჯანდაცვის დაწესებულებას და უზრუნველყოფს მაღალტექნოლოგიურ, დახვეწილ სერვისებს ტრავმულ ქირურგიაში, ანგიოქირურგიაში, ნეიროქირურგიისა და გადაუდებელ სამედიცინო დახმარების მიმართულებებში. ასევე, თბილისის ტრავმატოლოგიური ჰოსპიტალი პაციენტებს სთავაზობს ორთოპედიული და რეკონსტრუქციული ქირურგიის სერვისების ფართო სპექტრს.

„ვექსი ჰოსპიტლებმა“ ტრავმატოლოგიური ჰოსპიტალი 2014 წლის სექტემბერში შეიძინა.

თელავის რეფერალური ჰოსპიტალი (17)

თელავის რეფერალური ჰოსპიტალი, რომელიც მრავალპროფილურ სამედიცინო მომსახურებას სთავაზობს ადგილობრივ მოსახლეობას, მდებარეობს აღმოსავლეთი საქართველოს ნაწილში, კერძოდ კახეთის რეგიონში. ჰოსპიტალი არის რეფერალური ცენტრი ახმეტისა და ყვარლის რეგიონალური კლინიკებისთვის (community clinics). გადაუდებელი და გეგმური ქირურგიის სერვისების გარდა, ჰოსპიტლის ადგილობრივი გუნდი პაციენტებს სთავაზობს გასტროენტეროლოგიურ და ტრავმატოლოგიურ ოპერაციებს. ჰოსპიტალში ასევე გახსნილია ნეიროინტენსიური ბლოკი, რომელიც ცერებროვასკულარული დაავადებების მქონე პაციენტებს მოწინავე ტექნოლოგიებსა და მაღალხარისხიან სერვისებს სთავაზობს.

აღმოსავლეთ საქართველოში ბიზნესის გაფართოების სტრატეგიის ფარგლებში, 2012 წელს კომპანიამ თელავის რეფერალური ჰოსპიტალი ააშენა.

ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი (18)

ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი მდებარეობს აფხაზეთის მოსაზღვრე სამეგრელოს რეგიონის მთავარ ქალაქში, დასავლეთ საქართველოში, და ფუნქციონირებს საბჭოთა დროიდან. ჰოსპიტალი სამეგრელოს ერთ-ერთი უდიდესი სამედიცინო დაწესებულებაა რეგიონის პაციენტების მთელ ნაკდას ემსახურება.

ჰოსპიტალი წარმოადგენს აბაშის, ხობის, მარტვილის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და ფოთის რეგიონალური კლინიკების (community clinics) რეფერალურ ცენტრს. გარდა სამეგრელოს რეგიონისა, ჰოსპიტალი ასევე ემსახურება პაციენტებს აფხაზეთიდან. ჰოსპიტალი პაციენტებს სთავაზობს პირველადი და მეორადი დონეების ამბულატორიულ და სტაციონარულ სამედიცინო და ქირურგიულ სერვისების ფართო სპექტრს, რომელიც ასევე მოიცავს სადღეღამისო გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას, სპეციალიზირებული სამედიცინო დახმარების ჩათვლით. სპეციალიზირებული და მაღალსპეციალიზირებული სამედიცინო სერვისებისთვის პაციენტებს აგზავნიან ქუთაისის რეფერალურ საავადმყოფოში ან თბილისში მდებარე კომპანიის რომელიმე სამედიცინო დაწესებულებაში. ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტლის ზრდის განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავს ამ დაწესებულების როგორც სამეგრელოში ერთადერთი წამყვანი ჯანდაცვის სპეციალიზირებული (მეორადი) დონის ჰოსპიტლის პოზიციონირებას.

„ვექსის ჰოსპიტლებმა“ ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი 2011 წელს შეიძინა.

შეძენის შემდგომ, სამედიცინო დაწესებულების რეგიონალური კლასტერის შესაქმნელად, კომპანიამ ჰოსპიტალი რეგიონალურ რეფერალურ ჰოსპიტლად განავითარა.


ძირითადი ბაზრები

ჯანდაცვის ბაზარი

მიმოხილვა და ზრდის ძირითადი მამოძრავებლები

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კერძოდ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, იურიდიული კანონმდებლობის გაძლიერების, მასობრივი პრივატიზაციის და 2013 წელს ხელისუფლების მიერ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შემოღების შედეგად ჯანდაცვის სექტორი მნიშვნელოვნად განვითარდა. ახალი და კერძო საავადმყოფოების საწოლების წილი 75%-ით გაიზარდა და ქვეყანაში ჰოსპიტლების საწოლების არსებული რაოდენობის თითქმის 90% შეადგინა. გარდა ამისა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ საქართველოს ყველა დაუზღვეველი მოქალაქე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საბაზისო სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყო, რამაც თავისხრივ გაზარდა მოთხოვნა ჯანდაცვაზე. 2017 წლის მაისიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა უფრო ორიენტირებული გახდა სოციალურად დაუცველ ჯგუფებზე. მოქალაქეები, რომელთა წლიური შემოსავალი 40,000 ლარს აღემატება (დაახლოებით 32,000 ადამიანი) სრულად გამოირიცხნენ ამ პროგრამიდან, ხოლო მოქალაქეებს, რომელთა წლიური შემოსავალი 12,000-დან 40,000 ლარამდეა, ამ პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ლიმიტირებული სერვისებით სარგებლობა შეუძლიათ. ამან შესაძლებელი გახადა სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება.


სამთავრობო დანახარჯები ჯანდაცვაზე, მილიონი ლარი



წყარო: ფინანსთა სამინისტრო

2012-2017 წლებში საქართველოს ჯანდაცვის სექტორმა (ჰოსპიტლები, პოლიკლინიკები და აფთიაქები) ძლიერი 14%-იანი საშუალო წლიური ზრდა (CAGR) განიცადა და 2017 წელს 3.5 მილიარდ ლარს მიაღწია. მეტიც, Frost & Sullivan-ის პროგნოზით, ჯანდაცვის სერვისების ბაზრის მოცულობის ზრდა 2018-2021 წლებში 8%-იანი რთული წლიური ზრდის განაკვეთით არის მოსალოდნელი და 2021 წელს 4.8 მილიარდ ლარს მიაღწევს.

ჯანდაცვის ბაზარი, მილიონი ლარი



წყარო: Frost & Sullivan-ის ანალიზი 2017.


ჯანდაცვაზე დანახარჯების წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) აღემატება მსგავსი განვითარებადი ქვეყნების უმეტესობის მაჩვენებელს და მან 2018 წელს მშპ-ის 9%-ს შეადგინა, 2012 წლის 8%-თან შედარებით. თუმცა ერთ სულ მოსახლეზე დანახარჯების მაჩვენებლით საქართველო მსგავს ქვეყნებს ჩამოუვარდება, რაც შემდგომი ზრდის შესაძლებლობაზე მიუთითებს. 2016 წელს ჯანდაცვის დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე 308 აშშ დოლარის ტოლი იყო, რაც 52.1%-ით ნაკლებია თურქეთის და 16.5%-ით ნაკლები სომხეთის შესაბამის მაჩვენებლებზე. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2017 წელს საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ჯანდაცვის დანახარჯები 324 აშშ დოლარამდე გაიზარდა. მიგვაჩნია, რომ არსებობს ჯანდაცვაზე დანახარჯების ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი შემდეგი ფაქტორების გზით:

- *მოთხოვნის მხარდასაჭერად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება*. ჯანდაცვის ინფრასტრუქტურაში ინვესტიციები, რომლებსაც ძირითადად ჯანდაცვის კერძო პროვაიდერები ახორციელებენ, ხმარდება საბჭოთა ეპოქის დროინდელი საავადმყოფოების მოდერნიზებას, სამედიცინო ტექნოლოგიების განახლებას, ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის გამარტივებას და თანამედროვედ აღჭურვილი ახალი ჰოსპიტლებისა და კლინიკების გახსნას. საქართველოში ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდის, დიაგნოსტიკური სერვისების გაუმჯობესების და ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობის შესახებ ცნობიერების ზრდის შედეგად მოსალოდნელია მოთხოვნისა და ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლების ზრდა. ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლების ასეთმა ზრდამ შეიძლება გაზარდოს სტაციონარული დაწესებულებების ეფექტიანობა. Frost & Sullivan-ის გათვლებით, მოსალოდნელია ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლის, სულ ცოტა, 15%-იანი ზრდა, რაც დამოკიდებულია ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ტემპსა და ადგილობრივი უნარების განვითარებაზე.
- *ზრდის გაგრძელებას ხელს უწყობს ჯანდაცვის სამთავრობო პოლიტიკა*. 2013 წლის მარტში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შემოღებამ მთელი მოსახლეობა უზრუნველყო ხარისხიანი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობით. მოსალოდნელია, სამედიცინო მომსახურებაზე, კერძოდ კი, ჰოსპიტალურ სერვისებზე მოთხოვნის ზრდა შენარჩუნდეს.
- *ჯანდაცვაზე სამთავრობო დანახარჯების ზრდის პოტენციალი*. საქართველოში კვლავ მაღალია პაციენტების მიერ ჯიბიდან გადახდილი თანხების წილი, თუმცა ტენდენცია კლებადია. 2012-2018 წლებში, ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში კერძო დანახარჯის წილი 13.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა 66.2%-მდე, რაც მაინც მნიშვნელოვნად აღემატება ევროკავშირის შესაბამის წილს, რომელიც 20.3%-ის ტოლი იყო და რეგიონის განვითარებადი ეკონომიკების წილს, რომელიც 39.1% იყო 2016 წელს.

შესაბამისად, ჩვენ ვხედავთ ჯანდაცვაზე დანახარჯების ზრდის პოტენციალს საჯარო სექტორში, ასევე კერძო სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარების პოტენციალს. აღსანიშნავია, რომ სამთავრობო ხარჯებმა ჯანდაცვაზე 1.08 მილიარდი ლარი შეადგინა 2018 წელს და მშპ-ის 1.7%-დან 2012 წელს მშპ-ის 3.2%-მდე გაიზარდა 2018 წელს. 2018 წელს ჯანდაცვაზე სახელმწიფოს მთლიანი დანახარჯების უდიდესი წილი - 65% საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე მოდის. რაც შეეხება 2019 წელს, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბიუჯეტი 754 მილიონ ლარს შეადგენს, რაც 7%-იანი ზრდის მაჩვენებელია, ხოლო ჯანდაცვის მთლიანი ბიუჯეტი 1.15 მილიარდი ლარია, რაც წლიური 6%-იანი ზრდის ტოლია.

- *მინამეურნეობათა მზარდი შემოსავალი და სამედიცინო ტურიზმის განვითარების პოტენციალი.* ეკონომიკური ზრდა და საქართველოს მოქალაქეების, მათ შორის რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების განკარგავადი შემოსავლის მატება გაზრდის ჯანდაცვის სერვისებზე დანახარჯებს, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ უნივერსალური ჯანდაცვის პროგრამის საბაზისო დაფარვის გასაზრდელად დამატებითი სამედიცინო დაზღვევის ლიმიტის და თანამშრომლებისთვის კორპორაციული სამედიცინო დაზღვევის გეგმების პოტენციურ მატებას. ჯანდაცვის დაწესებულებების და სტანდარტების გაუმჯობესებით შესაძლებელია სამედიცინო ტურიზმის განვითარება და მეზობელი ქვეყნების მოქალაქეების მოზიდვა, ასევე, საქართველოს იმ მოქალაქეების მოზიდვა, რომლებიც ახლა სამკურნალოდ საზღვარგარეთ მიდიან.
- *ამბულატორიული ვიზიტების რაოდენობის ზრდა.* ამბულატორიული ვიზიტების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში 3.5-ს შეადგენდა 2017 წელს, რაც ბევრად ჩამოუვარდება განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. შედარებისათვის, 2016 წელს ამბულატორიული ვიზიტების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა 6.3-ს საფრანგეთში, 7.6-ს ესპანეთში და 9.9-ს გერმანიაში. ეს განსხვავება ნაწილობრივ აიხსნება კულტურული თავისებურებებით (თვითმკურნალობის პრაქტიკა, უნდობლობა ამბულატორიული სერვისის პროვაიდერების მიმართ). თუმცა, ამ სეგმენტში კერძო ინვესტიციების მატების, ბაზრის მოსალოდნელი კონსოლიდაციისა და სამთავრობო მხარდაჭერის კვალდაკვალ ამბულატორიული ვიზიტების რაოდენობა გაიზრდება, რაც დადებითად აისახება პოლიკლინიკების შემოსავლებზე.
- *ხელსაყრელი დემოგრაფია.* ქვეყნის მოსახლეობა ბერდება და იზრდება 60 წელს გადაცილებული მოქალაქეების წილი, რომლებსაც უფრო ხშირად დასჭირდება უკეთესი ხარისხის და უფრო ხანგრძლივი მკურნალობა. ცხოვრების სტილთან დაკავშირებული დაავადებების (განსაკუთრებით, ჰიპერტენზიის, გულის იშემიური დაავადებების, ცერებროვასკულარული დაავადებების და დიაბეტის) შემთხვევების მატება ასევე გაზრდის მოთხოვნას სამედიცინო მომსახურებაზე. გარდა ამისა, ჯანსაღი რეპროდუქციის მაჩვენებლები გაზრდის მოთხოვნას მეან-გინეკოლოგიურ და ბავშვთა სამედიცინო სერვისებზე.

ჯანდაცვაზე დანახარჯები მშპ-ის %-ის სახით, 2016.



წყარო: მსოფლიო ბანკი

ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა

ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველომ მოახდინა ჰოსპიტლების ქსელის მნიშვნელოვანი რაციონალიზაცია და მოდერნიზაცია, რის შედეგადაც ჰოსპიტლის საწოლების დაახლოებით 25% რჩება საბჭოთა ეპოქის დროინდელ გარემონტებულ საავადმყოფოებში. საწოლების მთლიანი რაოდენობა 2016 წელს თითქმის 5,000-ით შემცირდა 2004 წელთან შედარებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ჰოსპიტლის საწოლების რაოდენობა 1,000 ადამიანზე ქვეყნების მიხედვით. საწოლების ხელმისაწვდომობის მიხედვით საქართველო უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა თურქეთი, გაერთიანებული სამეფო და აშშ-იც კი, მაგრამ ჩამოუვარდება რუსეთსა და პოლონეთს, რაც ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის შემდგომი გაფართოების პოტენციალზე მიუთითებს.

საწოლების რაოდენობა 1,000 ადამიანზე

საწოლების
რაოდენობა 1,000
ადამიანზე

	8.2
რუსეთი	6.6
პოლონეთი	3.7
საქართველო	2.7
გაერთიანებული სამეფო	2.7
თურქეთი	2.4
აშშ	2.2
სამხრეთ აფრიკა	2.1
ტაილანდი	1.9
მალაიზია	1.3
ინდოეთი	1.3
არაბთა გაერთიანებული საამიროები	

წყარო: Frost & Sullivan

შენიშვნა: საქართველოს და რუსეთის შემთხვევაში მოცემულია 2016 წლის მონაცემები; არაბთა გაერთიანებული საამიროების, ინდოეთის და აშშ-ის შემთხვევაში მოცემულია 2015 წლის მონაცემები; პოლონეთის, გაერთიანებული სამეფოს, თურქეთის და სამხრეთ აფრიკის შემთხვევაში მოცემულია 2014 წლის მონაცემები და ყველა დანარჩენ შემთხვევაში 2013 წლის მონაცემები.

ამ მოდერნიზაციის პროცესში წამყვანი როლი ჯანდაცვის კერძო პროვაიდერებმა შეასრულეს, რის შედეგადაც საწოლების 90% (სასჯელადსრულების დაწესებულებებში, ტუბერკულოზის და ფსიქიატრიულ კლინიკებში სპეციალიზებული საწოლების გამოკლებით) ახლა კერძო ჰოსპიტლებზე მოდის.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2016 წელს საქართველოში იყო 273 ჰოსპიტალი, 118 სპეციალიზებული საავადმყოფოსა და 33 სამშობიარო სახლის ჩათვლით და 367 დამოუკიდებელი ამბულატორიული დაწესებულება, სტომატოლოგიური კაბინეტების გამოკლებით.

ჰოსპიტლების ქსელი ა რათანაბრად არის გადანაწილებული საქართველოში და ქვეყნის საწოლების ნახევარი თბილისშია კონცენტრირებული (15.1 ათასი 2017 წლის მდგომარეობით). თბილისში საწოლების რაოდენობა - 6.6 საწოლი 1,000 ადამიანზე, თითქმის ორჯერ აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. თბილისის, იმერეთის და აჭარის რეგიონებში საწოლების საერთო რაოდენობა მთელი საწოლების 74%-ს შეადგენს, ხოლო მათი მოსახლეობა ქვეყნის 54%-ს და ამიტომ, ისინი ყველაზე მიზიდველი რეგიონული ბაზრებია ჯანდაცვის სერვისის პროვაიდერებისთვის.

საწოლების რაოდენობა საქართველოს რეგიონების მიხედვით, 2017.

	საწოლების რაოდენობა	1,000 მოსახლეზე
საქართველო	15,084	4.0
თბილისი	7,578	6.6
იმერეთი	2,302	4.5
აჭარა	1,339	3.9
რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი	83	2.7
მცხეთა-მთიანეთი	240	2.6
სამცხე-ჯავახეთი	377	2.4
ქვემო ქართლი	957	2.2
შიდა ქართლი	523	2.0
სამეგრელო - ზემო სვანეთი	609	1.9
კახეთი	544	1.7
გურია	142	1.3

წყარო: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი.

ჯანდაცვის სერვისების გამოყენება

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, სტაციონარული სერვისების მიწოდების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წინსვლა მოხდა. ყველა მთავარი ინდიკატორი - მზარდი საწოლის დატვირთვის მაჩვენებელი (პაციენტების მიერ დაკავებული საწოლების რაოდენობა, გამოხატული როგორც ქვეყნის მასშტაბით, არსებული მთლიანი საწოლების პროცენტული წილი), ასევე მზარდი საწოლის ბრუნვის მაჩვენებელი (საწოლებზე პაციენტების

ცვლილების რაოდენობა ერთი წლის განმავლობაში) და კლებადი საწოლთა დაყოვნების ხანგრძლივობის მაჩვენებელი - პოზიტიურად იცვლება.

ჰოსპიტლების გამოყენების ინდიკატორები, საქართველო


	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
საწოლის დატვირთვის მაჩვენებელი, %	33	32	35	40	22	41	44	48	63	50	52	53	53
დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობა, დღე	8.6	7.7	7.4	7.3	3	6.3	6.4	7.0	7.0	5.4	5.2	5.3	5.2
საწოლის ბრუნვის მაჩვენებელი	13.7	15.2	17.1	20.1	26.2	23.4	25.2	24.8	32.7	33.6	36.3	36.4	37.8

წყარო: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი.

მნიშვნელოვანი წინსვლის მიუხედავად, ჰოსპიტლების არსებული ქსელი საქართველოში შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს, რადგან საწოლის გამოყენების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება სხვა ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში საწოლთა დატვირთვის რეკომენდებული მაჩვენებელი 88%-ია. საქართველოში შესაბამისი მაჩვენებელი ამჟამად მხოლოდ 53%-ია, 2004 წლის 33%-თან შედარებით მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიუხედავად. იმისათვის რომ, საქართველო შესაბამისობაში იყოს საუკეთესო პრაქტიკასთან, ქვეყანას გააჩნია ეფექტიანობის 20-30%-ით გაუმჯობესების პოტენციალი. საწოლთა ბრუნვის დაბალი მაჩვენებელი ჯანდაცვის სისტემაში ეფექტიანობის შემდგომი ზრდისა და გაუმჯობესების პოტენციალზე მიუთითებს. საქართველოში სტაციონარულ სერვისებზე მოთხოვნა, რომელიც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით მნიშვნელოვნად გაიზარდა და რაც ჰოსპიტალიზაციის და ჩატარებული ქირურგიული ოპერაციების რაოდენობით დასტურდება, ჰოსპიტლების უტილიზაციის მაჩვენებელზე გავლენას იქონიებს. ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა 2008 წლიდან 2013 წლამდე 68,000 პაციენტით გაიზარდა, ხოლო 2014 წლიდან 2015 წლამდე 63,000-ით. შესაბამისად, სტაციონარულ დაწესებულებებში ჩატარებული ოპერაციების რაოდენობა 91,000 (2014 წ.) პაციენტიდან 253,642 პაციენტამდე გაიზარდა 2017-ში.


ხოლო 10 წლის განმავლობაში გაიზარდა ამბულატორიული ვიზიტების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის რიგ მედიკამენტებზე სავალდებულო რეცეპტების გამოწერის შემოღებასა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას, რამაც შესაძლებლობა მისცა საქართველოს ყველა მოქალაქეს, ესარგებლა საბაზისო ამბულატორიული სერვისებით. შედეგად, ამბულატორიული ვიზიტების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 2014 წლის 3.5-დან 3.9-მდე 2016 წელს. თუმცა, ზრდის პოტენციალი კვლავ მაღალია, თუ გავითვალისწინებთ საქართველოში თვითმკურნალობის ძლიერ ტრადიციას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს პაციენტთა ვიზიტებს ამბულატორიულ დაწესებულებებში განვითარებად ქვეყნებთან შედარებით. ამისგან განსხვავებით, ამბულატორიული ვიზიტების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 6.3-ს საფრანგეთში, 7.6-ს ესპანეთში და 9.9-ს გერმანიაში, რაც საქართველოში ამბულატორიული ვიზიტების მინიმუმ, 50%-იანი ზრდის შესაძლებლობას ქმნის გრძელვადიან პერსპექტივაში, Frost & Sullivan-ის ანალიზის თანახმად. აღსანიშნავია, რომ ზრდის განსაკუთრებით მიმზიდველი პოტენციალი არსებობს რეგიონებში თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის გამოკლებით, რადგან მხოლოდ ეს ორი რეგიონია ევროპის განვითარებული ქვეყნების ამბულატორიული ვიზიტების დონეებთან შესაბამისობაში, ხოლო დანარჩენ რეგიონებში ამბულატორიული სეგმენტი განუვითარებელია.

ამბულატორიული ვიზიტები ერთ სულ მოსახლეზე




წყარო: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი.

ამბულატორიული ვიზიტები ერთ სულ მოსახლეზე საქართველოს რეგიონების მიხედვით, 2017




წყარო: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი. წყარო: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი.

ქირურგიული ოპერაციების რაოდენობა ამბულატორიულ დაწესებულებებში



წყარო: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი.

ქირურგიული ოპერაციების რაოდენობა ჰოსპიტლებში



წყარო: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი.

ემიტენტის ბიზნეს საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა

ქვემოთ ქრონოლოგიურად არის ჩამოთვლილი ემიტენტის მნიშვნელოვანი ბიზნეს აქტივობები და მოვლენები:

2014 წელი

- „ალდაგის“ რეორგანიზაცია ჯანდაცვის ბიზნესის მოთამაშედ - სააქციო საზოგადოება „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ დაფუძნება;
- Avante Hospital Management Group-ის შეძენა, რომლის საკუთრებაშია 4 ჰოსპიტალი 578 საწოლით თბილისსა და ბათუმში;
- Sunstone Medical LLC-ის შეძენა, რომლის საკუთრებაშია თბილისის აღმოსავლეთ ნაწილში, მდებარე ჰოსპიტალი 332 საწოლით;
- ტრავმატოლოგიაში სპეციალიზებული 60 საწოლიანი ჰოსპიტლის შეძენა თბილისში;

2015 წელი

- 95%-იანი კაპიტალის წილის შეძენა შპს დეკა-ში, 80 საწოლიან ჰოსპიტალში, 320 საწოლამდე ზრდის შესაძლებლობით;
- 50%-იანი კაპიტალის წილის შეძენა GNC-ში, თბილისში მდებარე 450 საწოლიან რეფერალურ ჰოსპიტალში;

2016 წელი:

- 33.3% აქვიათა არასაკონტროლო პაკეტის გამოსყიდვა მის უმსხვილეს პედიატრიულ საავადმყოფოში, იაშვილის რეფერალურ ჰოსპიტალში;

2017 წელი

- ხაშურის რეფერალური ჰოსპიტლის შეძენა;
- თბილისის რეფერალური ჰოსპიტლის (ყოფილი Sunstone-ის) გახსნა განახლებული 332 საწოლით;

2018 წელი

- კავკასიის მედიცინის ცენტრის (ყოფილი „დეკა“) გახსნა 360 საწოლით;

2019 წლის 1-ლი კვარტალი

- სტრუქტურის განახლება - სააქციო საზოგადოება „ევექსის ჰოსპიტლების“ დაფუძნება. სააქციო საზოგადოებას „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“, რომელიც შედგებოდა რეგიონალური კლინიკებისა (community clinics) და რეფერალური ჰოსპიტლებისგან, შეეცვალა სახელი და დაერქვა სააქციო საზოგადოება „ევექსის ჰოსპიტლები“, მას შემდეგ რაც მას გამოეყო რეგიონალური კლინიკების ბიზნესის მიმართულება და პოლიკლინიკების ბიზნესთან ერთად ცალკე ბიზნეს მიმართულებად ჩამოყალიბდა. გამოყოფის მთავარი რაციონალი იყო რეგიონალური კლინიკებისა და პოლიკლინიკების ერთად დაჯგუფება მათი შინაარსობრივი მსგავსების გამო - ორივე მათგანი პაციენტებისთვის ძირითადად პირველადი დახმარების პუნქტს წარმოადგენს და რთული პროცედურების საჭიროების შემთხვევაში, ხდება მათი გადაყვანა რეფერალურ ჰოსპიტლებში.

სამომავლო სტრატეგია და მიზნები

კომპანიის გრძელვადიანი სტრატეგია ფოკუსირებულია მისი მართვის ქვეშე მყოფი ჯანდაცვის დაწესებულებათა უტილიზაციის ზრდაზე, ეფექტიანობაზე, ხარჯების კონტროლის განხორციელებასა და ბიზნესის EBITDA (მოგება გადასახადების, პროცენტების, ცვეთის და ამორტიზების გადახდამდე) მარჯის ეტაპობრივ გაზრდაზე 28%-30%-მდე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ძირითადი ფოკუსის სფეროები საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში არის შემდეგი:

- ახლად გახსნილი ჰოსპიტლების წარმადობის ზრდა;

ბოლო 2 წლის განმავლობაში კომპანია ახორციელებს განვითარების მასშტაბურ პროექტებს ჯანდაცვის ობიექტებში მსხვილი ინვესტიციების დაბანდებით. კერძოდ:

თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი - გაიხსნა 2017 წლის აპრილში განახლებული 220 საწოლით. 2017 წლის დეკემბერში დაემატა 112 საწოლი და ჰოსპიტალი სრულად ამოქმედდა. ჰოსპიტლის დატვირთვა იზრდება, რადგან კომპანია თანდათან ამატებს ახალ სერვისებს.

კავკასიის მედიცინის ცენტრი - გაიხსნა 2018 წლის თებერვალში განახლებული 306 საწოლით. 2019 წლის მდგომარეობით, კავკასიის მედიცინის ცენტრი განაგრძობს წარმადობის ზრდას.

- ახალი სერვისების დამატება;

კომპანიის ერთ-ერთი მიზანია ჰოსპიტლებში გეგმური სამედიცინო მომსახურების არსებული სერვისების გაძლიერება ახალი სერვისების დამატების მეშვეობით, რათა აღმოფხვრას ქვეყნის სამედიცინო მომსახურებაში არსებული დეფიციტი და ადგილობრივი მოსახლეობისთვის შეიქმნას სამკურნალოდ საზღვარგარეთ წასვლის ალტერნატივა;

- სამედიცინო ტურიზმი;

ჯანდაცვის დაწესებულებებისა და სამედიცინო მომსახურების სტანდარტების გაუმჯობესების შემდეგ, კომპანიამ დაიწყო სამედიცინო ტურიზმის განვითარება მეზობელი ქვეყნების მოქალაქეების მოზიდვითა და სამკურნალოდ უცხოეთში მიმავალი საქართველოს მოქალაქეების შენარჩუნებით. სხვა ქვეყნებთან შედარებით, სადაც სამედიცინო ტურიზმი განვითარებულია, საქართველო ძალიან კონკურენტულია ხარისხისა და ფასების თვალსაზრისით და გამოირჩეულია ისეთი უნიკალური ბუნებრივი რესურსებით, როგორებიცაა კლიმატი და მინერალური წყლები. თუმცა, დღეის მდგომარეობით ეს მიმართულება შემოსავლების უმნიშვნელო წილს შეადგენს და ჯამურ შემოსავლებში მისი წილის მნიშვნელოვანი ზრდა არ იგეგმება.

სამედიცინო ტურიზმის მიმართულებით პაციენტებს ამჟამად შემდეგ სერვისებს სთავაზობენ: ღვიძლის ტრანსპლანტაცია, ბავშვთა და მოზრდილთა თირკმლის ტრანსპლანტაცია, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია, ონკოლოგია და რადიაციული ონკოლოგია, ორთოპედია და ქირურგიული ტრავმატოლოგია, იმ ვიტრო განაყოფიერება, პლასტიკური ქირურგია, ბარიატრიული ქირურგია, ანგიოქირურგია, კარდიოლოგია და ინტერვენციული კარდიოლოგია, ოფტალმოლოგია და უროლოგია.

- ციფრული არხები - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემა (ელექტრონული სამედიცინო აღრიცხვის სისტემა)

ხარისხის კონტროლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ კომპანიას ჰქონდეს სამედიცინო ისტორიების სათანადო მონაცემთა ბაზა. კომპანიამ დაიწყო მუშაობა ჯანმრთელობის მონაცემთა სრულად ინტეგრირებული სისტემის შექმნაზე, რომელიც დაეხმარება მას, უფრო ეფექტიანად მართოს მისი მომხმარებლები და უკეთესი მომსახურება გაუწიოს მათ. „ევექსის ჰოსპიტლები“ იქნება ჯანდაცვის პირველი კომპანია ქვეყანაში, რომელიც შემღებს პაციენტების სრულყოფილი ელექტრონული სამედიცინო ისტორიების სათანადოდ განთავსებას და მართვას. ელექტრონული სამედიცინო აღრიცხვის სისტემა მოიცავს პლატფორმას, რომელიც მოახდენს ხარისხისა და სხვა შეფასების ინდიკატორების აღრიცხვას, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ხარისხის მართვის მონიტორინგისა და გაუმჯობესების პროცესში.

ემიტენტის კონკურენტული გარემო და ბაზარზე მისი პოზიციის აღწერა


საქართველოს ბაზარზე კონკურენციაში არიან სამედიცინო მომსახურების როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო პროვაიდერები (ამბულატორიული კლინიკები და ჰოსპიტლები). ქვეყანაში ამ სერვისის მიწოდების უდიდესი ნაწილი კერძო პროვაიდერებზე მოდის.

ბაზარი შედარებით ფრაგმენტირებულია და ბაზრის უმსხვილეს 5 მონაწილეზე (ყველა მათგანი კერძო) საწოლების მთლიანი რაოდენობის მხოლოდ 36% მოდის. ეს მიუთითებს ბაზრის ახალი და არსებული მოთამაშეების შემდგომი ზრდის პოტენციალზე შერწყმისა და შესყიდვის გზით.

კომპანია ბაზრის ერთადერთი მსხვილი მონაწილეა, რომელიც, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქვეყანაში არსებული საწოლების 21%-ს ფლობს, რაც ოთხჯერ აღემატება მისი უახლოესი კონკურენტის, შპს „ავერსის კლინიკა“ (714 საწოლი) შესაბამის მაჩვენებელს. კომპანიის საწოლების საბაზრო წილი 21%-მდე გაიზარდა 2017 წელს 332 საწოლიანი გარემონტებული რეფერალური ჰოსპიტლის და 2018 წელს 306 საწოლიანი რეგიონული ჰოსპიტლის გახსნის შემდეგ. 2018 წელს კომპანიის საწოლების გამოყენების მაჩვენებელი 54.7%-ს შეადგენდა. ახლადგახსნილი თბილისის რეფერალური ჰოსპიტლისა და რეგიონული ჰოსპიტლის ეფექტის გამორიცხვით, საწოლების გამოყენების მაჩვენებელი დაახლოებით 60%+ იყო, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე ბევრად მაღალია.


კომპანიის ზოგიერთი კონკურენტი ცნობილია, როგორც მაღალი კლინიკური ხარისხით გამორჩეული დაწესებულება. გარდა ამისა, არსებობს დამოუკიდებელი დიაგნოსტიკური ცენტრები, ლაბორატორიები და სპეციალიზებული კარდიოლოგიის და უროლოგიის ცენტრები.

საწოლების მთლიანი რაოდენობა



წყარო: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი, სპეციალიზებული საწოლების გამოკვლევით
შენიშვნა: „ვექსის ჰოსპიტლების“ საწოლების რაოდენობაში შესულია 18 რეფერალური ჰოსპიტალი, 19 საზოგადოებრივი ჰოსპიტალი და 16 ამბულატორიული დაწესებულება

რეფერალური ჰოსპიტლების და ამბულატორიული კლინიკების საბაზრო წილი საწოლების რაოდენობის მიხედვით, დეკემბერი, 2018



წყარო: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი, სპეციალიზებული საწოლების გამოკვლევით

წარმატების ფაქტორები და ბაზარზე შესვლის ბარიერები

ვინაიდან თბილისში საქართველოს მოსახლეობის თითქმის მეოთხედი ცხოვრობს და ის ქვეყნის უმთავრესი ეკონომიკური ცენტრია, კონკურენცია ყველაზე ძლიერია თბილისში და დედაქალაქში მძლავრი და მყარი წარმომადგენლობა საქართველოს ბაზარზე წარმატების საწინდრად არის მიჩნეული. წარმატების სხვა ფაქტორებს შორისაა:

- ბრენდის ცნობადობა - ხალხი უფრო ენდობა ყველასთვის ცნობილ პროვაიდერს, რომელსაც კარგი რეპუტაცია აქვს; ამრიგად, ბაზრის პოტენციურად ახალ მოთამაშეებს შესაძლოა გაუჭირდეთ კლიენტების მნიშვნელოვანი ბაზის მოზიდვა მოკლევადიან პერსპექტივაში;
- მომხმარებლის კმაყოფილება - ეს მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამედიცინო პერსონალის რეპუტაციასა და კვალიფიკაციაზე, რის შესახებაც ადამიანები ინფორმაცია ერთმანეთს სიტყვიერად გადასცემენ;
- სერვისების კომბინაცია, მათ შორის, თანამედროვე ტექნოლოგიები;
- ფასების კონკურენცია კვლავ მნიშვნელოვანია, რადგან გეგმური სერვისების უმეტესობაში პაციენტები მინიმუმ 30%-ს თავად იხდიან და შესაბამისად, ფასების მიმართ მგრძნობიარე არიან; და
- პაციენტების მოზიდვის ეფექტიანი ბიზნესმოდელი, რომელიც დამყარებულია პირველადი ამბულატორიული და სპეციალიზებული სტაციონარული მომსახურების გაწევაზე ერთსა და იმავე დაწესებულებასა თუ ბიზნეს ჯგუფში.

ჯანდაცვის ბაზარზე შესვლის ბარიერები საქართველოში ჩვეულებრივ მაღალია და მოიცავს შემდეგს:

- კაპიტალის მაღალი ინტენსივობა - მსხვილი საწყისი კაპიტალის დაბანდებაა საჭირო, მათ შორის ჯანდაცვის ახალი დაწესებულებების აშენებისა და თანამედროვე აპარატურით აღჭურვისთვის, რაც მოითხოვს გრძელვადიან ინვესტიციებს;
- არსებული კონკურენცია - მოსალოდნელია რომ, ჯანდაცვის სერვისებისა და სადაზღვეო ბაზრებზე არსებული მოთამაშეები, რომლებსაც დაწესებულებების კარგად განვითარებული ქსელები აქვთ, კარგად დამკვიდრებული ინვესტორები ჰყავთ და ადგილობრივი ბაზარზე არსებული პრაქტიკის გამოცდილება აქვთ, განაგრძობენ გაფართოებას;
- პერსონალის დაქირავების რისკი - სამედიცინო პერსონალის გეოგრაფიული განაწილება არათანაბარია საქართველოში. ექიმების კონცენტრაცია თბილისში, სხვა ქალაქებთან შედარებით, 300%-ით უფრო მაღალია. შესაბამისად, საკმარისი რაოდენობის მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მოზიდვა მნიშვნელოვანი პრობლემაა;
- ჯანდაცვის სფეროში გამოცდილების მქონე კვალიფიციური მენეჯერული კადრების ნაკლებობა - კომპანიებს შესაძლოა დასჭირდეთ ადმინისტრაციული სერვისების ქვეკონტრაქტით გადაცემა ჯანდაცვის ცნობილი საერთაშორისო ოპერატორებისთვის; და
- ბრენდის ცნობადობას და რეპუტაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს - ჯანდაცვის ბუნების გათვალისწინებით, უპირატესობა ენიჭება არსებულ მოთამაშეებს, რომლებსაც მოპოვებული აქვთ ბრენდის კაპიტალი და აღიარება.


დემოგრაფია

საქართველო შედარებით პატარა ქვეყანაა 3.7 მილიონი მოსახლეობით. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილითა და მოსახლეობის საშუალო ასაკით საქართველო უახლოვდება განვითარებული სამყაროს ქვეყნების უმეტესობის შესაბამის მაჩვენებლებს; განვითარებად ქვეყნებში,

ჩვეულებრივ, 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის უფრო მაღალი წილი და მოსახლეობის საშუალო ასაკის უფრო დაბალი მაჩვენებელია.

ბევრი განვითარებული ქვეყნის მსგავსად, საქართველოს მოსახლეობა სწრაფად ბერდება - 2017 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 15% 65 წლის ან უფროსი ასაკისაა. გაერთიანებული ერების მონაცემების თანახმად, 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილი 2010 წლის 19%-დან 27%-მდე გაიზარდება 2050 წელს. ეს დამატებით ზეწოლას შექმნის ჯანდაცვის სისტემაზე და გაზრდის მოთხოვნას ხარისხიან ჯანდაცვაზე ქვეყანაში.

65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობა, 2017



წყარო: მსოფლიო ბანკი

შობადობის მაჩვენებელი საქართველოში თანდათან უმჯობესდება, რაც, სიკვდილიანობის მაჩვენებლის კლებასთან ერთად, მოსახლეობის ბუნებრივმატებას (მიგრაციის გამოკლებით) უზრუნველყოფს ქვეყანაში.

მთელი მოსახლეობა და მოსახლეობის ბუნებრივიმატების ტემპი, საქართველო

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
მთელი მოსახლეობა, '000	3,829	3,800	3,774	3,739	3,718	3,717	3,722	3,729	3,726	3,730	3,730
მოსახლეობის ბუნებრივიმატება, % 1,000 მოსახლეზე	0.5	1.5	1.1	0.5	0.2	0.3	3.1	2.7	1.6	1.5	1.2
შობადობის მაჩვენებელი, % 1,000 მოსახლეზე	13.6	14.8	14.6	13.7	13.4	13.4	16.3	15.9	15.2	14.3	13.7
სიკვდილიანობის მაჩვენებელი, % 1,000 მოსახლეზე	13.1	13.3	13.5	13.3	13.2	13.1	13.2	13.2	13.6	12.8	12.5

წყარო: საესტატი

საქართველოში სიცოცხლის ხანგრძლივობა იზრდება ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანდაცვის სერვისების მიწოდებაში წინსვლის შედეგად. თუმცა, ის მაინც საშუალოზე ნაკლებია განვითარებულ

ქვეყნებთან შედარებით, სადაც სიცოცხლის ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ, 80 წელს აღემატება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის პროგნოზით, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაუმჯობესება გაგრძელდება საქართველოში, რაც გამოიწვევს მოსახლეობის შემდგომ დაბერებას და მოთხოვნის ზრდას ჯანდაცვის სერვისებზე.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას ქვეყნების მიხედვით

	ორივე სქესი				კაცი				ქალი			
	1990	2015	2025*	2050*	1990	2015	2025	2050	1990	2015	2025	2050
საქართველო	70	74.8	76.3	80.1	66.3	71.3	73	77.4	73.9	78.5	79.8	82.8
გაერთიანებული სამეფო	75.9	81.6	82.4	85.9	73.1	79.8	80.8	84.8	78.8	83.5	84	87
აშშ	75.2	78.7	80.6	84.2	71.8	76.4	78.6	83	78.8	81.2	82.8	85.6
არაბთა გაერთიანებული საამიროები	71.7	77.5	79.2	83.4	70.5	76.5	78.2	83	73	78.7	80.2	83.7
პოლონეთი	70.9	78.2	79.1	83.1	66.5	74.4	75.6	80.7	75.5	82.2	82.7	85.6
მალაიზია	70.8	74.9	76.5	80.5	69	72.6	74.2	78.7	72.6	77.3	78.9	82.3
რუსეთი	68.9	70.9	71.2	74.1	63.7	65.5	65.7	69.2	74.3	76.6	76.9	79.2
ტაილანდი	70.2	74.6	76.4	80.7	67.2	71.3	73.3	78.4	73.4	78	79.7	83
თურქეთი	64.3	75.4	77.9	82.8	60.7	72.3	75	81.1	68	78.7	80.9	84.6
სამხრეთ აფრიკა	62.1	57.4	59.7	68.8	58.5	55.5	58.2	66.8	65.9	59.5	61.2	70.9
ინდოეთი	57.9	68.3	71.2	76.4	57.6	66.9	69.6	74.7	58.3	69.9	72.8	78.2

წყარო: მსოფლიო ჯანდაცვის სტატისტიკა - 2014, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია; მსოფლიოს მოსახლეობის პერსპექტივები - 2012 წლის გადასინჯვა, 2013 წლის ივნისი, გაერო.

* საშუალო რეპროდუქციის პროგნოზი.

რაც შეეხება, სრულფასოვანი და ჯანსაღი ცხოვრების მოსალოდნელ ხანგრძლივობას (იმ წლების საშუალო რაოდენობა, რომლებსაც ადამიანი მოელის, რომ ჯანმრთელად იცხოვრებს), საშუალო მონაცემით - 65 წელია. საქართველო უსწრებს წამყვან განვითარებად ქვეყნებს, როგორებიცაა ინდოეთი და რუსეთი (შესაბამისად, 58 წელი და 61 წელი), მაგრამ ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს, როგორებიცაა აშშ (69 წელი) და გაერთიანებული სამეფო (71 წელი), რაც ქვეყანაში ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესების საჭიროებაზე მიუთითებს.

სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები და ნეოპლაზმები (კიბო) საქართველოში სიკვდილიანობის მთავარი გამომწვევი მიზეზებია ორივე სქესს შორის. კერძოდ, გაიზარდა ცხოვრების სტილთან დაკავშირებული დაავადებების შემთხვევების რაოდენობა, როგორებიცაა ჰიპერტენზია, გულის იშემიური დაავადებები, ცერებროვასკულარული დაავადებები და დიაბეტი, რაც დამატებით ტვირთად დააწევბა საქართველოს ჯანდაცვის სისტემას. რეგისტრირებული პაციენტების რაოდენობა, რომლებსაც პირველად დაუსვეს მწვავე და ქრონიკული დაავადებების დიაგნოზი, გაიზარდა 2005 წლის 695,000-დან 2,218,000-მდე 2015 წელს, რაც ნაწილობრივ გაუმჯობესებული დიაგნოსტიკური მომსახურების ხელმისაწვდომობისა და საქართველოში ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ამსახველია.

ცხოვრების სტილი და დაავადებები

ზრდასრულთა ავადობა და სიკვდილიანობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის მზარდი პრობლემა გახდა. არაგადამდები დაავადებები საქართველოში სიკვდილიანობის 94%-ის მიზეზია, რომელთა შორისაც ყველაზე გავრცელებულია სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები, რესპირატორული სისტემის დაავადებები და მომწელებელი სისტემის დაავადებები. თამბაქოს მოხმარების დონე მაღალია, განსაკუთრებით მამაკაცებს შორის. ნარკოტიკების მოხმარება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და თვითნაკეთი სტიმულანტებით მიღებული არალეგალური ინექციური ნარკოტიკების ხელმისაწვდომობის გამო.

მწვავე და ქრონიკული დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობა დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით 2017 წელს, '000

პირველი დიაგნოსტიკის
რეგისტრირებული
შემთხვევების რაოდენობა

სულ		%
რესპირატორული სისტემის დაავადებები	1963.4	100
მომწელებელი ორგანოების დაავადებები	647.1	33.0%
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	267.8	13.6%
თვალისა და მიმდებარე ორგანოების დაავადებები	184.7	9.4%
უროგენიტალური სისტემის დაავადებები	125.7	6.4%
ინფექციური პარაზიტული დაავადებები	124.9	6.4%
ენდოკრინული სისტემის დაავადებები, მომწელები სისტემის, მეტაბოლიზმის და იმუნური სისტემის დარღვევები	89.8	4.6%
ტრავმები და მოწამვლა	87.9	4.5%
ძვალ-კუნთოვანი სისტემის და შემაერთებული ქსოვილის დაავადებები	73.8	3.8%
კანის და კანქვეშა ქსოვილის დაავადებები	69.0	3.5%
ნერვული სისტემის დაავადებები	63.3	3.2%
ყურის დაავადებები და მასკოდიტები	61.1	3.1%
დაუდგენელი სიმპტომები, ნიშნები და მდგომარეობები	59.1	3.0%
სისხლის და სისხლმზადი ორგანოების დაავადებები	47.0	2.4%
ფსიქიკური და ქცევითი დარღვევები	20.2	1.0%
ორსულობის, მშობიარობის და მშობიარობის შემდგომი გართულებები	16.7	0.9%
ნეოპლაზმები	12.8	0.7%
თანდაყოლილი ანომალიები	8.7	0.4%
პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი მდგომარეობები	2.4	0.1%
	1.5	0.1%

ინვესტიციები


ბოლო ორი წლის განმავლობაში კომპანია ჯანდაცვის სერვისების დაწესებულებების კეთილმოწყობაში განვითარების მასშტაბურ პროექტებს ახორციელებს. ამ პროექტებს შორისაა შეძენილი სამედიცინო დაწესებულებების - კავკასიის მედიცინის ცენტრის და თბილისის რეფერალური ჰოსპიტლის - განახლება და განვითარება.

თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი - გაიხსნა 2017 წლის აპრილში განახლებული 220 საწოლით. 2017 წლის დეკემბერში დაემატა 112 საწოლი და ჰოსპიტალი სრულად ამოქმედდა. ახალი სერვისების ეტაპობრივად დამატების შემდეგ, ჰოსპიტლის დატვირთვამ 2019 წლის 1-ლ კვარტალში 52.2% შეადგინა (კვარტალური 570 საბაზისო პუნქტით ზრდა), ხოლო შემოსავალმა 6.4 მილიონი ლარი (კვარტალური 8.9%-იანი ზრდა). ასევე, 2019 წლის 1-ლ კვარტალში ჰოსპიტალმა 17.6% EBITDA მარჟა აღრიცხა. 2019 წლის მეორე კვარტალში ჰოსპიტალმა 5.9 მილიონი შემოსავალი (7.7% კლება კვარტალურად) აღრიცხა. დატვირთულობამ მეორე კვარტალში 46.9% შეადგინა. ეს კლება ძირითადად გამოიწვია რამდენიმე სამედიცინო მომსახურების დროებითმა შეჩერებამ.

კავკასიის მედიცინის ცენტრი - გაიხსნა 2018 წლის თებერვალში განახლებული 306 საწოლით. ამჟამად, კავკასიის მედიცინის ცენტრი განაგრძობს წარმადობის წარმატებით ზრდას. 2019 წლის 1-ლ კვარტალში, დატვირთვის მაჩვენებელმა 35.6%-ს მიაღწია (კვარტალური 290 საბაზისო პუნქტით ზრდა), ხოლო შემოსავალმა 8.9 მილიონ ლარს (კვარტალური 7.7%-იანი ზრდა). ასევე, 2019 წლის 1-ლ კვარტალში ჰოსპიტალმა 16.0% EBITDA მარჟა აღრიცხა. 2019 წლის მეორე კვარტალში ჰოსპიტალმა 9.5 მილიონი ლარი შემოსავალი აღრიცხა (6%-იანი კვარტალური ზრდა). ჰოსპიტალის დატვირთვის მაჩვენებელმა პირველ კვარტალთან შედარებით 3%-ით მოიმატა და 38.6% შეადგინა. მეორე კვარტალში ჰოსპიტლის EBITDA მარჟამ 17.6% შეადგინა.

ემიტენტის ორგანიზაციული სტრუქტურა

ქვემოთ წარმოდგენილია ემიტენტის ვერტიკალური ორგანიზაციული სტრუქტურა 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:¹²



ემიტენტი არის „ევექსის ჰოსპიტლები“.

¹² „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ წარმოდგენილია ლონდონის საფონდო ბირჟის ლისტინგში. „საქართველოს კაპიტალი“ არის „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ მთავარი ინვესტორი. სხვა აქციონერები აქციათა 7%-ზე ნაკლებს ფლობენ.

2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, „ვეექსის ჰოსპიტლებში“ შედიოდა საქართველოში დაფუძნებული შემდეგი შვილობილი და დაკავშირებული კომპანიები:

შვილობილი კომპანია	წილობრივი მონაწილეობა/ზმის უფლება		სფერო	დაფუძნების თარიღი	შემდგომი თარიღი	იურიდიული მისამართი
	31-დეკ- 2018	31-დეკ- 2017				
შპს გნკო	50%	50%	ჯანდაცვა	4-ივნ-01	5-აგვ-15	ჭავჭავაძის გამზ. 16, თბილისი, საქართველო
შპს მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა	50%	50%	ჯანდაცვა	16-აპრ-99	5-აგვ-15	წინანდლის ქ. 9, თბილისი, საქართველო
შპს ნეფროლოგიის განვითარების კლინიკური ცენტრი	40%	40%	ჯანდაცვა	28-სექტ-10	5-აგვ-15	წინანდლის ქ. 9, თბილისი, საქართველო
შპს კავკასიის მედიცინის ცენტრი	99.8%	97%	ჯანდაცვა	12-იან-12	30-ივნ-15	ქავთარაძის ქ. 23, თბილისი, საქართველო
შპს ევექს-ლოჯისტიკა	100%	100%	ჯანდაცვა	13-თებ-15	N/A	აკაკი ბელიაშვილის ქ. 142 თბილისი, საქართველო
სს „ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო- დიაგნოსტიკური ცენტრი	67%	67%	ჯანდაცვა	5-მაისი-03	29-ნოე-11	დიაგნოსტიკის ქ. 85, ქუთაისი, საქართველო
შპს აკ. ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული	67%	67%	ჯანდაცვა	15-ოქტ-04	29-ნოე-11	დიაგნოსტიკის ქ. 83ა, ქუთაისი, საქართველო
მედიცინის ეროვნული ცენტრი						
აიპ ევექსის სასწავლო ცენტრი	100%	100%	სხვა	20-დეკ-13	20-დეკ-13	ჯავახიშვილის ქ. 83ა, თბილისი, საქართველო
სს კატასტროფის მედიცინის პედიატრიული ცენტრი	100%	100%	ჯანდაცვა	18-ივნ-13	1-მარ-15	უ. ჩხეიძის ქ. 10, თბილისი, საქართველო
შპს ემერჯენსი სერვისი*			ჯანდაცვა	28-ივლ-09	20-მაისი-16	დ. უზნაძის ქ. 2, თბილისი, საქართველო
შპს პატგეო	100%	100%	ჯანდაცვა	13-იან-10	1-აგვ-16	მუხიანის, II მკრ., შენობა 22, 1ა, თბილისი, საქართველო
სს პედიატრი	76%	76%	ჯანდაცვა	5-სექტ-03	6-ივლ-16	უ. ჩხეიძის ქ. 10, თბილისი, საქართველო
შპს ახალი კლინიკა	100%*	100%	ჯანდაცვა	3-იან-17	20-ივლ-17	აკაკი ბელიაშვილის ქ. 142, თბილისი, საქართველო

*წილობრივი
მონაწილეობა/ზმის
უფლება*

დაკავშირებული კომპანიები	31-დეკ- 2018	31-დეკ- 2017	სფერო	დაფუძნების თარიღი	შეძენის თარიღი	იურიდიული მისამართი
შპს მე-5 კლინიკური საავადმყოფო	35%	35%	ჯანდაცვა	16-სექტ-99	4-მაისი-16	თემქა, XI მკრ. კორპუსი 1, N 1/47, თბილისი, საქართველო
აიპ ჯანდაცვის ასოციაცია	25%	33%	ჯანდაცვა	25-მარ-16	N/A	აკაკი ბელიაშვილის ქ. 142, თბილისი, საქართველო
აიპ სამედიცინო ტურიზმის საბჭო	14.3%	14.3%	ჯანდაცვა	16-მაის-19	N/A	ნუშის ბაღების ქ. 13, ბინა 10, თბილისი, საქართველო

კომპანიის საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა მენეჯმენტის მიერ

მიმოხილვა

„ევექსის ჰოსპიტლები“ ჯანდაცვის სერვისების უმსხვილესი მიმწოდებელია ქვეყანაში. მასში შედის 18 რეფერალური ჰოსპიტალი, სულ 2,967 საწოლით, რომლებიც თბილისსა და რეგიონის მთავარ ქალაქებში მეორადი და სპეციალიზებული ჯანდაცვის სერვისებს უზრუნველყოფს. კომპანია საქართველოს ჯანდაცვის ბაზრის უმსხვილესი მოთამაშეა და 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ფლობს ქვეყანაში საავადმყოფოების საწოლების მთლიანი რაოდენობის 21%-ს.

„ევექსის ჰოსპიტლები“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიის „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ წევრია (შემდგომში, „ჯგუფი“). ის დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ორ კომპანიად - „ევექსი ჰოსპიტლებად“ და „ევექსი კლინიკებად“ გაყოფის შედეგად 2019 წლის 1-ლ კვარტალში. ვინაიდან „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ გაყოფა განხორციელდა ბოლო ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ, წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილია 2018 და 2017 წლების როგორც „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ გაყოფამდე აუდიტირებული ფინანსური მაჩვენებლები (მოხსენიებულია როგორც „კონსოლიდირებული“), ასევე სს „ევექსის ჰოსპიტლების“ ფინანსური მაჩვენებლები (მოხსენიებულია როგორც „დამოუკიდებელი“). ეს პროსპექტი ასევე შეიცავს სს „ევექსის ჰოსპიტლების“ 2018 წლის 1-ლი ნახევრისა და 2019 წლის 1-ლი ნახევრის არააუდიტირებულ დამოუკიდებელ მაჩვენებლებს (მოხსენიებულია როგორც „დამოუკიდებელი 1-ლი ნახევარი“). შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიის „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ მშობელი კომპანია (აქციათა 57%-ის მფლობელი) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს კაპიტალი“.

2019 წლის დასაწყისში, „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფმა“ განაახლა თავისი ბიზნესსტრუქტურა და ჯანდაცვის სერვისების ბიზნესი შემდეგ ორ სეგმენტად გაიყო: კლინიკები, რომლებშიც შედის პოლიკლინიკები და რეგიონალური კლინიკები (community clinics) და ჰოსპიტლები, რომლებშიც შედის რეფერალური ჰოსპიტლები. ახლა „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ 5 ბიზნესმიმართულებას მოიცავს: ჰოსპიტლების ბიზნესი, კლინიკების ბიზნესი, სააფთიაქო და სადისტრიბუციო ბიზნესი, სამედიცინო დაზღვევის ბიზნესი და დიაგნოსტიკური ბიზნესი.

კომპანიას მნიშვნელოვანი შესყიდვები აქვს განხორციელებული 2011 წლიდან, რომლებიც დადებითად აისახა კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო შედეგებზე.

ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვები

Avante Hospital Management Group: 2014 წლის 1-ლ კვარტალში დასრულდა Avante Hospital Management Group-ის შესყიდვა. შესყიდვის მომენტისთვის Avante მეორე უმსხვილესი ჯანდაცვის პროვაიდერი იყო საქართველოში საწოლების რაოდენობის მიხედვით და ფლობდა და ამუშავებდა 4 ჰოსპიტალს 578 მოქმედი საწოლით თბილისსა და ბათუმში.

ტრავმატოლოგიური ჰოსპიტლის შესყიდვა: 2014 წლის სექტემბერში კომპანიამ შეისყიდა 60 საწოლიანი საავადმყოფო თბილისში, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალიზებული ამბულატორიული და სტაციონარული სერვისების ფართო სპექტრს ტრავმატოლოგიაში.

Sunstone ჰოსპიტლის შესყიდვა: 2014 წლის მაისში კომპანიამ შეიძინა Sunstone ჰოსპიტალი თბილისში, რაც თბილისში ბიზნესის გაფართოების და დაუტვირთავი ჰოსპიტალის განვითარებაზე კაპიტალიზაციის

სტრატეგიის გაგრძელებას წარმოადგენდა. Sunstone-ის რეკონსტრუქცია დაიწყო 2016 წლის იანვარში. ჰოსპიტლის პირველი ფაზა, 220 სრულად განახლებული საწოლით, 2017 წლის აპრილში ამოქმედდა. Sunstone ჰოსპიტალი სრულად ამოქმედდა 2017 წლის დეკემბერში.

„დეკა“ ჰოსპიტლის შესყიდვა: 2015 წლის ივნისში კომპანიამ შეიძინა ჰოსპიტალი „დეკა“ თბილისში, რაც თბილისში ბიზნესის გაფართოების და დაუტვირთავი ჰოსპიტალის განვითარებაზე კაპიტალიზაციის სტრატეგიის გაგრძელებას წარმოადგენდა. ამ საბჭოთა დროინდელი საავადმყოფოს რეკონსტრუქცია კომპანიამ 2016 წლის იანვარში დაიწყო. „დეკა“ ჰოსპიტალი ექსპლუატაციაში 2018 წლის თებერვალში შევიდა.

მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის შესყიდვა: 2015 წლის აგვისტოში კომპანიამ შეიძინა 450 საწოლიანი ცნობილი რეფერალური ჰოსპიტლის, მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის, 50% (გნკო-ს აქციათა 50%-ის შესყიდვის გზით). მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი თბილისში მდებარეობს და წარმოადგენს საქართველოს ერთადერთ უდიდეს ჰოსპიტალს, რომელიც უზრუნველყოფს ამბულატორიული და სტაციონარული სერვისების ფართო სპექტრს, მათ შორის ონკოლოგიურ რადიოთერაპიას.

ორი ჰოსპიტლის შესყიდვა: 2017 წლის ივლისში, ჯგუფმა განაცხადა, რომ მისმა ჯანდაცვის სერვისის ბიზნესმა ხელი მოაწერა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას IC Group-ის წევრი კომპანიებისგან ხაშურის და ქარელის რეგიონალური (community) ჰოსპიტლების 100%-იანი წილის შეძენაზე. ამ ჰოსპიტლების შეძენის შემდეგ, ჯგუფის საკუთრებაში არსებული რეგიონალური ჰოსპიტლების რაოდენობა 22-მდე გაიზარდა, ხოლო საწოლების რაოდენობამ 555 შეადგინა.

ონკოლოგიის ცენტრის გახსნა: 2017 წლის ნოემბერში ჯგუფმა გახსნა სტაციონარული განყოფილება დასავლეთ საქართველოს ონკოლოგიის ცენტრში. ონკოლოგიის ცენტრი ქუთაისის რეგიონული რეფერალური ჰოსპიტლის ნაწილია და უმსხვილესი ონკოლოგიური დაწესებულება დასავლეთ საქართველოში.

მოთხოვნა კერძო ჯანდაცვის სერვისებზე

კომპანიის შემოსავლებს დიდწილად განაპირობებს პაციენტთა მოთხოვნა კერძო სამედიცინო მომსახურებაზე. საქართველოს ჯანდაცვის მომსახურების ბაზარი 3.8 მილიარდ ლარად შეფასდა 2018 წელს. 2011-2017 წლებში ბაზარი ინარჩუნებდა მნიშვნელოვან 14%-იან საშუალო ზრდას წელიწადში; მოსალოდნელია 8%-იანი ზრდის გაგრძელება 2018-2021 წლებში და ბაზრის ღირებულება 2021 წელს 4.8 მილიარდ ლარს მიაღწევს. მთლიანი ჰოსპიტალური ბაზრის ღირებულება 1.4 მილიარდ ლარად შეფასდა 2018 წელს და პროგნოზის თანახმად, 2018-2021 წლებში 7%-იანი რთული წლიური ზრდაა მოსალოდნელი. 2018 წელს ჯანდაცვის ბაზრის მთლიან შემოსავლებში ჰოსპიტალური სექტორის წილმა 37% შეადგინა, ამბულატორიული კლინიკების წილმა 20%, აფთიაქების წილმა კი 43%. გარდა ამისა, 2014-2018 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სახელმწიფო ბიუჯეტი 338 მილიონი ლარიდან 704 მილიონ ლარამდე გაიზარდა, ხოლო 2019 წლის ბიუჯეტი 754 მილიონი ლარით განისაზღვრა.

კომპანიის აზრით, როგმა ტენდენციებმა უკვე გაზარდა და სავარაუდოდ, მომავალშიც გაზრდის მოთხოვნას კერძო სამედიცინო მომსახურებაზე საქართველოში. ეს ტენდენციები: საშუალო კლასის ჩამოყალიბება მზარდი განკარგადი შემოსავლებით; ხარისხიანი კერძო ჯანდაცვის პროვაიდერების, როგორც ისტორიულად არაუფექტიანი სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემის უკეთესი ალტერნატივის, მნიშვნელობის უკეთ გააზრება; ამბულატორიული ვიზიტების რაოდენობის მატება; საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სახელმწიფო

ბიუჯეტის ზრდა; და კერძო ინვესტიციების ზრდა ტექნოლოგიებსა და აღჭურვილობაში, რომ აღმოიფხვრას ქვეყანაში არსებული დეფიციტი იმ ახალი სერვისების დანერგვით, რომლებიც არ არის საქართველოში.

ფასების დადგენა და მოცულობა

კომპანიის შემოსავლები დამოკიდებულია მისი პროდუქტებისა და სერვისების ფასებზე და გაყიდული პროდუქტების და გაწეული მომსახურების მოცულობაზე.

კომპანიის მთლიანი შემოსავლები შედგება თანხებისგან, რომლებსაც იღებს სახელმწიფოსგან საქართველოს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სამთავრობო პროგრამის ფარგლებში, სადაზღვევო კომპანიებისგან და ინდივიდებისგან.

ამბულატორიული და სტაციონარული სერვისების ფასები განსხვავებულია, რასაც მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის პაციენტისთვის გაწეული სერვისის ტიპი, რომლის ფასიც, სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებულია ჯანდაცვის დაწესებულებასა და ადგილმდებარეობაზე. გაწეული სერვისების მოცულობაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, მათ შორის: ჯანდაცვის დაწესებულების ტიპი, ხელმისაწვდომი სერვისების ხარისხი, შემოსავლების მომტანი ექიმების რაოდენობა, სამედიცინო აპარატურა, ჯანდაცვის სერვისის ხელმისაწვდომობა, მათ შორის, ადგილმდებარეობის და ფინანსური ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, და ახალი ჯანდაცვის დაწესებულებების გახსნა და შექმნა.

წარმადობა და მოცულობა

კომპანიამ გაზარდა სტაციონარული დაწესებულებების წარმადობა ბოლო სამი წლის განმავლობაში არსებული ჰოსპიტლების რეკონსტრუქციის და ახალი ჰოსპიტლების შექმნის მეშვეობით.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შემოღება

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებით მოსულმა ახალმა მთავრობამ, სოციალური დაცვის გაძლიერებაზე ორიენტირებული ახალი სამთავრობო პოლიტიკის შესაბამისად, აქცენტი მომსახურების ხელმისაწვდომობაზე გადაიტანა. სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, 2013 წლის თებერვალში ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა. პროგრამის მთავარი მიზანი მთელი მოსახლეობის საბაზისო სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა იყო. ჯანდაცვის სახელმწიფო ბიუჯეტის უწყვეტი ზრდის შედეგად, სახელმწიფო დანახარჯები სამთავრობო ჯანდაცვის პროგრამაზე 2014 წლის 338 მილიონი ლარიდან 754 მილიონ ლარამდე გაიზარდა 2019 წელს.

ახალი რეგულაცია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში

ჯანდაცვაზე დანახარჯების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, მთავრობამ 2017 წლის მაისიდან ახალი რეგულაცია ამოქმედდა. ამ რეგულაციით საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფარვა მოქალაქეთა შემოსავლის დონეებს მიემატება, განსხვავებით წინა მიდგომისგან, რომელიც არ ახდენდა მოქალაქეთა დიფერენცირებას შემოსავლის დონეების მიხედვით. ახალი რეგულაციის თანახმად, მოქალაქეები, რომელთა შემოსავალი 1) თვეში 1,000 ლარზე ნაკლებია, ინარჩუნებენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის იგივე დაფარვას, ჯანდაცვის მომსახურების საჭიროებების ანაზღაურებით, ხოლო სიღარიბის გარკვეულ ზღვარზე მყოფთათვის შემოღებულია გარკვეული მედიკამენტების დაფინანსება; 2) თვეში 1,000 ლარზე მეტია, მაგრამ წელიწადში 40,000 ლარზე ნაკლები, იღებენ ნაწილობრივ დაფარვას საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან და თანადაფინანსებაში

მონაწილეობენ - ეს თითქმის ისეთივე დაფარვაა, რასაც ადრე იღებდნენ; და 3) წელიწადში 40,000 ლარს აღემატება, გამოირიცხნენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან.

სავალუტო რისკების მართვა

ევექსის ჰოსპიტლების ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ძირითადი ვალუტების კურსების მერყეობა. კომპანიის ძირითადი გარიგებები ლარში ხორციელდება და სავალუტო რისკი ძირითადად აშშ დოლართან მიმართებაში აქვს. ემიტენტის ფინანსური აქტივები ძირითადად გამოხატულია იმავე ვალუტაში, რაშიც მისი ვალდებულებები, კერძოდ მის სამუშაო ვალუტა - ლარში. კომპანიის ოპერაციების უმეტესობაც ლარშია გამოხატული, რაც ამცირებს ოპერაციებთან დაკავშირებულ სავალუტო რისკს. სავალუტო რისკს ძირითადად განაპირობებს აშშ დოლარში გამოხატული ნასესხები სახსრები, რომლებიც ნაწილობრივ ჰეჯირებულია ბანკებში განთავსებული ფულადი ანაზრებით, რომლებიც ასევე აშშ დოლარშია გამოხატული. ასევე, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკის სამართავად ევექსის ჰოსპიტლები იყენებს სავალუტო ფორვარდულ კონტრაქტებს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა 26 მილიონი აშშ დოლარის (2017: 20.3 მილიონი აშშ დოლარი) პირობითი ღირებულების სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები.

ფინანსური მდგომარეობა

კომპანიის ფინანსური უწყისები გამჟღავნებულია შესაბამის თავებში (საბალანსო უწყისი, გვ. 127 მოგება-ზარალის უწყისი, გვ. 129; ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი, გვ. 131)


ათასი ლარი	დამოუკიდებელი 16 აბ. 2019 (არააუდირებული)	დამოუკიდებელი 16 აბ. 2018 (არააუდირებული)	დამოუკიდებელი 31 დეკ. 2018 (აუდირებული)	დამოუკიდებელი 31 დეკ. 2017 (აუდირებული)	კონსოლიდირებული 31 დეკ. 2018 (აუდირებული)	კონსოლიდირებული 31 დეკ. 2017 (აუდირებული)
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,999	4,217	14,404	28,790	15,051	29,203
საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები	-	-	169	6,218	169	6,218
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები თანხები	129,397	111,406	109,006	101,002	111,894	104,083
სასაქონლო მარაგები	16,113	14,615	17,979	17,101	18,240	19,873
გადახდილი ავანსები	4,753	16,456	3,074	20,125	5,353	22,871
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები	82	155	75	270	75	270
ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში	7,800	7,106	7,483	7,104	7,483	7,104
ძირითადი საშუალებები	539,294	527,821	539,790	502,645	654,112	610,683
გუდვილი და არამატერიალური აქტივები	48,608	45,438	49,664	42,643	63,372	57,193
სხვა აქტივები	44,997	27,602	40,745	24,509	21,122	17,615
მთლიანი აქტივები	793,043	754,816	782,389	750,407	896,871	875,113
ვალდებულებები						
თანაშრომელთა კომპენსაციის დანარიცხები	18,170	17,511	17,954	16,852	19,843	18,154
კრედიტორული დავალიანებები	30,436	26,974	33,280	49,581	37,441	52,801
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	30	58	33	72	41	72
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	1,984	-	-	-	8,676	8,834
საკრედიტო დავალიანებები აქციების შესყიდვაზე	736	3,312	2,938	3,312	2,938	5,850

სესხები	165,228	152,660	161,107	158,491	173,211	167,829
გამოშვებული ობლიგაციები	92,840	93,370	93,573	93,493	93,573	93,493
სხვა ვალდებულებები	2,364	4,458	6,760	4,211	4,862	4,604
მთლიანი ვალდებულებები	311,788	298,343	315,645	326,012	340,585	351,637
კაპიტალი						
სააქციო კაპიტალი	47,828	47,828	47,828	45,437	56,345	53,954
დამატებით შეტანილი კაპიტალი	249,373	248,073	248,173	230,313	302,753	282,260
სხვა რეზერვები	(8,215)	(8,215)	(8,215)	(8,215)	(175)	(209)
გაუნაწილებელი მოგება	125,251	102,848	113,558	93,102	131,040	122,755
კომპანიის აქციონერებისთვის განკუთვნილი მთლიანი კაპიტალი	414,237	390,534	401,344	360,637	489,963	458,760
არამაკონტროლებელი წილის მფლობელები	67,018	65,939	65,400	63,758	66,323	64,716
სულ კაპიტალი	481,255	456,473	466,744	424,395	556,286	523,476
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	793,043	754,816	782,389	750,407	896,871	875,113

აქტივები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მთლიანი აქტივები ოდნავ გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 782.4 მილიონი ლარი (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 896.9 მილიონი ლარი) შეადგინა, რაც 4.3%-იანი ზრდაა (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 2.5%-იანი). ეს ცვლილება ძირითადად გამოიწვია ძირითადი საშუალებების 7.4%-იანმა (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 7.1%-იანმა) მატებამ და ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები დებიტორული დავალიანებების 7.9%-იანმა (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 7.5%-იანმა) ზრდამ. ამავე დროს, ეს მატება ნაწილობრივ გააბათილა ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების და გადახდილი ავანსების მნიშვნელოვანმა შემცირებამ.

აქტივები, მლნ ლარი



ძირითადი საშუალებები

ძირითადმა საშუალებებმა 2018 წლის ბოლოს მთლიანი აქტივების 69% (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 73%-ს) შეადგინა და 2017 წლის 502.6 მილიონი ლარიდან (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 610.7 მილიონი ლარიდან) 2018 წელს 539.8 მილიონ ლარამდე (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 654.1 მილიონ ლარამდე) გაიზარდა. ეს ზრდა ძირითადად განაპირობა სამედიცინო აღჭურვილობის 21.5 მილიონი ლარით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 27.8 მილიონი ლარით) და ჰოსპიტლებისა და კლინიკების 13.3 მილიონი ლარით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 15.0 მილიონი ლარით) მატებამ 2018 წელს. ჰოსპიტლები და კლინიკები შეადგენს მთლიანი ძირითადი საშუალებების 66.1%-ს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 67.1%-ს), ხოლო სამედიცინო აღჭურვილობა - 30.0%-ს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 28.4%-ს). 2018 წელს კომპანიამ შეიძინა სამედიცინო აღჭურვილობა და კაპიტალური დანახარჯები გასწია ჰოსპიტლებსა და კლინიკებში, რამაც მისი წმინდა საბალანსო ღირებულება, შესაბამისად, 3.9%-ით და 15.3%-ით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 3.5%-ით და 17.5%-ით) გაზარდა.

კომპანია თავის ოფისსა და ჰოსპიტლების შენობებს, ასევე მშენებარე აქტივებს იყენებს სესხების უზრუნველყოფისთვის. შენობების და მშენებარე აქტივების საბალანსო ღირებულება, რომლებიც სესხების უზრუნველყოფის საშუალებებად არის გამოყენებული, შეადგენდა 356.6 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 385.0 მილიონ ლარს) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ათასი ლარი	დამოუკიდებელი ლი 16ახ. 2019	დამოუკიდებელი ლი 16ახ. 2018	დამოუკიდებელი ლი 2018	დამოუკიდებელი ლი 2017	კონსოლიდირებული ლი 2018	კონსოლიდირებული ლი 2017
ჰოსპიტლები და კლინიკები	346,125	343,259	345,827	332,120	439,054	424,017
სამედიცინო აღჭურვილობა	168,489	161,071	168,091	146,681	185,918	158,167
ავიჯი და მოწყობილობები	11,210	9,682	12,135	9,710	13,413	11,810
კომპიუტერები	5,992	5,775	6,099	6,045	7,015	7,131
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	5,396	5,714	5,444	5,733	6,106	6,646
ავტომობილები	1,741	2,001	1,856	2,029	2,268	2,585
მშენებარე აქტივები	341	319	338	327	338	327
მთლიანი ძირითადი საშუალებები	539,294	527,821	539,790	502,645	654,112	610,683

გაწეული ჯანდაცვის მომსახურებისთვის მისაღები დებიტორული დავალიანებები

გაწეული ჯანდაცვის მომსახურებისთვის მისაღები დებიტორული დავალიანებები სიდიდით მეორე ანგარიშია კომპანიის მთლიან აქტივებში. ამ დებიტორულმა დავალიანებებმა 2018 წელს 109.0 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 111.9 მილიონ ლარს) მიაღწია, რაც 7.9%-ით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 7.5%-ით) აღემატება წინა წლის 101.0 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 104.1 მილიონ ლარს). ეს ცვლილება, ძირითადად, გამოიწვია სახელმწიფოსგან მისაღები დებიტორული დავალიანებების 80.9 მილიონი ლარიდან 94.6 მილიონ ლარამდე (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 83.2 მილიონი ლარიდან 97.7 მილიონ ლარამდე) ზრდამ, რაც ნაწილობრივ გაქვითა ინდივიდებისგან მისაღები და სხვა დებიტორული დავალიანებების 28.5 მილიონი ლარიდან 22.7 მილიონ ლარამდე (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 29.3 მილიონი ლარიდან 22.0 მილიონ ლარამდე) შემცირებამ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დებიტორული დავალიანების ბრუნვის დღეები (საშუალო დებიტორული დავალიანება შეფარდებული პერიოდის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებთან და გამრავლებული პერიოდში დღეების რაოდენობასთან) 2019 წლის პირველ ნახევარში 144.98-ამდე შემცირდა 2018 წლის იგივე პერიოდის 146.36 დღიან მაჩვენებელთან შედარებით.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილი საბალანსო ღირებულება გონსერულობის ფარგლებშია მიახლოებული მათ სამართლიან ღირებულებებთან 2018 წლისა და 2017 წლის დასასრულის მდგომარეობით.

ათასი ლარი	დამოუკიდებელი 15.12. 2019	დამოუკიდებელი 15.12. 2018	დამოუკიდებელი 2018	დამოუკიდებელი 2017	კონსოლიდირებული 2018	კონსოლიდირებული 2017
სახელმწიფოსგან მისაღები დებიტორული დავალიანებები	109,165	94,673	94,584	80,901	97,666	83,202
ინდივიდებისგან და სხვა მისაღები დებიტორული დავალიანებები	29,031	30,522	22,742	28,533	22,023	29,344
სადაზღვევო კომპანიებისგან მისაღები დებიტორული დავალიანებები	14,173	11,457	12,385	9,602	12,941	9,875
სულ	152,369	136,652	129,711	119,036	132,630	122,421
გამოკლებული – გაუფასურების რეზერვი	(22,972)	(25,246)	(20,705)	(18,034)	(20,736)	(18,338)
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მთლიანი დებიტორული დავალიანებები, წმინდა	129,397	111,406	109,006	101,002	111,894	104,083

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები დებიტორული დავალიანების რეზერვი პირითადად, კომპანიის პოლიტიკიდან გამომდინარე, 2 წელზე მეტი ვადაგადაცილების მქონე ფიზიკური პირების დავალიანებების ჩამოწერებისგან შედგება.

გაწეული ჯანდაცვის მომსახურებისთვის მისაღები დებიტორული დავალიანებების გადანაწილება ვადაგადაცილებების მიხედვით, წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილებში.

2019 წლის 30 ივნისისათვის	>30	>60	>90	>180	>365	სულ
გაწეული ჯანდაცვის მომსახურებისთვის მისაღები დებიტორული დავალიანებები	20,177	29,759	54,294	9,943	15,224	129,397
2018 წლის 31 დეკემბრისათვის	>30	>60	>90	>180	>365	სულ
გაწეული ჯანდაცვის მომსახურებისთვის მისაღები დებიტორული დავალიანებები	15,936	24,015	46,319	8,554	14,182	109,006

2017 წლის 31 დეკემბრისათვის	>30	>60	>90	>180	>365	სულ
გაწეული ჯანდაცვის მომსახურებისთვის მისაღები დებიტორული დავალიანებები	12,665	24,662	48,729	14,946	-	101,002

გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები

გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები 16.5%-ით გაიზარდა და 49.7 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 10.8%-ით გაიზარდა და 63.4 მილიონ ლარს) მიაღწია 2018 წელს, წინა წლის 42.6 მილიონი ლართან (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 57.2 მილიონ ლართან) შედარებით. 2018 და 2017 წლის ბოლოს გუდვილმა შეადგინა 26.3 მილიონი ლარი (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 33.6 მილიონი ლარი). გუდვილის ტესტირება ხდება კომპანიის მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ ყველაზე ქვედა სტრუქტურულ დონეზე - საოპერაციო სეგმენტის დონეზე. ჯგუფი ყოველწლიურად ახორციელებს გუდვილის ტესტირებას გაუფასურებაზე. ბოლო გაუფასურების ტესტირება ჯგუფმა ჩაატარა 2018 წლის 31 დეკემბრისთვის. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ დაუდგენია გუდვილის რაიმე გაუფასურება. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების აღდგენითი მოცულობები განისაზღვრა გამოყენების ღირებულების გაანგარიშების საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა იმ ფინანსურ ბიუჯეტების ფულადი ნაკადის პროგნოზებს, რომლებიც დაამტკიცა ზედა რგოლის მენეჯმენტმა და მოიცავს 1-დან 3 წლამდე პერიოდს. ჯგუფს არ დაუდგენია გუდვილის რაიმე გაუფასურება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სხვა არამატერიალურ აქტივებში შედის ლიცენზიები და კომპიუტერული პროგრამები, რომელთა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 23.3 მილიონ ლარს (2017 წელს - 16.3 მილიონ ლარს) (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 29.8 მილიონ ლარს, ხოლო 2017 წელს - 23.6 მილიონ ლარს). 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა არამატერიალური აქტივების ღირებულება 27.9 მილიონი ლარის ტოლია (2017 წელს - 18.5 მილიონი ლარი) (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 35.7 მილიონი ლარი, 2017 წელს - 26.0 მილიონი ლარი), ხოლო აკუმულირებული ამორტიზაცია 4.6 მილიონ ლარს შეადგენს (2017 წელს - 2.2 მილიონი ლარი) (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 5.8 მილიონი ლარი, ხოლო 2017 წელს - 2.4 მილიონი ლარი). ჯგუფმა ჩაატარა გაუფასურების ტესტი/შემოწმება და დაადგინა არამატერიალური აქტივების გაუფასურება 260 ლარის ოდენობით (2017 წელს - 606 ლარი), რაც დაერიცხა მოგებას ან ზარალს.

სხვა აქტივები

2018 წელს სხვა აქტივებმა 40.7 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 21.1 მილიონ ლარს) მიაღწია, რაც წინა წლის მონაცემთან შედარებით დაახლოებით 66%-იანი (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 20%-ზე მეტი) ზრდაა. ეს მატება, ძირითადად, გამოიწვია გაცემული სესხები ზრდამ 22.1 მილიონი ლარიდან 38.3 მილიონ ლარამდე (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 10.6 მილიონი ლარიდან 15.7 მილიონ ლარამდე). ჯგუფის მიერ გაცემული სესხები ძირითადად შედგებოდა საერთო კონტროლის ქვეშ არსებული და მშობელი კომპანიისთვის გაცემული სესხებისგან.

ათასი ლარი	დამოუკიდებელი 15.12.2019	დამოუკიდებელი 15.12.2018	დამოუკიდებელი 2018	დამოუკიდებელი 2017	კონსოლიდირებული 2018	კონსოლიდირებული 2017
გაცემული სესხები	42,320	25,658	38,344	22,061	15,730	10,565
მისაღები არასამედიცინო დებიტორული დავალიანებები	2,745	2,656	2,984	3,380	3,436	4,340
იჯარის დეპოზიტი	-	-	-	-	1,832	1,774
წინასწარ გადახდილი საოპერაციო გადასახადები	1,135	794	795	590	1,115	756
საოპერაციო იჯარიდან მისაღები დებიტორული დავალიანებები	557	542	541	439	742	-
საინვესტიციო კონება	653	397	467	382	653	395
არასაკონტროლო წილის მფლობელებისგან მისაღები დებიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-	2,128
წარმოებული ფინანსური აქტივები (დერივატივები)	15	28	42	130	42	130
მოლიანი სხვა აქტივები, დარიცხული	47,425	30,075	43,173	26,982	23,550	20,088
გამოკლებული – გაუფასურების რეზერვი	(2,428)	(2,473)	(2,428)	(2,473)	(2,428)	(2,473)
სულ სხვა აქტივები, წმინდა	44,997	27,602	40,745	24,509	21,122	17,615

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მნიშვნელოვნად შეიცვალა და 2017 წლის 28.8 მილიონი ლარიდან 2018 წელს 14.4 მილიონ ლარამდე შემცირდა, რაც 50.0%-იანი კლებაა (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 29.2 მილიონი ლარიდან 15.1 მილიონ ლარამდე, რაც 48.5%-იანი კლებაა). კომპანიამ საკუთარი ვალი გაზარდა კაპიტალური დანახარჯების მიზნებისთვის 2017 წელს, ხოლო 2018 წელს ახალი ჰოსპიტლების და ლაბორატორიების გასახსნელად, რის შედეგადაც ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მაჩვენებელი დაბალი იყო წლის ბოლოს.

გაცემული სესხები

2019 წლის აპრილში ევექსის ჰოსპიტლებისა და კლინიკების გაყოფისას, კომპანიის მენეჯმენტმა გარკვეულ პარამეტრებზე დაყრდნობით მიაკუთვნა მიღებული სესხები ჰოსპიტლებსა და კლინიკებს შესაბამისად. ევექსის კლინიკების მცირე ზომიდან გამომდინარე, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისგან მიღებული სესხები ვერ გადაეწერა ევექსის კლინიკებს. აქედან გამომდინარე, მენეჯმენტის შეთანხმებით, აღნიშნული სესხები დარჩა


ევექსის ჰოსპიტლების ბალანსზე, მაგრამ ასევე გაუჩნდა გარკვეული ოდენობის გაცემული სესხი გაუჩნდა ევექსის კლინიკების მიმართ.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები 2017 წლის 20.1 მილიონი ლარიდან 2018 წელს 3.1 მილიონ ლარამდე შემცირდა (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 22.9 მილიონი ლარიდან 5.4 მილიონ ლარამდე). 2017 წელს გადახდილი ავანსებიდან 13.9 მილიონი ლარი ფიქსირებული აქტივებისთვის (PPE) გადახდილი ავანსები იყო, 2018 წელს კი, კომპანიამ დაასრულა შეკეთების და რეკონსტრუქციის ძირითადი სამუშაოები, რის შედეგადაც წლის ბოლოს გადახდილი ავანსების ბალანსი შემცირდა.

ვალდებულებები

მთლიანი ვალდებულებები 3.2%-ით შემცირდა, 2017 წლის 326.0 მილიონი ლარიდან 2018 წელს 315.6 მილიონ ლარამდე (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში 3.1%-ით შემცირდა - 351.6 მილიონი ლარიდან 340.6 მილიონ ლარამდე). ეს ცვლილება კრედიტორული დავალიანებების მნიშვნელოვანი კლების შედეგი იყო, რაც ნაწილობრივ გაიქცითა ნასესხები სახსრების ზრდით. კომპანიის ვალდებულებების უდიდესი წილი ნასესხებ სახსრებზე, გამოშვებულ ობლიგაციებზე და კრედიტორულ დავალიანებებზე მოდის.



ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები კომპანიის მთლიანი ვალდებულებების ყველაზე დიდ წილს - 51.0%-ს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 50.9%-ს) შეადგენს და 2018 წელს 2.6 მილიონი ლარით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 5.4 მილიონი ლარით) გაიზარდა, რაც წარმოადგენს 1.7%-იან ზრდას (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 3.2%-იან ზრდას) აღემატება. ნასესხები სახსრები ძირითადად შედგება უცხოური საფინანსო ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრებისგან, რომელთა საშუალო

წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი კონსოლიდირებული ორგანიზაციისთვის 2018 წელს იყო 9.52%, ხოლო ვადა 1,918 დღე. ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრების საშუალო წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი კონსოლიდირებული ორგანიზაციისთვის 2018 წელს იყო 10.38% (2017 წელს - 9.63%), ხოლო ვადა 472 დღე (2017 წელს - 919 დღე). სხვა ნასესხებ სახსრებში შედიოდა სესხი წელს - 9.63%), ხოლო ვადა 472 დღე (2017 წელს - 919 დღე). სხვა ნასესხებ სახსრებში შედიოდა სესხი არასაკონტროლო წილის მფლობელისგან და სესხი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისგან - „იმედი ლ“-სგან. ზოგიერთი სესხი მიღებულია გარკვეული პირობებით, როგორებიცაა საკუთარ და ნასესხებ სახსრებს შორის თანაფარდობის მაჩვენებლის, კაპიტალდაბანდების, უძრავი ქონების მინიმალური ოდენობის ლიმიტის შენარჩუნება და სხვა. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი შესაბამისობაში იყო ყველა ამ მსესხებლის მოთხოვნებთან.

ათასი ლარი	დამოუკიდებელი 15.12.2019	დამოუკიდებელი 15.12.2018	დამოუკიდებელი 31 დეკ. 2018	დამოუკიდებელი 31 დეკ. 2017	კონსოლიდირებული 31 დეკ. 2018	კონსოლიდირებული 31 დეკ. 2017
უცხოური საფინანსო ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრები	160,752	147,596	156,449	151,701	156,449	151,701
ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრები					10,731	9,338
სხვა	4,476	5,064	4,658	6,790	6,031	6,790
მთლიანი ნასესხები სახსრები	165,228	152,660	161,107	158,491	173,211	167,829

გამოშვებული ობლიგაციები

2017 წლის ივლისში „ევექსმა“ გამოუშვა 90 მილიონი ლარის 5 წლიანი ადგილობრივი ობლიგაციები კერძო განთავსებით. ობლიგაციები გამოშვებული იქნა ნომინალური ღირებულებით და მათი წლიური კუპონის განაკვეთი იყო 10.5%, რაც წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთს დამატებული 350 საბაზისო პუნქტი. შემოსავლები მოხმარდა ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრების რეფინანსირებას, რომლებიც დაფინანსების შედარებით უფრო ძვირი წყაროა და ასევე, მოხმარდა დაგეგმილ მიმდინარე კაპიტალურ დანახარჯებს. 2018 წლის 31 დეკემბერს დარჩენილი დავალიანება 93,573 ლარი იყო (2017 წელს - 93,493 ლარი) (მონაცემები იდენტური იყო კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში).

კრედიტორული დავალიანებები

კრედიტორული დავალიანებები 32.9%-ით შემცირდა და 2018 წელს 33.3 მილიონი ლარი შეადგინა (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 29.1%-ით შემცირდა და 37.4 მილიონი ლარი შეადგინა) წინა წლის 49.6 მილიონ ლართან (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 52.8 მილიონ ლართან) შედარებით. ეს კლება, ძირითადად, გამოიწვია ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული კომპანიის ვალდებულებების მკვეთრმა შემცირებამ.

ათასი ლარი	დამოუკიდებელი 15.12.2019	დამოუკიდებელი 15.12.2018	დამოუკიდებელი 31 დეკ. 2018	დამოუკიდებელი 31 დეკ. 2017	კონსოლიდირებული 31 დეკ. 2018	კონსოლიდირებული 31 დეკ. 2017
ჯანდაცვის მასალებისა და მარაგებისთვის გადასახდელი თანხები	18,036	16,984	19,419	17,217	21,578	18,367
ძირითადი საშუალებების შეძენისთვის გადასახდელი თანხები	5,786	4,459	5,547	22,833	6,897	22,464
საოფისე მარაგებისთვის გადასახდელი თანხები	3,597	3,187	4,085	4,757	4,737	5,546
ჯანდაცვის მომსახურებისთვის გადასახდელი თანხები	1,070	698	1,110	1,797	1,110	4,563
სხვა კრედიტორული დავალიანება	1,947	1,646	3,119	2,977	3,119	1,861
მთლიანი კრედიტორული დავალიანება	30,436	26,974	33,280	49,581	37,441	52,801

კაპიტალი

2018 წლის ბოლოს მთლიანი კაპიტალი 466.7 მილიონი ლარი იყო, რაც 10.0%-ით აღემატება წინა წლის 424.4 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 556.3 მილიონი ლარი, რაც 6.3%-ით აღემატება წინა წლის 523.5 მილიონ ლარს).

ათასი ლარი	დამოუკიდებელი 15.12.2019	დამოუკიდებელი 15.12.2018	დამოუკიდებელი 31 დეკ. 2018	დამოუკიდებელი 31 დეკ. 2017	კონსოლიდირებული 31 დეკ. 2018	კონსოლიდირებული 31 დეკ. 2017
სააქციო კაპიტალი	47,828	47,828	47,828	45,437	56,345	53,954
დამატებით შეტანილი კაპიტალი	249,373	248,073	248,173	230,313	302,753	282,260
სხვა რეზერვები	(8,215)	(8,215)	(8,215)	(8,215)	(175)	(209)
გაუნაწილებელი მოგება	125,251	102,848	113,558	93,102	131,040	122,755
კომპანიის აქციონერებისთვის განკუთვნილი მთლიანი კაპიტალი	414,237	390,534	401,344	360,637	489,963	458,760
არასაკონტროლო წილი	67,018	65,939	65,400	63,758	66,323	64,716
მთლიანი კაპიტალი	481,255	456,473	466,744	424,395	556,286	523,476

სააქციო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ვექსის“ მიმოქცევაში არსებული აქციების რაოდენობა იყო 56,344,904 (2017 წელს - 53,953,963) და თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება 1 ლარს შეადგენდა. ყველა აქცია სრულად იყო განაღდებული. 2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებულ პერიოდებში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ განაწილებულა.

დამატებით შეტანილი კაპიტალი

დამატებით შეტანილი კაპიტალი შედგება კრედიტების ან დებიტებისგან, რომლებიც ერიცხება კაპიტალს „ევექსის“ აქციებთან დაკავშირებულ ტრანზაქციებზე. „ევექსის“ აქციებთან დაკავშირებული ნებისმიერი ტრანზაქცია (მათ შორის, აქციებით კომპენსაცია), რომელიც აღემატება „ევექსის“ აქციების ნომინალურ ღირებულებას (1 ლარი), აღირიცხება დამატებით შეტანილი კაპიტალის ანგარიშში.

გაუნაწილებელი მოგება

ფასს 9-ის ამოქმედების ზეგავლენა - 4.8 მილიონი ლარი (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 5.5 მილიონი ლარი), რაც ჯგუფის დებიტორული დავალიანებების ზარალის გაზრდილ რეზერვს წარმოადგენს, დებიტად დაირიცხა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე 2018 წლის 1 იანვარს, ანუ გარდამავალ თარიღზე.

ათასი ლარი	დამოუკიდებელი			კონსოლიდირებული		
	თავდაპირველი ი საბალანსო ღირებულება IAS 39-ის მიხედვით 1 იანვ. 2018	გადაფასებულ ი ღირებულება	ახალი საბალანსო ღირებულებ ა IFRS 9-ის მიხედვით 1 იანვ. 2018	თავდაპირველი ი საბალანსო ღირებულება IAS 39-ის მიხედვით 1 იანვ. 2018	გადაფასებულ ი ღირებულება	ახალი საბალანსო ღირებულებ ა IFRS 9-ის მიხედვით 1 იანვ. 2018
აქტივები						
ჯანდაცვის სერვისებიდან მისაღები დებიტორული დავალიანებები	119,036	—	119,036	122,421	—	122,421
გამოკლებული – გაუფასურების რეზერვი	(18,034)	(4,755)	(22,789)	(18,338)	(5,535)	(23,873)
ჯანდაცვის სერვისებიდან მისაღები დებიტორული დავალიანებები, წმინდა	101,002	(4,755)	96,247	104,083	(5,535)	98,548
კაპიტალი						
გაუნაწილებელი მოგება	93,102	(4,755)	88,347	122,755	(5,535)	117,220

დამატებითი ფინანსური საჭიროებები

ობლიგაციების შედეგად მიღებული წმინდა სახსრები გამოყენებული იქნება ფინანსური ინსტიტუტებისგან აღებული სესხების ნაწილის რეფინანსირებისთვის. რეფინანსირების საჭიროება განპირობებულია კომპანიის სურვილით შეიმციროს საპროცენტო ხარჯი და აღებული სესხების პირობები.

საოპერაციო შედეგები

ათასი ლარი	დამოუკიდებელი 15 აბ. 2019 (არაუდირებული)	დამოუკიდებელი 15 აბ. 2018 (არაუდირებული)	დამოუკიდებელი 31 დეკ 2018 (აუდირებული)	დამოუკიდებელი 31 დეკ 2017 (აუდირებული)	კონსოლიდირებული 31 დეკ 2018 (აუდირებული)	კონსოლიდირებული 31 დეკ 2017 (აუდირებული)
შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	147,998	130,618	262,703	233,334	301,988	262,688
ჯანდაცვის მომსახურების ღირებულება	(85,661)	(75,358)	(151,135)	(132,785)	(174,073)	(150,243)
მთლიანი მოგება	62,337	55,260	111,568	100,549	127,915	112,445
სხვა საოპერაციო შემოსავალი	3,076	3,773	7,558	4,601	12,478	11,149
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(12,064)	(11,630)	(21,609)	(20,968)	(32,548)	(31,119)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(5,897)	(5,293)	(10,801)	(9,445)	(16,261)	(13,460)
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები დებიტორული დავალიანებების და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურება	(2,267)	(2,457)	(4,461)	(4,015)	(4,632)	(4,107)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(3,196)	(2,246)	(8,299)	(8,434)	(13,080)	(11,670)
EBITDA (მოგება გადასახადების, პროცენტების, ცვეთის და ამორტიზაციის გადახდამდე)	41,989	37,407	73,956	62,288	73,872	63,238
ცვეთა და ამორტიზაცია	(13,244)	(12,342)	(24,785)	(18,381)	(30,768)	(23,177)
საპროცენტო შემოსავალი	1,178	1,230	3,532	1,007	1,233	3,845
საპროცენტო ხარჯი	(11,344)	(10,663)	(21,876)	(18,519)	(26,550)	(17,206)
წმინდა მოგება (ზარალი) უცხოური ვალუტებიდან	(3,788)	(152)	(1,809)	(997)	(1,764)	(5,379)
წმინდა არარეგულარული შემოსავალი /ხარჯი	(348)	1,276	-	-	1,661	(2,790)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	14,443	16,756	29,018	25,398	17,684	18,531
მოგების გადასახადის ხარჯი	-	(74)	(37)	(11)	(37)	(11)
წლის მოგება	14,443	16,682	28,981	25,387	17,647	18,520
სხვა სრული ზარალი, რომელიც არ რეკლასიფიცირდება მოგებად ან ზარალად	-	-	-	(3,711)	-	(4,866)

მომდევნო პერიოდებში: ქონების
ღირებულების გადაფასება

წლის სრული შემოსავალი

14,443

16,682

28,981

21,676

17,647

13,654

წლის მოგება, რომელიც განკუთვნილია:

- კომპანიის აქციონერებისთვის

11,693

14,501

25,156

24,002

13,820

12,803

- არასაკონტროლო წილის მფლობელებისთვის

2,750

2,181

3,825

1,385

3,827

5,717

წლის სრული შემოსავალი, რომელიც
განკუთვნილია:

- კომპანიის აქციონერებისთვის

11,693

14,501

25,156

20,291

13,820

8,343

- არასაკონტროლო წილის მფლობელებისთვის

2,750

2,181

3,825


1,385

3,827


5,311

შემოსავალი

შემოსავლების და EBITDA-ს დინამიკა ('000 ლარი)



შემოსავლების გადანაწილება სამი ძირითადი კომპონენტის მიხედვით, პროცენტული წილი ჯანდაცვის
მომსახურებიდან მიღებული შემოსავლიდან



ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს სტაციონარული და ამბულატორიული სერვისებისთვის მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიან ღირებულებას და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- *ჯანდაცვის მომსახურების შემოსავალი სახელმწიფოსგან* - კომპანია სახელმწიფო პროგრამებით დაზღვეული პირებისგან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების ეტაპის დასრულებისა და პარტნიორებს შორის შეთანხმებული პირობების საფუძველზე.
- *ჯანდაცვის მომსახურების შემოსავალი ნაღდი ფულის და სხვა სახით* - კომპანია აღიარებს ნაღდი ფულის და სხვა სახის შემოსავალს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების ეტაპის დასრულებისა და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე. გაყიდვებიდან შემოსავალი, ჩვეულებრივ, ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათით მიიღება. ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებულია სხვა შემოსავალი მოიცავს შემოსავალს მუნიციპალიტეტებიდან და სხვა ჰოსპიტლებიდან, რომლებთანაც კომპანიას სახელშეკრულებო ურთიერთობა აქვს. მომსახურების გაყიდვის აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც იქნა გაწეული სერვისები და იანგარიშება სახელშეკრულებო ტარიფების მიხედვით.
- *ჯანდაცვის მომსახურების შემოსავლები სადაზღვევო კომპანიებისგან* - კომპანია სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ დაზღვეული ინდივიდებისგან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების ეტაპის დასრულებისა და პარტნიორებს შორის შეთანხმებული პირობების საფუძველზე.

2018 წელს კომპანიის ჯანდაცვის მომსახურების შემოსავლის 85% რეფერალურ ჰოსპიტლებზე მოდიოდა. რეფერალური ჰოსპიტლების შემოსავლების წლიური ზრდა, ძირითადად, ახალი ჰოსპიტლების წარმატებულმა განვითარებამ განაპირობა. ახლადგახსნილი ჰოსპიტლების გარდა, შემოსავლების წლიურ ზრდას ხელი შეუწყო მოთხოვნამ იმ სერვისებზე, რომლებსაც კომპანიის დაწესებულებები ამჟამად უზრუნველყოფენ. ამ დაწესებულებების დატვირთვის მაჩვენებელმა 63.2% შეადგინა 2018 წლის მე-4 კვარტალში.

2018 წელს, ჯანდაცვის მომსახურების მთლიანი შემოსავალი 12.6%-ით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 15.0%-ით) გაიზარდა და 262.7 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 302.0 მილიონ ლარს) მიაღწია, 2017 წლის 233.3 მილიონ ლართან (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 262.7 მილიონ ლართან) შედარებით. ეს ცვლილება ძირითადად გამოიწვია სახელმწიფოსგან შემოსავლების (საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა) და ნაღდი ფულის და სხვა სახის შემოსავლების მატებამ.

სახელმწიფოსგან მიღებული ჯანდაცვის მომსახურების შემოსავლები (საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა), შესწორებების და დაბრუნებული თანხების გამოკლებით, კომპანიის მთლიანი ჯანდაცვის მომსახურების შემოსავლების 68.3%-ს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 66.4%-ს) შეადგენს. 2018 წელს ეს შემოსავალი 11.1%-ით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 13.6%-ით) გაიზარდა და 179.5 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 200.7 მილიონ ლარს) მიაღწია, 2017 წლის 161.6 მილიონ ლართან (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 176.7 მილიონ ლართან) შედარებით.

ნაღდი ფულის და სხვა სახის შემოსავლები ჯანდაცვის მომსახურებიდან სიდიდით მეორე უმსხვილესი ნაკადია და ჯანდაცვის მომსახურების მთლიანი შემოსავლების 24.9%-ს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 26.0%-ით) შეადგენს. 2017 წლიდან ეს შემოსავალი 15.6%-ით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 15.6%-ით) შეადგენს.

შემთხვევაში - 20.8%-ით) გაიზარდა და 2018 წელს 65.5 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 78.5 მილიონ ლარს) მიაღწია. კომპანიის საერთო გაფართოების მიუხედავად, სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული ნაღდი ფული და სხვა სახის შემოსავლის ზრდას ასევე ხელი შეუწყო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში 2017 წელს განხორციელებულმა ცვლილებებმა: ა) 2017 წლის მარტიდან კერძო დაზღვევის მექანიზმები ინდივიდები გამოირიცხნენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან; ბ) 2017 წლის მაისიდან, მოქალაქეები, რომელთა წლიური შემოსავალი 40,000 ლარს აღემატება, გამოირიცხნენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან; გ) 2017 წლის მაისიდან, ჯანდაცვის სამინისტრომ შეცვალა ინტენსიური თერაპიის ანაზღაურების პოლიტიკა. შედეგად, მოქალაქეები, რომლებიც გამოირიცხნენ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამიდან, თვითონ იხდიან სამედიცინო მომსახურების საფასურს.

სამედიცინო მომსახურების შემოსავლები სადაზღვევო კომპანიებიდან 17.5%-ით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 8.6%-ით) გაიზარდა და 17.7 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 22.8 მილიონ ლარს) მიაღწია 2018 წელს, წინა წლის 15.1 მილიონ ლართან (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 21.0 მილიონ ლარს) შედარებით.

ათასი ლარი	დამოუკიდებელი 15.12.2019	დამოუკიდებელი 15.12.2018	დამოუკიდებელი 2018	დამოუკიდებელი 2017	კონსოლიდირებული 2018	კონსოლიდირებული 2017
ჯანდაცვის მომსახურების შემოსავალი სახელმწიფოსგან (საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა)	103,599	89,644	182,529	163,641	204,261	178,736
ჯანდაცვის მომსახურების შემოსავალი ნაღდი ფულის და სხვა სახით	35,387	33,432	65,519	56,671	78,500	64,960
ჯანდაცვის მომსახურების შემოსავალი სადაზღვევო კომპანიებისგან	10,006	9,004	17,714	15,078	22,836	21,031
გამოკლებული - შესწორებები და დაბრუნებული თანხა	(994)	(1,462)	(3,059)	(2,056)	(3,609)	(2,039)
მთლიანი ჯანდაცვის მომსახურების შემოსავალი	147,998	130,618	262,703	233,334	301,988	262,688

2019 წლის პირველ ნახევარში მთლიანი შემოსავალი 2018 წლის პირველი ნახევრის მაჩვენებელთან შედარებით 13.3%-ით გაიზარდა და 148 მილიონ ლარს მიაღწია. ეს მატება ძირითადად განაპირობა ახლადგახსნილი ჰოსპიტლების დატვირთვის ზრდამ.

2019 წლის მეორე კვარტალში კავკასიის მედიცინის ცენტრის შემოსავალმა რეკორდულ 9.5 მილიონ ლარს მიაღწია, რაც პირველი კვარტალის შედეგთან შედარებით 6%-იანი ზრდა იყო. შემოსავლების კუთხით კავკასიის მედიცინის ცენტრი უკვე ქვეყნის 5 უდიდეს ჰოსპიტალში შედის.

თბილისის რეფერალურმა ჰოსპიტალმა 2019 წლის პირველ ნახევარში 12.3 მილიონი ლარი გამოიმუშავა, რაც 2018 წლის პირველი ნახევრის შედეგთან შედარებით 57.4%-იანი ზრდა იყო.

ჯანდაცვის მომსახურების ღირებულება

2018 წელს ჯანდაცვის მომსახურების მთლიანმა ღირებულებამ 151.14 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 174.1 მილიონ ლარს) მიაღწია და 13.8%-იანი ზრდა (კონსოლიდირებული

ორგანიზაციის შემთხვევაში - 15.9%-იანი) აჩვენა, წინა წლის 132.8 მილიონ ლართან (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 150.2 მილიონ ლართან) შედარებით. ამ ცვლილების 68.5% (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 56.3%) განაპირობა ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებლის ღირებულების მატებამ, ხოლო 23.6% (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 28.3%) მასალების და მარაგების ხარჯების მატებამ. ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებლის ღირებულება, რაც 62%-ს აღემატება (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 63%) და მასალების და მარაგების ღირებულება, რაც თითქმის 29%-ა, (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 27%) ჯანდაცვის მომსახურების მთლიანი ღირებულების ყველაზე მსხვილ წილებს წარმოადგენს.

2018 წელს ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებლის ღირებულება გაიზარდა 15.5%-ით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 14.0%-ით) და მიაღწია 93.8 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 109.5 მილიონ ლარს), წინა წლის 81.2 მილიონ ლართან (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 96.1 მილიონ ლართან) შედარებით. კომპანიის გაფართოების გამო გაიზარდა თანამშრომლების რაოდენობა, ხოლო კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში ხელფასების განაკვეთი 36.6%-დან 36.3%-მდე შემცირდა. არაპირდაპირმა ხელფასებმა, რომლებიც არ იყო შეტანილი ჯანდაცვის მომსახურების ღირებულებაში, 32.5 მილიონი ლარი შეადგინა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2017-ში - 31.1 მილიონი) და წარმოდგენილი იყო ცალკე მუხლის სახით კონსოლიდირებულ ორგანიზაციის მოგება-ზარალის უწყისში.

2018 წელს მასალების და მარაგების ღირებულების წლიურმა ზრდამ 10.9% (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 16.6%) შეადგინა და 44.1 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 47.5 მილიონ ლარს) მიაღწია. ეს ცვლილება განაპირობა კომპანიის მიერ გაწეული ჯანდაცვის მომსახურების გაფართოებამ და შესაბამისობაშია მასთან.

2018 წელს კომუნალური და სხვა მომსახურების ღირებულება 10.9%-ით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 19.4%-ით) გაიზარდა და ძირითადად შედგება ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის მიწოდების, დასუფთავების, წყლის მიწოდების, საწვავის, სამედიცინო აღჭურვილობის მოვლა-შეკეთების ხარჯებისგან.

2019 წლის პირველ ნახევარში ჯანდაცვის მომსახურების ღირებულების წლიურმა ზრდამ 13.7% მიაღწია, რაც თანხვედრაშია მთლიანი შემოსავლის ზრდასთან. აღნიშნული ზრდის ძირითადი განმაპირობებელი ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებლის ღირებულების 11.6%-იანი და მასალების და მარაგების ღირებულების 16.6%-იანი წლიური ზრდა იყო.

ათასი ლარი	დამოუკიდებელი კლი 15.12.2019	დამოუკიდებელი ლი 15.12.2018	დამოუკიდებელი ლი 2018	დამოუკიდებელი ებელი 2017	კონსოლიდირებული 2018	კონსოლიდირებული 2017
ხელფასების და თანამშრომლების სხვა სარგებლის ღირებულება	(51,430)	(46,069)	(93,799)	(81,237)	(109,478)	(96,055)
მასალების და მარაგების ღირებულება	(25,300)	(21,693)	(44,128)	(39,803)	(47,504)	(40,758)
კომუნალური და სხვა მომსახურების ღირებულება	(6,824)	(5,836)	(11,843)	(10,682)	(13,744)	(11,510)
პროვაიდერების ღირებულება	(2,107)	(1,760)	(1,365)	(1,063)	(3,347)	(1,920)

ჯანდაცვის მომსახურების მთლიანი
ღირებულება

(85,661)

(75,358)

(151,135)

(132,785)

(174,073)

(150,243)

სხვა საოპერაციო შემოსავალი

2018 წელს მთლიანმა სხვა საოპერაციო შემოსავალმა 7.6 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 12.5 მილიონ ლარს) მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 64.3%-იანი (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 11.9%-იანი) ზრდაა. მთლიანი სხვა საოპერაციო შემოსავლების 58%-ზე მეტი (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 60%) მიღებული იქნა მედიკამენტების გაყიდვის და კრედიტორული დავალიანებების ჩამოწერის შედეგად. კრედიტორული დავალიანების ჩამოწერის ძირითადი მიზეზი კონტრაქტორებისათვის დაკისრებული ჯარიმები იყო, რისი შესაბამისი ოდენობაც მისაღები თანხიდან გამოექვითათ.

მედიკამენტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები 2018 წელს 176.3%-ით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 352.2%-ით) გაიზარდა წინა წლის მონაცემთან შედარებით, რომელიც 0.9 მილიონი ლარი (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 1 მილიონ ლარამდე) იყო. ეს მკვეთრი მატება, ძირითადად, გამოიწვია მიყიდვების ზრდამ სს „გეფასთის“, რომელიც კომპანია „ევექსის“ პარტნიორი ფარმაცევტული სადისტრიბუციო კომპანიაა.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ პერიოდში, ჯგუფმა ჩამოწერა 1.8 მილიონი ლარის (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 3.1 მილიონი ლარის) სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები, ძირითადად, ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის გამო.

ათასი ლარი	დამოუკიდებ ელი 15.6. 2019	დამოუკი დებელი 15.6. 2018	დამოუკიდებ ელი 2018	დამოუკიდებ ელი 2017	კონსოლიდირებ ული 2018	კონსოლიდირე ბული 2017
მედიკამენტების გაყიდვით მიღებული შემოსავალი	1,028	1,290	2,564	928	4,436	981
კრედიტორული დავალიანებების ჩამოწერა	654	1,179	1,825	-	3,081	-
ქირიდან შემოსავალი	547	662	765	1,062	1,154	1,164
საკომისიო შემოსავალი	-	-	122	-	224	-
სასამართლო დავებისთვის შექმნილი რეზერვის ცვლილება	-	-	559	-	817	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვისა მიღებული მოგება	61	82	208	477	308	535
შემოსავალი რეზიდენტურის პროგრამიდან	78	103	189	-	291	-
ასოცირებული კომპანიის მოგების წილი	317	2	247	375	247	375
მოგება იჯარის ჩამოწერიდან	-	-	-	-	-	2,702
მოგება ქირის ვალდებულების ჩამოწერიდან	-	-	-	-	-	514

მოგება საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	-	-	-	395	-	395
საკანცელარიო ნივთების გაყიდვით მიღებული შემოსავალი	81	67	-	249	-	301
სხვა	310	388	1,079	1,115	1,920	4,182
მთლიანი სხვა საოპერაციო შემოსავალი	3,076	3,773	7,558	4,601	12,478	11,149

ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგებელი

ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგებელი შედგება (i) ხელფასებისა და სხვა სარგებლისგან, (ii) აქციებზე დაფუძნებული კომპენსაციისგან (share based compensation), (iii) ფულადი პრემიებისგან. მთლიანი ხელფასების და თანამშრომლების სხვა სარგებლის 77%-ს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 72%-ს) შეადგენს ხელფასები და სხვა სარგებელი, რომელიც 2018 წელს 3.4%-ით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 8.3%-ით) და 2017 წლის 17.2 მილიონი ლარიდან (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 25.4 მილიონი ლარიდან) შემცირდა და 16.6 მილიონი ლარი (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 23.3 მილიონი ლარი) შეადგინა. თუმცა, ეს კლება გააბათილა აქციებზე დაფუძნებული კომპენსაციების და ფულადი პრემიების მატებამ 3.8 მილიონი ლარიდან (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 5.7 მილიონი ლარიდან) 5.0 მილიონ ლარამდე (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 9.2 მილიონ ლარამდე).

2018 წელს სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლების საშუალო რაოდენობა, იმ თანამშრომლების ჩათვლით, რომელთა ხელფასებიც ჯანდაცვის მომსახურების ღირებულებაში შედის, 8.7 ათასს (2017 წელს - 8.0 ათასს) შეადგენდა (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 11.5 ათასს (2017 წელს - 12.6 ათასს)).

2019 წლის პირველ ნახევარში ხელფასები 3.7%-ით გაიზარდა 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით და 12 მილიონს მიაღწია. ეს ზრდა ძირითადად განპირობებული იყო აქციებზე დაფუძნებული კომპენსაციების 15.5%-იანი და ფულადი პრემიების 29.7%-იანი წლიური ზრდით. ხელფასები და სხვა სარგებელი 2019 წლის პირველ ნახევარში 0.5%-ით შემცირდა 2018 წლის პირველ ნახევართან შედარებით.

ათასი ლარი	დამოუკიდებელ ი 15.6. 2019	დამოუკიდებელ ი 15.6. 2018	დამოუკიდებელ ი 2018	დამოუკიდებელ ლი 2017	კონსოლიდირებ ული 2018	კონსოლიდირებუ ლი 2017
ხელფასები და სხვა სარგებელი	(9,536)	(9,580)	(16,635)	(17,212)	(23,340)	(25,448)
აქციებზე დაფუძნებული კომპენსაცია	(1,066)	(923)	(2,417)	(1,810)	(4,769)	(2,835)
ფულადი პრემიები	(1,462)	(1,127)	(2,557)	(1,946)	(4,439)	(2,836)
მთლიანი ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგებელი	(12,064)	(11,630)	(21,609)	(20,968)	(32,548)	(31,119)

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

საოპერაციო ხარჯების წლიურ ზრდას უმთავრესად განაპირობებს ბიზნესის გაფართოება და ახალი დაწესებულებების გახსნა. მთლიანი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 წელს 14.4%-ით გაიზარდა (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 20.8%-ით) და 10.8 მილიონი ლარი (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 16.3 მილიონი ლარი) შეადგინა. ეს ცვლილება ძირითადად გამოიწვია საოფისე მარაგების და კომუნალური მომსახურების, პროფესიული მომსახურების, განთავსების და ქირის ხარჯების და საოპერაციო გადასახადის ხარჯის მატებამ. საოფისე მარაგების და კომუნალური მომსახურების, განთავსების და ქირის და მარკეტინგის და რეკლამირების ხარჯებმა, ერთობლივად, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების თითქმის ნახევარი შეადგინა.

საოფისე მარაგების და კომუნალური მომსახურების ხარჯები 2017 წლის 3.3 მილიონი ლარიდან (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 3.0 მილიონი ლარიდან) 2018 წელს 3.6 მილიონ ლარამდე (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 4.1 მილიონ ლარამდე) გაიზარდა, რაც წლიური 9.8%-იანი (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 34.2%-იანი) მატებაა. განთავსების და ქირის ხარჯი 2018 წელს გაიზარდა 4.4%-ით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 31.4%-ით). ეს ცვლილება, ძირითადად, ახალი კლინიკებისა და ამბულატორიების დამატებამ და არსებული ბიზნეს დაწესებულებების გაფართოებამ განაპირობა.

კომპანიამ ჩაატარა მარაგების ინვენტარიზაცია და ფინანსური აუდიტი „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ თითოეულ მატერიალურ ერთეულში, რის გამოც პროფესიული მომსახურების ხარჯმა 2018 წელს 1.1 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 1.2 მილიონ ლარს) მიაღწია, წინა წლის 0.9 მილიონ ლართან (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 0.1 მილიონ ლართან) შედარებით.

ათასი ლარი	დამოუკიდებელი ლო 15.აბ. 2019	დამოუკიდებელი ლო 15.აბ. 2018	დამოუკიდებელი ლო 2018	დამოუკიდებელი ლო 2017	კონსოლიდირებული ლო 2018	კონსოლიდირებული ლო 2017
საოფისე მარაგების და კომუნალური მომსახურების ხარჯი	(1,991)	(1,521)	(3,581)	(3,260)	(4,087)	(3,046)
განთავსების და ქირის ხარჯი	(469)	(391)	(715)	(685)	(2,202)	(1,676)
მარკეტინგი და რეკლამა	(645)	(390)	(1,192)	(869)	(1,705)	(2,019)
პროფესიული მომსახურება	(276)	(313)	(1,065)	(943)	(1,186)	(107)
კომუნიკაცია	(467)	(430)	(956)	(900)	(1,099)	(1,027)
საოპერაციო გადასახადის ხარჯი	(410)	(366)	(769)	(667)	(1,069)	(665)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(166)	(26)	(45)	(36)	(1,065)	(837)

სხვა	(1,473)	(1,856)	(2,478)	(2,085)	(3,848)	(4,083)
მთლიანი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(5,897)	(5,293)	(10,801)	(9,445)	(16,261)	(13,460)

2018 და 2017 წლებში სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები ძირითადად შედგებოდა მგზავრობის, საბანკო გადასახადების და საკომისიოების, უსაფრთხოების, ტრენინგის, ქონების დაზღვევის და სხვა ხარჯებისგან.

ჯანდაცვის მომსახურების დებიტორული დავალიანებების და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურება

ცვლილებები სამედიცინო მომსახურების დებიტორულ დავალიანებებში შემდეგნაირად გამოიყურება:

ათასი ლარი	დამოუკიდებელი 15.12.2019	დამოუკიდებელი 15.12.2018	დამოუკიდებელი 2018	კონსოლიდირებული 2018
1 იანვარი	20,705	18,034	18,034	20,811
გაუფასურების რეზერვი	2,267	2,457	4,461	4,632
ფას 9-ის ამოქმედების გავლენა	-	4,755	4,755	5,535
დებიტორული დავალიანებების გაუფასურება სასამართლო დავების გამო	-	-	2,801	4,922
ჩამოწერა	-	-	(9,346)	(12,738)
31 დეკემბერი	22,972	25,246	20,705	23,162

სხვა საოპერაციო ხარჯები

2018 წელს სხვა საოპერაციო ხარჯებმა 8.3 მილიონი ლარი (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 13.1 მილიონი ლარი) შეადგინა, წინა წლის 8.4 მილიონ ლართან (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 11.7 მილიონ ლართან) შედარებით, რაც წლიურ 1.6%-იან კლებას (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 12.1%-იანი ზრდას) წარმოადგენს. ეს კლება, ძირითადად, გამოიწვია ჯარიმების და საგადასახადო აქტივების გაუფასურების 2.1 მილიონი ლარით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 2.2 მილიონი ლარით) და სხვა ხარჯების 2.0 მილიონი ლარით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 1.2 მილიონი ლარით) შემცირებამ, რაც ნაწილობრივ გააბათილა გაყიდული მედიკამენტების ღირებულების ზრდამ 2.1 მილიონი ლარით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 3.4 მილიონით), სასამართლო დავების გამო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების მატებამ 1.4 მილიონი ლარით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 0.9 მილიონი ლარით) და მოვლა-შეკეთების ხარჯის ზრდამ 0.5 მილიონი ლარით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 0.5 მილიონი ლარით).

გაყიდული მედიკამენტების თვითღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა 2017 წლის 0.7 მილიონი ლარიდან (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 0.7 მილიონი ლარიდან) 2018 წელს 2.7 მილიონ ლარამდე

(კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 4.1 მილიონ ლარამდე) განაპირობა სს „გეფასთვის“ (კომპანია „ევექსის“ პარტნიორი ფარმაცევტული სადისტრიბუციო კომპანია) მედიკამენტების მიყიდვების მკვეთრმა ზრდამ.

სასამართლო დავების გამო დებიტორული დავალიანებების გაუფასურება თითქმის გაორმაგდა (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 48.8%-ით გაიზარდა) და 2017 წლის 1.4 მილიონი ლარიდან (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 1.9 მილიონი ლარიდან) 2018 წელს 2.8 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 2.8 მილიონ ლარს) მიაღწია. ეს ზრდა 2 ჰოსპიტლის დამატების შედეგად დებიტორული დავალიანებების მატებამ გამოიწვია, რომლებიც, ძირითადად, იმ პაციენტებისგან მისაღები თანხებია, რომლებსაც გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გაეწიათ.

ჯარიმების ხარჯი, რომელიც მკვეთრად შემცირდა 2018 წელს, ძირითადად ეხებოდა სამედიცინო დოკუმენტაციაში პროცედურულ დარღვევებს, როგორიცაა დარიცხვის და ინვოისის გაცემის პროცესი.

სხვა ხარჯები მოიცავს საქველმოქმედო, არამატერიალური აქტივების გაუფასურების, ინვენტარის გაუფასურების, კორპორაციული ღონისძიებების და სხვა ხარჯებს.

ათასი ლარი	დამოუკიდებელი 15.6.2019	დამოუკიდებელი 15.6.2018	დამოუკიდებელი 2018	დამოუკიდებელი 2017	კონსოლიდირებული 2018	კონსოლიდირებული 2017
რეალიზებული მედიკამენტების თვითღირებულება	(1,119)	(905)	(2,725)	(671)	(4,081)	(697)
დებიტორული დავალიანებების გაუფასურება სასამართლო დავების გამო	-	-	(2,801)	(1,401)	(2,801)	(1,883)
მოვლა-შეკეთების ხარჯი	(1,261)	(895)	(1,562)	(1,074)	(2,112)	(1,656)
ჯარიმების და საგადასახადო აქტივების გაუფასურება	(409)	(317)	(388)	(2,502)	(1,118)	(3,314)
სხვა	(407)	(129)	(823)	(2,786)	(2,968)	(4,120)
მთლიანი სხვა საოპერაციო ხარჯი	(3,196)	(2,246)	(8,299)	(8,434)	(13,080)	(11,670)

EBITDA (მოგება გადასახადების, პროცენტების, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე) და წლის მოგება

EBITDA 2017 წლის 62.3 მილიონი ლარიდან (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 63.2 მილიონი ლარიდან) 2018 წელს 74.0 მილიონ ლარამდე (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 73.9 მილიონ ლარამდე) გაიზარდა. ეს შეადგენს 18.7%-იან (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 16.8%-მდე) მატებას, რაც ჯანდაცვის მომსახურებიდან მთლიანი შემოსავლების ზრდას აღემატება. შედეგად, EBITDA-ს მარჟა ოდნავ გაუმჯობესდა და 2018 წელს 28.2%-მდე (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 24.5%-მდე) გაიზარდა, 2017 წლის 26.7%-თან (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 24.1%-თან) შედარებით.

2018 წელს წმინდა მოგების მარჟა 11.0% (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 5.8%) იყო, 2017 წლის 10.9%-თან (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 7.1%-თან) შედარებით.

კავკასიის მედიცინის ცენტრის ექსპლუატაციაში შეყვანის (2018 წლის მარტი) შემდეგ ახალ ჰოსპიტლებში ჯგუფის ინვესტიციების საადრიცხო გავლენა ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯზე სრულად აისახა 2018 წლის შედეგებში. 2018 წელს მკვეთრად გაიზარდა ცვეთა და ამორტიზაცია და 24.8 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 30.8 მილიონ ლარს) მიაღწია, წინა წლის 18.4 მილიონ ლართან (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 23.2 მილიონ ლართან) შედარებით.

ათასი ლარი	დამოუკიდებელი ელი 15.6. 2019	დამოუკიდებელი ელი 15.6. 2018	დამოუკიდებელი ელი 31 დეკ. 2018	დამოუკიდებელი ბელი 31 დეკ. 2017	კონსოლიდირებული რებული 31 დეკ. 2018	კონსოლიდირებული რებული 31 დეკ. 2017
EBITDA	41,989	37,407	73,956	62,288	73,872	63,238
EBITDA-ს მარჟა	28.4%	28.6%	28.2%	26.7%	24.5%	24.1%
ცვეთა და ამორტიზაცია	(13,244)	(12,342)	(24,785)	(18,381)	(30,768)	(23,177)
საპროცენტო შემოსავალი	1,178	1,230	3,532	1,007	1,233	3,845
საპროცენტო ხარჯი	(11,344)	(10,663)	(21,876)	(18,519)	(26,550)	(17,206)
წმინდა მოგება (ზარალი) უცხოური ვალუტებიდან	(3,788)	(152)	(1,809)	(997)	(1,764)	(5,379)
წმინდა არარეგულარული შემოსავალი/ხარჯი	(348)	1,276	-	-	1,661	(2,790)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	(74)	(37)	(11)	(37)	(11)
წლის მოგება	14,443	16,682	28,981	25,387	17,647	18,520
წმინდა მოგების მარჟა	9.8%	12.8%	11.0%	10.9%	5.8%	7.1%

საპროცენტო ხარჯი არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც კომპანიამ გადაიხადა თავის სესხებზე, გამოშვებულ ობლიგაციებზე და ფინანსურ იჯარაზე. 2018 წელს საპროცენტო ხარჯი სესხებზე 18.1%-ით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 54.3%-ით) გაიზარდა და 21.9 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 26.6 მილიონს) მიაღწია. ამ ცვლილების მიზეზი კომპანიის მიერ 2017 და 2018 წლებში დამატებით აღებული სესხებია: (i) 61 მილიონი ლარი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტიდან, რომელიც 2017 წლის მარტში აიღო და (ii) 10 მილიონი ლარი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან, რომელიც 2018 წლის სექტემბერში აიღო. 2018 წელს, ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების სესხებზე საშუალო ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში, შეადგენდა წელიწადში 10.38%-ს (2017 წელს - 9.63%-ს), ხოლო ვადა 472 დღეს (2017 წელს - 919 დღეს). საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი 9.52% იყო (2017 წელს - 9.06%) კონსოლიდირებული ორგანიზაციისთვის, ხოლო ვადა 1,918 დღე (2017 წელს - 2,249 დღე). ზოგიერთი სესხი მიღებულია გარკვეული პირობებით, როგორებიცაა საკუთარ და ნასესხებ სახსრებს შორის თანაფარდობის მაჩვენებლის, კაპიტალდაბანდების, უძრავი ქონების მინიმალური ოდენობის ლიმიტის შენარჩუნება და სხვა. 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი შესაბამისობაში იყო მსესხებლების ყველა ამ პირობასთან.

საპროცენტო ხარჯი გამოშვებულ ობლიგაციებზე გაორმაგდა 2018 წელს. 2017 წლის ივლისში „სამედიცინო კორპორაცია ევექსმა“ გამოუშვა 90 მილიონი ლარის ობლიგაციები პროცენტის ცვლადი განაკვეთით, რომელიც

განისაზღვრებოდა როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთს დამატებული 350 საბაზისო პუნქტი. 2017 წელს პროცენტი დაირიცხა ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით, ხოლო 2018 წელს მთელი წლის განმავლობაში. შედეგად, საპროცენტო ხარჯი გამოშვებულ ობლიგაციებზე მკვეთრად გაიზარდა 2018 წელს.

ათასი ლარი	დამოუკიდებელი 15.12.2019	დამოუკიდებელი ლი 15.12.2018	დამოუკიდებელი ებელი 2018	დამოუკიდებელი ბელი 2017	კონსოლიდირებული ლი 2018	კონსოლიდირებული ლი 2017
საპროცენტო ხარჯი სესხებზე	(6,742)	(6,125)	(12,751)	(14,262)	(16,567)	(11,903)
საპროცენტო ხარჯი გამოშვებულ ობლიგაციებზე	(4,602)	(4,538)	(9,125)	(4,257)	(9,125)	(4,257)
საპროცენტო ხარჯი ფინანსურ იჯარაზე	-	-	-	-	(858)	(1,046)
მთლიანი საპროცენტო ხარჯი	(11,344)	(10,663)	(21,876)	(18,519)	(26,550)	(17,206)

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისის მიმოხილვა

ათასი ლარი	დამოუკი დებელი 16.06. 2019	დამოუკი დებელი 16.06. 2018	დამოუკი დებელი 31 დეკ. 2018	დამოუკი დებელი 31 დეკ. 2017	კონსოლიდ ირებული 31 დეკ. 2018	კონსოლიდ ირებული 31 დეკ. 2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან						
ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	125,340	113,002	238,115	227,330	273,335	237,640
ჯანდაცვის მომსახურების გადახდილი ხარჯები	(85,918)	(78,109)	(148,954)	(145,086)	(164,923)	(142,822)
გადახდილი ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(11,201)	(11,333)	(21,258)	(23,866)	(30,418)	(33,873)
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(6,409)	(5,937)	(10,708)	(9,746)	(23,808)	(15,418)
გადახდილის სხვა საოპერაციო შემოსავალი	461	289	387	659	6,588	2,809
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	(588)	(472)	(728)	(1,989)	(888)	(4,889)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე	21,685	17,440	56,854	47,302	59,886	43,447
გადახდილი მოგების გადასახადი	(71)	(127)	(213)	(165)	(213)	(268)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	21,614	17,313	56,641	47,137	59,673	43,179
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები						
შვილობილი კომპანიების შესყიდვა, მიღებული ნაღდი ფულის გამოკლებით	(877)	(1,592)	-	(6,535)	(1,873)	(11,053)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(13,604)	(36,102)	(49,976)	(64,614)	(65,204)	(74,877)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(1,619)	(4,830)	(8,287)	(6,159)	(10,105)	(6,255)
გაცემული სესხები	(1,938)	(2,914)	-	-	316	-
მიღებული საპროცენტო სარგებელი	-	-	-	-	287	552
მიღებული სესხების დაფარვა	-	-	-	-	-	13,714
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების გამოტანა და დაფარვა	-	200	-	-	6,317	-
საკრედიტო დაწესებულებებში თანხების განთავსება	-	-	-	(5,865)	(250)	(5,865)
ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული სარგებელი	319	477	102	9,458	103	9,792
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(17,719)	(44,761)	(58,161)	(73,715)	(70,409)	(73,992)

ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან						
კაპიტალის ზრდა	-	20,322	20,322	-	20,323	-
გამოშვებული ობლიგაციების გამოსყიდვა	-	-	-	(34,197)	-	(34,197)
გამოშვებული ობლიგაციებიდან მიღებული სარგებელი	-	-	-	89,011	-	89,011
სესხის აღება	5,159	5,070	16,991	66,743	14,901	76,796
ნასესხები სახსრების გადახდა	(7,453)	(11,928)	(31,590)	(63,745)	(14,131)	(63,538)
ფინანსური იჯარის ვალდებულებების გადახდა	-	-	-	-	(736)	(3,110)
საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის აქციების შეძენა	(1,291)	(1,388)	-	-	(2,207)	(1,950)
სარგებელი წარმოებული ფინანსური აქტივებიდან	-	-	256	-	255	-
გადახდილი საპროცენტო ხარჯი	(12,718)	(9,132)	(18,901)	(12,467)	(21,819)	(14,102)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	(16,303)	2,944	(12,922)	45,345	(3,414)	48,910
გაცვლის კურსების ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	3	(69)	56	(2)	(2)	(71)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა (კლება)/ზრდა	(12,405)	(24,573)	(14,386)	18,765	(14,152)	18,026
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისი	14,404	28,790	28,790	10,025	29,203	11,177
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლო	1,999	4,217	14,404	28,790	15,051	29,203

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები

2018 წელს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები 20.2%-ით (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 38.2%-ით) გაიზარდა, რაც ძირითადად განაპირობა ახალი ჰოსპიტლების გახსნისა და ბიზნესის გაფართოების შედეგად ფულადი ნაკადების ზრდამ ჯანდაცვის მომსახურებიდან.

საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები

საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები ოდნავ შემცირდა 2017 წლის 73.7 მილიონი ლარიდან 58.2 მილიონ ლარამდე 2018 წელს, რაც წლიური 21.1%-იანი ცვლილებაა (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში -74.0 მილიონი ლარიდან 70.4 მილიონ ლარამდე, რაც 4.8%-იანი კლებაა).

ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები

2018 წელს ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები 128.5%-ით, 45.3 მილიონი ლარიდან (12.9) მილიონ ლარამდე შემცირდა (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 107.0%-ით, 48.9 მილიონი ლარიდან (3.4) მილიონ ლარამდე). ამას შემდეგი ახსნა აქვს: 2017 წელს ფინანსური საქმიანობიდან შემოსული კომპანიის მთლიანი ფულადი ნაკადები 155.8 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 165.8 მილიონი ლარი) შეადგენდა ობლიგაციების გამოშვების და სესხის აღების გამო, ხოლო გადინებული მთლიანი ფულადი ნაკადები 110.4 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 116.9 მილიონ ლარს) და ძირითადად შედგებოდა სესხების გადახდის, ობლიგაციების გამოსყიდვის და საპროცენტი განაკვეთის გადახდის ხარჯებისგან. მეორე მხრივ, 2018 წელს ფულადი ნაკადების მთლიანი გადინება 50.5 მილიონი ლარი (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 38.9 ლარი) იყო და ძირითადად შედგებოდა სესხების და საპროცენტი განაკვეთის გადახდის ხარაჯისგან, ხოლო ფულადი ნაკადების შემოდინება იყო 37.6 მილიონ ლარს (კონსოლიდირებული ორგანიზაციის შემთხვევაში - 35.5 მილიონი ლარი) და შედგებოდა კაპიტალის ინექციებისა და ობლიგაციებიდან მიღებული სარგებლისგან.

ინფორმაცია კაპიტალისა და სასესხო ვალდებულებების შესახებ

2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით კომპანიის სასესხო ვალდებულებების ჩაშლა შემდეგნაირია:

მსესხებლის დასახელება	ვალუტა	დარჩენილი ვადა	ძირი	დარიცხული პროცენტი
ობლიგაციები	ლარი	1-3 წელი	90,000,000	2,019,452
საქართველოს ბანკის სესხი (საკრედიტო ხაზი)	ლარი	1 წელი	3,500,000	17,308
თიბისი ბანკის სესხი	ლარი	1-3 წელი	1,784,314	13,333
თიბისი ბანკის სესხი	ლარი	1-3 წელი	4316,516	1,284
თიბისი ბანკის სესხი	ლარი	1-3 წელი	425,025	1,724
თიბისი ბანკის სესხი (საკრედიტო ხაზი)	ლარი	1 წელი	1,000,000	9,699
თიბისი ბანკის სესხი (საკრედიტო ხაზი)	ლარი	1 წელი	585,317	4,699
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	ლარი	1-3 წელი	13,408,000	609,079
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	ლარი	>3 წელი	10,000,000	139,259
ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობისა და განვითარების საზოგადოება (PROPARCO)	აშშდ(ექვივალენტი ლარში)	>3 წელი	61,566,666	1,855,142
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)	ლარი	>3 წელი	55,527,273	274,963
სესხები მინორიტარებისგან	ევრო(ექვივალენტი ლარში)	>3 წელი	3,228,600	1,597,494
სესხები მინორიტარებისგან	ლარი	>3 წელი	1,209,858	621,126
თიბისი ბანკის სესხი	ლარი	<1 წელი	5,000,000	37,911
საქართველოს ბანკის სესხი	ლარი	1-3 წელი	5,000,000	37,671
საქართველოს ბანკის სესხი	ლარი	<1 წელი	6,000,000	27,945
სულ პროცენტები ვალდებულებები (ლარი)			258,551,569	7,268,089

2017 წლის ივლისში კომპანიამ კერძო განთავსებით გამოუშვა 90 მილიონი ლარის ღირებულების ადგილობრივი ობლიგაციები დაფარვის ხუთწლიანი ვადით. ობლიგაციები გამოშვებული იქნა ნომინალური ღირებულებით კუპონის წლიური 10.5% განაკვეთით, რაც უდრის საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთს პლუს 350 საბაზისო პუნქტი. მიღებული შემოსავალი მოხმარდა სესხების რეფინანსირებას ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან, რომლებიც დაფინანსების შედარებით ძვირ წყაროს წარმოადგენენ, და ასევე, მიმდინარე კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებას. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი გადასახდელი სესხი იყო 93,573 ლარი (2017 წელს: 93,493 ლარი).

ფინანსური კოვენანტების მიმოხილვა

კომპანიას სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტიდან აღებულ სესხებზე სხვადასხვა ტიპის კოვენანტები აქვს. ძირითადი/ყველაზე მკაცრი კოვენანტები (არასრული/მენეჯმენტის მიერ შერჩეული) და შესაბამისი მაჩვენებლები 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

კოვენანტის ტიპი	ფაქტობრივი	ობლიგაციების გამოშვების შემდეგ	ლიმიტი	აკმაყოფილებს კი/არა
წმინდა სასესხო ვალდებულებები შეფარდებული EBITDA-სთან არ უნდა იყოს 3-ზე მეტი	2.74	2.74	< 3.00	კი
წმინდა სასესხო ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან არ უნდა იყოს 1.2-ზე მეტი	0.61	0.61	<1.2	კი
სესხის მომსახურების კოეფიციენტი 1 არ უნდა იყოს 1.3-ზე ნაკლები	1.43%	1.43%	>1.3	კი
სესხის მომსახურების კოეფიციენტი 2 არ უნდა იყოს 1.3-ზე ნაკლები ან ტოლი	1.37	1.37	>=1.3	კი
მოსალოდნელი სესხის მომსახურების კოეფიციენტი	1.94	1.94	>1.5	კი
სესხის მომსახურების კოეფიციენტი 3 არ უნდა იყოს 1.3-ზე ნაკლები	1.59	1.59	>1.3	კი
დებიტორული დავალიანების დღეები არ უნდა იყოს 180-ზე მეტი	143	143	<180	კი
მიმდინარე კოეფიციენტი არ უნდა იყოს 1.1-ზე ნაკლები	2.47	2.47	>1.1	კი

წმინდა სასესხო ვალდებულებები შეფარდებული EBITDA-სთან - სასესხო ვალდებულებებს მინუს ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები შეფარდებული EBITDA-ს პლიუს არაფულად ხარჯებთან

წმინდა სასესხო ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან - სასესხო ვალდებულებებს მინუს ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები შეფარდებული კაპიტალთან

სესხის მომსახურების კოეფიციენტი 1 - ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან დათვლის თარიღამდე 12 თვის განმავლობაში (გარდა ერთჯერადი (one-off) შემოსავლებისა და ხარჯებისა), დამატებული გადახდილი პროცენტი (თუ კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო საქმიანობა), გამოკლებული ზემოაღნიშნული პერიოდის განმავლობაში ფულადი ნაკადები გრძელვადიანი აქტივების შესაძენად (თუ დაფინანსება არ მომხდარა სესხით), შეფარდებული გადახდილი ძირსა და პროცენტზე ყველა სესხებზე.

სესხის მომსახურების კოეფიციენტი 2 - პირველ გადახდის თარიღზე (საშეღავათო პერიოდის გასვლიდან) და ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, წმინდა მოგებას დამატებული არა-ფულადი ხარჯები, დამატებული ფინანსური ხარჯები (ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული დარიცხული პროცენტი, საკომისიო, ფასდათმობები, წინასწარ გადახდილი თანხები, პრემიუმი და სხვა ხარჯები - მათ შორის, ფინანსური ლიზინგის პროცენტი, პროცენტის ჰეჯირებასთან დაკავშირებული გარიგების ნებისმიერი გადასახდელი და მეწილის სესხთან დაკავშირებით გადახდილი ნებისმიერი თანხა)

გამოკლებული შენახვა/განახლებასთან დაკავშირებული ინვესტიციები, შეფარდებული ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი თანხის, პროცენტის, ძირის გადახდების ჯამთან.

მოსალოდნელი სესხის მომსახურების კოეფიციენტი - წმინდა მოგებას დამატებული არა-ფულადი ხარჯები, დამატებული ყველა გადახდა "კორექტირებულ ფინანსურ ვალდებულებასთან" დაკავშირებით (რომელიც შეიცავს ნასესხებ თანხებს, სასესხო ფასიან ქაღალდებს, ვალდებულებებს, აქტივის/სერვისის შეძენასთან დაკავშირებული გადავადებული გადასახდელის სახით (გარდა კრედიტორული დავალიანებისა), ფინანსურ ლიზინგს (გარდა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული კონტრაქტებისა), არა-პირობით ვალდებულებებს, კომპანიის მიერ მესამე პირის აკრედიტივთან (ან მსგავს ინსტრუმენტთან) დაკავშირებული გადასახდელის სახით, სხვა მოძიებულ თანხებს, რომელთაც სესხის მსგავსი ფინანსური ეფექტი აქვს და კლასიფიცირდება ფინანსურ ვალდებულებად IFRS-ის მიხედვით, ნებისმიერი განაკვეთის ან ფასის ფლუქტუაციისგან დასაცავად გაფორმებულ დერივატივ ტრანზაქციებთან დაკავშირებულ გადასახდელს ან მსგავსი ტიპის ვალდებულებებს), გამოკლებული კაპიტალური დანახარჯების ჯამი (გარდა კაპიტალური დანახარჯებისა, რომლებიც დაფინანსდა კაპიტალში შენატანებით, აქტივის გაყიდვიდან მიღებული თანხით, დაზღვევისგან მიღებული თანხით ან "კორექტირებული ფინანსური ვალდებულებით"), გაყოფილი გრძელვადიან სესხებზე ძირის გადახდებისა და "კორექტირებულ ფინანსურ ვალდებულებაზე" გადახდილი პროცენტისა და სხვა თანხების ჯამზე (სასესხო ფასიანი ქაღალდების გამოკლებით).

სესხის მომსახურების კოეფიციენტი 3 - წმინდა მოგებას დამატებული არა-ფულადი ხარჯები, დამატებული ყველა გადახდა "კორექტირებულ ფინანსურ ვალდებულებასთან" დაკავშირებით (რომელიც შეიცავს ნასესხებ თანხებს, სასესხო ფასიან ქაღალდებს, ვალდებულებებს, აქტივის/სერვისის შეძენასთან დაკავშირებული გადავადებული გადასახდელის სახით (გარდა კრედიტორული დავალიანებისა), ფინანსურ ლიზინგს (გარდა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული კონტრაქტებისა), არა-პირობით ვალდებულებებს, კომპანიის მიერ მესამე პირის აკრედიტივთან (ან მსგავს ინსტრუმენტთან) დაკავშირებული გადასახდელის სახით, სხვა მოძიებულ თანხებს, რომელთაც სესხის მსგავსი ფინანსური ეფექტი აქვს და კლასიფიცირდება ფინანსურ ვალდებულებად IFRS-ის მიხედვით, ნებისმიერი განაკვეთის ან ფასის ფლუქტუაციისგან დასაცავად გაფორმებულ დერივატივ ტრანზაქციებთან დაკავშირებულ გადასახდელს ან მსგავსი ტიპის ვალდებულებებს.), გამოკლებული კაპიტალური დანახარჯების ჯამი (გარდა კაპიტალური დანახარჯებისა, რომლებიც დაფინანსდა კაპიტალში შენატანებით, აქტივის გაყიდვიდან მიღებული თანხით, დაზღვევისგან მიღებული თანხით ან "კორექტირებული ფინანსური ვალდებულებით"), გაყოფილი გრძელვადიან სესხებზე ძირის გადახდებისა და "კორექტირებულ ფინანსურ ვალდებულებაზე" გადახდილი პროცენტისა და სხვა თანხების ჯამზე.

დებიტორული დავალიანების დღეები - დებიტორული დავალიანება შეფარდებული სამედიცინო სერვისიდან მიღებულ შემოსავალთან გამრავლებული დღეების რაოდენობაზე

მიმდინარე კოეფიციენტი - მოკლევადიანი აქტივები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან

კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, „სამედიცინო პორპორაცია ევექსის“ გამოცემული ჯამური აქციების რაოდენობა შეადგენდა 56,344,904 (2017: 53,953,963) 1 ლარის ნომინალური ღირებულებით, რომელთაგანაც ყველა გადახდილია სრულად.

დამატებითი სააქციო კაპიტალი მოიცავს ევექსის წილთან დაკავშირებულ ტრანზაქციებზე კრედიტებს ან დებიტებს. ევექსის აქციების ნომინალური ღირებულების (1 ლარი) ზევით არსებული ნებისმიერი აქციებთან დაკავშირებული ტრანზაქცია (აქციებით კომპენსაციის ჩათვლით) შეიტანება დამატებითი სააქციო კაპიტალის ანგარიშზე

სამედიცინო საქმიანობის რეგულირება საქართველოში

სამედიცინო საქმიანობა საქართველოში რეგულირდება ქართული კანონმდებლობით, განსაკუთრებით, ჯანდაცვის კერძო დაწესებულებების დაფუძნებასა და ოპერირებასთან და ასევე სამედიცინო პერსონალის სერტიფიცირებასთან დაკავშირებით.

მთავარი მარეგულირებელი უწყებები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მთავარი უწყებაა, რომელიც ზედამხედველობას უწევს ჯანდაცვის სისტემას საქართველოში და პასუხისმგებელია რეგულირების შემუშავებაზე, ზედამხედველობაზე და ჯანდაცვის პროგრამების და პოლიტიკის განხორციელებაზე. ის ასევე გასცემს ლიცენზიებსა და ნებართვებს ჯანდაცვის სექტორში.

სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო გასცემს ლიცენზიებსა და ნებართვებს სამედიცინო დაწესებულებებისთვის და პასუხისმგებელია სამედიცინო სპეციალობების პროფესიონალების სერტიფიცირებაზე. სააგენტო ასევე შეისწავლის პაციენტთა საჩივრებს სამედიცინო პროდუქტებისა და მომსახურების შესახებ.

სოციალური მომსახურების სააგენტო პასუხისმგებელია სოციალური პროგრამების ფართო სპექტრის (საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა და სხვა ვერტიკალური სახელმწიფო პროგრამები) განხორციელებაზე, მათ შორის ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი არის სახელმწიფო ორგანო, რომლის ძირითადი ფუნქციებია: საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების უზრუნველყოფა; ინფექციური დაავადებების პრევენციის ღონისძიებების ზედამხედველობა და განხორციელება; სამედიცინო სტატისტიკა; სამეცნიერო კვლევითი გრანტების გაცემა. ეკოსისტემა ვალდებულია მომზადდეს ეპიდემიის დროს საგანგებო ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

ჯანდაცვის დაწესებულებების ლიცენზირება

საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ და სხვა რეგულაციები (მათ შორის, ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება # 385 სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის შესახებ) განსაზღვრავს ჯანდაცვის დაწესებულებებისთვის ლიცენზიებისა და ნებართვების მოპოვების და დაცვის პროცედურებს. ლიცენზია ენიჭება პირს და მოქმედებს მხოლოდ ლიცენზიანტის შემთხვევაში და მისი სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირისთვის გადაცემა დაუშვებელია; ნებართვა ენიჭება კონკრეტულ ობიექტს და მოქმედებს ამ ობიექტის მესაკუთრის ან ოპერატორის ცვლილების მიუხედავად.

ჰოსპიტლის ოპერირებისთვის საჭიროა ნებართვის მოპოვება. ნებართვა არ არის საჭირო ამბულატორიული კლინიკის ოპერირებისთვის, თუ ის არ ახორციელებს „მაღალი რისკის“ შემცველ აქტივობებს/სერვისებს (როგორებიცაა სტომატოლოგიური მომსახურება, გინეკოლოგია, რეანიმატოლოგია, ვენეროლოგია, სამედიცინო რადიოლოგია, დიალიზი, ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებული სერვისები და ენდოსკოპია), რის შესახებაც ოპერატორმა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უნდა აცნობოს.

ჰოსპიტლის ოპერირებისთვის ნებართვის მოსაპოვებლად, ნებართვის მამიებელმა უნდა წარადგინოს რამდენიმე დოკუმენტი, მათ შორის ამონაწერი მეწარმე და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მისი სამედიცინო პერსონალის ჩამონათვალი, სამედიცინო ნარჩენების გატანის შესახებ მესამე მხარეებთან დადებული ხელშეკრულებების და ქვეკონტრაქტების სხვა რელევანტური ხელშეკრულებების ასლი, მის საკუთრებაში არსებული სამედიცინო მოწყობილობის ჩამონათვალი, პაციენტის რეფერალურ პროგრამაში ჩართულობის გეგმა, იმ საავადმყოფოების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლებსაც ის ფლობს ან ამუშავებს და მისი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის აღწერილობა.

სამედიცინო დაწესებულებები ექვემდებარება პერიოდულ და არაგეგმურ ინსპექტირებას სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მხრიდან, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ლიცენზიის ან ნებართვის პირობებთან მათი შესაბამისობა.

ჯანდაცვის პრაქტიკოსების სერტიფიცირება

ექიმებს უნდა ჰქონდეთ სამედიცინო (პრაქტიკოსის) სერტიფიკატი. ექთნებს უნდა ჰქონდეთ ექთნის ან სამედიცინო დიპლომი. ექიმებს, ჩვეულებრივ, აქვთ ზოგადი ან სპეციალიზაციის სერტიფიკატი. ექიმების სერტიფიკაცია შესაძლებელია ერთ ძირითად და/ან ერთ ან მეტ ვიწრო სპეციალობაში.

სერტიფიცირებულ ექიმებს, რომლებიც გამოიჩენენ პროფესიულ დაუდევრობას, გაუუქმდებათ ან დროებით შეუჩერდებათ სერტიფიკატი. ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული პროფესიული განვითარების საბჭო უფლებამოსილია, გასცეს და გააუქმოს სამედიცინო სერტიფიკატები.

სამედიცინო და ფარმაცევტული პროდუქტების რეგისტრაცია

სამედიცინო და ფარმაცევტული პროდუქტების დამზადება, გაყიდვა და გამოყენება საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეგისტრირებულია ჯანდაცვის სამინისტროში წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

სამედიცინო პროდუქტებისა და მომსახურების რეკლამირება

სამედიცინო და ფარმაცევტული პროდუქტების რეკლამირებასა და მარკეტინგს არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა. ზოგადი მოთხოვნის თანახმად, ყველა სარეკლამო განცხადება, მათ შორის სამედიცინო ხასიათის, უნდა იყოს უტყუარი და სწორი. კერძოდ, ფარმაცევტული პროდუქტების, სამედიცინო მომსახურების და სამედიცინო მოწყობილობის სარეკლამო განცხადებებს უნდა ერთვოდეს გამაფრთხილებელი წარწერა ნებისმიერი პოტენციური გვერდითი მოვლენების შესახებ და გამოყენების დეტალური ინსტრუქცია ქართულ ენაზე.

კონფიდენციალობა

პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის თანახმად, პერსონალური მონაცემები მოიცავს ნებისმიერ ისეთ პირად ინფორმაციას, რომლითაც შესაძლებელია ადამიანის იდენტიფიცირება, როგორცაა პირის სახელი, მისამართი, ტელეფონის ნომერი ან სხვა მონაცემები, რომლებიც ცალკე ან სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციასთან ერთად ამჟღავნებს პირის ვინაობას. გარდა ამისა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია ძალზე მგრძნობიარე მონაცემებად ითვლება და კიდევ უფრო მკაცრ რეგულაციებს და კონფიდენციალობის ხარისხს ექვემდებარება. თუ კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, პერსონალური

მონაცემები უნდა იყოს დაცული და არ უნდა იქნეს გამოყენებული იმ პირის თანხმობის გარეშე, რომელსაც ისინი ეხება.

გარდა ამისა, ჯანდაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ინფორმაცია სამედიცინო დახმარების თხოვნის, ინდივიდის ჯანმრთელობის, დიაგნოზის შესახებ და სამედიცინო შემოწმების ან მკურნალობის პროცესში მიღებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია კონფიდენციალურია. სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალობა ყოველთვის უნდა იყოს დაცული, პაციენტის გარდაცვალების შემდეგაც კი და მისი გამჟღავნება შეიძლება მხოლოდ დაინტერესებული პირის თანხმობით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

გარემოსდაცვითი საკითხები

ჯანდაცვის სექტორზე ვრცელდება კანონები, რეგულაციები და სხვა სამართლებრივი მოთხოვნები გარემოს დაცვასთან, განსაკუთრებით, საშიში ნივთიერებების მართვასთან და სამედიცინო ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით.

კომპანიის მიერ გარემოსდაცვითი რეგულაციების დარღვევის ან გარემოს, ფიზიკური ან იურიდიული პირისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, გარემოსდაცვით ორგანოებს, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს ან სხვა დაინტერესებულ პირს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ დამრღვევი კომპანიის საქმიანობის შეზღუდვა ან აკრძალვა, მასზე საურავის დაკისრება და/ან კომპანიის მიერ დარღვევის შედეგების გამოსწორება. კომპანიას არა აქვს დაზღვეული გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ეს პოტენციური ვალდებულებები.

სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც იყენებენ იონიზებულ/ელექტრომაგნიტურ დასხივებას ექვემდებარება მკაცრ კონტროლსა და ლიცენზირებას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მხრიდან. კომპანიის თითქმის ყველა სტაციონარული კლინიკის სამედიცინო სერვისები იყენებს იონიზებულ/ელექტრომაგნიტურ დასხივებას და ყველა მათგანს აქვს ლიცენზია.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

საავადმყოფოების ასაშენებლად საჭიროა სამშენებლო ნებართვები, ხოლო ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის რეგულაციები მოითხოვს, რომ საავადმყოფოებს ჰქონდეთ ავარიული გასასვლელები და კედელზე იყოს გამოკრული ინფორმაცია უსაფრთხოების შესახებ.

ნებისმიერ კომპანიას ან ფიზიკურ პირს, რომელიც დაარღვევს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის წესებს, შესაძლოა დაეკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და თუ ასეთი დარღვევა გამოიწვევს ზიანს, შესაძლოა ასევე მოეთხოვოს, რომ დაზარალებულ პირს აუნაზღაუროს დაკარგული შემოსავალი და სხვა ზარალი.

ჯანდაცვის სექტორის განვითარება და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შემოღება

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჯანდაცვის სამინისტრომ შეარბილა კონტროლი ჯანდაცვის სექტორზე. 2007 წლის იანვარში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „ჰოსპიტალური განვითარების გენერალური გეგმა“. ეს გეგმა ითვალისწინებდა არსებული ჰოსპიტალური ინფრასტრუქტურის სრულ პრივატიზებას სამი წლის განმავლობაში სახელმწიფო სექტორიდან კერძო სექტორისთვის უფლებების

გადაცემის გზით. რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის თქმით, საქართველოს სამედიცინო ინფრასტრუქტურა ჭარბი და მოძველებული იყო, მისი დაფინანსების მოდელი არაეფექტიანი, ხოლო რეგულირების სისტემა არაადეკვატური. ჯანდაცვის სფეროს კერძო სექტორისთვის გადაცემა გაზრდიდა კონკურენციას, გააფართოებდა პაციენტების არჩევანს და გააუმჯობესებდა ჯანდაცვის სერვისების ხარისხს.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევა 2008 და 2009 წლებში დაიწყო; სადაზღვევო დაფარვა გასცდა სიღარიბის ზღვარს და მოიცვა იმულებით გადაადგილებული პირები და ბავშვთა დაწესებულებების ბენეფიციარები. 2010 წელს მთავრობამ „ჰოსპიტალური განვითარების გენერალურ გეგმაში“ ცვლილებები შეიტანა, რითიც სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვათ ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ახალი ჰოსპიტლების აშენება 2011 წლის ბოლომდე. კერძო ინვესტორებს უნდა აეშენებინათ 100 ახალი ჰოსპიტალი 7,800 ახალი საწოლით (4,185 თბილისში და 3,615 რეგიონებში). საწოლების 36% დარჩებოდა სახელმწიფოს საკუთრებაში, ახალ ჰოსპიტლებში საწოლების 43% (1,105 საწოლი 3,320 საწოლიდან) უნდა უზრუნველყო სადაზღვევო კომპანიებს, ხოლო დანარჩენი (2,205 საწოლი) კერძო ინვესტორებს.

პრივატიზაციის მეორე ეტაპი 2010 წელს დაიწყო. ქვეყანა, თბილისის გამოკლებით, 26 სამედიცინო რაიონად დაიყო და სადაზღვევო კომპანიები მიიწვიეს ტენდერში ღარიბი მოსახლეობის დასაზღვევად სამწლიანი გეგმების წარდგენაზე. გამარჯვებულ მზღვევებს უნდა გაერემონტებინათ, აეშენებინათ და აემუშავებინათ საავადმყოფოები თავიანთ რეგიონებში.

პრივატიზაციის მესამე ეტაპი 2012 წლის სექტემბერში დაიწყო. სადაზღვევო კომპანიები კონკურირებდნენ 5 წლამდე ასაკის ბავშვების, პენსიონერების, სტუდენტების და შეზღუდული შესაძლებლობის პირების - სულ 900,000 ადამიანის, მომსახურებისთვის.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებით მოსულმა ახალმა მთავრობამ, სოციალური დაცვის გაძლიერებაზე ორიენტირებული ახალი სამთავრობო პოლიტიკის შესაბამისად, აქცენტი მომსახურების ხელმისაწვდომობაზე გადაიტანა. 2013 წლის თებერვალში ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რაც სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად და რის შედეგადაც მოსახლეობის 100% იქნა დაზღვეული. ეს პროგრამა შემდგომში გაფართოვდა და მეტი დაფინანსება გამოიყო გადაუდებელ დახმარებაზე, ოჯახის ექიმის ამბულატორიულ მომსახურებაზე, ინსტრუმენტულ და ლაბორატორიულ კვლევაზე, გეგმურ ოპერაციებზე (წლიური ლიმიტი 15,000 ლარი, 70% დაფინანსებული), კიბოს მკურნალობაზე (წლიური ლიმიტი 12,000 ლარი, 80% დაფინანსებული), მეან-გინეკოლოგიურ სერვისებსა და მშობიარობაზე.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო კომპანიები აღარ იყვნენ შუამავლები ჰოსპიტლებსა და მთავრობას შორის. ამის ნაცვლად, სახელმწიფომ დაიწყო მოლაპარაკებები განაკვეთების შესახებ უშუალოდ ჯანდაცვის პროვაიდერებთან და ანაზღაურების პირდაპირ მათთვის გადახდა.

2014 წლის სექტემბრიდან მთავრობამ შემოიღო სავალდებულო რეცეპტების პროგრამა გარკვეულ მედიკამენტებზე, რამაც მოთხოვნა გაზარდა ამბულატორიულ მომსახურებაზე. ამ პროგრამის მიხედვით, ექიმთან ვიზიტის გარეშე პაციენტები ვეღარ ყიდულობდნენ 6,000-ზე მეტი ტიპის მედიკამენტს, მათ შორის ანტიბიოტიკებს, წამლებს გულსისხლძარღვთა დაავადებებისთვის, ასევე ჰორმონალურ, ენდოკრინულ და ონკოლოგიურ პრეპარატებს.

ჯანდაცვაზე დანახარჯების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, მთავრობამ ახალი რეგულაცია ამოქმედდა 2017 წლის მაისიდან, რომლითაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფარვა მიემატა მოქალაქეთა შემოსავლის დონეებს განსხვავებით წინა მიდგომისგან, რომელიც არ ახდენდა მოქალაქეთა დიფერენცირებას შემოსავლის დონეების მიხედვით. ამ ახალი რეგულაციის თანახმად, მოქალაქეებს, რომელთა შემოსავალი 1) თვეში 1,000 ლარზე ნაკლებია, შეუწავსთეს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის იგივე დაფარვა, ჯანდაცვის მომსახურების საჭიროებების ანაზღაურებით, ხოლო მათთვის, ვინც სიღარიბის გარკვეულ ზღვარზეა, შემოღებული იქნა გარკვეული მედიკამენტების დაფინანსება; 2) თვეში 1,000 ლარზე მეტია, მაგრამ წელიწადში 40,000 ლარზე ნაკლები, ნაწილობრივ დაფარვას იღებენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან და თანადაფინანსებაში მონაწილეობენ - ეს თითქმის ისეთივე დაფარვაა, რასაც ადრე იღებდნენ; და 3) წელიწადში 40,000 ლარს აღემატება, გამოირიცხნენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფარვიდან.

მენეჯმენტი და მმართველობა

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო არის აქციონერთა საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს ყველა მთავარი გადაწყვეტილება. ის ირჩევს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის დირექტორის დანიშვნასა და მის ზედამხედველობაზე. კომპანიის დირექტორი პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ მართვაზე, გარდა იმ ფუნქციებისა, რომელიც აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციებში შედის. სამეთვალყურეო საბჭოს ნიშნავს აუდიტის კომიტეტის წევრებს.

აქციონერთა საერთო კრება (საერთო კრება)

საერთო კრება არის კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო და საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიის დებულების თანახმად, უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები, მათ შორის, თუმცა არა მარტო, შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- დებულებაში ცვლილება;
- კომპანიის რეორგანიზაცია, შერწყმა, გამოყოფა ან გადამხანაურება სხვა იურიდიული პირისთვის, ლიკვიდაცია;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნა;
- ეთიკის კოდექსის შემუშავება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის;
- დირექტორის ანგარიშის და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების სქემის შემუშავება;
- გარე აუდიტორის შერჩევა;
- წლიური ანგარიშების დამტკიცება;

დებულების თანახმად, საერთო კრებას ყოველწლიურად იწვევს სამეთვალყურეო საბჭო არა უგვიანეს 2 თვისა კომპანიის გარე აუდიტის ანგარიშის გამოქვეყნებიდან ან, ნებისმიერ შემთხვევაში, არა უგვიანეს 6 თვისა წინა ფინანსური წლის დასრულებიდან. კომპანიის აქციათა მინიმუმ 5%-ის მფლობელები უფლებამოსილი არიან, მოიწვიონ საერთო კრება სამეთვალყურეო საბჭოსთვის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

საერთო კრების მოწვევა არ არის საჭირო, თუ კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციონერთა 75%-ზე მეტი ეთანხმება გადაწყვეტილებას. თუ ერთზე მეტი აქციონერი ფლობს კომპანიის ხმის უფლებათა 75%-ზე მეტს, საერთო კრების მოწვევა სავალდებულოა.

სამეთვალყურეო საბჭო

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო შედგება მინიმუმ სამი (3) წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ნიშნავს და ათავისუფლებს აქციონერთა საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა ოთხი (4) წლის ვადით. თუმცა, ამ ვადის გასვლის შემდეგ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უფლებამოსილება გრძელდება მომდევნო საერთო კრებამდე, თუ ახალი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ არის არჩეული. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს შეუძლია უარი თქვას წევრობაზე სამეთვალყურეო საბჭოსთვის წერილობითი თხოვნის 4 კვირით ადრე წარდგენის საფუძველზე. ახალი წევრი არჩეული უნდა იქნეს სამი თვის ვადაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გათავისუფლების შემდეგ. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის შერჩევა ხდება საბჭოს წევრებიდან ხმათა უბრალო უმრავლესობით. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები იმართება კვარტალში ერთხელ.

სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანებსა და კომპეტენციებში შედის, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი:

- კომპანიის დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება და დირექტორის საქმიანობის ზედამხედველობა;
- კომპანიასთან დაკავშირებული პოლიტიკის და მარეგულირებელი დოკუმენტების დამტკიცება და შესწორება;
- დირექტორის წლიური ანგარიშის განხილვა და მოგების განაწილება;
- კომპანიის წარმოდგენა სასამართლო პროცესზე დირექტორის წინააღმდეგ;
- წლიური ბიუჯეტის დამტკიცება.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

ნიკოლოზ გამყრელიძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ გამყრელიძე დაინიშნა „ევექსის ჰოსპიტლების“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ კომპანიის დაფუძნების დღიდანვე. ის ასევე არის „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ გენერალური დირექტორი 2015 წლიდან. გამყრელიძე ასევე არის სს „ევექსი კლინიკების“, სს „იმედი ლ“-ის და სს „გეფას“ სამეთვალყურეო საბჭოების თავმჯდომარე.

ნიკოლოზ გამყრელიძე იყო „ბიჯეო ჯგუფის“ ფინანსური დირექტორის მოადგილე 2012 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის დეკემბრამდე, სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ (რომელიც მოიცავდა „ევექსის ჰოსპიტლების“ მიერ შეძენილ კომპანიებს) გენერალური დირექტორი 2007-2012 წლებში. მანამდე, 2005 წლის ოქტომბრიდან 2007 წლის ოქტომბრამდე, იყო „ჩემი ოჯახის კლინიკის“ გენერალური დირექტორი. ბ-ნი გამყრელიძე იყო „პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის“ (მსოფლიო ბანკის პროექტი) კონსულტანტი და მუშაობდა ფარმაცევტული პოლიტიკის და რეგულაციის განვითარებაზე საქართველოში. „პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტში“ მუშაობის დაწყებამდე, 2002-2003 წლებში, ის იყო პერსონალური რისკების სადაზღვევო დეპარტამენტის უფროსი სადაზღვევო კომპანია „ბი სი აი“-ში. ბ-მა გამყრელიძემ საკუთარი კარიერა დაიწყო სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიაში 1998 წელს, სადაც 2 წელი იმუშავა.

ნიკოლოზ გამყრელიძემ დაამთავრა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე და მინიჭებული აქვს სამეფო კოლეჯის ბიზნეს სკოლის მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ჯანდაცვის მენეჯმენტის სპეციალობაში.

ირაკლი გოგია - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ირაკლი გოგია იყო სს „ჩემი ოჯახის კლინიკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და „ლიბერთი ქონსუმერის“ ფინანსური დირექტორი, 4 წელი ეკავა წამყვანი პოზიციები „ერნსტ ენდ იანგსა“ და „დელოიტ ენდ ტუშში“ და მას აქვს ფინანსურ სექტორში საქმიანობის 10 წლიანი გამოცდილება. 2009-2014 წლებში, ირაკლი გოგია იყო სს სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ გენერალური დირექტორის მოადგილე და პასუხისმგებელი იყო კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო საქმიანობაზე.

2015 წლიდან ირაკლი გოგია არის „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ დირექტორი საოპერაციო საკითხებში.

ირაკლი გოგიამ დაამთავრა თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლა (ESM) თბილისში. მას საქართველოს პრეზიდენტმა მიანიჭა ღირსების ორდენი და გაერთიანებული სამეფოს განათლების სამინისტრომ მიანიჭა ჯილდო აკადემიური წარმატებისთვის.

ნინო ქორთუა - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ნინო ქორთუას დაზღვევის სფეროში იურისტად მუშაობის 14 წლიანი გამოცდილება აქვს. თავისი კარიერა მან 2000 წელს დაიწყო სადაზღვევო კომპანია Europace-ში, რომელიც მოგვიანებით სადაზღვევო კომპანია „ბი სი აი“-მ შეიძინა. მანამდე ქ-ნი ქორთუა პრაქტიკას გადიოდა იურიდიულ ფირმაში „კორმაძე და სვანიძე – ადვოკატები“.

2005 წლიდან ნინო ქორთუა სადაზღვევო კომპანია „ბი სი აი“-ს იურიდიულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 2007-2014 წლებში ის იყო სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ მთავარი იურისტი და პასუხისმგებელი იყო კომპანიის სამართლებრივ შესაბამისობაზე, მათ შორის, სამართლებრივი დავების მოგვარებაზე და წარმოადგენდა კომპანიას სასამართლოში.

2015 წლის აპრილიდან ნინო ქორთუა ასევე არის „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ იურიდიული მიმართულების ხელმძღვანელი.

ნინო ქორთუამ წითელ დიპლომზე დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი 2001 წელს. მან ადვოკატის სერტიფიკატი მიიღო 2006 წელს.

ეფრემ ურუმაშვილი - აუდიტის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი

ეფრემ ურუმაშვილი დაიბადა 1979 წლის 22 თებერვალს. 1996 წლიდან 2000 წლამდე იგი სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე აღრიცვის, ანალიზისა და აუდიტის მიმართულებით. 2000-2002 წლებში მან მიიღო იმავე ფაკულტეტის მაგისტრის დიპლომი.

2016 წლიდან დღემდე ეფრემი სს „რუსთავის აზოტის“ თანადამფუძნებელი და გენერალური დირექტორია. 2014-2015 წლებში იგი საქართველოს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო. ამავდროულად, 2014 წლიდან დღემდე იგი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული არბიტრაჟის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არის. ასევე 2014 წლიდან დღემდე იგი Bitfury-ს ოფიციალური წარმომადგენელია.

2010 წელს მან შპს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“ დააარსა და დღემდე მისი მმართველი პარტნიორია.

კომპანიის მენეჯმენტი

გიორგი მინდიაშვილი - დირექტორი

„ევექსის ჰოსპიტლების“ დირექტორად დანიშვნამდე, გიორგი მინდიაშვილი იყო სს სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ ფინანსური დირექტორი 2009 წლის სექტემბრიდან. 2012 წელს გიორგი მინდიაშვილი სადაზღვევო კომპანია „იმედი ლ ინთერნეშენლის“ გენერალური დირექტორი იყო. თავისი კარიერა მან 2003 წელს დაიწყო სადაზღვევო კომპანია British Caucasus-ში.

გიორგი მინდიაშვილს დამთავრებული აქვს თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი და მენეჯმენტის ევროპული სკოლა ფინანსური მათემატიკის, მენეჯმენტის სისტემების, ფინანსური მენეჯმენტის და კორპორაციული ფინანსების მიმართულებებში.

ეკატერინე ქავთარაძე - მოადგილე საოპერაციო სრულყოფილების საკითხებში

„სამედიცინო კორპორაცია ევექსში“ მუშაობის დაწყებამდე, ეკატერინე ქავთარაძე, იყო სსიპ დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე. 2012-2013 წლებში იყო ამ ცენტრის ხელმძღვანელი, 2010-2012 წლებში იყო ჰოსპიტალური ქსელის „მედალფას“ გენერალური დირექტორი, ხოლო 2004-2010 წლებში ეკავა სხვადასხვა პოზიცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.

2003 წელს ეკატერინემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თერაპიის ფაკულტეტი; 2008 წელს მან მიიღო მაგისტრის ხარისხი ფარმაცევტიკაში. 2013-2016 წლებში დაამთავრა კავკასიის ბიზნეს სკოლა და გრენოზის მენეჯმენტის სკოლა და აქვს ორმაგი მაგისტრის ხარისხი ბიზნეს ადმინისტრირებაში.

ის ეწევა აკადემიურ საქმიანობას, არის პუბლიკაციების ავტორი და თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტთან.

გიორგი ლომინაძე - დირექტორის მოადგილე ფინანსებში

გიორგი ლომინაძე დაინიშნა სს „ევექსის ჰოსპიტლების“ დირექტორის მოადგილედ ფინანსებში 2019 წელს. მანამდე ის 2 წლის განმავლობაში იყო „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ კომერციული ანალიტიკის განყოფილების დირექტორი. 2013-2016 წლებში გიორგი ლომინაძე იყო EMSC-ს (გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ცენტრი) პროექტების მენეჯერი, ხოლო 2007-2013 წლებში ეკავა სხვადასხვა პოზიცია რამდენიმე სადაზღვევო კომპანიაში.

ბ-ნო ლომინაძეს აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიპლომი მათემატიკაში.

მამუკა ჩხაიძე - კლინიკური მიმართულების დირექტორის მოადგილე

მამუკა ჩხაიძე დაინიშნა სს „ევექსის ჰოსპიტლების“ კლინიკური მიმართულების დირექტორის მოადგილედ 2019 წელს. მას აქვს სამედიცინო სფეროში მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის 22 წლიანი გამოცდილება.

ბ-ნმა ჩხაიძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტი. ის ეწევა აკადემიურ საქმიანობას, არის მრავალი პუბლიკაციის ავტორი. ის ასევე არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ნიკა სონდულაშვილი - დირექტორის მოადგილე იურიდიულ და რისკების მართვის საკითხებში

ნიკა სონდულაშვილმა „ევექსის ჰოსპიტლებში“ მუშაობა დაიწყო 2017 წელს. ის დაინიშნა „ევექსის ჰოსპიტლების“ დირექტორის მოადგილედ იურიდიულ და რისკების მართვის საკითხებში 2019 წელს. მანამდე, 2009-2017 წლებში ის იყო „ერნსტს ენდ იანგის“ ხარისხის და სანდოობის უზრუნველყოფის მენეჯერი.

ბ-ნ სონდულაშვილს მინიჭებული აქვს ხარისხი ბიზნეს ადმინისტრირებაში საქართველოს მენეჯმენტის ევროპული სკოლიდან და ბიზნესის მაგისტრის ხარისხი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები) მიხედვით, მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ არდაკავშირებული მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთ არის განხილული, განხორციელდა საბაზრო პირობებით.

	კონსოლიდირებული 2018			კონსოლიდირებული 2017		
	მშობელი*	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები**	სხვა***	მშობელი*	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები**	სხვა***
აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	-	-	-	11,053	-
საკრედიტო დაწესებულებებიდან მისაღები თანხები	-	-	-	-	6,218	-
მოთხოვნები ჯანდაცვის სერვისებიდან	-	6,467	-	-	4,206	-
წინასწას გადახდილი ხარჯები	-	-	-	-	2,316	-
სხვა აქტივები: მოთხოვნა არამაკონტროლებელი პაკეტის მქონე აქციონერზე	-	-	-	-	-	2,128
სხვა აქტივები: გაცემული სესხები	4,091	11,395	-	464	9,988	-
სხვა აქტივები: დერივატიული ფინანსური აქტივები	-	42	-	-	130	-
	4,091	17,904	-	464	33,911	2,128
ვალდებულებები						
სესხები*	-	1,111	6,031	-	7,551	6,800
მოკლევადიანი ვალდებულებები	-	6,964	-	-	5,369	-
თანამშრომლების დაგროვილი კომპენსაციები	-	401	-	-	912	-
სხვა ვალდებულებები	-	1,397	-	-	1,091	-
	-	9,873	6,031	-	14,923	6,800

	კონსოლიდირებული 2018			კონსოლიდირებული 2017		
	მშობელი*	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები**	სხვა***	მშობელი*	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები***	სხვა***
შემოსავალი და ხარჯები						
შემოსავალი ჯანდაცვის სერვისიდან	–	10,924	–	–	9,075	–
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	–	(205)	–	–	(1,390)	–
ჯანდაცვის სერვისის დანახარჯი	–	(1,529)	–	–	(1,059)	–
საპროცენტო შემოსავალი	998	44	–	1,113	2,366	–
საპროცენტო ხარჯი	–	(372)	–	–	(2,068)	–
მოგება უცხოური ვალუტებიდან	–	91	–	(291)	(6,093)	–
სხვა საოპერაციო შემოსავლები	–	3,606	–	–	1,220	–
სხვა საოპერაციო ხარჯები	–	(3,342)	–	–	(882)	–
	998	9,217	–	822	1,169	–

	ინდივიდუალური 2018			ინდივიდუალური 2017		
	მშობელი*	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები**	სხვა***	მშობელი*	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები***	სხვა***
აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	–	–	–	–	10,028	–
საკრედიტო დაწესებულებებიდან მისაღები თანხები	–	–	–	–	6,218	–
მოთხოვნები ჯანდაცვის სერვისებიდან	–	5,365	–	–	3,680	–
წინასწას გადახდილი ხარჯები	–	–	–	–	1,860	–
სხვა აქტივები: გაცემული სესხები	4,091	34,009	–	464	21,484	–
სხვა აქტივები: დერივატიული ფინანსური აქტივები	–	42	–	–	130	–
	4,091	39,416	–	464	43,400	–
ვალდებულებები						
სესხები*	–	1,111	4,658	–	7,551	6,790
მოკლევადიანი ვალდებულებები	–	285	–	–	4,806	–
თანამშრომლების დაგროვილი კომპენსაციები	–	315	–	–	654	–
სხვა ვალდებულებები	–	1,134	–	–	1,091	–
	–	2,845	4,658	–	14,102	6,790

	ინდივიდუალური 2018			ინდივიდუალური 2017		
	მშობელი*	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები**	სხვა***	მშობელი*	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები**	სხვა***
შემოსავალი და ხარჯები						
შემოსავალი ჯანდაცვის სერვისიდან	-	9,668	-	-	8,507	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	-	(179)	-	-	(1,125)	-
ჯანდაცვის სერვისის დანახარჯი	-	(1,273)	-	-	(794)	-
საპროცენტო შემოსავალი	2,536	48	-	1,113	2,366	-
საპროცენტო ხარჯი	-	(372)	-	-	(2,068)	-
მოგება უცხოური ვალუტებიდან	-	91	-	(291)	(6,093)	-
სხვა საოპერაციო შემოსავლები	-	2,904	-	-	894	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(2,937)	-	-	(757)	-
	2,536	7,950	-	822	930	-

* 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის, „მშობელი“ მოიცავს სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის მონაცემებს.

** „საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო“ მოიცავს შპს საქართველოს კაპიტალის და შპს BGEO ჯგუფის შვილობილი კომპანიების მონაცემებს.

*** „სხვა“ მხარეებს წარმოადგენენ შპს GNC-ში და შპს კავკასიის მედიცინის ცენტრში მინორიტარი აქციონერები.

საბალანსო უწყისი

კომპანიის საბალანსო უწყისი წარმოდგენილია ქვემოთ:

ათასი ლარი	დამოუკიდებელი ბელო 15 აბ. 2019 (არააუდირებული)	დამოუკიდებელი ბელო 15 აბ. 2018 (არააუდირებული)	დამოუკიდებელი ბელო 31 დეკ. 2018 (აუდირებული)	დამოუკიდებელი ბელო 31 დეკ. 2017 (აუდირებული)	კონსოლიდირებული 31 დეკ. 2018 (აუდირებული)	კონსოლიდირებული 31 დეკ. 2017 (აუდირებული)
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,999	4,217	14,404	28,790	15,051	29,203
საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები	-	-	169	6,218	169	6,218
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები თანხები	129,397	111,406	109,006	101,002	111,894	104,083
სასაქონლო მარაგები	16,113	14,615	17,979	17,101	18,240	19,873
გადახდილი ავანსები	4,753	16,456	3,074	20,125	5,353	22,871
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები	82	155	75	270	75	270
ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში	7,800	7,106	7,483	7,104	7,483	7,104
ძირითადი საშუალებები	539,294	527,821	539,790	502,645	654,112	610,683
გუდვილი და არამატერიალური აქტივები	48,608	45,438	49,664	42,643	63,372	57,193
სხვა აქტივები	44,997	27,602	40,745	24,509	21,122	17,615
სულ აქტივები	793,043	754,816	782,389	750,407	896,871	875,113
ვალდებულებები						
თანამშრომელთა კომპენსაციის დანარიცხები	18,170	17,511	17,954	16,852	19,843	18,154
კრედიტორული დავალიანებები	30,436	26,974	33,280	49,581	37,441	52,801
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	30	58	33	72	41	72
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	1,984	-	-	-	8,676	8,834
საკრედიტო დავალიანებები აქციების შესასყიდად	736	3,312	2,938	3,312	2,938	5,850
სესხები	165,228	152,660	161,107	158,491	173,211	167,829
გამოშვებული ობლიგაციები	92,840	93,370	93,573	93,493	93,573	93,493

სხვა ვალდებულებები	2,364	4,458	6,760	4,211	4,862	4,604
სულ ვალდებულებები	311,788	298,343	315,645	326,012	340,585	351,637
კაპიტალი						
სააქციო კაპიტალი	47,828	47,828	47,828	45,437	56,345	53,954
დამატებით შეტანილი კაპიტალი	249,373	248,073	248,173	230,313	302,753	282,260
სხვა რეზერვები	(8,215)	(8,215)	(8,215)	(8,215)	(175)	(209)
გაუნაწილებელი მოგება	125,251	102,848	113,558	93,102	131,040	122,755
კომპანიის აქციონერებისთვის განკუთვნილი მთლიანი კაპიტალი	414,237	390,534	401,344	360,637	489,963	458,760
არამაკონტროლებელი წილის მფლობელები	67,018	65,939	65,400	63,758	66,323	64,716
მთლიანი კაპიტალი	481,255	456,473	466,744	424,395	556,286	523,476
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები	793,043	754,816	782,389	750,407	896,871	875,113

მოგება-ზარალის უწყისი

კომპანიის მოგება-ზარალის უწყისი წარმოდგენილია ქვემოთ:

ათასი ლარი	დამოუკიდებელი 16ახ. 2019 (არაუდირებული)	დამოუკიდებელი 16ახ. 2018 (არაუდირებული)	დამოუკიდებელი 31 დეკ 2018 (აუდირებული)	დამოუკიდებელი 31 დეკ 2017 (აუდირებული)	კონსოლიდირებული 31 დეკ 2018 (აუდირებული)	კონსოლიდირებული 31 დეკ 2017 (აუდირებული)
შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	147,998	130,618	262,703	233,334	301,988	262,688
ჯანდაცვის მომსახურების ღირებულება	(85,661)	(75,358)	(151,135)	(132,785)	(174,073)	(150,243)
მთლიანი მოგება	62,337	55,260	111,568	100,549	127,915	112,445
სხვა საოპერაციო შემოსავალი	3,076	3,773	7,558	4,601	12,478	11,149
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(12,064)	(11,630)	(21,609)	(20,968)	(32,548)	(31,119)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(5,897)	(5,293)	(10,801)	(9,445)	(16,261)	(13,460)
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები დებიტორული დავალიანებების და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურება	(2,267)	(2,457)	(4,461)	(4,015)	(4,632)	(4,107)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(3,196)	(2,246)	(8,299)	(8,434)	(13,080)	(11,670)
EBITDA (მოგება გადასახადების, პროცენტების, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე)	41,989	37,407	73,956	62,288	73,872	63,238
ცვეთა და ამორტიზაცია	(13,244)	(12,342)	(24,785)	(18,381)	(30,768)	(23,177)
საპროცენტო შემოსავალი	1,178	1,230	3,532	1,007	1,233	3,845
საპროცენტო ხარჯი	(11,344)	(10,663)	(21,876)	(18,519)	(26,550)	(17,206)
წმინდა მოგება (ზარალი) უცხოური ვალუტებიდან	(3,788)	(152)	(1,809)	(997)	(1,764)	(5,379)
წმინდა არარეგულარული შემოსავალი /ხარჯი	(348)	1,276	-	-	1,661	(2,790)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	14,443	16,756	29,018	25,398	17,684	18,531
მოგების გადასახადის ხარჯი	-	(74)	(37)	(11)	(37)	(11)
წლის მოგება	14,443	16,682	28,981	25,387	17,647	18,520

სხვა სრული ზარალი, რომელიც არ რეკლასიფიცირდება მოგებად ან ზარალად მომდევნო პერიოდებში: ქონების ღირებულების გადაფასება				(3,711)	-	(4,866)
წლის სრული შემოსავალი	14,443	16,682	28,981	21,676	17,647	13,654
წლის მოგება, რომელიც განკუთვნილია:						
- კომპანიის აქციონერებისთვის	11,693	14,501	25,156	24,002	13,820	12,803
- არასაკონტროლო წილის მფლობელებისთვის	2,750	2,181	3,825	1,385	3,827	5,717
წლის სრული შემოსავალი, რომელიც განკუთვნილია:						
- კომპანიის აქციონერებისთვის	11,693	14,501	25,156	20,291	13,820	8,343
- არასაკონტროლო წილის მფლობელებისთვის	2,750	2,181	3,825	1,385	3,827	5,311

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი

კომპანიის ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი წარმოდგენილია ქვემოთ:

ათასი ლარი	დამოუკიდებელი 1 ნახ. 2019 (არაუდირებული)	დამოუკიდებელი 1 ნახ. 2018 (არაუდირებული)	დამოუკიდებელი 31 დეკ. 2018 (აუდირებული)	დამოუკიდებელი 31 დეკ. 2017 (აუდირებული)	კონსოლიდირებული 31 დეკ. 2018 (აუდირებული)	კონსოლიდირებული 31 დეკ. 2017 (აუდირებული)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან						
ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	125,340	113,002	238,115	227,330	273,335	237,640
ჯანდაცვის მომსახურების გადახდილი ხარჯები	(85,918)	(78,109)	(148,954)	(145,086)	(164,923)	(142,822)
გადახდილი ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(11,201)	(11,333)	(21,258)	(23,866)	(30,418)	(33,873)
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(6,409)	(5,937)	(10,708)	(9,746)	(23,808)	(15,418)
გადახდილის სხვა საოპერაციო შემოსავალი	461	289	387	659	6,588	2,809
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	(588)	(472)	(728)	(1,989)	(888)	(4,889)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე	21,685	17,440	56,854	47,302	59,886	43,447
გადახდილი მოგების გადასახადი	(71)	(127)	(213)	(165)	(213)	(268)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	21,614	17,313	56,641	47,137	59,673	43,179
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები						
შვილობილი კომპანიების შესყიდვა, მიღებული ნაღდი ფულის გამოკლებით	(877)	(1,592)	-	(6,535)	(1,873)	(11,053)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(13,604)	(36,102)	(49,976)	(64,614)	(65,204)	(74,877)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(1,619)	(4,830)	(8,287)	(6,159)	(10,105)	(6,255)
გაცემული სესხები	(1,938)	(2,914)	-	-	316	-
მიღებული საპროცენტო სარგებელი	-	-	-	-	287	552
მიღებული სესხების დაფარვა	-	-	-	-	-	13,714
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების გამოტანა და დაფარვა	-	200	-	-	6,317	-

საკრედიტო დაწესებულებები მიმართ მოთხოვნების განთავსება			-	(5,865)	(250)	(5,865)
ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული სარგებელი	319	477	102	9,458	103	9,792
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(17,719)	(44,761)	(58,161)	(73,715)	(70,409)	(73,992)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან						
კაპიტალის ზრდა	-	20,322	20,322	-	20,323	-
გამოშვებული ობლიგაციების გამოსყიდვა	-	-	-	(34,197)	-	(34,197)
გამოშვებული ობლიგაციებიდან მიღებული სარგებელი	-	-	-	89,011	-	89,011
ნასესხები სახსრებიდან მიღებული სარგებელი	5,159	5,070	16,991	66,743	14,901	76,796
ნასესხები სახსრების გადახდა	(7,453)	(11,928)	(31,590)	(63,745)	(14,131)	(63,538)
ფინანსური იჯარის ვალდებულებების გადახდა	-	-	-	-	(736)	(3,110)
საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის აქციების შეძენა	(1,291)	(1,388)	-	-	(2,207)	(1,950)
სარგებელი წარმოებული ფინანსური აქტივებიდან	-	-	256	-	255	-
გადახდილი საპროცენტო ხარჯი	(12,718)	(9,132)	(18,901)	(12,467)	(21,819)	(14,102)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	(16,303)	2,944	(12,922)	45,345	(3,414)	48,910
გაცვლის კურსების ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	3	(69)	56	(2)	(2)	(71)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა (კლება)/ზრდა	(12,405)	(24,573)	(14,386)	18,765	(14,152)	18,026
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისი	14,404	28,790	28,790	10,025	29,203	11,177
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლო	1,999	4,217	14,404	28,790	15,051	29,203

დივიდენდების პოლიტიკა

კომპანიას არ აქვს წინასწარ განსაზღვრული დივიდენდების გაცემის პოლიტიკა. ემიტენტის, როგორც საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის შვილობილი კომპანიის, დივიდენდის გაცემის საკითხი იმართება მშობელი კომპანიის მიერ და ითვალისწინებს მშობელი კომპანიის ფინანსურ საჭიროებებს.

სასამართლო დავები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა აღიმძრას სარჩელები. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

მიმდინარე ყველაზე მსხვილი დავების მოკლე მიმოხილვა მოცემულია ქვემოთ:

დავის შინაარსი: 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას სასამართლო დავა ჰქონდა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ჯამში 7,233 ათასი ლარის თანხაზე (2017წ: 6,631 ათასი ლარი). სოციალური მომსახურების სააგენტოსთან დავა ძირითადად უკავშირდებოდა საპროცესო დარღვევებს სამედიცინო დოკუმენტაციაში, ასევე ბილინგისა და ანგარიშგაქტურების გამოწერის პროცესში.

სტატუსი: კომპანიის შეფასებით, აღნიშნული დავების წაგების ალბათობა 50%-ზე ნაკლებია.

დავის შინაარსი: 2015 წლის 16 აპრილს, სადაზღვევო კომპანია Imedi L International-ის (კომპანია) რამდენიმე ყოფილმა მეწილემ ერთობლივად სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში შემდეგი მოპასუხეების წინააღმდეგ: სადაზღვევო კომპანია ალდაგი, სადაზღვევო კომპანია იმედი L, სამედიცინო კორპორაციის ევექსი, რომლებიც ალდაგის სამართალმემკვიდრეები არიან. შემდგომ, სამედიცინო კორპორაცია ევექსის რეორგანიზაციის შედეგად, ევექს ჰოსპიტალსი გახდა ზემოაღნიშნული სარჩელის მოპასუხე. 2014 წელს განხორციელებული გაყოფის შეთანხმების თანახმად, სადაზღვევო კომპანია ალდაგის (ყოფილი ალდაგი BCI) ბიზნესი, აქტივები და ვალდებულებები გადაეცა სამ კომპანიას: სადაზღვევო კომპანია Imedi L-მა განაგრძო სამედიცინო და სამოგზაურო დაზღვევის ბიზნესი, სამედიცინო კორპორაცია ევექსმა - ჯანდაცვის სერვისების ბიზნესი და სადაზღვევო კომპანია ალდაგმა - ქონებასთან და უბედურ შემთხვევასთან და საპენსიო ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობა. მოსარჩელეთა მტკიცებით, მათ უშუალო ან არაპირდაპირი საკუთრებაში არსებული 66.0%-იანი წილი 2012 წელს გაიყიდა სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაიზე, იძულებითი ფორმით, საბაზრო ღირებულებაზე დაბალ ფასად. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ზიანის ანაზღაურება 17,140,417.43 აშშ დოლარის ოდენობით + მოთხოვნილი თანხის წლიურ 10% მიუღებელი შემოსავლის სახით.

სტატუსი: საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში საბოლოოდ დასრულდა მოპასუხეთ (მათშორის, ევექსის ჰოსპიტლების) სასარგებლოდ, ზემოაღნიშნულ მოსარჩელებს უარი ეთქვათ მათ ყველა მოთხოვნაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა მოსარჩელების მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სადაც ამჟამად განიხილება ეს საქმე. განხილვის დროს გამოვლენილი ყველა იმ გარემოებისა და მტკიცებულებების გათვალისწინებით, კომპანიას სრულად მიაჩნია, რომ მის მიერ დავის სამართლებრივი შეფასება არის ძლიერი და სარჩელი სრულიად უსაფუძვლოა.

წინა 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა სხვა რაიმე სამთავრობო, იურიდიული და საარბიტრაჟო სამართალწარმოება (მათ შორის ისეთი სამართალწარმოება, რომელიც უკვე წარმოშობილია/მიმდინარეა ან მომავალშია მოსალოდნელი და კომპანიამ ამის შესახებ იცის), რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ან ბოლო წლებში ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსური მდგომარეობაზე ან მომგებიანობაზე.

ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა

2019 წელს კომპანიამ განაახლა ჯანდაცვის სერვისების ბიზნესის სტრუქტურა, რომელიც მანამდე შედგებოდა პოლიკლინიკების სეგმენტისგან და ჰოსპიტლების სეგმენტისგან, რომელიც აერთიანებდა რეგიონალური კლინიკებს (Community Clinics) და რეფერალური ჰოსპიტლებს. ორივე სეგმენტი იმართებოდა ცალკეული მენეჯმენტის მიერ. ახალი სტრუქტურის თანახმად, 2019 წლიდან ჯანდაცვის სერვისების ბიზნესი გაიყო შემდეგ ორ იურიდიულ პირად: რეფერალური ჰოსპიტლების ბიზნესი, რომელიც სს „ევექსის ჰოსპიტლების“ დაქვემდებარებაშია და კლინიკების ბიზნესი, რომელიც სს „ევექსი კლინიკების“ დაქვემდებარებაშია და აერთიანებს პოლიკლინიკებსა და რეგიონალურ კლინიკებს,

2018 წლის 31 დეკემბრის შემდეგ პროსპექტის შედგენის თარიღამდე არ მომხდარა ემიტენტთან ან მისი ჯგუფის ფინანსურ ან კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ცვლილება.

კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ გამოცემული ჯამური აქციების რაოდენობა შეადგენდა 56,344,904 (2017: 53,953,963) 1 ლარის ნომინალური ღირებულებით, რომელთაგანაც ყველა გადახდილია სრულად.

დამატებითი სააქციო კაპიტალი მოიცავს ევექსის წილთან დაკავშირებულ ტრანზაქციებზე კრედიტებს ან დებეტებს. ევექსის აქციების ნომინალური ღირებულების (1 ლარი) ზევით არსებული ნებისმიერი აქციებთან დაკავშირებული ტრანზაქცია (აქციებით კომპენსაციის ჩათვლით) შეიტანება დამატებითი სააქციო კაპიტალის ანგარიშზე

აქციონერთა უფლებები და ვალდებულებები:

კომპანიას ყავს ერთი აქციონერი სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“

კომპანიის აქციონერს უნდა ჰქონდეს და დაეკისროს წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები.

თანაბარ პირობებში, აქციონერებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი უფლებები და ვალდებულებები.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით დაესწრონ აქციონერთა საერთო კრებას და მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში;

აქციონერებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ მოგების განაწილებაში და მიიღონ დივიდენდები მათ მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობის პროპორციულად;

აქციონერებს უფლება აქვთ განკარგონ საკუთარი აქციები კანონმდებლობით დადგენილი წესით;

კომპანიის ლიკვიდაციის შემთხვევაში აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ იმ ქონების წილი ან მისი ღირებულება, რომელიც დარჩება კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ (მათი სალიკვიდაციო ქვოტა) მათი წილის პროპორციულად;

აქციების საერთო რაოდენობის 5%-ის ან მეტი მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანი წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ მათ გააჩნიათ საფუძვლიანი ეჭვი რაიმე დარღვევის თაობაზე. აღნიშნული მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნას წერილობითი ფორმით სამეთვალყურეო საბჭოსთვის. მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია:

- დაავალოს დირექტორს, უზრუნველყოს სპეციალური შემოწმების ჩატარება კომპანიის ხარჯებით, თუკი სამეთვალყურეო საბჭო იზიარებს აქციონერ(ებ)ის ეჭვს;
- უარი თქვას კომპანიის ხარჯებით სპეციალური შემოწმების განხორციელებაზე და მისცეს უფლება აღნიშნულ აქციონერ(ებს) საკუთარი ხარჯებით ჩაატარონ ამგვარი შემოწმება, თუკი სამეთვალყურეო საბჭოს აზრით ადგილი არ ქონია რაიმე დარღვევას. ასეთ შემთხვევაში, თუ შემოწმების შედეგად გამოვლინდება რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა, კომპანია აუნაზღაურებს აქციონერ(ებ)ს ინსპექციის ჩატარებისას გაწეულ ნებისმიერ ხარჯს;
- უარი თქვას სპეციალური შემოწმების განხორციელებაზე და არ დართოს ნება აქციონერ(ებ)ს მისი (მათი) საკუთარი ხარჯით შემოწმების განხორციელებაზე, თუ იგი (სამეთვალყურეო საბჭო) საფუძვლიანად მიიჩნევს, რომ რაიმე მნიშვნელოვან დარღვევას არ ჰქონია ადგილი და ამგვარი შემოწმება შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს კომპანიის ინტერესებს;

აქციების საერთო რაოდენობის 5%-ის ან მეტის მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევა. მოთხოვნა წერილობით უნდა წარედგინოს კომპანიის დირექტორს. თუ აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა დირექტორის მიერ ასეთი მოთხოვნის თარიღიდან 20 დღის განმავლობაში, აქციონერებს შეუძლიათ მიმართონ შესაბამის სასაჩარტლოს;

ნებისმიერ აქციონერს უფლება აქვს დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოსაგან მოითხოვოს განმარტებები აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით. თუკი ამგვარი მოთხოვნა წერილობითი ფორმით იქნა წარდგენილი აქციონერთა საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 10 დღის ადრე, მოთხოვნა უნდა შესრულდეს, ან განხილულ უნდა იქნას დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად;

აქციონერებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი ხმის უფლება საკუთარი ინტერესებისათვის გარდა იმ შემთხვევებისა როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება შეეხება მათთან გარიგების დადებას;

აქციონერები ვალდებული არიან უზრუნველყონ მათი შესაბამისი შენატანების შეტანა კომპანიის საწესდებ კაპიტალში, რათა აქციების შესაბამისი რაოდენობა რეგისტრირებული იქნას მათ სახელზე;

აქციონერები ვალდებული არიან დაიცვან წესდებით განსაზღვრული პირობები;

აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი უნდა შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქციაა შიდა აუდიტისა და კომპანიის გარე აუდიტორების ფუნქციონირების ხელშეწყობა. აუდიტის კომიტეტი შედგება არანაკლებ სამი წევრისაგან, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. აუდიტის კომიტეტში უნდა შედიოდეს არანაკლებ ერთი სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. აუდიტის კომიტეტის სხვა წევრებს ასევე ნიშნავს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო.

აუდიტის კომიტეტის უფლება-მოვალეობანია:

- დააწესოს კომპანიის აღრიცხვისა და სააღრიცხვო კონტროლის შესაბამისი წესები და განახორციელოს მათი დაცვის ზედამხედველობა;
- თვალყური ადევნოს კომპანიის მიერ მოქმედი კანონმდებლობის დაცვას;
- დაამტკიცოს კომპანიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება და ორგანიზება გაუკეთოს კომპანიაში შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციონირებას;
- უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის ობიექტურობა და დამოუკიდებლობა სამეთვალყურეო საბჭოსაგან და მენეჯმენტისგან;
- დაამტკიცოს შიდა აუდიტის სამსახურის კვარტლური მოხსენებები, აუდიტორული გამოკვლევები და რეკომენდაციები;
- თვალყური ადევნოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობას;
- დაამტკიცოს აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული წლიური სამუშაო პროგრამა;
- აუდიტის კომიტეტის შეხვედრები უნდა ჩატარდეს სულ მცირე კვარტალში ერთხელ, განსაკუთრებულ შემთხვევებში შეხვედრა შეიძლება დაინიშნოს სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნით;

დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც ნახსენებია/მითითება არის გაკეთებული რეგისტრაციის დოკუმენტში

რეგისტრაციის დოკუმენტში ნახსენებია შემდეგი დოკუმენტები:

- კონსოლიდირებული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები (სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი) - 2017 და 2018 წლები
- ინდივიდუალური აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები (სს „ევექსის ჰოსპიტლები) - 2017 და 2018 წლები
- კომპანიის წესდება;
- ევექსის ჰოსპიტლების შეფასების ანგარიში
- ხელშეკრულება განთავსების აგენტსა და ემიტენტს შორის
- ხელშეკრულება გადახდისა და დაანგარიშების აგენტსა და ემიტენტს შორის
- მოძრავი ქონების შეფასების ანგარიში შედგენილი „ქართული საშემფასებლო კომპანიის“ მიერ
- უძრავი ქონების შეფასების ანგარიში შედგენილი „ქართული საშემფასებლო კომპანიის“ მიერ

ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა

განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ

კომპანიის საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 95,316 ათასი ლარი იყო (31/12/2018: 92,524 ათასი ლარი), რაც საკმარისია კომპანიის მიმდინარე ოპერაციების დასაფინანსებლად.

კომპანიის მიმდინარე და ლიკვიდური (ლიკვიდური აქტივები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან) კოეფიციენტები სტაბილურია, შესაბამისად, 2.24 და 1.7 იყო 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით (31/12/2018: 2.23 და 1.45) შესაბამისად.

ინტერესთა კონფლიქტი

მონაწილე მხარე	როლი ტრანსაქციაში	ინტერესის დეკლარირება	ინტერესთა კონფლიქტის აღწერა
სს ევექსის ჰოსპიტლები	ემიტენტი	კომპანია არის ობლიგაციების ემიტენტი და ედილობს დაფინანსების მოპოვებას ობლიგაციების გამოშვებით.	კომპანიას და განთავსების აგენტს ან ტრანზაქციაში ჩართულ სხვა მხარეებს შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი
სს გალტ & თაგარტი	განთავსების აგენტი, გამოთვლის და გადახდის აგენტი	ამ შეთავაზების მიზნებისთვის, სს გალტ & თაგარტი არის განთავსების აგენტი და გამოთვლისა და გადახდის აგენტი და მაშასადამე მისი ინტერესები მოიცავს ობლიგაციების წარმატებულ განთავსებას და ემიტენტის მომსახურების შესაბამისი საფასურის მიღება.	სს გალტ & თაგარტი არის სს საქართველოს ბანკის აფილირებული პირი და ყოფილი ემიტენტთან აფილირებული პირი
გიორგი ლეჟავა	ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტორი, შპს „ქართული საშემფასებლო კომპანიის“ დირექტორი	ფინანსური აუდიტის პროცედურების ჩატარებისას, გიორგი ლეჟავას ჰქონდა პირადი დაინტერესება, რადგან გასცემდა დასკვნას ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომლის ერთ-ერთი პუნქტი - უძრავი ქონებები შეფასებული იყო „ქართული საშემფასებლო კომპანიის“ მიერ, რომლის დირექტორიც თავადაა.	გიორგი ლეჟავა წარმოადგენს კომპანიის ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტორს და ასევე შპს „ქართული საშემფასებლო კომპანიის“ დირექტორს, რომელმაც შეაფასა კომპანიის უძრავი ქონება

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგებების დამტკიცების დროს შესაბამისი პირები (და მათი მმართველი საბჭოს წევრები) არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად მოქმედებენ (მათ შორის ინტერესთა კონფლიქტთან მიმართებაში) და ყველა ასეთი გარიგება კომერციულ საფუძველზე იდება, ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება დამატებითი რისკი იყოს ინვესტორებისთვის.

შეთავაზების პირობები, მოსალოდნელი გრაფიკი და შეთავაზებაში მონაწილეობისათვის საჭირო პროცედურები

ობლიგაციების გამოშვების პირობები

„ობლიგაციები“, რომელთა საერთო ძირითადი თანხა შეადგენს 50,000,000 ლარს, ხოლო დარიცხული პროცენტი - საქართველოს ეროვნული ბანკის („ეროვნული ბანკი“) მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთს (რომელსაც „ეროვნული ბანკი“ აქვეყნებს შემდეგ ვებგვერდზე: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=554&lng=eng>) დამატებული 310 (სამას ათი) საბაზისო პუნქტი და რომლებიც ვადამოსული ხდება 2024 წლის 6 ნოემბერს გამოშვებული „კომპანიის“ „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2019 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესაბამისად. „ობლიგაციები“ და „ობლიგაციონერთა“ უფლებები რეგულირდება წინამდებარე „პროსპექტით“, მათ შორის, წინამდებარე „ობლიგაციების გამოშვების პირობებით“.

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა განხორციელდება „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ შესახებ ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, რომელიც გაფორმებულია „კომპანიისა“ და სს „გალტ ენდ თაგარტი“-ს - როგორც „გადახდისა და კალკულაციის აგენტს“ - შორის („გადახდისა და კალკულაციის აგენტი“). „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ შესახებ ხელშეკრულება“ თან ერთვის წინამდებარე „ობლიგაციების გამოშვების პირობებს“. თითოეული „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია გაეცნოს/შეისწავლოს „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ შესახებ ხელშეკრულების“ ასლი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მითითებულ მისამართზე. შესაბამისად, „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ შესახებ ხელშეკრულების“ პირობები გავრცელდება „რეგისტრირებულ მფლობელებზე“ და ექნება სავალდებულო ძალა მათთვის.

1. ფორმა, ნომინალური ღირებულება და საკუთრების უფლება

„ობლიგაციები“ გამოშვებულია დემატერიალიზებული ფორმით, ელექტრონული ჩანაწერის სახით. თითოეული „ობლიგაციის“ ნომინალური ღირებულებაა: 100,000 (ასი ათასი) ლარი.

საკუთრების უფლება „ობლიგაციებზე“ დასტურება“ შემდეგი სახის რეგისტრაციით: (i) ფასიანი ქაღალდების რეესტრში („ფასიანი ქაღალდების რეესტრი“), რომლის წარმოებასაც უზრუნველყოფს „ემიტენტი“ „შეთავაზების ძირითად პირობებში“ მითითებული რეგისტრატორის („რეგისტრატორი“) მეშვეობით „ემიტენტსა“ და „რეგისტრატორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; და/ან (ii) სხვა რეესტრებში/ჩანაწერებში, რომელსაც აწარმოებს ობლიგაციების ნებისმიერი „ნომინალური მფლობელი“. „ფასიანი ქაღალდების რეესტრი“ და (ii) პუნქტში მითითებული სხვა რეესტრები/ჩანაწერები შემდგომში მოიხსენიება როგორც „რეესტრი“.

2. ობლიგაციების შეთავაზებისა და განთავსების პროცედურა, შეთავაზებაში ცვლილებების შეტანა და ობლიგაციების შემდგომი გასხვისება

(ა) ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა

„ობლიგაციების“ შეთავაზებას „ემიტენტის“ სახელით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებენ სს „გალტ ენდ თაგარტი“ („განთავსების აგენტი“). შეთავაზების დაწყებამდე, „ობლიგაციებით“ დაინტერესების მიზნით, „განთავსების აგენტს“ ან/და მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ დააგზავნონ დამტკიცებული „პროსპექტი“ პოტენციურ „გათვიცნობიერებულ ინვესტორებთან“.

„პროსპექტის“ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცების შემდეგ, „ემიტენტი“ ახდენს „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. „ემიტენტი“ აქვეყნებს „ობლიგაციების“ შეთავაზების შესახებ შეტყობინებას საკუთარ ვებ-გვერდზე. „ემიტენტი“, „განთავსების აგენტი“, ან/და განთავსების პროცესში ჩართული ფინანსური შუამავალი/შუამავლები პოტენციურ ინვესტორებს, მათი სურვილის შესაბამისად, აწვდიან „პროსპექტის“ ელექტრონულ ბმულს, დასკანერებულ ვარიანტს ან დაბეჭდილ ასლს. საბოლოო „პროსპექტი“ პოტენციურ ინვესტორებს მიეწოდება (მათ შორის,

„ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით) საჯაროდ შეთავაზებული „ობლიგაციების“ გაყიდვის დაწყებამდე, დაწყებისთანავე ან გაყიდვის პროცესში.

პოტენციურ ინვესტორებს „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესის გამოხატვა შეუძლიათ „განთავსების აგენტთან“ შესაბამისი განაცხადის/შეტყობინების წარდგენით. „ობლიგაციების“ ყიდვის სურვილის შესახებ შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და „განთავსების აგენტისთვის“ მისაღები ნებისმიერი სხვა საშუალებებით. „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღს, რომელიც არ უნდა იყოს შესაბამისი განაცხადის/შეტყობინების მიწოდებიდან 2 „სამუშაო დღეზე“ ნაკლები, ცალმხრივად განსაზღვრავს „განთავსების აგენტი“. თუ ამგვარი საბოლოო თარიღი არ არის „სამუშაო დღე“, წინა „სამუშაო დღე“ ჩათვლება განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღად.

„ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი დადგინდება პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში (book-building). ამგვარი საბოლოო საპროცენტო განაკვეთი აისახება საბოლოო „პროსპექტში“.

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე, ვიდრე წინამდებარე „პროსპექტით“ არის შეთავაზებული, განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, „ემიტენტის“ დისკრეციული გადაწყვეტილებისამებრ. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს „ობლიგაციების“ შესყიდვის პროცესში მონაწილეობაზე ან გააგრძელოს მონაწილეობა. ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე „განთავსების აგენტს“ უნდა ეცნობოს არაუგვიანეს იმ დღის მომდევნო „სამუშაო დღის“ 17.00 საათამდე (თბილისის დროით), როდესაც ინვესტორს აცნობეს მისი განაცხადის კორექტირების („ობლიგაციების“ ოდენობის თვალსაზრისით) შესახებ („საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (book-building-ის) დასრულება“). წინააღმდეგ შემთხვევაში, „განთავსების აგენტი“ უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, კვლავ განიხილოს ინვესტორის საწყისი განაცხადი (მოთხოვნილი „ობლიგაციების“ სრულ ოდენობაზე) ან უარი განაცხადოს მასზე.

„საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (book-building-ის) დასრულების“ შემდგომ „განთავსების აგენტი“ აცხადებს შეთავაზების დასრულების შესახებ და იმ ინვესტორებს, რომელთა განაცხადებიც (მათ შორის, შეცვლილი რაოდენობით) დაკმაყოფილდა, აწვდის შესაბამის შეტყობინებას (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად). შეტყობინებაში მითითებულ უნდა იქნას „ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის საბოლოო ოდენობა და „ობლიგაციების“ ის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა პოტენციური ინვესტორ(ებ)ის შესყიდვის შესახებ განაცხად(ებ)ი. შეთავაზების დასრულების შესახებ გამოცხადების მომენტიდან იმ პოტენციურ ინვესტორთა განაცხადებს, რომლებიც დაკმაყოფილდა („ხელმომწერი ინვესტორები“), აქვთ გამოუთხოვადი და მავალდებულებელი ძალა „ხელმომწერი ინვესტორისათვის“.

„ხელმომწერი ინვესტორები“ ვალდებული არიან შესაბამისი ოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე „საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (book-building-ის) დასრულებიდან“ არაუგვიანეს 4 სამუშაო დღისა. „ხელმომწერი ინვესტორის“ მიერ აღნიშნული საბროკერო ანგარიში გახსნილი უნდა იქნას „განთავსების აგენტთან“. „ხელმომწერი ინვესტორის“ მიერ შესაბამისი თანხების ჩარიცხვის შემდგომ, „ემიტენტი“ ამავე საბროკერო ანგარიშზე აწვდის „ხელმომწერი ინვესტორს“ შესყიდულ „ობლიგაციებს“. გამონაკლის შემთხვევებში, „განთავსების აგენტს“ შეუძლია ერთპიროვნულად დართოს ნება „ხელმომწერი ინვესტორს“ „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები, „განთავსების აგენტებთან“ გახსნილი აღნიშნულ საბროკერო ანგარიშის საცვლად, ჩარიცხოს „ემიტენტის“ „განთავსების აგენტთან“ არსებულ ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე. ასეა შემთხვევაში, აღნიშნულ „ემიტენტის“ ნომინალურ ანგარიშზე თანხების ჩარიცხვის შემდგომ, „ობლიგაციების“ მიწოდება „ხელმომწერი

ინვესტორისათვის“ ხდება „რეგისტრატორთან“ ან სხვა უფლებამოსილ „ნომინალურ მფლობელთან“ არსებულ „ხელმომწერი ინვესტორის“ ანგარიშზე.

ზემოთაღნიშნული ზოგადი წესის მიუხედავად, იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი „ხელმომწერი ინვესტორი“ არ განათავსებს შესაბამისი ოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდად საჭირო თანხებს „საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (book-building-ის) დასრულებიდან“ 4 სამუშაო დღის ვადაში, „ემიტენტი“ უფლებამოსილი იქნება, საკუთარი შეხედულებისამებრ, გააუქმოს ტრანზაქცია. თუ „ემიტენტი“ გადაწყვეტს არ ისარგებლოს ამ უფლებით, „ხელმომწერ ინვესტორს“ უნარჩუნდება წინამდებარე „პროსპექტის“ შესაბამისად თანხების განთავსების ვალდებულება.

გამონაკლისის სახით, „ემიტენტი“ უფლებამოსილია დაადგინოს გარკვეული გამონაკლისები ვადებთან ან პოტენციურ ინვესტორებზე (მათ შორის „ხელმომწერ ინვესტორებზე“) მოქმედ პირობებთან მიმართებით.

„ობლიგაციების“ განთავსების შემდეგ, „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ „ობლიგაციებს“ სხვა „ნომინალურ მფლობელებთან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ან „რეგისტრატორში“ ჩანაწერის სახით.

(ბ) შეთავაზების პერიოდში ცვლილების შეტანის პროცედურა

იმ შემთხვევაში, თუ საჯარო შეთავაზების პერიოდში (საჯარო შეთავაზების დაწყებიდან „გამოშვების თარიღამდე“ პერიოდი) „ემიტენტი“ გადაწყვეტს შეცვალოს „ობლიგაციების“ შესახებ არსებითი ინფორმაცია, როგორცაა ფასიანი ქაღალდების ოდენობა, ფასი, შეთავაზების ვადა და სხვა, იგი მიმართავს შემდეგ პროცედურას:

- (i) წარუდგენს საქართველოს ეროვნულ ბანკს „პროსპექტის“ ცვლილებას, რომელშიც განიმარტება მასში შეტანილი ყველა ცვლილება;
- (ii) აქვეყნებს შეტყობინებას „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საშუალებით, სადაც მიუთითებს დეტალებს შეცვლილი/შესაცვლელი ინფორმაციის შესახებ; აცხადებს არსებული ფორმით შეთავაზების გაუქმებას და ახორციელებს მითითებულ თარიღამდე „ობლიგაციების“ გაყიდვის ყველა ხელშეკრულების გაუქმების შეთავაზებას;
- (iii) ინვესტორებს განუსაზღვრავს არანაკლებ 10 დღის ვადას გაუქმებაზე რეაგირებისათვის. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდგომ, „ემიტენტი“ უფლებამოსილია განახორციელოს შეცვლილი საჯარო შეთავაზება.

თუ „პროსპექტში“ შესწორება შედის ამა თუ იმ არსებით მოვლენასთან დაკავშირებით, „ობლიგაციების“ შემძენ ინვესტორებს უფლება ეძლევათ უარი განაცხადონ შესყიდულ „ობლიგაციებზე“ და მოითხოვონ მათი დაუყოვნებლივ განაღდება (გამოსყიდვა) ძირი ღირებულებისა და ნებისმიერი დარიცხული საპროცენტო სარგებლის ჯამის ფასად. ინვესტორები („ობლიგაციონერები“), რომლებიც უარს არ განაცხადებენ შესყიდულ „ობლიგაციებზე“, ექვემდებარებიან შეთავაზების ახალ პირობებს.

თუ საჯარო შეთავაზების პროცესში იცვლება „პროსპექტში“ მითითებული სხვა არაარსებითი ინფორმაცია, „ემიტენტი“ ვალდებულია, „პროსპექტში“ ამგვარი ცვლილების ასახვამდე, „ობლიგაციონერებს“ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მე-12 მუხლის (შეტყობინებები) შესაბამისად და წარუდგინოს მათ ამგვარი ახალი ინფორმაციის (ცვლილების) ამსახველი დოკუმენტი.

(გ) ობლიგაციების გასხვისება

ობლიგაციების გასხვისება ხდება საქართველოს კანონმდებლობით (მათ შორის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონით“) დადგენილი წესით, საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. „ობლიგაციების“ გასხვისება და საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, თუ ამგვარი გასხვისების შედეგად „ობლიგაცი(ებ)ზე“ საკუთრების უფლების ცვლილება დარეგისტრირდება შესაბამის „რეესტრში“.

3. სტატუსი

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „ემიტენტის“ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებას. „ობლიგაციებს“ ექნებათ იდენტური სამართლებრივი სტატუსი ერთმანეთთან, რაიმე უპირატესობის გარეშე. „ემიტენტისადმი“ „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მოთხოვნები ყოველთვის გაუთანაბრდება, სულ მცირე, „ემიტენტის“ სხვა არაუზრუნველყოფილი და არასუბორდინირებული კრედიტორების მოთხოვნებს (4(ა) პირობის გათვალისწინებით), გარდა კანონმდებლობის იმპერატიული დანაწესის საფუძველზე უპირატესობის მქონე მოთხოვნებისა.

4. დათქმები

(ა) უზრუნველყოფის საშუალების წარმოშობის შეზღუდვა: „ნებადართული უზრუნველყოფის საშუალებების“ გარდა, მანამ სანამ რომელიმე „ობლიგაცია“ არის გადაუხდელი, „ემიტენტმა“ და მისმა რომელიმე „არსებითმა შვილობილმა კომპანიამ“, რაიმე „დავალიანების“ უზრუნველყოფის მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ უნდა წარმოშვან ან არ უნდა დაუშვან ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალების“ (ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის) წარმოშობა „ემიტენტის“ ან მისი „არსებითი შვილობილი კომპანიების“ არსებულ ან შემდგომში შეძენილ აქტივებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულის წარმოშობისას ან წარმოშობამდე, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „ემიტენტის“ ვალდებულებები თანაბრად და პროპორციულადაა უზრუნველყოფილი ამგვარი „დავალიანებით“ ან სარგებელს იღებენ ამგვარი უზრუნველყოფით ან სხვა მორიგეებით, შესაბამის შემთხვევაში, რომელიც ნებადართულია „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილებით“; ყოველ შემთხვევაში, „ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ნებისმიერ დროს „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ იმ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი „უზრუნველყოფის საშუალებისგან“, ჯამური ღირებულება ორჯერ აღემატებოდეს გაუნაღდეგელი „ობლიგაციების“ ძირ ღირებულებას.

(ბ) საქმიანობის გაგრძელება, უფლებამოსილების შენარჩუნება და იურიდიული ძალა:

„ემიტენტმა“ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა და უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა ყველა „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა შენარჩუნებულ იქნას მისი და მათი, როგორც სამეწარმეო იურიდიული პირების, განგრძობადი არსებობა (გარდა 4(გ) პირობის (შერწყმა) გათვალისწინებული შემთხვევებისა) და ბიზნეს საქმიანობა და აგრეთვე ყველა ის მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრება, ყველა საჭირო ნებართვა, ლიცენზია, თანხმობა და უფლებამოსილება, რაც დაკავშირებულია ან/და აუცილებელია მისი (მათი) საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის. „ემიტენტმა“ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, მოიპოვოს და შეინარჩუნოს ყველა ის უფლებამოსილება, ნებართვა, ლიცენზია და განახორციელოს და უზრუნველყოს ყველა იმ საჭირო პროცედურების განხორციელება, რაც საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულოა „ობლიგაციებით“ ნაკისრი ვალდებულებების კანონიერად შესრულებისათვის და საქართველოში „ობლიგაციების“ ნამდვილობის, აღსრულებადობისა და მტკიცებულებად დასაშვებობისათვის.

(გ) შერწყმა

(I) „ობლიგაციონერების“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე „ემიტენტმა“ არ უნდა განახორციელოს შემდეგი: (x) რეორგანიზაცია (იქნება ეს სხვა იურიდიულ პირთან შერწყმის, გაყოფის თუ გარდაქნის სახით) ან რაიმე სხვა სახის კორპორატიული ცვლილება, ან (y) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ მთლიანი კონსოლიდირებული ქონების ან აქტივების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის კონსოლიდაცია ან შერწყმა, გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

(i) ზემოთხსენებული (x) ან (y) პუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:

- (ა) რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული „პირი“ ან ქონების მიმღები (შემდგომში „სამართალმემკვიდრე“) არის კვლავ „ემიტენტი“, ან თუ ამგვარი „პირი“ არ არის ემიტენტი, მაშინ ეს „სამართალმემკვიდრე“ ცალსახად გადაიკისრებს „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ყველა უფლებას და ვალდებულებას; და
- (ბ) „სამართალმემკვიდრე“ (თუ ის არ არის „ემიტენტი“) უნდა ინარჩუნებდეს ან იყოს „ემიტენტის“ უფლებამონაცვლე ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო ნებართვასთან, ლიცენზიასთან, თანხმობასთან და უფლებამოსილებასთან მიმართებაში და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის მნიშვნელოვან მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის ოპერირებს;
- (ii) არცერთი „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ არ დამდგარა, და არ დადგება ამგვარი რეორგანიზაციის ან მსგავსი ტრანზაქციის შედეგად; და
- (iii) ზემოხსენებულ (x) ან (y) პუნქტებში მითითებული ტრანზაქციები არ გამოიწვევს არსებითად საზიანო შედეგს. წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის, „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ ფარგლებში განხორციელებული რეორგანიზაცია არ ჩაითვლება არსებითად საზიანო შედეგის მქონე მოვლენად.
- (II) „ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ „ობლიგაციონერების“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ არ უნდა განახორციელოს შემდეგი: (x) რეორგანიზაცია (იქნება ეს სხვა იურისდიქტულ პირთან შერწყმის, გაყოფის თუ გარდაქმნის სახით) ან რაიმე სხვა სახის კორპორატიული ცვლილება, ან (y) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მთლიანი კონსოლიდირებული ქონების ან აქტივების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის კონსოლიდაცია ან შერწყმა, გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:
- (i) ზემოთხსენებული (x) ან (y) პუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:
- (ა) ასეთი „მნიშვნელოვანი შვილობილი“ იქნება სამართალმემკვიდრე; ან
- (ბ) „სამართალმემკვიდრე“ (თუ ის არ არის „მნიშვნელოვანი შვილობილი“) უნდა ინარჩუნებდეს ან იყოს შესაბამისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ უფლებამონაცვლე ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო ნებართვასთან, ლიცენზიასთან, თანხმობასთან და უფლებამოსილებასთან მიმართებაში და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის მნიშვნელოვან მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის ოპერირებს;
- (ii) არცერთი „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ არ დამდგარა, და არ დადგება ამგვარი რეორგანიზაციის ან მსგავსი ტრანზაქციის შედეგად; და
- (iii) ზემოთხსენებულ (x) ან (y) პუნქტებში მითითებული ტრანზაქციები არ გამოიწვევს არსებითად საზიანო შედეგს.
- (III) განურჩევლად ზემოთქმულისა, ნებისმიერ „მნიშვნელოვან შვილობილი“ უფლებამოსილია „ემიტენტთან“ ან „შვილობილთან“ (რომელიც ამ პუნქტში აღწერილი ტრანზაქციის შედეგად ჩაითვლება „მნიშვნელოვან შვილობილად“ ამ „პროსპექტის“ მიზნებისთვის) მიმართებაში, მოახდინოს კონსოლიდირება ან შერწყმა (რეორგანიზაციის ნებისმიერი ფორმით) ან ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთლიანი კონსოლიდირებული ქონების ან აქტივების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა.
- (IV) განურჩევლად ზემოთქმულისა, წინამდებარე პირობა 4(გ) არ შეეხება (i) ტრანზაქციებს „ემიტენტსა“ და ნებისმიერ მის 100%-იან „შვილობილს“ შორის; (ii) ქონების (მათ შორის ფულადი სახსრებისა და ფასიანი ქაღალდების) იმგვარი გასხვისება, ლიზინგი/იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა, რომელიც წარმოადგენს „ნებადართულ უზრუნველყოფის საშუალებას“; (iii) მისი საინვენტარიზაციო ქონების

ლიზინგით/იჯარით გაცემა, გაყიდვა ან სხვაგვარი განკარგვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, ან (iv) ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივს ან შემოსავალს, ასევე მათ ნაწილს, რაც ექვემდებარება სექურიტიზაციას, მისაღები თანხებით, აქტივებით გამყარებული დაფინანსებას ან მსგავსი ტიპის დაფინანსებას, სადაც ყველა ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ჯამური ღირებულება, იმ აქტივების ან შემოსავლების ჯამურ ღირებულებასთან ერთობლიობაში, რომლებიც ექვემდებარება „ნებადართული უზრუნველყოფის საშუალების“ განმარტების „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ „უზრუნველყოფის საშუალებას“, არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 25 პროცენტსა ან 75,000,000 აშშ დოლარს შორის უდიდიდესს.

(დ) გასხვისება: გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარი დათქმა გათვალისწინებული წინამდებარე პირობებში, და 4(გ) (შერწყმა) და 4(ე) (აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები) პირობის დებულებების შეუზღუდავად, „ემიტენტი“ არც თავად და არც რომელიმე მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ საშუალებით არ გაყიდის, გასხვისებს, იჯარით გასცემს ან სხვაგვარად განკარგავს მის აქტივებს ან შემოსავლებს, მთლიანად ან ნაწილობრივ, ერთი ან რამდენიმე (დაკავშირებული ან დამოუკიდებელი) ტრანზაქციით „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის“ გარდა სხვა რომელიმე „პირზე“. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც:

- i. ყველა ასეთი ტრანზაქცია ხორციელდება „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და საბაზრო პირობებით; და
- ii. ობლიგაციების გამოშვების თარიღში და შემდგომ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი ტრანზაქცია ან ტრანზაქციები ნებისმიერ დროს ჯამურად უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 35 პროცენტზე ნაკლებია, თუ სხვაგვარად არაა დაშვებული „ობლიგაციონერთა სპეციალური გადაწყვეტილებით“; და
- iii. ნებისმიერი იმ ტრანზაქციასთან მიმართებით, როდესაც ხდება უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების ან შემოსავლების 15 პროცენტზე მეტის გასხვისება, გასხვისებამდე „ემიტენტი“, გაუნადგებელი „ობლიგაციების“ ძირი ოდენობის არანაკლებ 20 პროცენტის მფლობელი „ობლიგაციონერების“ (ან/და მათი სახელით მოქმედი „ნომინალური მფლობელების“) მოთხოვნის შემთხვევაში, „ობლიგაციონერებს“ წარუდგენს „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობითი დასკვნა იმის შესახებ, რომ ტრანზაქცია განხორციელდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“.

წინამდებარე პირობა 4(დ) არ შეეხება (i) ტრანზაქციებს „ემიტენტსა“ და მის იმ ნებისმიერ „შვილობილს“ შორის, რომლის მაჟორიტარი აქციონერია/პარტნიორია „ემიტენტი“; (ii) ქონების (მათ შორის ფულადი სახსრებისა და ფასიანი ქაღალდების) იმგვარი გასხვისება, ლიზინგით/იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა, რომელიც წარმოადგენს „ნებადართულ უზრუნველყოფის საშუალებას“; (ii) მისი ქონების ლიზინგით/იჯარით გაცემა, გაყიდვა ან სხვაგვარი განკარგვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, ან (iii) ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივს ან შემოსავალს, ასევე მათ ნაწილს, რაც ექვემდებარება სექურიტიზაციას, მისაღები თანხებით, აქტივებით გამყარებული დაფინანსებას ან მსგავსი ტიპის დაფინანსებას, სადაც ყველა ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ჯამური ღირებულება, იმ აქტივების ან შემოსავლების ჯამურ

ღირებულებასთან ერთობლიობაში, რომლებიც ექვემდებარება „ნებადართული უზრუნველყოფის საშუალების“ განმარტების „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ „უზრუნველყოფის საშუალებას“, არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 25 პროცენტს. ყოველგვარი ექვის გამორიცხვის მიზნებისთვის, წინამდებარე პირობა 4(დ) არ ეხება შპს „კავკასიის მედიცინის ცენტრის“ მიერ სს „ევექსის კლინიკისთვის“ ან ნებისმიერი მისი შვილობილისთვის „საბურთალოს პოლიკლინიკის“ გადაცემის ტრანზაქციას.

„ემიტენტი“ ვალდებულია, რომ წინამდებარე 4(დ) პირობის შესაბამისად განხორციელებული გასხვისებისას მიღებული ნებისმიერი შემოსავლის (ნებისმიერი ფორმით) სულ მცირე 80% მიმართოს „ემიტენტის“ ან/და მისი ნებისმიერი „შვილობილის“ „დავალიანების“ გადახდაზე ან/და „ემიტენტის“ ან/და მისი ნებისმიერი „შვილობილის“ საქმიანობაში რეინვესტირებაზე.

(ე) აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები: არც „ემიტენტი“ და არც მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილი“ პირდაპირ ან არაპირდაპირ არ განხორციელებს და არ დაუშვებს რაიმე საქმიანობას ან ტრანზაქციას (მათ შორის ქონების ან მომსახურების შეძენა, გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა, გადაცემა ან გაცემა) „აფილირებულ პირთან“ ან მათ სასარგებლოდ (შემდგომში „აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები“), მათ შორის, „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ შიდა სესხების გაცემას/მიღებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი გარიგების პირობები (შესაბამისი „აფილირებული პირის“ მდგომარეობის გათვალისწინებით) არ არის ნაკლებად ხელსაყრელი „ემიტენტისთვის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილისთვის“, ვიდრე „სამართლიანი საბაზრო ღირებულებითა“ და პირობებით განხორციელებული გარიგებები იქნებოდა იმ „პირთან“, რომელიც არ არის/არაა „ემიტენტთან“ ან მის „მნიშვნელოვან შვილობილთან“ „აფილირებული პირ(ებ)ი“:

i. იმ „აფილირებულ პირთან განხორციელებული ტრანზაქციის“ შემთხვევაში, სადაც გარიგების ან დაკავშირებული გარიგებების საერთო ღირებულება აღემატება უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ მთლიანი აქტივების 5 პროცენტს, „ემიტენტმა“ აღნიშნული ტრანზაქციის განხორციელებამდე „ობლსგაციონერებს“ უნდა მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობით დასკვნა იმის თაობაზე, რომ ტრანზაქცია განხორციელდა „ემიტენტის“ ან შესაბამისი „მნიშვნელოვანი შვილობილისთვის“ „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და პირობებით.

ii. შემდეგი გარიგებები არ იქნება მიჩნეული „აფილირებულ პირებთან განხორციელებულ ტრანზაქციებად“ და არ ექვემდებარება (i) ქვეპუნქტში განსაზღვრულ პირობას:

(ა) „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ წევრის მიერ მისი საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაფორმებული შრომითი კონტრაქტი, რომელიც შეესაბამება „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ წევრის წარსულში განხორციელებულ პრაქტიკას;

(ბ) „ემიტენტსა“ და მის იმ „შვილობილს“ შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლის მაჟორიტარი აქციონერია/პარტნიორია „ემიტენტი“;

(გ) გონივრული ოდენობის ანაზღაურების გადახდა მმართველი ორგანოების წევრებისათვის, რომლებიც „ემიტენტთან“ სხვაგვარად ასოცირებულნი არ არიან;

(დ) „ემიტენტის“ ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი დამფუძნებლის/აქციონერისგან „ემიტენტისათვის“ საქმიანობის დასაფინანსებლად გაცემული ნებისმიერი სესხი ან სხვა დაფინანსების საშუალება, რომელიც მიღებულია საბაზრო პირობებით; და

(ე) ნებისმიერი სადაზღვევო ხელშეკრულება „აფილირებულ პირებთან“, რომელიც დადებულია „ემიტენტის“ საქმიანობის /თანამშრომლების/აქტივების დასაზღვევად საბაზრო პირობებით.

(ვ) ჯანმრთელობის დაზღვევის პროვაიდერებთან ნებისმიერი ხელშეკრულება, სადაც „ემიტენტი“ უზრუნველყოფს ამგვარი პროვაიდერების მიერ დაზღვეულისთვის ჯანდაცვის მომსახურებას;

(ზ) ფარმაცევტული კომპანია Gepha-სთან ნებისმიერი კონტრაქტი ფარმაცევტული პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვაზე;

(თ) დიაგნოსტიკის კომპანიის „მეგა ლაბორატორიასთან“ ნებისმიერი ხელშეკრულება მომსახურების შესყიდვაზე; და

(ი) ნებისმიერი კონტრაქტი, რომლის ღირებულება არ არის უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 10 პროცენტზე მეტი.

(გ) გადასახადების გადახდა და სხვა მოთხოვნები: „ემიტენტმა“ და მისმა „შვილობილმა“ დროულად უნდა გადაიხადონ „გადასახადები“, რომელიც ეკისრებათ მათ (შემოსავალზე, მოგებაზე, ქონებაზე და ა.შ.), იმ პირობით, რომ „ემიტენტს“ ან/და მისი „შვილობილმა“ წინამდებარე „პროსპექტის“ მიზნებისათვის არ დაეკისრება პასუხისმგებლობა „გადასახადების“ გადაუხდელობაზე, თუ (ა) დაკისრებული თანხის ოდენობა ან დაკისრების მართებულობა კეთილსინდისიერად არის გასაჩივრებული სამართლებრივი წესით და ამ თანხაზე შექმნილია ადეკვატური რეზერვი „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ ან სხვა მოთხოვნების შესაბამისად, ან (ბ) ამგვარი „გადასახადების“ თანხა, სხვა დარიცხულ „გადასახადებთან“ ან სხვა მსგავსი მოთხოვნებთან ერთად, არ აღემატება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად გამოთვლილი „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ აქტივების საერთო ღირებულების 1%-ს (ერთი პროცენტი).

(ზ) აკრძალული გადახდები: „ემიტენტმა“ არ უნდა (და ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა „შვილობილმა“ არ) (ზ.1) განაცხადოს დივიდენდების გაცემის თაობაზე, ან გასცეს დივიდენდი ფულადი ან სხვა სახით, ან მოახდინოს მსგავსი განაწილება (მათ შორის, აქციების გამოსყიდვის ან სხვა სახით), გარდა „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის“ სასარგებლოდ დივიდენდების გაცემისა და მათი განაწილებისა (ხოლო, თუ „შვილობილი“ არ არის ემიტენტის 100%-იანი „შვილობილი“, სხვა აქციონერების სასარგებლოდ მათი წილის პროპორციულად); ან (ზ.2) პირდაპირ ან არაპირდაპირ ნებაყოფლობით შეიძინოს, გამოისყიდოს ან სხვაგვარად შეიძინოს საკუთარი სააქციო კაპიტალი ან აქციები ან სუბორდინირებული სესხი, მისი დაბრუნების ვადამდე, (გარდა „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ შიდა სესხის გადახდისა, რომელიც გაცემულია „ემიტენტის“ ან მისი სხვა „შვილობილის“ მიერ „ემიტენტის“ „შვილობილი კომპანიისათვის“) (ნებისმიერი ამგვარი ქმედება რომელიც განსაზღვრულია პუნქტებით (ზ.1) ან (ზ.2) მიიჩნევა „აკრძალულ გადახდებად“), თუ:

- i. ამგვარი გადახდის განხორციელების დროისთვის დამდგარია და გრძელდება, ან ამ გადახდის განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა დადგეს „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“; ან
- ii. ამგვარი „აკრძალული გადახდისა“ და 2018 წლის 31 დეკემბრის შემდგომ განხორციელებულ ყველა სხვა „აკრძალული გადახდის“ თანხობრივი მოცულობების ჯამი აღემატება შემდეგი ორი კომპონენტის ჯამს:

(ა) „ემიტენტის“ კონსოლიდირებული წმინდა მოგების 75 პროცენტს (რომელიც გამოითვლება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით“) იმ პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2018 წლის 31 დეკემბერს და სრულდება უკანასკნელი განვლილი ფინანსური წლის, ან 6 თვიანი ფინანსური პერიოდის ბოლო დღეს; და

(ბ) „ემიტენტის“ მიერ 2018 წლის 31 დეკემბრის შემდეგ აქციების გამოშვებიდან ან რეალიზაციიდან და ამავე პერიოდში „ემიტენტის“ ნებისმიერი „დავალიანების“ კაპიტალში კონვერტაციიდან ან აქტივებში გაცვლიდან მიღებული წმინდა შემოსავლების 100 პროცენტს.

(თ) „დავალიანება“:

(i) „ემიტენტს“ და მის „მნიშვნელოვან შვილობილს“ ეკრძალება ნებისმიერი შემდეგი „დავალიანების“ აღება, თუ:

ა) ასეთი ფინანსური ვალდებულების აღება წარმოქმნის „დეფოლტის შემთხვევას“; ან

ბ) „ემიტენტისა“ და მისი „შვილობილების“ წმინდა ფინანსური დავალიანების მაჩვენებელი, ამგვარი „დავალიანების“ წარმოშობის თარიღისთვის, ამგვარი ვალდებულების აღების შედეგად, უახლესი წლიური ფინანსური პერიოდის „კორექტირებულ EBITDA“-სთან თანაფარდობა 2020 წლის 31 დეკემბრის ან/და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღემატება 4/1-ს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის ან/და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღემატება 3.5/1-ს.

(ii) ნებადართულია შემდეგი ფინანსური ვალდებულებები, რომელსაც არ ეხება (თ) პუნქტის (i) ქვეპუნქტში არსებული დათქმა:

კომპანიებს შორის დავალიანება: დავალიანებები „ემიტენტსა“ და მის „შვილობილს“ ან „ემიტენტის“ „შვილობილებს“ შორის.

(ი) ფინანსური ინფორმაცია:

i. „ემიტენტი“ ვალდებულებას კისრულობს ფინანსური წლის დასრულებიდან 135 დღის ვადაში „ობლიგაციონერებს“ მიაწოდოს და „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე განათავსოს განვლილი ფინანსური წლის აუდიტრებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის ასლი აუდიტორის დასკვნასთან ერთად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა იყოს მომზადებული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ საფუძველზე.

ii. „ემიტენტი“ კისრულობს ვალდებულებას ყოველი ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულებიდან 60 დღის ვადაში „ობლიგაციონერებს“ მიაწოდოს და „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე განათავსოს განვლილი ექვსი თვის არააუდიტრებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის ასლი, რომელიც მომზადებულია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ საფუძველზე.

iii. თუ გაუნადგებელი „ობლიგაციების“ არანაკლებ 20 პროცენტის მფლობელ „ობლიგაციონერ(ებ)ს“ (ან/და მათი სახელით მოქმედ „ნომინალურ მფლობელ(ებ)ს“) გაუჩნდება(თ) გონივრული საფუძველი ივარაუდოს/ივარაუდონ, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, მას/მათ შეუძლია(თ) „ემიტენტისგან“ მოითხოვოს/მოითხოვონ, და „ემიტენტი“ ვალდებულია „ობლიგაციონერებს“ დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია, რაც პირდაპირ უკავშირდება აღნიშნულ „დეფოლტის შემთხვევას“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევას“. ასეთ შემთხვევაში „ემიტენტი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია იმ „ობლიგაციონერ(ებ)ს“ და „ნომინალურ მფლობელ(ებ)ს“, რომელმაც/რომლებმაც წარმოადგინა/წარმოადგინეს ამგვარი წერილობითი მოთხოვნა. წერილობითი მოთხოვნა შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს „ობლიგაციონერ(ებ)ის“ ან/და „ნომინალური მფლობელ(ებ)ის“ (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების) მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის, ან რამდენიმე ერთნაირი შინაარსის მქონე დოკუმენტის სახით. ამგვარი მოთხოვნა შესაძლოა ასევე მიღებულ იქნას „ობლიგაციონერთა კრების“ გადაწყვეტილების სახით.

(კ) დაზღვევა: „ემიტენტი“ უზრუნველყოფს თავისი და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილების“ ქონების დაზიანებისა და განადგურების რისკისაგან დაზღვევას „ემიტენტისა“ და შესაბამისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ შეხედულებით კარგი რეპუტაციის მქონე მზღვეველებთან. დაზღვევა უნდა განხორციელდეს იმ

ფარგლებში, რომელშიც ჩვეულებრივ ახდენენ დაზღვევას მსგავსი ქონებისა და მდგომარეობის მქონე კომპანიები საქართველოში.

(ლ) კანონთან შესაბამისობა: „ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ იგი და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილები“ ნებისმიერ დროს არსებითად შეესაბამებოდნენ მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებს, მათ შორის, ხელისუფლების ორგანოების მითითებებსა და სამართლებრივ აქტებს.

(მ) ბიზნესის ცვლილება: „ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ „გამოშვების თარიღიდან“ არანაირი მატერიალური ცვლილებები არ განხორციელდება „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ ზოგად საკმინაობაში.

(ნ) მეწილეების ცვლილება: გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარი დათქმაა გათვალისწინებული წინამდებარე პირობებში, და 4(გ) (შერწყმა) პირობის დებულებების შეუზღუდავად, „ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ არცერთი პირი, გარდა მე-13 მუხლის „აფილირებული პირის“ (ა) განმარტების მიხედვით განსაზღვრული „აფილირებული პირისა“, არ შეიძენს „ემიტენტის“ ხმის უფლების მქონე აქციების/წილის 50%-ზე მეტს.

5. საპროცენტო სარგებელი

„გამოშვების თარიღიდან“ „ობლიგაციას“ ერიცხება წლიური საპროცენტო სარგებელი „შეთავაზების პირობებში“ (იხ. გვ. 23) მითითებულ ფარგლებში ობლიგაციების განაღდებას თარიღამდე (ობლიგაციების განაღდებას თარიღის ჩათვლელად).. პროცენტის საბოლოო განაკვეთი დადგინდეს 2(ა) პირობის შესაბამისად (ობლიგაციების შეთავაზების პროცესი) და აისახება საბოლოო „პროსპექტში“. დარიცხული საპროცენტო განაკვეთი გადაიხდება კვარტალურად ყოველი წლის 6 თებერვალს, 6 მაისს, 6 აგვისტოს და 6 ნოემბერს („პროცენტის გადახდის თარიღი“). პირველი გადახდა მოხდება 2020 წლის 6 თებერვალს. ობლიგაციებზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა მოხდება მათი დაფარვის/გამოსყიდვის თარიღამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც „ობლიგაციონერს“ ამ მომენტისათვის უკანონოდ/უსაფუძვლოდ/არასწორად არ დაუბრუნდა ძირითადი თანხა. ასეთ შემთხვევაში საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გაგრძელდება არსებული განაკვეთით მანამ, სანამ ამგვარ „ობლიგაციაზე“ გადასახდელი თანხა სრულად იქნება გადახდილი შესაბამისი „ობლიგაციონერის“ ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის.

თუ პროცენტის დათვლა ხდება ერთ სრულ წელიწადზე/„საპროცენტო პერიოდზე“ (ქვემოთ მოცემული განმარტების შესაბამისად) ნაკლები პერიოდისთვის, შესაბამისი დარიცხული (დასარიცხი) საპროცენტო სარგებლის დაანგარიშება მოხდება 365 დღიანი წელიწადში არსებული დღეების ოდენობის საფუძველზე.

პერიოდი ობლიგაციების „გამოშვების თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით), პირველი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩათვლელად), და ყოველი შემდგომი პერიოდი წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით) მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩათვლელად) მიიჩნევა „საპროცენტო პერიოდად“.

„ობლიგაციები“ ექვემდებარება ცვალებად საპროცენტო განაკვეთს, რომელსაც თითოეული „საპროცენტო პერიოდთან“ მიმართებით საზღვრავს „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“. პროცენტის განაკვეთი თითოეული „საპროცენტო პერიოდისთვის“ გამოითვლება „ეროვნული ბანკის“ მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთს (რომელსაც „ეროვნული ბანკი“ აქვეყნებს შემდეგ ვებგვერდზე: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=554&lng=eng> ან „ეროვნული ბანკის“ მიერ განსაზღვრულ სხვა ვებგვერდზე) დამატებული 310 (სამას ათი) საბაზისო პუნქტზე მითითებით. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ბანკის მიერ აღნიშნული მომსახურება/განაკვეთი აღარ იქნება ხელმისაწვდომი, „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ მიუსადაგებს სხვა ვებგვერდზე ასახული მომსახურების შესაბამის განაკვეთებს.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღარ მოხდება მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნება, „ემიტენტი“ ყველა შემდგომი „საპროცენტო პერიოდისთვის“ სარგებლის საპროცენტო განაკვეთს ერთჯერადად განსაზღვრავს შემდეგი ორი კომპონენტის დაჯამებით: (i) „ემიტენტის“ მიერ „გამოშვების თარიღიდან“ მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის

გამოქვეყნების შეწყვეტამდე პერიოდში „ემიტენტის“ მიერ სარგებლის საპროცენტო განაკვეთის დასადგენად გამოყენებული მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი; და (ii) 310 (სამას ათი) საბაზისო პუნქტი. ზემოთ მითითებული წესით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნების აღდგენამდე. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღდგება მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნება, „ემიტენტი“ თითოეული შემდგომი „საპროცენტო პერიოდისათვის“ ობლიგაციების სარგებლის საპროცენტო განაკვეთს კვლავ განსაზღვრავს მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნების შეწყვეტამდე არსებული წესით.

იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთის დადგენა შეუძლებელია ზემოთ მდებარე პუნქტის შესაბამისად, შემდეგი „საპროცენტო პერიოდისთვის“ საპროცენტო განაკვეთს დაადგენს „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ საკუთარი შეხედულებისამებრ, კეთილსინდისიერებისა და კომერციული გონივრულობის ფარგლებში.

თუ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით გადასახდელი პროცენტის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება წინამდებარე „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ შესაბამისად, არ იქნება 0.01 ლარის ჯერადი, ამგვარი ციფრი დამრგვალდება უახლოეს 0.01 ლარის ჯერად რიცხვამდე (0.005-0.009 ლარის დამრგვალება მოხდება ზემოთ).

„პროცენტის განსაზღვრის თარიღი“ ნებისმიერ „საპროცენტო პერიოდთან“ მიმართებით ნიშნავს ამგვარი „საპროცენტო პერიოდის“ პირველი დღის წინა „სამუშაო დღეს“.

საკრედიტო რეიტინგის ცვლილება

„ობლიგაციებზე“ გადახდილი კუპონის განაკვეთი არ შეიცვლება, თუ „სარეიტინგო სააგენტოს“ მიერ მინიჭებული „ემიტენტის“ რეიტინგი იქნება B+ (Scope რეიტინგი) ან მისი ექვივალენტი რეიტინგი („საბაზისო რეიტინგი“). თუმცა, „ობლიგაციებზე“ დარიცხული კუპონის განაკვეთი შესაძლებელია დრო და დრო გაიზარდოს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე „სარეიტინგო სააგენტო“ დაწესებს „ემიტენტის“ რეიტინგს ქვემოთ მოცემული პირობებით. კერძოდ, ნებისმიერი „სარეიტინგო სააგენტოს“ მიერ „ემიტენტის“ რეიტინგის „საბაზისო რეიტინგზე“ ქვემოთ ჩამოწევის შემთხვევაში, კუპონის განაკვეთი გაიზარდება 25 საბაზისო პუნქტით, თუ რეიტინგი იქნება B+ რეიტინგზე დაბალი ან თუ „ემიტენტი“ ვერ უზრუნველყოფს ამგვარი რეიტინგის მოპოვებას, იმ პირობით, რომ კუპონის განაკვეთი შესაბამისად დადგინდება ყველაზე დაბალი ხელმისაწვდომი „საბაზისო რეიტინგის“ შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ „ემიტენტის“ „სარეიტინგო სააგენტოს“ მიერ მინიჭებული რეიტინგი შემცირდება წინამდებარე ცხრილში მოცემულ რეიტინგებამდე, „ობლიგაციების“ გამოშვების თარიღზე გადასახდელი კუპონის განაკვეთი გაიზარდება შესაბამისი რეიტინგის გასწვრივ მოცემული პროცენტულობით:

რეიტინგი*	პროცენტი
B+	+0% წლიური (რჩება უცვლელი)
B+ რეიტინგზე ქვემოთ/რეიტინგის არარსებობა	+0.25% წლიური

*რაც მოიცავს „სარეიტინგო სააგენტოს“ მიერ მინიჭებულ ექვივალენტურ რეიტინგებს.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ „ემიტენტმა“ რეიტინგი მოიპოვა ზემოთ მითითებული ორი ან მეტი „სარეიტინგო სააგენტოსგან“, კუპონის განაკვეთის გაზრდის გამოსათვლელად გამოიყენება ნებისმიერი მათგანის მიერ „ემიტენტისთვის“ მინიჭებული ყველაზე დაბალი რეიტინგი.

6. ობლიგაციების განადგება და გამოსყიდვა

(ა) განადგება/გამოსყიდვა: „ობლიგაციების“ განადგება/გამოსყიდვა განხორციელდება „გამოსყიდვის თარიღზე“ ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ღირებულებით, თუ მათი შესყიდვა და გაუქმება არ განხორციელდა უფრო ადრე.

(ბ) გამოსყიდვის ოფცია: „ემიტენტს“ გააჩნია „ობლიგაციების“ სრულად (მაგრამ არა ნაწილობრივ) გამოსყიდვის ოფცია ნებისმიერ „გამოსყიდვის ოფციის თარიღზე“, „რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერებისა“ და „ნომინალური მფლობელებისთვის“ არანაკლებ 30 „სამუშაო დღით“ ადრე გამოუთხოვადი შეტყობინების გაგზავნით. „ობლიგაციების“ გამოსყიდვა ხდება მათი ძირითადი თანხისა და „გამოსყიდვის ოფციის თარიღის“ მდგომარეობით დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის (ასეთის არსებობისას) ღირებულებით. თუ „ობლიგაციების“ გამოსყიდვა ხდება 2022 წლის 6 ნოემბერს, გამოსყიდვის ღირებულებას ემატება გაუნადგებელი „ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულების 2% ოდენობის „შესყიდვის ოფციის პრემიუმი“, ხოლო თუ გამოსყიდვა ხდება 2023 წლის 6 ნოემბერს - 1% ოდენობის „შესყიდვის ოფციის პრემიუმი“ („შესყიდვის ოფციის პრემიუმი“).

„გამოსყიდვის ოფციის თარიღები“: 6 ნოემბერი 2022 და 6 ნოემბერი 2023.

(გ) გამოსყიდვა საგადასახადო მიზეზით: „ემიტენტის“ შეხედულებით, „ობლიგაციების“ ვადამდე განადგება შესაძლოა მოხდეს სრული ოდენობით (მაგრამ არა ნაწილობრივ), „რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერების“ და „ნომინალური მფლობელებისთვის“ არანაკლებ 30 დღით ადრე გაგზავნილი გამოუთხოვადი შეტყობინების გაგზავნითა და ძირითადი თანხის (გამოსყიდვის თარიღისათვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად) გადახდით, იმ შემთხვევაში, თუ: (i) შეტყობინების გაგზავნამდე „ემიტენტი“ დაარწმუნებს „ობლიგაციონერებს“, რომ მას უწყევს, ან მოუწყევს გადასახადების სახით დამატებითი თანხების გადახდა „ობლიგაციებთან“ მიმართებაში, რაც გამოწვეულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებით, ან ამგვარი კანონმდებლობის სხვაგვარი ინტერპრეტაციით „გამოშვების თარიღის“ შემდგომ პერიოდში; და (ii) ამგვარი დამატებითი თანხების გადახდის ვალდებულება ვერ იქნებოდა თავიდან აცილებული მიუხედავად „ემიტენტის“ მიერ გონივრული ზომების განხორციელებისა.

(დ) გაყიდვის ოფცია: ნებისმიერი „გაყიდვის შემთხვევის“ (ქვემოთ მოცემული მნიშვნელობით) წარმოქმნისას (მაგრამ არაუგვიანეს ამგვარი შემთხვევის წარმოქმნიდან 5 (ხუთი) „სამუშაო დღისა“), „ემიტენტი“ ვალდებულია წარუდგინოს „რეესტრში“ რეგისტრირებულ „ობლიგაციონერებსა“ და „ნომინალურ მფლობელებს“ შეტყობინება („გაყიდვის შემთხვევის შეტყობინება“). „გაყიდვის შემთხვევის“ წარმოქმნისას „ობლიგაციონერებს“ ექნებათ „ობლიგაციების“ გამოსყიდვის მოთხოვნის ოფცია. წინამდებარე პირობის შესაბამისად „ობლიგაციის“ გამოსყიდვის მოთხოვნის უფლების განხორციელებისთვის, „ობლიგაციონერი“ ვალდებულია „ემიტენტს“ წარუდგინოს გაყიდვის ოფციის განხორციელების შეტყობინება („გაყიდვის ოფციის შეტყობინება“) არაუგვიანეს „ემიტენტის“ მიერ წარდგენილი „გაყიდვის შემთხვევის შეტყობინებიდან“ 30 დღის ვადაში („გაყიდვის ვადა“). გაცემული „გაყიდვის ოფციის შეტყობინება“ გამოუთხოვადია. „ემიტენტი“ ვალდებული იქნება გამოისყიდოს ნებისმიერი „ობლიგაცია“, რომელიც მითითებულია „გაყიდვის ვადაში“ წარდგენილ „გაყიდვის ოფციის შეტყობინებაში“, არაუგვიანეს „გაყიდვის ვადის“ ბოლო დღიდან 30 „სამუშაო დღისა“ („გაყიდვის ანაზღაურების თარიღი“). აღნიშნული „ობლიგაციების“ გამოსყიდვა მოხდება ძირითადი თანხისა და „გაყიდვის ანაზღაურების თარიღამდე“ (ამ თარიღის გამოკლებით) დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობისას) ჯამური ღირებულებით.

(ე) გაყიდვის შემთხვევა: ნაშნავს ნებისმიერ შემდეგ გარემოებას: (i) არცერთი „სარეიტინგო სააგენტო“ არ გასცემს რეიტინგს „ემიტენტზე“; (ii) „ემიტენტის“ Scope რეიტინგი განისაზღვრება „B+“-ზე ან ნებისმიერი სხვა „სარეიტინგო სააგენტოს“ „B+“-ის ექვივალენტურ რეიტინგზე დაბალი რეიტინგით.

(ვ) შეძენა: „ემიტენტს“ და მის „შვილობილ(ებ)ს“ უფლება აქვთ ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ფასად შეიძინონ „ობლიგაციები“ „ობლიგაციონერებისგან“ ან სხვაგვარად. „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის“

საკუთრებაში არსებული ამგვარი „ობლიგაციები“ არ სარგებლობენ ხმის უფლებით „ობლიგაციონერთა კრებაზე“ და არ მიიღებიან მხედველობაში „ობლიგაციონერთა კრების“ ქვორუმის დადგენისას მე-10 პირობის მიზნებისთვის.

7. გადახდები

(ა) ანგარიშსწორება:

(i) „ობლიგაციების“ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა მოხდება შესაბამისი გადახდის თარიღამდე 3 სამუშაო დღით ადრე, 18.00 სთ-ის მდგომარეობით („სააღრიცხვო თარიღი“) „რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერებისა“ და „ნომინალური მფლობელებისათვის“. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში „სააღრიცხვო თარიღისათვის“ „რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერებისა“ და „ნომინალური მფლობელების“ საბანკო ანგარიშზე საბანკო გადარიცხვის გზით. „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ რეგისტრირებულმა „ობლიგაციონერებმა“ და „ნომინალურმა მფლობელებმა“ უნდა უზრუნველყონ „რეგისტრატორისათვის“ განახლებული, სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდება მათი საბანკო ანგარიშების შესახებ, რომელზეც მოხდება „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადახდა. „ემიტენტი“, „რეგისტრატორი“ და „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტი“ არ იქნება პასუხისმგებელი გადახდის არ/ვერ განხორციელებისთვის, თუ „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ „რეგისტრატორს“ დროულად არ მიაწვდის მისი საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას, ან „ემიტენტის“ ან „რეგისტრატორის“ მოთხოვნის მიუხედავად, „სააღრიცხვო თარიღისათვის“ ვერ უზრუნველყოფს ამგვარი ინფორმაციის განახლებას.

(ii) თუ „ობლიგაციონერის“ ან „ნომინალური მფლობელის“ ზემოაღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებული საბანკო ანგარიში არ არის გახსნილი „ანგარიშსწორებისა და გადამხდელ აგენტთან“, განხორციელებული გადახდებიდან შესაძლოა დაიქვეითოს საბანკო მომსახურების საკომისიოები. თუ „ობლიგაციონერის“ ან „ნომინალური მფლობელის“ საბანკო ანგარიში არ არის ლარში, ანგარიშსწორება შესაძლებელია შესაბამისი ვალუტის კონვერტაციის ხარჯების გამოკლებით.

ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის სრული ოდენობით მიღებაზე „ობლიგაციონერთა“ უფლებების შეუზღუდავად, თუ ნებისმიერი გადახდის თარიღისათვის გადახდილი თანხა ნაკლებია ამ თარიღისათვის გადასახდელ თანხაზე, „ემიტენტი“ ვალდებულია გადასახდელად ხელმისაწვდომი თანხა გადაანაწილოს/უზრუნველყოს რომ გადანაწილდეს „ობლიგაციონერებს“ შორის მათი წილის პროპორციულად.

(iii) ემიტენტის ან/და „რეგისტრატორის“ მოთხოვნისა, „სააღრიცხვო თარიღიდან“ შესაბამისი გადახდის თარიღამდე ობლიგაციების გადაცემა შესაძლოა აიკრძალოს ან შეიზღუდოს.

(ბ) აგენტების დანიშვნა: „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტი“, „განთავსების აგენტები“ და „რეგისტრატორი“, ასევე მათი საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია „შეთავაზების ძირითად პირობებში“ და „პროსპექტის“ ბოლოს. „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „რეგისტრატორი“ წარმოადგენენ მხოლოდ „ემიტენტის“ აგენტებს და ამ „პროსპექტისა“ და „შეთავაზების“ მიზნებისათვის, არ კისრულობენ რაიმე სახის ვალდებულებას „ობლიგაციონერების“ ან „ნომინალური მფლობელების“ წინაშე და არ წარმოადგენენ მათ აგენტებს/ტრასტის. „ემიტენტი“ იტოვებს უფლებას „ობლიგაციონერების“ თანხმობით შეცვალოს ან შეწყვიტოს „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტთან“, „განთავსების აგენტთან“ ან „რეგისტრატორთან“ ხელშეკრულება, და დანიშნოს დამატებითი ან სხვა „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „რეგისტრატორი“. ამასთან „ემიტენტს“ ნებისმიერ დროს ევალება ჰყავდეს (i) „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტი“ და (ii) „რეგისტრატორი“, ყოველ შემთხვევაში „ობლიგაციონერების“ დასტურით.

(გ) გაანგარიშება და გადახდა: „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელი თანხის (მათ შორის, საპროცენტო სარგებლის) დაანგარიშება და გადახდა უნდა მოხდეს წინამდებარე „პროსპექტის“

პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტის“ მიერ. ამასთან, „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტის“ მიერ დაანგარიშებული თანხა, აშკარა შეცდომის გარდა, წარმოადგენს საბოლოო თანხას „ემიტენტისათვის“. „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტის“ მიერ თანხის დაანგარიშება მოხდება შესაბამისი გადახდის თარიღამდე არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე და ეცნობება „ემიტენტს“. „ემიტენტი“ ვალდებულია არაუგვიანეს შესაბამისი გადახდის თარიღამდე 1 (ერთი) „სამუშაო დღით“ ადრე „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტთან“ გახსნილ მის საბანკო ანგარიშზე განათავსოს შესაბამისი თანხები ლარებში და მისცეს დავალება „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტს“ აღნიშნული თანხების გადარიცხვაზე. „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტი“ ვალდებულია „ემიტენტის“ ანგარიშზე საკმარისი თანხების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი დავალების გარეშე მოახდინოს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ვადამოსული გადასახდელების გადარიცხვა, ხოლო ანგარიშზე საკმარისი თანხების არ არსებობის შემთხვევაში, აცნობოს აღნიშნულის თაობაზე „ემიტენტს“ და „ობლიგაციონერებს“.

(დ) ფისკალური კანონმდებლობა: ნებისმიერი გადახდა უნდა მოხდეს საქართველოს მოქმედი ფისკალური/საანგარიშსწორებო კანონმდებლობისა ან/და სხვა კანონების, მარეგულირებელი ნორმებისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების დაცვით.

(ე) გადახდის დაგვიანება/არასამუშაო დღეები: „ობლიგაციონერი“ ვერ მოითხოვს პროცენტის, ჯარიმის ან მსგავსი გადასახდელის დაკისრებას ნებისმიერი გადასახდელის დაგვიანებით გადახდისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადასახდელის გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადასახდელის გადახდა მოხდება მომდევნო „სამუშაო დღეს“.

8. დაბეგვრა

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა „ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით უნდა განხორციელდეს წყაროსთან დასაკავებელი ყველა შესაბამისი გადასახადით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაბეგვრის შემდეგ. თუ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე „ემიტენტი“ განსაზღვრავს, რომ პროცენტის გადახდა გათავისუფლებულია წყაროსთან დასაკავებელი გადასახადისგან, „ემიტენტმა“ არ უნდა დააკავოს შესაბამისი გადასახადი და „ობლიგაციის“ მფლობელი, რომელიც უფლებამოსილია ისარგებლოს ამგვარი შეღავათით, მიიღებს თანხას სრულად, გადასახადის დაკავების გარეშე.

9. დეფოლტის შემთხვევები

თუ დადგება და გრძელდება ნებისმიერი ქვემოთმოყვანილი შემთხვევა („დეფოლტის შემთხვევები“), (ა) პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისას თითოეული „ობლიგაციონერი“ დამოუკიდებლად, ხოლო დანარჩენი პუნქტებით გათვალისწინებული დარღვევისას - მე-10 პირობის შესაბამისად, უფლებამოსილია „ემიტენტისათვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მოთხოვნები გამოაცხადოს ვადამოსულად და მოითხოვოს „ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ განადგება და ძირითადი თანხის (ნომინალის) 100 პროცენტისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა:

(ა) გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა: „ემიტენტი“ ვერ შეძლებს „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის, დარიცხული საპროცენტო სარგებლის ან „ობლიგაციებიდან“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ შესახებ ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე რაიმე სხვა თანხის გადახდას, და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული თარიღიდან ხუთი „სამუშაო დღის“ ვადაში; ან

(ბ) სხვა ვალდებულების დარღვევა: „ემიტენტი“ არ/ვერ ასრულებს „პროსპექტით“ ნაკისრ ერთ ან რამდენიმე ვალდებულებას (გარდა წინამდებარე პირობის (ა) პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისა) და ასეთი დარღვევა „ობლიგაციონერების“ მოსაზრებისა (i) არ ექვემდებარება გამოსწორებას და ამასთანავე არის არსებითი ან განმეორებადი ხასიათის; ან (ii) ექვემდებარება გამოსწორებას, მაგრამ დარღვევის თაობაზე „ობლიგაციონერების“ მიერ „ემიტენტისათვის“ გაგზავნილი შეტყობინების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში, არ იქნა აღმოფხვრილი; ან

(გ) **ჯვარედინი დეფოლტი:** (i) „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ნებისმიერი სხვა ნასესხებ ან მოზიდულ თანხებთან მიმართებით არსებული ან სამომავლო „დავალიანება“, დათქმულ ვადამდე ხდება (ან შესაძლებელია, გახდეს) გადასახდელი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზით, ან (ii) ნებისმიერი ასეთი „დავალიანება“ არ შესრულდება დათქმულ დროში, ან წინასწარ განსაზღვრულ დამატებით ვადაში, ან (iii) „ემიტენტი“ ან რომელიმე მისი „მნიშვნელოვანი შვილობილი“ ვერ იხდის ნებისმიერ სხვა არსებულ ან სამომავლო „ვალდებულებას“ დათქმულ დროში, იმ პირობით, რომ „პირობების“ წინამდებარე (გ) ქვეპუნქტში ჩამოთვლილი შესაბამისი ერთი ან რამდენიმე პირობის შესაბამისად არსებული „დავალიანების“ ჯამი, „ობლიგაციონერების“ გონივრული შეფასებით, შეადგენს ან აღემატება „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ მთლიანი აქტივების 2%-ს (ორ პროცენტს) (რომელიც გამოითვლება IFRS სტანდარტების შესაბამისად) ან მის ექვივალენტს ნებისმიერ სხვა ვალუტაში („ობლიგაციონერების“ გონივრული პოზიციის შესაბამისად და საფუძველზე); ან

(დ) გადახდის უნარი:

- (i) რომელიმე შემდეგი შემთხვევის დადგომა: i) „ემიტენტის“ ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიმართ სალიკვიდაციო პროცესის ან გადახდის უნარობის საქმის წარმოების დაწყება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ლიკვიდაცია ხდება მისი „ემიტენტთან“ ან სხვა „მნიშვნელოვან შვილობილთან“ შერწყმის მიზეზით; ან ii) ნებისმიერი „პირის“ მიერ ემიტენტის ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილის“ წინააღმდეგ გადახდის უნარობის პროცესის წამოწყება, თუკი ამგვარ მოთხოვნაზე ამ „პირს“ არ ეთქვა უარი მოთხოვნის წარდგენიდან 90 დღის განმავლობაში; ან iii) „ემიტენტსა“ და მის კრედიტორებს შორის მოლაპარაკებების დაწყება „ემიტენტის“ ყველა ან არსებითად ყველა ვალის თაობაზე სასამართლოს გარეშე მორიგების მიზნით; ან iv) „ემიტენტის“ ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიმართ ლიკვიდაციის პროცესის წამოწყება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე;
- (ii) „ემიტენტი“ ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილი“ არ იხდის ან არ შესწევს უნარი გადაიხადოს ვადამოსული ვალები დროულად; ან
- (iii) „ემიტენტის“ აქციონერები/პარტნიორები დამატკიცებენ „ემიტენტის“ ლიკვიდაციის ან დაშლის ნებისმიერ გეგმას; ან

(ე) **შეუსრულებელი სასამართლო გადაწყვეტილებები, სამთავრობო ან სასამართლო ღონისძიებები:** „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ წინააღმდეგ ფულადი თანხის დაკისრების თაობაზე სასამართლოების ან სხვა შესაბამისი სამართლებრივი აღმასრულებელი ორგანოების კანონიერ ძალაში შესული იმ დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილებების, განჩინებების და ბრძანებების საერთო ოდენობა აღემატება საერთო აქტივების 2%-ს (ორი პროცენტი) (IFRS-ის შესაბამისად გამოთვლის შედეგად) ან მის ექვივალენტ თანხას ნებისმიერ სხვა ვალუტაში ან ვალუტებში, ან ნებისმიერი ასეთი დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილების, განჩინების, ბრძანების შედეგად (a) „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მართვა მთლიანად ან ნაწილობრივ შეიცვალა ან „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ საქმიანობის წარმოების უფლებამოსილება სრულად ან ნაწილობრივ შემცირდა, (b) განხორციელდა „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ კაპიტალის, შემოსავლების და აქტივების, სრული ან ნაწილობრივი ოდენობის (რომლის საბალანსო ღირებულება უტოლდება ან აღემატება მთლიანი შემოსავლების ან აქტივების საბალანსო ღირებულების 20 პროცენტს) კონფისკაცია ან დაყადაღება, ნაციონალიზაცია, ექსპროპრიაცია ან სავალდებულო გასხვისება; ან

(ვ) **აღსრულება:** „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ქონების, შემოსავლების ან აქტივების სრული ან არსებითი ნაწილის მიმართ ნებისმიერი სააღსრულებო პროცესის დაწყება, ან უზრუნველყოფების მფლობელი პირის მიერ მათი მფლობელობაში მიღება ან გასხვისება; ან

(ზ) **უფლებამოსილება და თანხმობები:** არ არის შესრულებული, მოპოვებული ან მიღებული ნებისმიერი ქმედება, პირობა ან გარემოება (მათ შორის ნებისმიერი საჭირო თანხმობა, განკარგულება, მოწონება,

ავტორიზაცია, გამონაკლისის დაშვება, რეგისტრაცია, ლიცენზია, ბრძანება, ჩანაწერი, რეგისტრაცია ან სხვა უფლებამოსილება), რომელიც უნდა ყოფილიყო მიღებული, განხორციელებული ან შესრულებული იმისათვის, რომ (i) „ემიტენტმა“ კანონიერად შეძლოს, თავისი მნიშვნელოვანი უფლებების მიღება და განხორციელება, და „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე გადახდის ვალდებულებების, ამ მე-4 პირობიდან (დათქმები) გამომდინარე ვალდებულებებისა და „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მისი სხვა არსებითი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, (ii) უზრუნველყოფილ იქნას ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების ნამდვილობა და მათი აღსრულებადობა, და (iii) „ობლიგაციების“ „პროსპექტი“ მისაღები იყოს საქართველოს სასამართლოში მტკიცებულების სახით; ან

(თ) ნამდვილობა და უკანონოა: „ემიტენტი“ სადაოდ ხდის „ობლიგაციების“ ან „პროსპექტის“ ნამდვილობას, ან უარყოფს „ობლიგაციებიდან“ ან „პროსპექტიდან“ გამომდინარე რომელიმე ვალდებულებას, ან „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“ ან „პროსპექტის“ ფარგლებში ნაკისრი ერთი ან მეტი ვალდებულების შესრულება უკანონოა ან გახდება უკანონო, ან რომელიმე ხსენებული ვალდებულება გახდება აღსრულებადი ან აღარ ჩაითვლება კანონიერად, ნამდვილად ან სავალდებულო ძალის მქონედ.

„ემიტენტი“ ვალდებულებას იღებს, რომ შეტყობისთანავე, დაუყოვნებლივ აცნობებს „ობლიგაციონერებს“ „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის თაობაზე, ან იმგვარი მოვლენის ან გარემოების შესახებ, რომელიც შეტყობინების გაგზავნის, დროის გასვლის და/ან სერტიფიკატის/ცნობის გაცემის საფუძველზე ჩაითვლება „დეფოლტის შემთხვევად“ („პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“).

„ემიტენტი“ ასევე ვალდებულებას კისრულობს, რომ წლიური აუდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებიდან 14 დღის ვადაში, „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ 14 დღის განმავლობაში და ასევე სულ მცირე 25% „ობლიგაციების“ მფლობელი „ობლიგაციონერების“ მიერ მოთხოვნის წარდგენიდან 14 დღის ვადაში „ობლიგაციონერებს“ მიაწვდის მისი დირექტორისა (CEO) და ფინანსური დირექტორის მიერ ხელმოწერილ წერილობით დასტურს იმის თაობაზე, რომ გონივრული მოკვლევის შემდეგ, „ემიტენტის“ ინფორმაციით და რწმენით, წერილობითი დასტურის თარიღის („დადასტურების თარიღი“) მდგომარეობით წინა „დადასტურების თარიღზე“ სერტიფიკატის გაცემის შემდგომ პერიოდში (ან ასეთის არარსებობისას, „გადახდის და კალკულაციის აგენტის შესახებ ხელშეკრულების“ დადების თარიღის შემდგომ პერიოდში) არ დამდგარა „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, ხოლო „დეფოლტის შემთხვევის“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევის“ არსებობისას ვალდებულია აცნობოს ამგვარი შემთხვევის დეტალები.

10. ობლიგაციონერების კრებები

„ობლიგაციების გამოშვების პირობების“ წინამდებარე პუნქტი შეიცავს დებულებებს „ობლიგაციონერების“ კრებების მოწვევის თაობაზე იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებსაც გავლენა აქვს „ობლიგაციონერების“ ინტერესზე, მათ შორის წინამდებარე „პირობებში“, ამ პუნქტის შესაბამისად, ცვლილებების და დამატებების შეტანაზე თანხმობის მიცემის მიზნით, „პროსპექტის“ შესაბამისად სათანადოდ მოწვეულ კრებაზე დამსწრე ხმების 80%-ით მიღებული გადაწყვეტილების („სპეციალური გადაწყვეტილება“) თაობაზე. „სპეციალური გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული ნებისმიერი კრების ქვორუმს წარმოადგენს ორი ან მეტი პირი, რომლებიც მოცემულ დროს ფლობენ ან წარმოადგენენ გაუნადგებელი „ობლიგაციების“ საერთო ძირი თანხის არანაკლებ ნახევარს განხილვის დროს, ან ნებისმიერ „განმეორებით კრებაზე“ - ორი ან მეტი „ობლიგაციონერი“ ან მათი წარმომადგენელი პირი, მიუხედავად „ობლიგაციების“ იმ ძირი ოდენობისა, რომელსაც ისინი ფლობენ ან წარმოადგენენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი კრების საქმიანობა მოიცავს, მათ შორის, შემდეგი წინადადებების განხილვას: შემდეგ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს მხოლოდ „სპეციალური გადაწყვეტილების“ მეშვეობით: (i) „ობლიგაციების“ ნებისმიერი ფინანსური პირობის ცვლილება; (ii) „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი ძირი თანხის ან პროცენტის გადახდის თარიღის ცვლილება; (iii) „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი გადასახდელი თანხის ოდენობის გამოთვლის მეთოდის ცვლილება; (iv) „ობლიგაციებთან“ მიმართებით გადასახდელი ძირი თანხის ან პროცენტის ოდენობის ცვლილება; (v) თანხმობის განცხადება ემიტენტის ან რომელიმე სხვა პირის აქციებში ან სხვა

ვალდებულებებში ან ფასიან ქალაქებში ობლიგაციების გადაცვლაზე, ჩანაცვლებაზე ან კონვერტაციაზე, (vi) ობლიგაციებთან დაკავშირებით ანგარიშსწორების ვალუტის შეცვლა (გარდა იმ ცვლილებებისა, რაც მოითხოვება შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობით), (vii) „ობლიგაციონერების“ კრებებზე საჭირო ქვორუმის ან „სპეციალური გადაწყვეტილების“ მისაღებად საჭირო ხმების ოდენობის ცვლილება, (ან (viii) წინამდებარე „პირობების“ შესაბამისი „დეფოლტის შემთხვევების“ განსაზღვრების ცვლილება. ასეთ შემთხვევებში, „სპეციალური გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული ნებისმიერი კრების, ქვორუმის აუცილებელი ოდენობა არის ორი ან მეტი პირი, რომელიც განსახილველ დროს ფლობენ ან წარმოადგენენ გაუნადგებელი „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ ორ მესამედს, ან „განმეორებით კრებაზე“ - არანაკლებ ერთ მესამედს. ნებისმიერი სათანადოდ მიღებული „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“ მხოლოდ „ობლიგაციონერებისთვის“ (მიუხედავად იმისა, ესწრებოდნენ თუ არა ისინი კრებას, რომელზეც მიღებულ იქნა ასეთი გადაწყვეტილება).

„ემიტენტი“ ან/და გაუნადგებელი „ობლიგაციების“ ძირი ოდენობის არანაკლებ 10 პროცენტის მფლობელი „ობლიგაციონერები“ (ან/და მათი სახელით მოქმედი „ნომინალური მფლობელები“) უფლებამოსილი არიან მოიწვიონ ამგვარი კრება.

იმ „ობლიგაციონერების“ (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების) მიერ წერილობითი ფორმით მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლებიც გადაწყვეტილების მომენტში ფლობენ გაუნადგებელი ობლიგაციების 80%-ს ან მეტს, გააჩნია იგივე ძალა, რაც „სპეციალურ გადაწყვეტილებას“. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ მიერ.

„ობლიგაციონერების“ მიერ გამოტანილი ნებისმიერ სხვა გადაწყვეტილება, რომელიც არ კვალიფიცირდება „სპეციალურ გადაწყვეტილებად“, მიიღება მიცემულ ხმათა არანაკლებ 51% უმრავლესობით („ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“). ამგვარი კრების მოწვევის უფლება გააჩნიათ „ემიტენტს“ ან/და განხილვის დროს გაუნადგებელი „ობლიგაციების“ ძირი ოდენობის არანაკლებ 5 პროცენტის მფლობელ „ობლიგაციონერებს“ (ან/და მათი სახელით მოქმედი „ნომინალური მფლობელებს“). „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეული კრების ქვორუმს წარმოადგენს ორი ან მეტი პირი, რომელიც ფლობს ან წარმოადგენს განსახილველ დროს გაუნადგებელი „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის ნახევარზე მეტს, ან ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ მიმართ - ორ ან მეტ პირს, რომელიც ფლობს ან წარმოადგენს „ობლიგაციონერებს“, მიუხედავად საკუთრებაში არსებული ან წარმოდგენილი „ობლიგაციების“ ძირი თანხისა.

გაუნადგებელი „ობლიგაციების“ იმ დროისთვის 51%-ის ან მეტის მფლობელი „ობლიგაციონერების“ მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა ისევე, როგორც „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ მიერ.

11. აღსრულება

ნებისმიერი „ობლიგაციონი“, რომელიც ფლობს ან „ობლიგაციონერები“ რომლებიც ერთობლივად ფლობენ გაუნადგებელი „ობლიგაციების“ სულ მცირე 10%-ს, უფლებამოსილია/უფლებამოსილი არიან დაიწყონ აღსრულების პროცედურა მე-9 პირობის (ბ)-(თ) (ჩათვლით) პუნქტებით გათვალისწინებული „დეფოლტის შემთხვევებთან“ დაკავშირებით. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, აღსრულების პროცედურის დასაწყებად „სპეციალური გადაწყვეტილება“ ან „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“ არ არის საჭირო.

12. შეტყობინებები

„ემიტენტი“ „ობლიგაციონერებს“ შეტყობინებებს გაუგზავნის მათ ელ-ფოსტაზე და „რეგისტრატორთან“. თუ, „ემიტენტი“ საჭიროდ ჩათვლის, იგი უფლებამოსილია შეტყობინება გააგზავნოს „ობლიგაციონერებისა“ და

„ნომინალური მფლობელების“ „რეესტრში“ ასახულ მისამართებზე, გარდა „განმეორებითი კრების“ მოწვევის შესახებ შეტყობინებისა, რომელიც აუცილებელი წესით უნდა იქნას გაგზავნილი „ობლიგაციონერების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ ამგვარ მისამართებზე.

13. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე „პირობებში“ გამოყენებულ ტერმინებს (თუკი კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს) ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობები:

„განმეორებითი კრება“ ნიშნავს „ობლიგაციონერთა“ განმეორებით კრებას, რომლითაც გრიელდება წინამორბედი კრება, სადაც ვერ შედგა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ქცორუმი.

„აფილირებული პირი“ რომელიმე კონკრეტულ „პირთან“ მიმართებით არის (ა) ნებისმიერი სხვა „პირი“, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არის დაკავშირებული მასთან, რომელიც აკონტროლებს ან კონტროლდება პირდაპირ ან ირიბად ამ კონკრეტული „პირის“ მიერ ან იმყოფება ამ „პირთან“ ერთად საერთო კონტროლის ქვეშ, ან (ბ) ნებისმიერი სხვა „პირი“, რომელიც არის ამ კონკრეტული „პირის“, ან „პირის“ შვილობილი კომპანიის, ან ა) პუნქტით განსაზღვრული სხვა პირის დირექტორი ან ხელმძღვანელი პირი.

„ობლიგაციონერი“ ნიშნავს ობლიგაციების რეგისტრირებულ მესაკუთრეს (როგორც ეს განმარტებულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონით“).

„სამუშაო დღე“ არის ნებისმიერი დღე (შაბათის და კვირის გარდა), როდესაც კომერციული ბანკები ახორციელებენ გადახდებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (მათ შორის, სავალუტო ოპერაციებს) თბილისში.

„სამართლიანი საბაზრო ღირებულება“ ოპერაციასთან მიმართებით არის ის ღირებულება, რომელიც მიღებული იქნებოდა დაუკავშირებელ პირებს შორის განხორციელებული კომერციული ოპერაციისას ინფორმირებულ და დაინტერესებულ გამყიდველსა (რომელზეც არავითარი იძულება ან ზეწოლა გასხვისებაზე არ ხორციელდება) და ასევე ინფორმირებულ და დაინტერესებულ მყიდველს (რომელზეც არავითარი იძულება ან ზეწოლა ყიდვაზე არ ხორციელდება) შორის. „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია დაეყრდნოს ტრანზაქციის „სამართლიანი საბაზრო ღირებულების“ შესახებ „დამოუკიდებელ შემფასებლის“ ანგარიშს, დამატებითი მოკვლევის ან მტკიცებულებების გარეშე.

„ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფი“ გულისხმობს ემიტენტს და მის „შვილობილებს“ ერთობლიობაში.

„კონტროლი“ წინამდებარე განმარტებებში გამოყენებული ფორმით, გულისხმობს „ემიტენტის“ მართვის, პოლიტიკისა და საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრის შესაძლებლობას, სააქციო კაპიტალის ფლობით, სახელშეკრულებო ურთიერთობით ან სხვაგვარად.

„კორექტირებული EBITDA“ - გამოითვლება კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე დაყრდნობით, როგორც საერთო მოგებას პლუს საოპერაციო შემოსავალი, მინუს საოპერაციო ხარჯები და დებიტორული დავალიანების გაუფასურება, დამატებული აქტივების გაუფასურების ხარჯები (წინა პერიოდების გაუფასურების ხარჯის ამობრუნების ეფექტის გათვალისწინების გარეშე) და დამატებული სხვა არაფულადი პუნქტები (მაგ: წილობრივი ინსტრუმენტებით საკომპენსაციო ხარჯები).

„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“ („IFRS“) არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ყოფილი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები), რომელიც გამოიცემა საბუღალტრო სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ და ამავე საბჭოს საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების განმარტების კომისიის მიერ გამოცემული განმარტებები (მასში პერიოდულად შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით).

„IFRS ფინანსური პერიოდი“ ნიშნავს ნებისმიერ ფინანსურ პერიოდს, რომლის მიმართაც „ემიტენტმა“ მოამზადა გაერთიანებული ფინანსური ანგარიშგებები IFRS-ის შესაბამისად, რომელიც შეამოწმეს აუდიტორებმა;

„დავალიანება“ ნებისმიერი „პირის“ მიმართ, ნებისმიერი მომენტისათვის გულისხმობს (დუბლირების გარეშე):

(ა) ამ „პირის“ მიერ თანხების სესხების შედეგად წარმოქმნილი ყველა დავალიანება/ვალდებულებას;

(ბ) ამ „პირის“ ყველა ვალდებულებას, რაც გამომდინარეობს ობლიგაციებიდან, სადებეტო ოპერაციებიდან, თამასუქებიდან ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტებიდან;

(გ) ამ „პირის“ ყველა ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს აკრედიტივებიდან ან მსგავსი ინსტრუმენტებიდან (მათ შორის, ასანაზღაურებელი ვალდებულებები), მისი ჩვეული ბიზნეს-საქმიანობის ფარგლებში გამოშვებული ნებისმიერი აკრედიტივის, გარანტიის ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტის გამოკლებით;

(დ) ამ „პირის“ ყველა ვალდებულებას ქონების, აქტივების ან მომსახურების გადავადებული და გადაუხდელი სარეალიზაციო ფასის გადახდასთან დაკავშირებით;

(ე) სხვა „პირების“ ვალდებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფილია ამ „პირის“ აქტივებზე (რომელთა ღირებულება უნდა დადგინდეს უკანასკნელი საფინანსო წლისათვის „უზრუნველყოფის საშუალების“ გამცემი „პირის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული ფინანსური უწყისებში ასახული საბალანსო ღირებულებით) „უზრუნველყოფის საშუალებით“, მიუხედავად იმისა, კისრულობს თუ არა ეს „პირი“ აღნიშნული სხვა „პირების“ ვალდებულებებს;

(ვ) სხვა „პირების“ ყველა დავალიანებას, რომელიც გარანტირებულია ან დაზღვეულია ამ „პირის“ მიერ, არაუმეტეს ამ „პირის“ მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობის მოცულობით;

(ზ) ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით მოზიდული ნებისმიერი თანხას, თუ ამგვარი ფასიანი ქაღალდები ექვემდებარება გამოსყიდვას;

(თ) წმინდა ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ ნებისმიერი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის ჰეჯირების ხელშეკრულებიდან; და

(ი) ნებისმიერი სხვა ოპერაციის (მათ შორის, ნებისმიერი ფორვარდული ყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულებების) ფარგლებში მოზიდული თანხას, რაც ეკონომიკური ან კომერციული შინაარსით სესხის იდენტურია,

და ნებისმიერი „პირის“ ვალდებულების მოცულობა ნებისმიერი თარიღისათვის განისაზღვრება ამ თარიღის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული ყველა უპირობო ვალდებულების დაუფარავი მოცულობისა, და ყველა პირობადადებული ვალდებულების შესაძლო მაქსიმალური მოცულობის (რაც შეიძლება დადგეს, თუკი მატერიალიზებული იქნება ის პირობა, რაც იწვევს ამ ვალდებულების წარმოშობას) ჯამური ოდენობით.

„წმინდა ფინანსური დავალიანება“ ნებისმიერი „პირის“ მიმართ, ნებისმიერი მომენტისათვის გულისხმობს (დუბლირების გარეშე) „დავალიანებას“ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტის გამოკლებით.

„დამოუკიდებელი შემფასებელი“ არის აუდიტორული კომპანია ან მესამე მხარე – ექსპერტი, რომელიც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეირჩევა „ემიტენტის“ და მტკიცდება „ობლიგაციონერების“ მიერ იმ პირობით, რომ ეს ფირმა ან მესამე მხარე არ უნდა იყოს „ემიტენტთან“ „აფილირებული პირი“.

„გამოშვების თარიღი“ ნიშნავს თარიღს, როდესაც ხდება „ობლიგაციების“ გამოშვება, როგორც ეს მოცემულია „პროსპექტის“ თავში - „შეთავაზების ძირითადი პირობები“.

„მნიშვნელოვანი შვილობილი“ არის „ემიტენტის“ ნებისმიერი „შვილობილი“:

(ა) რომლის შემოსავლები უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდისთვის“ შეადგენდა „ჯგუფის“ კონსოლიდირებული შემოსავლების 5%-ზე მეტს, ან რომელიც უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ დასრულებისას ფლობდა „ჯგუფის“ კონსოლიდირებული მთლიანი აქტივებიდან 5%-ზე მეტს (უკანასკნელი

„IFRS ფინანსური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ემიტენტის“ კონსოლიდირებული ფინანსური უწყისების მიხედვით); ან

(ბ) რომელსაც გადაეცემა პრაქტიკულად ყველა აქტივი და ვალდებულება „ემიტენტის“ იმ „შვილობილისაგან“, რომელიც ამგვარი გადაცემის მომენტამდე წარმოადგენდა „მნიშვნელოვან შვილობილს“ (ამგვარი ტრანზაქციის განხორციელების მომენტიდან).

„ნომინალური მფლობელი“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონით“ განსაზღვრული მნიშვნელობით.

„ნებადართული უზრუნველყოფის საშუალებები“ განიმარტება, როგორც:

(ა) იმ ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი უზრუნველყოფა, რომელიც დადებულია „გამოშვების თარიღამდე“;

(ბ) ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ მიერ „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ სასარგებლოდ გაცემული უზრუნველყოფა;

(გ) „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც უზრუნველყოფს „პირის“ დავალიანებას და არსებობს იმ პერიოდისთვის, როდესაც ამგვარი „პირი“ შეერწყმება ან გაერთიანდება „ემიტენტთან“ ან მის „შვილობილ კომპანიასთან“ ან გახდება „ემიტენტის“ „შვილობილი კომპანია“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება“ (i) არ შექმნილა ამგვარი შერწყმის, გაერთიანების ან შემთხვევის მიზნებისთვის; და (ii) არ ვრცელდება „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ ნებისმიერ აქტივზე ან ქონებაზე (გარდა, რომელიც ეკუთვნის შეძენილ „პირს“ და მის „შვილობილ კომპანიებს“ (ასეთის არსებობისას));

(დ) „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ მიერ შესყიდულ ან შესასყიდ აქტივებზე ან ქონებაზე არსებული „უზრუნველყოფის საშუალება“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება“ არ შექმნილა ამგვარი შესყიდვის მიზნებისთვის და არ ვრცელდება ნებისმიერ სხვა აქტივებზე ან ქონებაზე (გარდა ამგვარი შესყიდული აქტივებიდან ან ქონებიდან მიღებულ შემოსავალზე);

(ე) შემდგომში „ჯგუფის“ ნებისმიერი წევრის მიერ შესყიდული ნებისმიერი ქონების მიმართ ამგვარი ქონების ნასყიდობის ფასის უზრუნველსაყოფად ან მხოლოდ ამგვარი ქონების შესყიდვის ფასის და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციული ხარჯების დაფინანსების მიზნებისთვის აღებული „დავალიანების“ უზრუნველსაყოფად მინიჭებული „უზრუნველყოფის საშუალება“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალებით“ უზრუნველყოფილი შესაბამისი „დავალიანების“ მაქსიმალური ოდენობა არ აღემატება ამგვარი ქონების შესყიდვის ფასს, ტრანზაქციულ ხარჯებს ან/და მხოლოდ ამგვარი შესყიდვის დაფინანსების შედეგად აღებულ „დავალიანებას“;

(ვ) ნებისმიერი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთკომპენსაციის ან ურთიერთგაქვითვის შესახებ შეთანხმება, რომელიც „ჯგუფის“ ნებისმიერმა წევრმა დადო საკუთარი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შემოსავლის და გასავლის ბალანსის ურთიერთკომპენსაციის მიზნებისთვის;

(ზ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალებას“ დაქვემდებარებული აქტივების ან შემოსავლის საერთო ღირებულება, რომელიც ემატება იმგვარი აქტივებისა და შემოსავლის საერთო ოდენობას, რომელიც ექვემდებარება 4(დ) პირობით (გახებისება) ნებადართულ ნებისმიერ მისაღების უზრუნველყოფას, აქტივებით დაზღვეულ დაფინანსებას ან მსგავსი დაფინანსების სტრუქტურას, არ აღემატება ნებისმიერ ასეთ დროს „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ აქტივების 25 პროცენტს, რომელიც განისაზღვრება, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ დასასრულს IFRS-ის შესაბამისად მომზადებულ, „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ გაერთიანებულ საბალანსო ანგარიშზე მითითებით;

(თ) ნებისმიერი არსებული ან სამომავლო აქტივების ან შემოსავლების ან მათი ნებისმიერი ნაწილის შესაბამისი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც იქმნება ნებისმიერი „რეპო“ ტრანზაქციის შესაბამისად;

(ი) ნებისმიერი ხელშეკრულების (ან სხვა მარეგულირებელი პირობების) შესაბამისად წარმოშობილი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც სტანდარტული ან ჩვეულებითია საპროცენტო განაკვეთის და უცხო ვალუტის კურსის დაზღვევის ოპერაციების შესაბამის ბაზარზე;

(კ) კანონის მოქმედების საფუძველზე და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, საგადასახადო და სხვა არა-ნებაყოფლობითი „უზრუნველყოფის საშუალების“ ჩათვლით; და

(ლ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც არ არის გათვალისწინებული (ა)-დან (კ)-ს ჩათვლით და „მ“ პუნქტებით, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალების“ მიერ უზრუნველყოფილი „დავალიანების“ საერთო ოდენობის ძირითადი თანხა არცერთ შემთხვევაში არ აღემატება 2,000,000 აშშ დოლარს ან „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ აქტივების 15 პროცენტს (რომელიც უფრო დიდი ოდენობაა), რომელიც განისაზღვრება, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ დასასრულს IFRS-ის შესაბამისად მომზადებულ, „კომპანიის“ გაერთიანებულ საბალანსო ანგარიშზე მითითებით;

(მ) ნებისმიერი ახალ „უზრუნველყოფის საშუალებას“, რომლითაც დაიტვირთა ნებისმიერი ის აქტივი, რომელიც „გამოშვების თარიღისთვის“ დატვირთული იყო „უზრუნველყოფის საშუალებით“ („არსებული უზრუნველყოფა“), იმ პირობით, რომ

(i) ამგვარი აქტივები ახალი „უზრუნველყოფის საშუალებით“ დაიტვირთა „არსებული უზრუნველყოფისგან“ გათავისუფლების თარიღიდან 3 თვის ვადაში;

(ii) ამგვარი აქტივები გათავისუფლდა „არსებული უზრუნველყოფისგან“; და

(iii) ახალი „უზრუნველყოფის საშუალებით“ დატვირთული აქტივების ღირებულება არ აღემატება (ახალი „უზრუნველყოფის საშუალების“ წარმოქმნის თარიღზე) „ევექსის ჰოსპიტლების ჯგუფის“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 15 პროცენტს.

„პირი“ არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, კორპორაცია, ფირმა, ამხანაგობა, ერთობლივი საწარმო, ასოციაცია, სატრასტო გაერთიანება, დაწესებულება, ორგანიზაცია ან სახელმწიფო ორგანო, მიუხედავად იმისა გააჩნია თუ არა მას ცალკე იურიდიული პირის სტატუსი.

„სარეიტინგო სააგენტო“ ნიშნავს თითოეულს და ყველას შემდეგიდან: Scope Ratings-ს („Scope“), Fitch Ratings-ს („Fitch“), Moody's Investors Service-ს („Moody's“) და Standard & Poor's Rating Services-ს („S&P's“), და მათ შესაბამის სამართალმემკვიდრეებს ან/და იმ სარეიტინგო სააგენტოს/სააგენტოებს, რომელთა მიერ საჯაროდ ხელმისაწვდომი რეიტინგები მისაღება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სასესიო ფასიანი ქაღალდების საკუთარი მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფაში მიღების მიზნებისთვის.

„რეპო ოპერაცია“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ან გადაყიდვის შეთანხმებას, ასევე უკუ-გამოსყიდვის ან უკუ-გადაყიდვის შეთანხმებას, ფასიანი ქაღალდების თხოვნის ან სესხების შეთანხმებას, ასევე ნებისმიერ შეთანხმებას, რომელიც უკავშირდება ფასიან ქაღალდებს და გააჩნია ზემოთ აღნიშნულის მსგავსი ხასიათი.

„აკრძალულ გადახდას“ აქვს მე-4 პირობით მინიჭებული მნიშვნელობა;

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი“ ნიშნავს 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მასში დრო და დრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით;

„უზრუნველყოფის საშუალება“ ნიშნავს ნებისმიერ გირაოს, იპოთეკას, დატვირთვას, ყადაღა ან სხვა სახის უზრუნველყოფას (მათ შორის, ნებისმიერ იურისდიქციაში ზემოაღნიშნულის ანალოგიურ სხვა სახის სამართლებრივ უზრუნველყოფას);

„შვილობილი“ ნებისმიერ „პირთან“ (შემდგომში „პირველი პირი“) მიმართებით ნიშნავს ნებისმიერ მეორე „პირს“ (შემდგომში „მეორე პირი“) (ა) რომლის საქმიანობა და პოლიტიკა პირდაპირ ან ირიბად კონტროლდება

„პირველი პირის“ მიერ, ან (ბ) რომელშიც „პირველი პირი“ პირდაპირ ან ირიბად ფლობს კაპიტალის, ხმის უფლების მქონე აქციების ან წილის 50 პროცენტზე მეტს;

„გადასახადი“ ნიშნავს ნებისმიერი სახის გადასახადს, ბაჟს, მოსაკრებელს ან სხვა მსგავს გადასახდელს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი იურისდიქციით არის იგი წარმოშობილი (მათ შორის, დარიცხული ჯარიმები და საურავები) და რა ფორმით არის დაკისრებული.

მარეგულირებელი სამართალი და იურისდიქცია

(ა) მარეგულირებელი სამართალი: „პროსპექტი“ და „ობლიგაციები“, ასევე მათგან გამომდინარე ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულება, წესრიგდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) იურისდიქცია: საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ ექსკლუზიური კომპეტენცია პროსპექტთან ან ობლიგაციებთან დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერ დავაზე (მათ შორის ნებისმიერ სარჩელზე, დავაზე ან შეუთანხმებლობაზე „პროსპექტის“ ან/და „ობლიგაციების“ გამოშვებასთან, მოქმედების შეწყვეტასთან ან ნამდვილობასთან დაკავშირებით, ან „პროსპექტიდან“ ან „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ნებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით).

იმ შემთხვევაში, როდესაც „ობლიგაციონერი“ წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებას („IFI ობლიგაციონერი“), ასეთ „ობლიგაციონერსა“ და „ემიტენტს“ შორის ნებისმიერი დავა, დაპირისპირება ან სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს ან უკავშირდება წინამდებარე „პროსპექტს“ ან/და „ობლიგაციებს“, გადაწყდება არბიტრაჟის მიერ, მოქმედი UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA) მიერ დანიშნული ერთი არბიტრის მიერ. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი იქნება ლონდონი, ინგლისი, ხოლო საარბიტრაჟო განხილვის ენა - ინგლისური. მხარეები უარს ამბობენ 1996 წლის საარბიტრაჟო აქტის შესაბამის ნებისმიერ უფლებაზე ან ნებისმიერი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სხვაგვარად გასაჩივრებაზე, ან გადაწყვეტილების მიღებამდე ნებისმიერი საკითხზე გადაწყვეტილების მოპოვებაზე, ინგლისის სასამართლოებში. საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ იქნება უფლებამოსილი მიანიჭოს, და „ემიტენტი“ თანხმდება, რომ ის არ მოითხოვს, ნებისმიერი სამართლებრივი ხელისუფლებისგან, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე დროებითი ღონისძიებების განხორციელებას „ობლიგაციონერის“ წინააღმდეგ, მიუხედავად UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების ნებისმიერი პირობისა. საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილი იქნება განიხილოს და გააერთიანოს ნებისმიერ პროცესში ან გადაწყვეტილებაში მის წინაშე (მხოლოდ) „IFI ობლიგაციონერის“ მიერ სათანადოდ აღძრული ნებისმიერი დამატებითი დავა, იმდენად რამდენადაც, ასეთი დავა გამომდინარეობს წინამდებარე „პროსპექტის“ ან/და „ობლიგაციებიდან“, მაგრამ, აღნიშნულის გათვალისწინებით, დაუშვებელია ნებისმიერი სხვა მხარის ან სხვა დავების ჩართვა ან გაერთიანება მიმდინარე საარბიტრაჟო პროცესში/პროცესთან.

მიუხედავად ზემოთხსენებული პირობისა, „პროსპექტის“ ან/და „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული „IFI ობლიგაციონერის“ ნებისმიერი უფლება, ამ უკანასკნელის არჩევანისამებრ, შესაძლებელია აღსრულდეს საქართველოს სასამართლოებში.

ფასის დადგენა

შეთავაზების საბოლოო მოცულობა პოტენციური ინვესტორებისათვის ობლიგაციების შეთავაზების პროცესში, ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად) დგინდება.

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შეძენაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ემიტენტის გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს ობლიგაციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე განთავსების აგენტს უნდა ეცნობოთ დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 14.00 საათამდე (თბილისის დროით)) მას შემდეგ, რაც ინვესტორს ეცნობება მისი განაცხადის კორექტირების (ობლიგაციების ოდენობის თვალსაზრისით) შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, განთავსების აგენტი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, კვლავ განიხილოს ინვესტორის საწყისი განაცხადი (მოთხოვნილი ფასიანი ქაღალდების სრულ ოდენობაზე), ან უარი განაცხადოს მასზე.

შეთავაზების საბოლოო მოცულობის განსაზღვრის (Book-building-ის) დასრულების შემდგომ განთავსების აგენტი განაცხადებს აღნიშნული მოცულობის შესახებ და იმ ინვესტორებს, რომელთა განაცხადებიც (მათ შორის, შეცვლილი რაოდენობით) დაკმაყოფილდა, მიაწვდის შესაბამის შეტყობინებას (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად). შეტყობინებაში მითითებულ უნდა იქნას ობლიგაციების ის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა პოტენციური ინვესტორის განაცხადი. შეთავაზების საბოლოო ოდენობის შესახებ გამოცხადების მომენტიდან იმ პოტენციურ ინვესტორთა („ხელმომწერი ინვესტორები“) განაცხადებს, რომლებიც დაკმაყოფილდა, ექნება გამოუთხოვადი და მავალდებულებელი ძალა „ხელმომწერი ინვესტორისათვის“.

განთავსება

ემიტენტი და/ან განთავსების აგენტი უფლებამოსილია მოახდინონ ობლიგაციების განთავსება გადავადებული განთავსების ფასით გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე (ამ უკანასკნელი თარიღის ჩათვლით) პერიოდში. ობლიგაციების გადავადებული განთავსება მოხდება გადავადებული განთავსების ფასით. ინვესტორებს შეუძლიათ გადავადებით გამოსაშვები ობლიგაციების შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების მიწოდებით განთავსების აგენტთან. ობლიგაციების ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და განთავსების აგენტის მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით.

„ხელმოწერი ინვესტორები“ და ის ინვესტორები, რომლებიც შეისყიდიან ობლიგაციებს გადავადებული განთავსების თარიღზე (შემდგომში ერთობლივად „ინვესტორები“), ვალდებული არიან შესაბამისი ოდენობის ობლიგაციების შესასყიდი თანხები სრულად განთავსონ საბროკერო ანგარიშზე გამოშვების თარიღამდე ან გადავადებული განთავსების თარიღამდე არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე. „ინვესტორის“ მიერ აღნიშნული საბროკერო ანგარიში გახსნილი უნდა იქნას განთავსების აგენტთან. ამავე ანგარიშზე მოხდება „ინვესტორის“ მიერ შესყიდული ობლიგაციების მიწოდება ემიტენტის მიერ შესაბამისად გამოშვების თარიღზე ან გადავადებული განთავსების თარიღზე. გამონაკლის შემთხვევებში, განთავსების აგენტს შეუძლია ერთპიროვნულად დართოს ნება „ინვესტორს“ ობლიგაციების გამოსასყიდი თანხები, ნაცვლად განთავსების აგენტთან გახსნილი საბროკერო ანგარიშისა, მიმართოს ემიტენტის ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე განთავსების აგენტთან. ასეთ შემთხვევაში, ობლიგაციების მიწოდება „ინვესტორისათვის“ მოხდება „რეგისტრატორთან“ ან სხვა უფლებამოსილ „ნომინალურ მფლობელთან“ არსებულ „ინვესტორის“ ანგარიშზე.

ობლიგაციების განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ ობლიგაციებს სხვა „ნომინალურ მფლობელთან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ან „რეგისტრატორში“ ჩანაწერის სახით.

ემიტენტი არ მოახდებს წინამდებარე პროსპექტში აღწერილი შეთავაზებით გათვალისწინებული ობლიგაციების გამოშვებას და/ან გააუქმებს ყველა გამოშვებულ ობლიგაციას (თუ კი ასეთი იარსებებს) ობლიგაციონერებისათვის ობლიგაციების შესაძენად გადახდილი თანხის დაბრუნებით, თუ გამოშვების თარიღზე არ მოხდება განთავსების მინიმალური ოდენობის ხელმოწერა და განთავსება.

თუ საბოლოო პროსპექტით გათვალისწინებული ობლიგაციების სრული რაოდენობა არ იქნება განთავსებული შეთავაზების დასრულების თარიღზე, განთავსებული ობლიგაციები ჩაითვლება გაუქმებულად (გაუქმდება) და ემიტენტი ობლიგაციების განთავსებული რაოდენობის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის საქართველოს ეროვნულ ბანკს, საფონდო ბირჟას – თუ ფასიანი ქაღალდი დაშვებულია საფონდო ბირჟაზე და აგრეთვე გამოაცხადებს მას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება ბირჟაზე

ემიტენტს გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე.

ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ობლიგაციებთან დაკავშირებული ძირითადი საგადასახადო საკითხების ზოგად აღწერას. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს ობლიგაციებთან დაკავშირებული საგადასახადო საკითხების ამომწურავ შეფასებას. ობლიგაციების პოტენციურმა შემძენებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ საგადასახადო მრჩეველებთან ობლიგაციების შეძენასთან, ფლობასთან და გასხვისებასთან დაკავშირებით, ასევე ობლიგაციებიდან პროცენტის, ძირითადი თანხის და/ან სხვა შემოსავლების ძიების შესახებ და აძგვარი ქმედებების საგადასახადო შედეგების თაობაზე. მიმოხილვა ეფუძნება წინამდებარე ემისიის პროსპექტის შედგენის თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც შეიძლება შეიცვალოს აღნიშნული თარიღის შემდეგ. ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია და ანალიზი შეეხება მხოლოდ საგადასახადო საკითხებს და პოტენციურმა ინვესტორებმა არ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია ან ანალიზი სხვა სფეროებში, მათ შორის ობლიგაციებთან დაკავშირებული ტრანზაქციების ნამდვილობასთან მიმართებით.

პროცენტზე საშემოსავლო გადასახადის დაკავება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, ობლიგაციების მფლობელებისათვის (რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და არარეზიდენტი იურიდიული პირები) გადახდილი პროცენტი ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას საშემოსავლო გადასახადის 5 (ხუთ) პროცენტიანი განაკვეთით. გარდა ამისა, ზემოთ მითითებული გადახდის წყაროსთან დაბეგვრილი საპროცენტო შემოსავალი არ ჩაითვლება მიმღები რეზიდენტი ფიზიკური პირის ერთობლივ შემოსავალში.

ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გათავისუფლებულია წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის დაკავებისგან და ის არ ჩაითვლება ობლიგაციის მფლობელის ერთობლივ შემოსავალში, თუ ობლიგაციები გამოშვებულია რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე საჯარო შეთავაზების გზით და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე არის სავაჭროდ დაშვებული (საქართველოს საფონდო ბირჟის A ან B კატეგორიის ლისტინგში).

ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გათავისუფლებულია წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის დაკავებისგან და ის არ ჩაითვლება ობლიგაციის მფლობელის ერთობლივ შემოსავალში, თუ ობლიგაციები გამოშვებულია საქართველოს რეზიდენტის მიერ და დაშვებულია სავაჭროდ უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟის ლისტინგში.

ისეთი ობლიგაციების მფლობელებისათვის გადახდილი პროცენტი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან იმ ქვეყნებში, რომელთაც შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმი გააჩნიათ და საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებულნი არიან ოფშორულ იურისდიქციებად, დაიბეგრება 15 პროცენტიანი განაკვეთით.

საქართველოში მიღებული საპროცენტო შემოსავლის წყაროსთან დასაკავებელ გადასახადზე შესაძლოა ასევე გავლენა იქონიოს საქართველოსა და არარეზიდენტი ობლიგაციის მფლობელის რეზიდენტობის ქვეყანას შორის არსებულმა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ.

ობლიგაციების გასხვისების დაბეგვრა

რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან

საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის.

თუ ზემოხსენებული საგადასახადო შეღავათი არ ვრცელდება, ობლიგაციის გასხვისებისას შესაძლოა წარმოიშვას შემდეგი საგადასახადო ვალდებულებები:

ობლიგაციის მფლობელი არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა

არარეზიდენტი იურიდიული პირების მოგება (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) 15 პროცენტის განაკვეთით იბეგრება (დასაბეგრი თუ ამგვარი რეალიზაცია საგადასახადო ვალდებულებას წარმოშობს, გამყიდველი არარეზიდენტი იურიდიული პირი ვალდებული იქნება სწორად მოახდინოს გადასახადის ანგარიშგება და გადახდა საგადასახადო ორგანოში ან თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი ამ გადასახადის წყაროსთან დაკავებაზე. საქართველოში მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული ქვეყანასთან, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი.

ობლიგაციის მფლობელი არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა

არარეზიდენტი ფიზიკური პირების შემოსავალი (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება 20 პროცენტის განაკვეთით თუ ამგვარი რეალიზაცია საგადასახადო ვალდებულებას წარმოშობს, გამყიდველი არარეზიდენტი ფიზიკური პირი ვალდებული იქნება სწორად მოახდინოს გადასახადის ანგარიშგება და გადახდა საგადასახადო ორგანოში ან, თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი ამ გადასახადის წყაროსთან დაკავებაზე. საქართველოში მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული ქვეყანასთან, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი.

გამონაკლისები შეიძლება გავრცელდეს ობლიგაციების ცალკეულ მფლობელებზე, თუ ისინი ობლიგაციებს ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

ობლიგაციის მფლობელი რეზიდენტი იურიდიული პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა

საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ ობლიგაციების გასხვისებისას მიღებული ნამეტი შემოსავალი (საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მოგების განაწილებისას (15%-იანი განაკვეთით).

ობლიგაციის მფლობელი რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა

რეზიდენტი ფიზიკური პირების შემოსავალი (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება 20 პროცენტის განაკვეთით თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ის იქნება პასუხისმგებელი წყაროსთან შესაბამისი გადასახადების დაკავებაზე.

გამონაკლისები შეიძლება გავრცელდეს ობლიგაციების ცალკეულ მფლობელებზე, თუ ისინი ობლიგაციებს ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

ძირითადი თანხის გადახდის დაბეგვრა

ობლიგაციების გამოსყიდვისას მფლობელების მიერ მიღებული ძირითადი თანხა არ ჩაითვლება დასაბეგრ შემოსავლად და არ დაექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას იმ პირობით, თუ გამოსყიდვის ფასი ვადის დადგომისას არ აღემატება თავდაპირველი გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

ობლიგაციების რეალიზაცია (მიწოდება) თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან